ავტორის სტილი დაცულია

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის

საგანმანათლებლო პროგრამა სამართლის დოქტორანტ

დარია ლეგაშვილის

სადისერტაციო ნაშრომი თემაზე

მესამე პირის ნების გამოვლენის გავლენა მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი მარიამ ცისკაძე

სამართლის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

თბილისი, საქართველო

2020

სარჩევი

შემოკლებანი....6

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი....7

I. შესავალი....13

II. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა და შინაარსი 16

1. მესამე პირის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის განვითარება 16

2. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების როლი სამოქალაქო ბრუნვაში 21

3. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაცია....29

4. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნება....34

5. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ფორმა და საგანი 44

6. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეები....49

1. შემპირებელი (მოვალე)....51

2. შეპირების მიმღები....52

3. მესამე პირი 54

III. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეთა ნება, როგორც მათ შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი....64

1. ნების გამოვლენა, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების წარმოშობის საფუძველი 64

2. შეპირების მიმღების და შემპირებელის ნების გამოვლენა, როგორც მათ შორის ,,პროპორციული ურთიერთობის“ წარმოშობის საფუძველი....67

3. შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ,,სავალუტო ურთიერთობის“ წარმოშობის თავისებურება 72

4. შემპირებელსა და მესამე პირს შორის ,,შესრულების ურთიერთობის“ თავისებურება.....78

IV. მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის არსი მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში....82

1. მესამე პირის მიერ უფლების შეძენის თავისებურება....85

2. მესამე პირისათვის უფლების წარმოშობის მომენტი....99

3. ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოსილება მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის შესახებ....104

4. მესამე პირის შეცვლის წესი 121

V. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე.....128

1. ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის პირობები....132

1.1. უარის თქმის საგანი 132

1.1.1. უარის თქმის საგანი დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში..... 133

1.1.2. უარის თქმის საგანი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში 134

1.2. უარის თქმის ფორმა 135

1.3. უარის თქმის შესაძლებლობის ხანგრძლივობა..... 137

1.3.1. შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობის ხანგრძლივობა 137

1.3.2. შესრულების მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობის ხანგრძლივობა 143

1.4. უარის სამართლებრივი ბუნება 144

2. მესამე პირის უარის ადრესატი 146

2.1. მესამე პირის უარის ადრესატი დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში..... 146

2.2. მესამე პირის უარის ადრესატი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში 154

3. შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის შესახებ შემპირებლისა და შეპირების მიმღების მიერ ურთიერთშეტყობინების ვალდებულება 156

4. მესამე პირის მიერ შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარის თქმის გამო წარმოშობილი ვადის გადაცილების შედეგების რისკის განაწილება 159

5. მესამე პირის უარის სამართლებრივი შედეგი 164

VI. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლები მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას, მხარეთა მიერ სხვა სახის შესაგებლის წარდგენისას 174

1. ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი უფლებებისა და სხვა სამართლებრივ საფუძველზე წარმოშობილი შესაგებლის განხორციელება პროპორციულ ურთიერთობაში 175

1.1. შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას მეორეული მოთხოვნის უფლებების განაწილება შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის 175

1.1.1. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების წესი 181

1.1.1.1.შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მესამე პირის თანხმობის საჭიროება 183

1.1.1.2. შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა მესამე პირის თანხმობის გარეშე 193

1.1.2. ხელშეკრულების მოშლის უფლება..... 195

1.1.3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება..... 197

1.1.3.1. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 197

1.1.3.2. შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურებისა და ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 201

1.1.4. ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება....205

1.1.5. დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება....207

1.1.6. ალტერნატიულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება 209

1.2. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უფლება....213

1.3. შეცილების უფლების განხორციელების წესი....215

1.4. შეპირების მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი და ასევე სხვა სახის შესაგებელი მესამე პირის მიმართ 218

1.4.1. მოვალის დასაშვები შესაგებელი მესამე პირის მიმართ....218

1.4.2. მოვალის დაუშვებელი შესაგებელი მესამე პირის მიმართ....224

3. სავალუტო ურთიერთობიდან წარმოშობილი შესაგებელი....226

4. შესრულების ურთიერთობიდან წარმოშობილი შესაგებელი 227

VII. შეპირების მიმღების ან მესამე პირის გარდაცვალების გავლენა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე....228

1. შეპირების მიმღების გარდაცვალება, როგორც მესამე პირის უფლების წარმოშობის მომენტი 230

2. შეპირების მიმღების გარდაცვალება, როგორც მესამე პირის 235

პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დასრულების საფუძველი 235

3. შეპირების მიმღების გარდაცვალება მესამე პირის დაბადებამდე 236

4. მესამე პირის გარდაცვალების შედეგი 238

VIII. მხარეთა ნების გამოვლენა, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მსგავსი ინსტიტუტებისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი....241

1. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა წარმომადგენლის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებისაგან....241

2. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა 246

მოთხოვნის დათმობისაგან....246

3. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისაგან 250

4. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა იმ შემთხვევისაგან, როდესაც სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადაცემულია დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ სხვა პირისათვის....253

5. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა ლიზინგის სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან 258

6. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა გადაზიდვის ხელშეკრულებისაგან....260

7. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიმართება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან 262

8. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა ,,მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით“ არსებული ხელშეკრულებისაგან 263

IX. დასკვნა 268

ბიბლიოგრაფია 288

შემოკლებანი

გვ.	გვერდი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
დის.	დისერტაცია
ე.ი.	ესე იგი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
მ.	მუხლი
ჟურნ.	ჟურნალი
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარეთ

AF	Alte Fassung
AnwK	AnwaltKommentar
AT	Allgemeiner Teil
B.	Band
BeckRS	Beck-Rechtsprechung
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGH	Bundesgerichtshof
BGHZ	Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Zivilsachen
BT	Besonderer Teil
DCFR	Draft Common Frame of Reference
Diss.	Dissertation
DnotI	Informationsdienst des Deutschen Notarinstituts
Einf.	Einführung
FS	Festschrift
GPR	Zeitschrift für das Privatrecht der Europäischen Union
HGB	Handelsgesetzbuch
Hk	Handkommentar
Halbb.	Halbband
Jahrg.	Jahrgang
JA	Juristische Arbeitsblätter
JURA	Juristische Ausbildung
JuS	Juristische Schulung
JZ	Juristenzeitung
LG	Landgericht
MDR	Monatsschrift für deutsches Recht
Neubearb.	Neu bearbeitete

NJW	Neue JuristischeWochenschrift
NJW-RR	Neue JuristischeWochenschrift-Rechtsprechung-Report
NK	NomosKommentar
NZM	Neue Zeitschrift für Miet- und Wohnungsrecht
OLG	Oberlandesgericht
OR	Obligationenrecht
PECL	The Principles of European Contract Law
PICC	The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts
RabelsZ	Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht
Red.	Redaktor
T.	Teil
Überarb.	Überarbeitete
Vorbem.	Vorbemerkung
VuR	Verbraucher und Recht (VuR) - Zeitschrift für Wirtschafts- und Verbraucherrecht
VVG	Versicherungsvertragsgesetz
WM	Wertpapier Mitteilungen - Zeitschrift für Wirtschafts – und Bankrecht
ZeuP	Zeitschrift für Europäisches Privatrecht
ZJS	Zeitschrift für das Juristische Studium
ZMR	Zeitschrift für Miet-und Raumrecht

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, მესამე პირი, ნების გამოვლენა, დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება.

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა

თანამედროვე სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც სამი პირი მონაწილეობს, სწრაფი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რაც საჭიროს ხდის არსებობდეს ერთიანი მექანიზმი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად მათ შორის არსებულ ურთიერთობაში. ასეთად განიხილება ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, რომლის გამოყენების სფერო ძალიან ფართოა იქიდან გამომდინარე, რომ მესამე პირის სასარგებლოდ შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ხელშეკრულება. სწორედ მესამე პირის ნების გამოვლენის საკითხის კვლევაა უმნიშვნელოვანესი მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ინსტიტუტის მიზნის სწორად

რეალიზებისა და ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა შორის ინტერესთა ბალანსის დაცვის გზით, სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები

ნაშრომის მიზანია მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე მესამე პირის ნების გამოვლენის გავლენის კვლევა სახელშეკრულებო ურთიერთობის ყველა ეტაპზე, საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის ურთიერთკავშირში. მნიშვნელოვანია ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამოიკვეთოს ისეთი საკვანძო საკითხები, როდესაც მესამე პირის ნების გათვალისწინება არის ან არ არის აუცილებელი ამ ინსტიტუტის არსის სწორად რეალიზებისათვის. აღნიშნული პრობლემა ევროპის თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში ერთ-ერთი სადისკუსიო საკითხია.

3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია

სამეცნიერო ნაშრომი სტრუქტურული თვალსაზრისით შედგება **ცხრა** თავისაგან.

ნაშრომის **პირველი** თავი ეთმობა შესავალს.

მეორე თავში ნაჩვენებია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა და შინაარსი, ამ ხელშეკრულების ცნების კონცეპტუალური ანალიზის, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა სტატუსის დახასიათებისა და სამოქალაქო ბრუნვაში მისი როლის წარმოჩენის მიზნით.

მესამე თავში განხილულია ხელშეკრულების მონაწილეთა შორის არსებული ურთიერთობები, მათი წარმოშობისა და განსაზღვრისათვის მონაწილეთა ნების გამოვლენის მნიშვნელობის თვალსაზრისით.

მეოთხე თავში ნაჩვენებია მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის არსი მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან უფლების შეძენის თავისებურების წარმოჩენისა და მხარეთა მიერ მესამე პირის უფლებაზე ზემოქმედების შემთხვევაში.

მეხუთე თავში განხილულია მესამე პირის ნების გამოვლენის შედეგები მის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში და ნაჩვენებია მესამე პირის ნების ავტონომიის მნიშვნელობა მის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების განხორციელებისათვის.

მეექვსე თავი ეთმობა დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლების დადგენას მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას ან მხარეთა მიერ სხვა სახის შესაგებლის წარდგენისას.

მეშვიდე თავში წარმოჩენილია რა გავლენას ახდენს შეპირების მიმღების ან მესამე პირის გარდაცვალება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე.

მერვე თავში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება გამიჯნულია მსგავსი ინსტიტუტებისაგან, კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე ამ ხელშეკრულების ცალკეული თავისებურების წარმოჩენისა და ხელშეკრულებაზე მხარეთა და მესამე პირის ნების გამოვლენის ასახვის დადგენის მიზნით.

მეცხრე თავი აღწერს კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულ დასკვნებს.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგადმეცნიერული (ისტორიული), ასევე სპეციალური კვლევის მეთოდები - ნორმატიული, დოგმატური, სისტემური და შედარებითსამართლებრივი.

4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა

საკვლევი საკითხის სიღრმისეული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მესამე პირის ნების გამოვლენის ფარგლები მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, რის შედეგადაც წარმოჩენილი იქნა, თუ რამდენად ქმნის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ ინსტიტუტის სწორი და ეფექტიანი გამოყენებისათვის სათანადო საფუძვლებს, რაც თანამედროვე ევროპულ ქვეყნებში საკანონმდებლო, დოქტრინულ დონეზეა ჩამოყალიბებული. რომლის მიხედვით შემუშავებული რეკომენდაციების, კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნების გაზიარება ეროვნულ კანონმდებლობაში ხელს შეუწყობს ამ ინსტიტუტის მიზნის სწორად რეალიზებას და

ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც, თავის მხრივ, ასევე მნიშვნელობის მქონეა ევროპის სახელშეკრულებო სამართალთან დაახლოების თვალსაზრისით. ამასთანავე, მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა შექმნის საფუძველს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, რაც მართლმსაჯულების მიზნებისათვის არსებითია.

ყოველივე აღნიშნული კი, თავის მხრივ, მნიშვნელობას იძენს სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველსაყოფად.

Abstract

Titel der Doktorarbeit

Influence of expression the third person's will on the agreement concluded in his favor

Die Auswirkung der Willenserklärung eines Dritten auf den Vertrag zu seinen Gunsten

Schlüsselwörter: Der Vertrag zugunsten Dritter, Der Dritte, Willenserklärung, Eigenes Forderungsrecht.

1. Aktualität des Themas der Doktorarbeit, Neuheit und Innovation der Forschung

In den modernen zivilrechtlichen Beziehungen, woran drei Personen teilnehmen, wird die Bereitstellung des schnellen bürgerlichen Verkehrs immer wichtiger, was notwendig macht, einen einheitlichen Mechanismus vorhanden zu sein, um das nach dem Vertrag vorgesehene Ergebnis in einer Beziehung zwischen ihnen zu erzielen. Als solches wird ein Vertrag zugunsten Dritter besprochen, dessen Anwendungsbereich sehr weit gefasst ist, denn zugunsten Dritter kann jeder Vertrag geschlossen werden. Eben die Prüfung der Frage der Willenserklärung des Dritten ist am wichtigsten, um die verträgliche Gerechtigkeit durch ordnungsgemäße Realisierung des Ziels des Instituts des Vertrages zugunsten Dritter und den Schutz des Interessenausgleichs dieses Vertragsverhältnisses zwischen den Parteien sicherzustellen.

2. Ziel / Ziele und Aufgaben der Forschung

Der Zweck dieser Arbeit ist die Prüfung der Auswirkung der Willenserklärung eines Dritten auf den zu seinen Gunsten abgeschlossenen Vertrag, auf allen Etappen des Vertragsverhältnisses, in Bezug auf die Rechtsprechung der gesetzgebenden Regulierung und Doktrin zu forschen, um die Schlüsselfragen in diesem Vertragsverhältnis zu verdeutlichen, ob die Berücksichtigung der Willenserklärung eines Dritten für die ordnungsgemäße Realisierung des Wesens dieses Institutes obligatorisch ist, welches eines der Themen ist, die im modernen europäisches Vertragsrecht diskutiert werden.

3. Struktur ind Forschungsmethodik der wissenschaftlichen Arbeit

Die wissenschaftliche Arbeit ist **in neun Kapiteln** gegliedert.

Das erste Kapitel der Arbeit ist der Einführung gewidmet.

Das zweite Kapitel zeigt die Bedeutung und den Inhalt desVertrages zugunsten Dritter, zur konzeptuellen Analyse des Vertragsbegriffs, zur Charakterisierung des Status der Teilnehmer des Vertragsverhältnisses und seiner Rolle im bürgerlichen Verkehr.

Das dritte Kapitel erörtert die Beziehungen zwischen den Vertragsparteien, im Hinblick der Bedeutung der Willenserklärung von Teilnehmern zu ihrer Herkunft der Beziehungen und Bestimmung.

Das vierte Kapitel zeigt die Bedeutung der Rechtsposition des Dritten in dem zu seinen Gunsten abgeschlossenen Vertrag, im Falle der Darstellung der Besonderheit des Rechtserwerbs aus dem vom Dritten abgeschlossenen Vertrag und der Auswirkung auf das Recht des Dritten durch die Parteien.

Im fünften Kapitel werden die Ergebnisse der Willenserklärung eines Dritten auf die Zurückweisung des von ihm aus dem Vertrag erworbenen Rechts/die Annahmeverweigerung erörtert und die Bedeutung der Willensautonomie des Dritten für die Erfüllung der Verpflichtung zu seinen Gunsten aufgezeigt.

Das sechste Kapitel befasst sich mit der Bestimmung des Umfangs der Befugnisse eines Dritten mit eigenen Forderungsrecht, im Fall der Leistungsstörungen in den Beziehungen zwischen den Teilnehmern des zu seinen Gunsten abgeschlossenen Vertrags oder wenn die Parteien eine weitere Einwendung vorlegen.

Das siebente Kapitel zeigt die Auswirkung des Todes des Versprechensempfängers oder eines Dritten auf die zugunsten eines Dritten abgeschlossenen Vertragserfüllung.

Im achten Kapitel wird der Vertrag zugunsten Dritter von verwandten Rechtsinstituten abgegrenzt, um auf Beispiele der konkretten Fälle einzelne Besonderheiten dieses Vertrags zu zeigen und um die Darstellung der Willenserklärung eines Dritten und der Parteien auf den Vertrag festzustellen.

Das neunte Kapitel beschreibt die Schlussfolgerungen zufolge der Forschung.

Als methodologische Grundlage der Forschungsarbeit wird sowohl allgemein wissenschaftliche (geschichtliche) als auch spezielle Forschungsmethoden angewendet - normative, dogmatische, systematische und rechtsvergleichende.

4. Der wissenschaftliche Wert und potenzielle praktische Bedeutung der Forschungsergebnisse

Eine eingehende Analyse der Forschungsfrage wurden die Rahmen der Willenserklärung eines Dritten auf den zu seinen Gunsten abgeschlossenen Vertrag aufgeklärt. Infolgedessen hat sich gezeigt, wie das Georgische Zivilgesetzbuch die entsprechende Grundlage für die ordnungsgemäße und wirksame Nutzung dieses Instituts schafft, die auf der Ebene der Gesetzgebung, Doktrin oder Grundsätze in modernen europäischen Ländern festgelegt ist. Die Weitergabe der daraus gemachten Empfehlungen, Vertretung der Schlussfolgerungen der Forschung zufolge in der nationalen Gesetzgebung stehen der ordnungsgemäßen Verwirklichung und dem wirksamen Funktionieren des Zwecks dieses Instituts bei, was für sich auch wichtig ist, um es dem europäischen Vertragsrecht näher zu bringen. Gleichzeitig wird ein ordentlicher Rechtsrahmen die Grundlage für die Formulierung einheitliche Rechtsprechung bilden, die für die Zwecke der Judikative von wesentlicher Bedeutung ist.

All dies ist für sich wichtig, um einen stabilen bürgerlichen Verkehr zu gewährleisten.

I. შესავალი

სამოქალაქო ბრუნვაში ხშირია ისეთი ხელშეკრულებების დადება, როდესაც ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობათ მესამე პირებს. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამოყენების სფერო ძალიან ფართოა; ვინაიდან ის არ არის ხელშეკრულების ცალკეული სახე, მესამე პირის სასარგებლოდ შეიძლება დაიდოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება შესაძლებელს ხდის მესამე პირმა ხელშეკრულებაში უშუალო კონტრაჰენტად მონაწილეობის გარეშე მიიღოს ან/და მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება, რაც მხოლოდ ერთი გარიგების საფუძველზეა უზრუნველყოფილი. ამ თვალსაზრისით, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება განსაკუთრებულ ეკონომიკურ მნიშვნელობას იძენს, მით უფრო, თანამედროვე სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც ხშირ შემთხვევაში მესამე პირთა მონაწილეობა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფორმირების ან განხორციელების წინაპირობაა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განისაზღვროს, ახდენს თუ არა გავლენას მესამე პირის ნების გამოვლენა მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე. მესამე პირის ნების გამოვლენის საფუძვლიანი ანალიზის მიზნისათვის მესამე პირის ნების გამოვლენის ფარგლები განხილულია არა მხოლოდ ხელშეკრულების დადების, არამედ მისი შესრულებისა და დასრულების ეტაპზე, რადგან მესამე პირის ნების გამოვლენის საკითხის კვლევა უმნიშვნელოვანესია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ინსტიტუტის მიზნის სწორად რეალიზებისათვის. ამასთანავე, მესამე პირის ნება განხილულია არა იმდენად როგორც მის სასარგებლოდ გარიგების დადების ელემენტი, რადგან მესამე პირის ნების გამოვლენა ყველაზე ნაკლებად ამ ნაწილშია რეალიზებული, არამედ როგორც მისი თანხმობის საჭიროების არსებობა/არარსებობა მხარეების მიერ იმ უფლებების განხორციელებისას, რომლებიც გავლენას ახდენს ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივ პოზიციაზე. მესამე პირის ნების გამოვლენა ნაჩვენებია ასევე იმ თვალსაზრისით, მესამე პირის სასარგებლოდ განხორციელდება თუ არა შესრულება.

კვლევის მიზნისათვის უნდა განისაზღვროს: რამდენად საჭიროა მესამე პირის ნების გამოვლენა მის სასარგებლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობისათვის; აუცილებელია თუ არა მესამე პირის თანხმობის გათვალისწინება მხარეების მიერ მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლისას და რა შემთხვევაშია შესაძლებელი მესამე პირის ნებამ გავლენა მოახდინოს მხარეთა მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაზე; რა გავლენას ახდენს მესამე პირის ნება მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე, როდესაც მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე; რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი მესამე პირის თანხმობის არსებობა მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძველზე წარმოშობილი უფლებების რეალიზების დროს ან სხვა სახის შესაგებლის განხორციელებისას; როგორ აისახება სახელშეკრულებო ურთიერთობაზე მესამე პირისა და შეპირების მიმღების გარდაცვალების შედეგები; მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსის წარმოჩენისა და მესამე პირის ნების გამოვლენის ფარგლების დადგენის მიზნით, ასევე განხორციელდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცალკეული თავისებურების შედარება მსგავს ინსტიტუტებთან.

ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში მონოგრაფიული კვლევა ამ მიმართულებით არ განხორციელებულა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სამი მუხლი (349-351) ეთმობა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მოწესრიგებას, თუმცა აღნიშნული ნორმების ანალიზი არაერთ მნიშვნელოვან ხარვეზს ავლენს. მოცემულ ნორმაში არსებული მთელი რიგი ბუნდოვანების მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული 1997 წლის რედაქციით არსებობს და მასში საკანონმდებლო ცვლილება დღემდე არ განხორციელებულა. სამოქალაქო კოდექსის 349-351-ე მუხლების ამგვარი შინაარსით არსებობა, პრაქტიკაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არაერთგვაროვანი გამოყენების საფუძველს ქმნის. შესაბამისად, კანონის მიზნების უზრუნველსაყოფად მოცემულ პირობებში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფა არსებითია.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგადმეცნიერული (ისტორიული), ასევე სპეციალური კვლევის მეთოდები -

ნორმატიული, დოგმატური, სისტემური და შედარებითსამართლებრივი. ისტორიული მეთოდის მეშვეობით შესწავლილი იქნა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განვითარებისა და ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორია სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში. დოგმატური, ნორმატიული და სისტემური მეთოდების გამოყენების გზით განხორციელდა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიმართ დოქტრინაში არსებული მიდგომის გამოკვეთა, ამ ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების არსებული ხარვეზების წარმოჩენა, მათი გადაწყვეტის გზის მოძიება და კვლევის შედეგების სინთეზში საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება. შედარებითსამართლებრივი მეთოდის საფუძველზე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება განხილული იქნა კონტინენტურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ჭრილში, ამ ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესების შევსებისა და ქართული კანონმდებლობის მათთან ჰარმონიზაციის მიზნით. შედარებისათვის უპირატესად წარმოჩენილი იქნა გერმანულ სამართალში არსებული მიდგომა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიმართ და ნაჩვენები იქნა მათი თავსებადობა ქართულ სამართალთან.

კვლევა ასევე ეფუძნება სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, რასაც წინამდებარე ნაშრომში დასმული პრობლემატიკის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იქიდან გამომდინარე, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში განმარტების გზით უნდა დადგინდეს ისეთი საკითხები, რომლებიც მესამე პირის უფლების წარმოშობის, შენარჩუნებისა თუ ამ ხელშეკრულების მონაწილეთა შორის ინტერესთა ბალანსის დაცვისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველსაყოფად არსებითია.

II. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა და შინაარსი

1. მესამე პირის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის განვითარება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალი ქვეყნის მართლწესრიგი არ აღიარებდა.[1] აღნიშნულს მოწმობს სამართლის ისტორია და შედარებითი სამართალი.[2] იმ ქვეყნების კოდექსებში, რომელთაც ბუნებითი სამართლის გავლენა განიცადეს, თავდაპირველად ხელშეკრულებები განიხილებოდა ორმხრივ, ,,მტკიცე სამართლებრივ კავშირად"[3], ,,სახელშეკრულებო კავშირად"[4], ამიტომ ძნელი წარმოსადგენი იყო ხელშეკრულების გარეთ მდგომ პირს მასში მონაწილეობა მიეღო.[5]

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას იმ გაგებით, რასაც თანამედროვე სამართლებრივი დოგმატიკა ითვალისწინებს, კლასიკური რომაული სამართალი არ აღიარებდა.[6] რომის სამართალში ხელშეკრულების საფუძველზე უფლება-მოვალეობები მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს წარმოეშობოდათ და ხელშეკრულების არამონაწილე მესამე პირს სხვა პირების მიერ დადებულ ხელშეკრულებაში მოთხოვნის უფლება არ გააჩნდა.[7] რომის სამართალში თითოეულ პირს შეეძლო მხოლოდ საკუთარი თავისა და ინტერესების სასარგებლოდ ემოქმედა.[8]

---

[1] *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1200, 504.

[2] *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1200, 504.

[3] "Vinculum iuris", *კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ., ჭანტურია ლ., (რედ), ტაბიძე მ., (რედ.),* ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2008, 85; იხ. *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 6; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 1; *Vogt A.,* Verträge zu Rechten Dritter, insbesondere auf den Todesfall, mit einem englischen Versprechensempfänger, Diss., Berlin, 1999, 49; *Gronemeyer A.,* Der Vertrag zugunsten Dritter im englischen Common Law, Diss., Frankfurt am Main, 2009, 27.

[4] "Privity of Contract".

[5] *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146.

[6] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 6; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 2; შეად. *Dniestrzanski S.,* Die Aufträge zugunsten Dritter, Leipzig, 1904, 6.

[7] *Kaduk H., Canaris C.,* Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983, 303, 304.

[8] *Ahlefeldt F.,* Der Vertrag zugunsten Dritter unter besonderer Berücksichtigung der Rechtsprechung, Diss., Hamburg, 1938, 11; *Reinken A.,* Der heutige Stand der privity of contract im englischen Common Law, Diss., Hall in Tirol, 1998, 18.

კლასიკურ რომაულ სამართალში მოქმედებდა პრინციპი - ,,ვერავინ შეთანხმდება უცხო პირის სასარგებლოდ".[9] ეს პრინციპი გვიანკლასიკურ რომაულ სამართალშიც მკაცრად იყო დაცული.[10] შემდგომ ამ წესიდან გარკვეული გამონაკლისები გაკეთდა,[11] პრეტორის დეკრეტები მესამე პირებს, ცალკეულ შემთხვევაში, დამოუკიდებელი სარჩელის წარდგენის უფლებას ანიჭებდა.[12]

მართალია, რომის სამართალი არ ცნობდა გამოთქმას ,,ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ"[13], მაგრამ ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, საერთო სამართლის თეორია მიუთითებს, რომ ამ ინსტიტუტის საწყისების პოვნა ჯერ კიდევ რომის სამართლის წყაროებში იყო შესაძლებელი,[14] რადგან რომის სამართალიც იცნობდა გარკვეულ გამონაკლისებს, სადაც შესრულება მესამე პირისათვის იყო გათვალისწინებული.[15] მათ მიეკუთვნებოდა შემთხვევა, როდესაც მაგალითად, ჩუქების საგანი უნდა გადასცემოდა მესამე პირს,[16] როდესაც მზითევის შეკვეთა ხორციელდებოდა იმ მიზნით, რომ ის უნდა გადასცემოდა შემკვეთის შთამომავალს და სხვა.[17] თუმცა კლასიკური რომის სამართლისთვისაც ცნობილი იყო ,,გარდაცვალების შემთხვევისათვის ფასიანი ქაღალდების შენახვა/მიბარება მესამე პირის სასარგებლოდ"[18], რაც თანამედროვე სამართლის მიერაა აღიარებული, მაგრამ მას მემკვიდრეობითსამართლებრივ კონსტრუქციად განიხილავდნენ და აქედან

---

[9]"Alteri stipulari nemo potest", *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 5 ff.; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 2; *Hallebeek J., Dondorp H.,* Contracts for a Third-Party Beneficiary, Leiden, Boston, 2008, 8, 9.

[10]*Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 9; შეად. *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146.

[11]*ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146; *Kaduk H., Canaris C.,* Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983, 304.

[12]*Ahlefeldt F.,* Der Vertrag zugunsten Dritter unter besonderer Berücksichtigung der Rechtsprechung, Diss., Hamburg, 1938, 11, 12; *Wesenberg G.,* Verträge zugunsten Dritter, Weimar, 1949, 101.

[13]"Pacta in favorem tertii", *Dniestrzanski S.,* Die Aufträge zugunsten Dritter, Leipzig, 1904, 10; *Wesenberg G.,* Verträge zugunsten Dritter, Weimar, 1949, 7.

[14] *Dniestrzanski S.,* Die Aufträge zugunsten Dritter, Leipzig, 1904, 10.

[15]*Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 2.

[16]*Zweigert K., Kötz H.,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neu bearb. Aufl., Tübingen, 1996, 455.

[17]იხ. *Dniestrzanski S.,* Die Aufträge zugunsten Dritter, Leipzig, 1904, 11.

[18]"Depotverträge zugunsten Dritter auf den Todesfall", *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 18.

გამომდინარე, არ ეწინააღმდეგებოდა პრინციპს - ,,ვერავინ შეთანხმდება უცხო პირის სასარგებლოდ".[19]

მხოლოდ რომის სამართალი ვეღარ წყვეტდა სიცოცხლის დაზღვევის, სამისდღეშიო რჩენის და მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამიტომ შეიქმნა სხვადასხვა თეორიები, რომლებიც მესამე პირებს ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა.[20]

ხელშეკრულების საფუძველზე მესამე პირებისთავის ცალკეული უფლებების მინიჭების საკითხი გარკვეულწილად აღიარებულია ბუნებითი სამართლის[21] კოდიფიკაციების მიერ.[22] პრუსიის მიწის ზოგადი (კოდიფიცირებული) სამართლის[23] მე-5 თავის §74-ის მიხედვით, ხელშეკრულების საგანი შეიძლება ყოფილიყო მესამე პირის მიერ სარგებლის მიღება.[24]

ისტორიულად მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბების მოდელი იყო ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც მესამე პირზე ზრუნვისათვის იდებოდა.[25]

უნდა ითქვას, რომ ევროპულ სამართლებრივ სისტემებში მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს.[26]

ქართულ სამართალში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება მოწესრიგებული იყო ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით, რომლის 164-ე მუხლი[27] ითვალისწინებდა მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებას.

---

[19] იქვე.

[20] *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 147; *Dniestrzanski S.,* Die Aufträge zugunsten Dritter, Leipzig, 1904, 10.

[21] მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებს განიხილავდა ჯერ კიდევ ჰუგო გროციუსი თავის ცნობილ ნაშრომში "De iure belli ac pacis", აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით იხ. *Wesenberg G.,* Verträge zugunsten Dritter, Weimar, 1949, 114 ff.

[22] *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146; *Kaduk H., Canaris C.,* Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983, 304.

[23] "Das Allgemeiene Preußische Landrecht", იხ. *Zweigert K., Kötz H.,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neu bearb. Aufl., Tübingen, 1996, 455.

[24] "Fünfter Titel. Von Verträgen", §. 74. Auch die Vortheile eines Dritten können der Gegenstand eines Vertrages seyn, <https://opinioiuris.de/quelle/1622>, [16.12.2019].

[25] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8.

[26] *Looschelders D., Makowsky M.,* Inhalt und Wirkungen von Verträgen, GPR, 2011, 111.

[27] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1965, 113.

აღნიშნული პერიოდიდან დღემდე, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნებას არსებითი ცვლილება არ განუცდია. დღეისათვის არსებული სახით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალ რედაქციაში იყო ასახული.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სრულყოფილი მოდელის შემუშავება საერთო გერმანული სამართლის სპეციალისტების ძალისხმევით განხორციელდა.[28] გერმანიაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების პროექტის შემუშავება 1874 წელს დაიწყო, რამაც დისკუსიების შედეგად არაერთი ცვლილება განიცადა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში - გსკ) საბოლოო სახით ჩამოყალიბებული იქნა 1896 წელს, ძალაში კი შევიდა 1900 წელს.[29] გსკ-ის 328-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება თანამედროვე ევროპული კერძო სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.[30]

რაც შეეხება ინგლისურ სამართალს, ,,სახელშეკრულებო კავშირის დოქტრინიდან"[31] გამომდინარე, რომლის მიხედვით სახელშეკრულებო უფლებები და

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/132811/1/Saqartvelos_Ssr_Samoqalaqo_Samartlis_Kodeqsi.pdf>.
მუხლი 164. ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ
მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნა შეუძლია როგორც იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც დათქმულია შესრულება, ისე ხელშეკრულების დამდებ პირს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით და ან არ გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან.
თუ მესამე პირმა უარი თქვა ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებულ უფლებაზე, მაშინ ხელშეკრულების დამდებ პირს შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს, ხელშეკრულებას ან ვალდებულების არსს.

[28] *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 147.

[29] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 108, 128; გსკ-ის §328-ს გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად ცვლილება არ განუცდია, აღნიშნულის შესახებ იხ. *Westermann P.,* Vertragliche Dritthaftung im neuen Schuldrecht, FS für Heinrich Honsell, Zürich, 2002, 137.

[30] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 3.

[31] "doctrine of privity", "consideration doctrine", *Looschelders D., Makowsky M.,* Inhalt und Wirkungen von Verträgen, GPR, 2011, 112; "Privity of Contract"-ის შესახებ დაწვრილებით იხ. *Merkin R.,* Privity of Contract: The Impact of the Contracts (Right of Third Parties) Act 1999, London, Hong Kong, 2000, 1-89; *Gronemeyer A.,* Der Vertrag zugunsten Dritter im englischen Common Law, Diss., Frankfurt am Main, 2009, 27 ff.; *Vogt A.,* Verträge zu Rechten Dritter, insbesondere auf den Todesfall, mit einem englischen Versprechensempfänger, Diss., Berlin, 1999, 49 ff.; *Koffman L., Macdonald E.,* The Law of Contract, Seventh Edition, Oxford, 2010, 458.
"Privity of Contract"-ის პრინციპის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო საქმე "Tweddle v Atkinson 1861", სადაც სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან არ აღიარა მოსარჩელის, როგორც ხელშეკრულების დადებაში არამონაწილე მესამე პირის, მოთხოვნის უფლება. ანალოგიურად უარყო ინგლისის სასამართლოებმა მესამე პირის მოთხოვნის უფლებები შემდეგ საქმეებზე: "Dunlop v.

მოვალეობები მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს წარმოეშობათ,[32] შესაბამისად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებაც მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს აქვს, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები XX საუკუნის ბოლომდე აღიარებული არ იყო.[33] აღნიშნული პრინციპი უარყოფდა მესამე პირის მოთხოვნის უფლებას, მისთვის მხარეებს ასეთი უფლება ხელშეკრულებით რომც ჰქონოდათ მინიჭებული.[34] თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ პრინციპიდან არსებობდა გარკვეული გამონაკლისები.[35] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებების არაღიარება არსებით პრაქტიკულ სირთულეებს წარმოშობდა სამოქალაქო ბრუნვაში.[36] ამიტომ 1999 წელს ძალაში შევიდა აქტი ,,ხელშეკრულებების (მესამე პირის უფლებების) შესახებ",[37] რომლითაც ინგლისურ სამართალში მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება შესაძლებელი გახდა.[38] რაც ახლოს დგას მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გერმანულ მოწესრიგებასთან.[39]

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები ნიუ-იორკის სააპელაციო

Selfridge 1915"; "Beswick v. Beswick 1968", იხ, *Reinken A.,* Der heutige Stand der privity of contract im englischen Common Law, Diss., Hall in Tirol, 1998, 21-24; *Gronemeyer A.,* Der Vertrag zugunsten Dritter im englischen Common Law, Diss., Frankfurt am Main, 2009, 34-38.

[32]*Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 141; *Gronemeyer A.,* Der Vertrag zugunsten Dritter im englischen Common Law, Diss., Frankfurt am Main, 2009, 27.

[33]*Reinken A.,* Der heutige Stand der privity of contract im englischen Common Law, Diss., Hall in Tirol, 1998, 18, 30, თუმცა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ინსტიტუტის უარყოფა არაერთხელ ყოფილა კრიტიკის საგანი, როგორც ინგლისური სასამართლოების, ასევე მეცნიერების მხრიდან, აღნიშნულის შესახებ იხ. იქვე 1; *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P *Westermann P.,* Köln, 2008, 658, 659.

[34] *Reinken A.,* Der heutige Stand der privity of contract im englischen Common Law, Diss., Hall in Tirol, 1998, 18-19.

[35]*Koffman L., Macdonald E.,* The Law of Contract, Seventh Edition, Oxford, 2010, 476-482.

[36]*Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 148.

[37]"The Contracts (Rights of Third Parties) Act 1999".

[38]*Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 659; *Schwartz A., Scott R. E.,* Third Party Beneficiaries and Contractual Networks, Journal of Legal Analysis, 2015, 330, <https://doi.org/10.1093/jla/lav006>, [26.12.2019].

[39]*Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 141.

სასამართლოს მიერ 1859 წელს, ერთ-ერთ საქმეზე[40] მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ სრულად იქნა აღიარებული.[41]

ამჟამად მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობას ყველა მართლწესრიგი აღიარებს[42] და შესაბამისი მოწესრიგებაა ასახული სამოქალაქო კოდექსებში.[43]

2. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების როლი სამოქალაქო ბრუნვაში

ხელშეკრულების დადების დროს, როგორც წესი, მხარეებს სურთ ამ ხელშეკრულებიდან უფლება-მოვალეობები მათ მიმართ წარმოიშვას. თითოეულის მიზანია, თავად მიიღოს და მოითხოვოს ვალდებულების შესრულება საკუთარი თავის სასარგებლოდ.[44] მაგრამ სამოქალაქო ბრუნვაში ხშირია ისეთი ხელშეკრულების დადება, როდესაც შესრულება მესამე პირის მიმართ ხორციელდება. რასაც საფუძვლად უდევს შეპირების მიმღებსა (კრედიტორს) და მოვალეს შორის მესამე პირის სასარგებლოდ არსებული შეთანხმება.

მესამე პირთა უფლებრივი მდგომარეობა ზოგჯერ მთლიანად მხარეთა ნებით განისაზღვრება, ზოგჯერ კი მხოლოდ მესამე პირის ნება ხდება ანგარიშგასაწევი.[45] მესამე პირი, ზოგადად, თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან იღებს სარგებელს, ის იძენს ისეთი მოთხოვნის უფლებას, რომლის განხორციელება მის სურვილზეა დამოკიდებული. მაშასადამე, მესამე პირის ნებაა განმსაზღვრელი იმისათვის, ხელშეკრულება მის სასარგებლოდ შესრულდება თუ არა. ზოგ შემთხვევაში კი მესამე პირის ნება მის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისთვისაც არის საჭირო, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

---

[40]"Lawrence v. Fox" 20 N.Y. 268 (1859).

[41]*Schwartz A., Scott R. E.,* Third Party Beneficiaries and Contractual Networks, Journal of Legal Analysis, 2015, 330, <https://doi.org/10.1093/jla/lav006>, [26.12.2019].

[42]*ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146; *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 868; იხ.ასევე, *Stelken P.,* Vertäge zu Lasten Dritter, Diss., Köln, 1935, 18.

[43]იხ. *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 870.

[44]*Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 217.

[45] *ზოძე ბ.,* ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 210.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ინსტიტუტს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს,[46] რაც თანამედროვე ევროპულ სახელშეკრულებო სამართალშიცაა აღიარებული.[47] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ზოგადი ეკონომიკური მნიშვნელობა ისაა, რომ ხელშეკრულების საგანი შემპირებლის მიერ ჯერ შეპირების მიმღებს კი არ გადაეცემა და შემდეგ ამ უკანასკნელისაგან მესამე პირს, არამედ შემპირებლის ქონებიდან პირდაპირ მესამე პირისათვის ხორციელდება შესრულება, ესე იგი, ,,ორმაგი გადაცემის გარეშე".[48] ამ თვალსაზრისით, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება შესრულების გზის შემოკლებასაც უზრუნველყოფს.[49] შესაბამისად, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან დიდია.[50]

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებასაც ემსახურება;[51] ვინაიდან მის საფუძველზე შესაძლებელია მესამე პირმა ხელშეკრულებაში უშუალო კონტრაჰენტად მონაწილეობის გარეშე მიიღოს ან/და მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არ არის სამმხრივი ხელშეკრულება.[52] ის მესამე პირის უფლებამოსილების მიუხედავად, ორმხრივი ხელშეკრულებაა.[53] მესამე პირის ხელშეკრულებაში კონტრაჰენტად მიერთება, მის მიერ ნების გამოვლენა[54] (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა)[55] ან სხვა

---

[46] *Vogenauer S., Kleinheisterkamp J.,* Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford, 2008, 3; *Stelken P.,* Vertäge zu Lasten Dritter, Diss., Köln, 1935, 17.

[47] იხ. *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 868.

[48] *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 257; *Vogenauer S., Kleinheisterkamp J.,* Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford, 2008, 3.

[49] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 1, 271; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 2, 2-3, 467, 468; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 195, 89.

[50] იხ. *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 141; *Zweigert K., Kötz H.,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neu bearb. Aufl., Tübingen, 1996, 454, 458.

[51] *ლეგაშვილი დ.,* დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, 119.

[52] *Jauernig O., Stadler A.,* BGB, Kommentar, 15. Aufl., München, 2014, §328, Rn.1, 475.

[53] *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230.

[54] *Wesenberg G.,* Verträge zugunsten Dritter, Weimar, 1949, 150.

[55] მაგ., სიცოცხლის დაზღვევა მესამე პირის სასარგებლოდ (სსკ-ის 844-ე მუხლის მეორე ნაწილი).

სახის თანამონაწილეობა ხელშეკრულებიდან მისი უფლების წარმოშობისათვის საჭირო არ არის,[56] ამიტომ მის მიერ მონაწილეობის არმიღება არ შეიძლება ამ ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი გახდეს.[57] მესამე პირი რომ ხელშეკრულებას შეუერთდეს, ეს არ იქნება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, ასეთ შემთხვევაში თვითონ მესამე პირი გახდება ხელშეკრულების მხარე,[58] რაც ასეთი ხელშეკრულების არსს ეწინააღმდეგება.

ამდენად, უნდა ითქვას, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არის ორმხრივი ხელშეკრულება, მაგრამ სამ პირს შორის არსებული ურთიერთობა.

მართალია, დასაშვებია მესამე პირის ნების გამოვლენის გარეშე დაიდოს მის სასარგებლოდ ხელშეკრულება, მაგრამ აღნიშნულისაგან განსხვავებით ხელშეკრულება, რომელიც მასში მესამე პირის მონაწილეობისა და თანხმობის გარეშე წარმოშობს ამ უკანასკნელის მიმართ მოთხოვნის უფლებას, ესე იგი, მესამე პირის საზიანოდ[59] (მესამე პირის მავალდებულებელი) ხელშეკრულების დადება მართლწესრიგის მიერ დაშვებული არ არის.[60] ასეთი ხელშეკრულება კი დადების შემთხვევაში არ იქნება ნამდვილი,[61] ვინაიდან მესამე პირის თანხმობის გარეშე მისთვის ვალდებულების დაკისრება იქნებოდა მესამე პირის ნების თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევა.[62]

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არ არის ხელშეკრულების ცალკეული სახე, როგორიცაა მაგალითად, ნასყიდობა, ნარდობა,

---

[56] *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 14; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, Kommentar, 15. Aufl., München, 2014, §328, Rn. 8, 475.

[57] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 19 მარტის №3კ-1492-02 განჩინება.

[58] *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 14.

[59] "Vertrag zu lasten Dritter", მესამე პირის საზიანოდ დადებული ხელშეკრულების ცნებასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. *Stelken P.,* Vertäge zu Lasten Dritter, Diss., Köln, 1935, 2 ff.

[60] BGH, Urteil vom 12-11-1980 - VIII ZR 293/79 (Köln), NJW 1981, 275, (276); შეად. *Bettermann K.,* Verpflichtungsermächtigung und Vertrag zu Lasten Dritter, JZ, 1951, 321 ff.

[61] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 817; *Vogenauer S., Kleinheisterkamp J.,* Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford, 2008, 25.

[62] *Petersen J.,* Der Dritte im Allgemeinen Schuldrecht, Jura, 2014 (6), 581; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 14., neu bearb. Aufl., München, 2016, Rn. 1132, 409.

სესხი და ა.შ.[63] არამედ, ის ,,რომელიმე ხელშეკრულების მოდიფიკაციაა"[64] და მესამე პირის სასარგებლოდ შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ტიპური და ატიპური[65] ხელშეკრულება (ნასყიდობის, ქირავნობის, იჯარის, ნარდობის და ა.შ.),[66] მათ შორის, წინარე ხელშეკრულება.[67] ადმინისტრაციული ხელშეკრულებაც შესაძლებელია დადებული იქნეს მესამე პირის სასარგებლოდ.[68] უფრო ხშირად მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება სადაზღვევო სფეროში გამოიყენება.[69] ,,ხელშეკრულების მოდიფიკაცია" ამ შემთხვევაში იმას გულისხმობს, რომ ორმხრივი ხელშეკრულების კლასიკური შემთხვევისაგან განსხვავებით, ზოგადად რომ ითქვას, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში სახელშეკრულებო შეთანხმების განსაზღვრა ხდება ისე, რომ მხარის ნაცვლად შესრულება განხორციელდეს მესამე პირის მიმართ.

მაშასადამე, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ხდება ,,ვალდებულების შესრულების მიმართულების"[70], ,,ვალდებულების ადრესატის შეცვლა"[71].[72]

---

[63] *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 848; *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 8, 380; *Rump C.,* Über das Verhältnis unentgeltlicher Zuwendungen mittels Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall zum Erbrecht, Diss., Bonn, 2012, 12.

[64] იხ. *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 197, 90 (..."eine Modifikation irgendeines Vertrages"); *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 12, 5, (..."die Komplikation bwz. Modifikation eines Vertrages").

[65] ტიპური და ატიპური ხელშეკრულებების შესახებ იხ. *Larenz K.,* Lernbuch des Schuldrechts, zweiter Band, Besonderer Teil, München, 1994, 60-65; *Lohman H.,* Vertragsrecht, Buch 2, Verpflichtungsverträge, Stuttgart, Berlin, Köln, Mainz, 1978, 244-260; *Below K.,* Bürgerliches Recht, Schuldrecht, BT, Wiesbaden, 1978, 191-209; *Eckert J.,* Schuldrecht, BT, Kiel 2000, 189-191; *Ernst A.,* Schuldrecht BT, I, München, 1998, 7-9.

[66] *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 86; *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 217; *Rump C.,* Über das Verhältnis unentgeltlicher Zuwendungen mittels Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall zum Erbrecht, Diss., Bonn, 2012, 12; *Harder M.,* Zuwendungen unter Lebenden auf den Todesfall, Berlin, 1968, 123.

[67] *Petersen J.,* Der Dritte im Allgemeinen Schuldrecht, Jura, 2014 (6), 581.

[68] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 1, 561; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 139; მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნასთან დაკავშირებით იხ. *ჯორბენაძე თ.,* მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება - სირთულე სასამართლო პრაქტიკაში, ლადო ჭანტურია 55, 2018, 29 და მომდევნო.

[69] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 217; *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 868.

[70] "ein Richtungswechsel der Leistungspflicht".

[71] (..."daß der Adressat der Leistung wechselt").

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით უზრუნველყოფილია მესამე პირის უფლების წარმოშობა ერთი ხელშეკრულების საფუძველზე,[73] რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა ხელშეკრულების ნებისმიერი ტიპი იყოს. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, ნარდობის ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ და ა.შ.

მესამე პირის სასარგებლოდ შესაძლებელია შერეული ხელშეკრულების დადებაც.[74] მაგრამ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად შერეული ტიპისაა. თუ ის ხელშეკრულება, რომელიც მესამე პირის სასარგებლოდ დაიდო არ არის შერეული (ე.ი. ორი ან რამდენიმე ხელშეკრულების ელემენტს არ მოიცავს), მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადება მესამე პირის სასარგებლოდ ხდება, ვერ აქცევს მას შერეულ ხელშეკრულებად. ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ შერეული ტიპისაა თუ არა, ეს დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების არსზე.

ამდენად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც შესაძლოა მხარეთა შორის იქნეს დადებული, შესაძლებელია დაიდოს მესამე პირის სასარგებლოდაც.[75]

სწორედ ამითაა განპირობებული, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია არა ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში, ხელშეკრულების ცალკეულ სახეებთან ერთად, არამედ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში.[76] თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებასთან მიმართებით სპეციალური მოწესრიგებაა გათვალისწინებული.

---

[72] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 657; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 4; იხ. ასევე, *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 2, 271.

[73] *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 868.

[74] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 221.

[75] *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1201, 505; *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3. überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1151, 353.

[76] *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 848, 385; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 221.

იურიდიულ ლიტერატურაში პოზიცია ერთიანია იმის შესახებ, რომ მესამე პირის სასარგებლოდ ნებისმიერი ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადებაა შესაძლებელი მიუხედავად იმისა, ხელშეკრულების თუ რომელ ტიპს ექვემდებარება ის.[77] მაგრამ გერმანულ დოქტრინაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, მესამე პირის სასარგებლოდ შესაძლებელია თუ არა **სანივთოსამართლებრივი**[78] გარიგების დადება.[79] მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დასაშვები არ არის სანივთოსამართლებრივი გარიგების დადება, ნაწილი თვლის, რომ გსკ-ის §328 (მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმა) ყველა განკარგვითი[80] გარიგების მიმართ გამოიყენება.[81] ზოგიერთი მეცნიერი მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმის ანალოგიით გამოყენების საფუძველზე მესამე პირის სასარგებლოდ სანივთო გარიგების დადებას დასაშვებად განიხილავს იმაზე მითითებით, რომ შემძენის სასარგებლოდ დაცული უნდა იყოს სათანადო წინაპირობები (მაგ., მფლობელობის მოპოვება, რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, იპოთეკარად რეგისტრაცია, იპოთეკის მოწმობის გადაცემა და სხვა).[82]

---

[77] იხ. *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 221; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 139; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 1, 561; *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 217.

[78]გარიგებათა კლასიფიკაციის შესახებ იხ. *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 306 და მომდევნო.

[79]*Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 279, 751; *Lieder J.,* Die Anwendung schuldrechtlicher Regeln im Sachenrecht, JuS, 51. Jahrg., 2011, 878; *Westermann H., Gursky K., Eickmann D.,* Sachenrecht, 8., neu bearb. Aufl., Hamburg, 2011, Rn. 13, 14, 27, 28; *Baur F., Stürner J.,* Sachenrecht, 18., neu bearb. Auf., München, 2009, Rn. 28, 51; *Brehm W., Berger Ch.,* Sachenrecht, 3., überbearb. Aufl., Tübingen, 2014, Rn. 35, 20; *Katschinski R.,* Dingliche Verfügung zugunsten eines Dritten unzulässig, DNotI-Report, 1999, 110; *ვოლფი მ, ველენჰოფერი მ., ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი და რედ.), 29-ე გამოცემა, სანივთო სამართალი, თბილისი, 2016, ველი 17, 119, 120; *Wolf Ch., M., Wellenhofer M.,,* Sachenrecht, 31., überbearb. Aufl., München, 2016, Rn. 17, 77.

[80]გერმანულ სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ვალდებულებით და სანივთო განკარგვით გარიგებებს, აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით იხ. *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - Teil II, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 96-97.

[81]იხ. *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 279, 751; *Katschinski R.,* Dingliche Verfügung zugunsten eines Dritten unzulässig, DNotI-Report, 1999, 110; *Westermann H., Gursky K., Eickmann D.,* Sachenrecht, 8., neu bearb. Aufl., Hamburg, 2011, Rn. 13, 14, 27, 28.

[82]იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 12, 274; *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017, §328, Rn. 3, 1500; *Baur F., Stürner J.,* Sachenrecht, 18., neu bearb. Auf., München, 2009, Rn. 28, 51, 52; *Katschinski R.,* Dingliche Verfügung zugunsten eines Dritten unzulässig, DNotI-Report, 1999, 110; *Vieweg K., Werner A.,* Sachenrecht, 7., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 12, 83.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში აღნიშნული საკითხი განმარტების საგანი არ ყოფილა. გერმანული სასამართლო პრაქტიკა, საერთო ჯამში, უარყოფს მესამე პირის სასარგებლოდ სანივთოსამართლებრივი (განკარგვითი) გარიგების დადებას.[83]

ქართულ სამართალში მესამე პირის სასარგებლოდ სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობაზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გერმანულ დოქტრინაში მესამე პირის სასარგებლოდ სანივთო გარიგების დასაშვებობასთან დაკავშირებით ძირითადი აქცენტი იმაზეა, თუ როგორ უნდა მოხდეს მესამე პირისათვის სანივთო უფლების გადაცემა,[84] ვინაიდან გერმანული მოწესრიგების მიხედვით, სანივთო უფლების გადაცემისათვის სანივთო შეთანხმება ხელშეკრულების მხარესა (მესაკუთრეს) და შემძენს შორის უნდა განხორციელდეს.[85] ამიტომ სანივთო გარიგებების შემთხვევაში საქმე ეხება იმას, შეიძლება თუ არა მესამე პირმა მხარეთა შორის დადებული გარიგების საფუძველზე უშუალოდ შეიძინოს უფლება, შეპირების მიმღებზე შუალედური გადასვლის გარეშე.[86] მართალია, ქართული სანივთო სამართალი ყველაზე მეტ მსგავსებას გერმანულ სამართალთან ავლენს,[87] მაგრამ ქართული სანივთო გარიგება არ არის გერმანულ სამართალში არსებული სანივთო გარიგების იდენტური, რადგან ის აბსტრაქციის პრინციპს[88] ეფუძნება.[89] ქართულმა სამართალმა კი არ გაიზიარა აბსტრაქციის პრინციპი.[90] ამიტომ ქართული მოწესრიგების მიხედვით, მესამე პირის სასარგებლოდ სანივთოსამართლებრივი გარიგების დადებაზე უარის თქმისათვის არ არსებობს სათანადო საფუძველი. მაგრამ მესამე პირის მიერ სანივთო უფლების შეძენისათვის დაცული უნდა იქნეს ის წინაპირობები, რომლებიც კონკრეტული უფლების შეძენისთვისაა კანონმდებლობით დადგენილი. ამასთანავე, მესამე პირის

---

[83]BGH, Urteil vom 17-04-1986 - IX ZR 54/85 (Hamburg), NJW-RR 1986, 848 (849); BGH, Urteil vom 29. 1. 1964 - V ZR 209/61 (Celle), NJW 1964, 1124 (1125); BGH, Urteil vom 08-07-1993 - IX ZR 222/92 (Düsseldorf), NJW 1993, 2617 (2618, 2619); BayObLG, Beschluß vom 17. 10. 2002 - 2Z BR 57/02, NJW 2003, 1402 (1403).

[84]*Kaduk H., Canaris C.,* Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983, 312; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 232; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, Vorbem. zu §328, Rn. 41, 42, 25.

[85]იხ. *Kaduk H., Canaris C.,* Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983, 312.

[86] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - Teil II, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 97.

[87] *ზოიძე ბ.,* ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 2, 3.

[88] აბსტრაქციის პრინციპის შესახებ იხ. *ბოთაძე თ.,* სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, 54 -58.

[89] *ზოიძე ბ.,* ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 10.

[90] იქვე, 10, 13.

სასარგებლოდ სანივთოსამართლებრივი გარიგების დადებისათვის საჭირო უნდა იყოს მესამე პირის თანხმობა, რადგან აქ სანივთო უფლების წარმოშობას ეხება საქმე, მესამე პირის ნება სურს თუ არა მას ამ უფლების შეძენა, სანივთო უფლების ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნეს. გარდა ამისა, რადგან მესამე პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე და აღნიშნულს სანივთო სამართლის სტაბილურობისათვის საფრთხედაც განიხილავენ,[91] ამ პოზიციის გაზიარების შემთხვევაში მესამე პირის წერილობითი თანხმობის არსებობა უზრუნველყოფს მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის რისკის შემცირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირის სასარგებლოდ სანივთოსამართლებრივი გარიგების დადება არ გამოიწვევს სანივთო სამართლის სტაბილურობისათვის საფრთხეს იმ პირობებში, თუ მესამე პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) 351-ე მუხლის საფუძველზე უარს განაცხადებს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე; საყურადღებოა, რომ სანივთო სამართალი უშვებს უფლებამოსილი პირის მიერ უძრავ ნივთზე თვით საკუთრების ან სხვა უფლების მიტოვების შესაძლებლობას, რომელიც მოწესრიგებულია სსკ-ის 184-ე მუხლით. ყურადღებაა გასამახვილებელი სსკ-ის 349-ე მუხლზე, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილშია განთავსებული, უთითებს ზოგადად მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე და არ ახდენს მის დიფერენცირებას ვალდებულებით და სანივთოსამართლებრივ ხელშეკრულებებად.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ქართულ ერთ-ერთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება შესაძლებელია ,,კერძო სამართლის ნებისმიერ სფეროში".[92] მაშასადამე, მესამე პირის სასარგებლოდ შესაძლებელია როგორც ვალდებულებითსამართლებრივი, ასევე სანივთოსამართლებრივი გარიგების დადება სათანადო წინაპირობების არსებობისას.

---

[91]იხ. *Lieder J.,* Die Anwendung schuldrechtlicher Regeln im Sachenrecht, JuS, 51. Jahrg., 2011, 878, 979; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - Teil II, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 97; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1730, 424; *Brehm W., Berger Ch.,* Sachenrecht, 3., überbearb. Aufl., Tübingen, 2014, Rn. 35, 20.

[92]*ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 217.

ყოველი კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს, რომ მხოლოდ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმის (სსკ-ის 349-ე მუხლის, გსკ-ის §328) საფუძველზე მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა. მოთხოვნის საფუძველი განისაზღვრება იმ კონკრეტულ ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც მესამე პირის სასარგებლოდ დაიდო, მაგალითად, ნასყიდობის, ნარდობის, მომსახურების ხელშეკრულება და სხვა.[93] მაშასადამე, მოთხოვნის საფუძველი უნდა შემოწმდეს სსკ-ის 349-ე მუხლით[94] განმტკიცებული სამართლებრივი ნორმის შინაარსთან და ვალდებულებითსამართლებრივი ან სანივთო ხელშეკრულების იმ ნორმის შინაარსთან ერთად, რომლითაც კონკრეტული ხელშეკრულებაა მოწესრიგებული.

3. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაცია

განასხვავებენ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ორ სახეს: ერთ შემთხვევაში მოვალე ვალდებულია შესრულება მესამე პირისათვის განახორციელოს, მაგრამ მესამე პირი არ არის უფლებამოსილი თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. აქ მესამე პირისათვის წარმოიშობა მხოლოდ შესრულების „მიღების უფლებამოსილება“[95], ისე რომ მის მიმართ განხორციელებული შესრულება ნიშნავს ვალდებულების შესრულებას.[96] მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება კი რჩება ხელშეკრულების მხარეს.[97] ამისაგან განსხვავებულია მეორე შემთხვევა, როდესაც

---

[93] იხ., *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 4., überarb. Aufl., Stuttgart, 2017, Rn. 1152, 355; იხ. ასევე, *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 2, 271.

[94] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმა (სსკ-ის მ. 349-351, გსკ-ის §328 ff.) ანალოგიით გამოიყენება, როდესაც მესამე პირს უფლება წარმოეშობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. იხ. *Hammen H.,* Zur Begründung von (organschaftlichen) Rechten Dritter im Gesellschaftsvertrag einer GmbH, WM 1994, 772.

[95] “Empfangszuständigkeit“.

[96] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 129; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 813; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; იხ. ასევე, *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1199, 504; იხ. ასევე, *Vogt A.,* Verträge zu Rechten Dritter, insbesondere auf den Todesfall, mit einem englischen Versprechensempfänger, Diss., Berlin, 1999, 27.

[97] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 813; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 2.

მოვალე (შემპირებელი) ასევე ვალდებულია, ნაკისრი ვალდებულება არა ხელშეკრულების მხარის, არამედ მესამე პირის მიმართ განახორციელოს, მაგრამ ისე, რომ მესამე პირს არა მხოლოდ შესრულების მიღება შეეძლოს,[98] არამედ ,,მესამე პირი უშუალოდ იძენდეს შესრულების მოთხოვნის უფლებას".[99]

ამ შინაარსობრივ დიფერენცირებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ სწორედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიმართ მესამე პირის უფლებრივი დამოკიდებულების მიხედვით განისაზღვრება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებების ორ სახედ დაყოფა: ხელშეკრულებები მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე და ხელშეკრულებები მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნით.[100]

მაგალითად, ,,ა"-ს სურს თავის მეგობარ ,,გ"-ს დაბადების დღეზე საჩუქრად გაუგზავნოს მობილური ტელეფონი. ,,ა" იხდის ნასყიდობის საფასურს და მაღაზიას (,,ბ") უთანხმდება, რომ ტელეფონი პირდაპირ ,,გ"-ს მიაწოდონ. მხოლოდ ის გარემოება, რომ ,,ბ"-მ შესრულება უნდა განახორციელოს ,,გ"-ს მიმართ, არ წარმოშობს ამ უკანასკნელის მოთხოვნის უფლებას. რადგან ,,ა"-ს მიზანია, თავის მეგობარს დაბადების დღეზე საჩუქარი გაუგზავნოს და არა ის, რომ მესამე პირმა თავად შეიძინოს მაღაზიისაგან მობილური ტელეფონის მოთხოვნის უფლება, ამ დროს სახეზეა თუმცა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, მაგრამ მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. აქ მესამე პირი მხოლოდ შესრულების მიმღებია. ამიტომ მესამე პირის მიმართ შესრულების განხორციელების მოთხოვნის უფლება სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის და სსკ-ის 349-ე მუხლის საფუძველზე ექნება მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს (,,ა"-ს).

სხვა შემთხვევაა, როდესაც ხელშემკვრელ მხარეთა განზრახვა იმისკენაა მიმართული, რომ მოსარგებლეს მოვალისაგან შეთანხმებული შესრულების მოთხოვნა თვითონ შეეძლოს,[101] ასეთ დროს მესამე პირი არა მხოლოდ შესრულების

---

[98] *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1199, 504.

[99](“…Dass der Dritte unmittelbar das Recht erwirbt, die Leistung zu fordern“) იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 129; იხ. ასევე, *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 246; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 1, 466.

[100] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 214; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 9 ოქტომბრის №3გ-ად-40-კ-03 გადაწყვეტილება.

[101] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 218.

მიმღებია, არამედ ასევე თვითონაა მოთხოვნის უფლების მქონე.[102] მაგალითად, ,,ა"-მ სამედიცინო დაწესებულება ,,ბ"-ში წინასწარ გადაიხადა ვაქცინის ღირებულებისა და მომსახურების საფასური და ,,ბ"-ს წარმომადგენელს შეუთანხმდა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში სასურველ დღეს მივიდოდა და მის მიერ შეძენილი ვაქცინით აცრას ჩაიტარებდა თავისი და ,,გ". დასახელებულ შემთხვევაში ,,გ" იძენს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას,[103] ,,ა"-ს მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებაში მოითხოვოს ვაქცინაცია - ვალდებულების შესრულება.

ხელშეკრულება, სადაც მესამე პირი ,,უშუალოდ" იძენს შესრულების მოთხოვნის უფლებას, ე.ი. ხელშეკრულება მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნით, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აღინიშნება, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ,,ნამდვილი"[104] ხელშეკრულება,[105] ასევე ,,ხელშეკრულება მესამე პირის უფლებებისათვის",[106] ან ,,უფლების მიმნიჭებელი ხელშეკრულება".[107] ხოლო ხელშეკრულება მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე - როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ,,არანამდვილი"[108] ხელშეკრულება,[109] ასევე ,,მესამე პირისათვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი"[110] (იგულისხმება შესრულების მიღების უფლებამოსილების მინიჭება) ან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული

---

[102] იქვე, 218.

[103]მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირი ვერ სარგებლობს იმ სრული უფლებებით, რომლებიც კრედიტორს, როგორც ხელშეკრულების მხარეს აქვს. ეს საკითხი დეტალურად განხილულია წინამდებარე ნაშრომის მომდევნო ნაწილში.

[104]"Echter Vertrag zu Gunsten Dritter".

[105]იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, სქოლიო 2, 129; BGH 19.11.1971 = NJW 1972, 152; 22.12. 1982 = NJW, 1983, 1543, მითითებულია იქვე; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 1, 2216; *Hirtsiefer W.,* Unterschied zwischen echtem und unechtem Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1935, 2, 11; BGH, Urteil vom 30. 5. 2003 - V ZR 216/02 (OLG München), NJW-RR 2003, 1355 (1357).

[106]"Vertrag zu Rechten Dritter", ამისათვის იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, სქოლიო 2, 129; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 4, 9,10; *Hadding W.,* Schuldverhältnis und Synallagma beim Vertrag zu Rechten Dritter, FS für Joachim Gernhuber, Tübingen, 1993, 153 ff.

[107]"Berechtigender Vertrag zugunsten Dritter", იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 129; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 217, 218; *Westermann P.,* Vertragliche Dritthaftung im neuen Schuldrecht, FS für Heinrich Honsell, Zürich, 2002, 138; BGH, Urteil vom 30. 5. 2003 - V ZR 216/02 (OLG München), NJW-RR 2003, 1355 (1357).

[108] "Unechter Vertrag zu Gunsten Dritter".

[109]იხ., *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 856, 387; *Hirtsiefer W.,* Unterschied zwischen echtem und unechtem Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1935, 2, 23.

[110]"Ermächtigender Vertrag zu Gunsten Dritter", იხ. *Vogt A.,* Verträge zu Rechten Dritter, insbesondere auf den Todesfall, mit einem englischen Versprechensempfänger, Diss., Berlin, 1999, 27; *Lorenz W.,* Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JUS, 8. Jahrg., München, 1968, Heft 10, 443.

,,მარტივი“[111] ხელშეკრულება.[112] მათ ,,ნამდვილ“ (სრულ“) და ,,არანამდვილ“ (,,არასრულ“) ხელშეკრულებებად მოიხსენიებენ ასევე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.[113]

ვინაიდან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაცია ,,ნამდვილ“ და ,,არანამდვილ“ ხელშეკრულებად, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინია, განსაკუთრებით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ,,არანამდვილ“ ხელშეკრულებასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ მას არაფერი აქვს საერთო იურიდიული ძალის არმქონე გარიგებების[114] ცნებასთან. ვინაიდან ხელშეკრულება სამართლებრივი თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში ნამდვილია.[115] უბრალოდ, პირველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, მესამე პირს აქვს მოვალისაგან ვალდებულების შესრულების დამოუკიდებლად მოთხოვნის უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში მას ასეთი უფლება არ აქვს. ვინაიდან ტერმინი ,,არანამდვილი“ ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონე გარიგებებთან ასოციაციას იწვევს, ტერმინოლოგიური სიზუსტის თვალსაზრისისათვის, მიზანშეწონილია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სახეების გამიჯვნისათვის გამოყენებული იქნეს არა ტერმინი ,,ნამდვილი“ და ,,არანამდვილი“, არამედ ხელშეკრულება მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნით და მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ვინაიდან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებების კლასიფიკაციის არსს ყველაზე უკეთ აღწერს ეს დასახელებები.

აქვე ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმაზე, რომ ხელშეკრულება, რომელიც მესამე პირს მხოლოდ სარგებლის მიღების უფლებას ანიჭებს არ

---

[111]“Einfacher Vertrag zu Gunsten Dritter“, იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 6, 10.

[112]იხ. *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 5-6, 471; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 813; *Wolf Ch., ,* Drittleistung und Leistungsmittlung, Diss., Berlin, 1995, 35.

[113]*ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 85; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 8, 9, 273.

[114]გარიგებების ცნებების შესახებ იხ. *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 385 და მომდევნო.

[115]აღნიშნული მითითება ემსახურება მხოლოდ ტერმინოლოგიურ გამიჯვნას. თორემ, ცხადია, გარიგების ნამდვილობის/ბათილობის საკითხი ამ შემთხვევაშიც ისევეა შესაძლებელი დადგეს, როგორც სხვა გარიგებების შემთხვევაში.

განიხილება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად ,,ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების“,[116] ასევე ,,საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების შესახებ უნიდროას პრინციპების“[117] (შემდგომში - უნიდროას პრინციპები) მიზნებისათვის, რადგან აღნიშნული პრინციპებით მოწესრიგებულია მხოლოდ ისეთი ხელშეკრულების სახე, სადაც მესამე პირს მხარეების მიერ შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს მინიჭებული.[118] მხოლოდ ,,რეკომენდაციების საერთო ჩარჩო პროექტი“[119] ადგენს წესებს მესამე პირისათვის სარგებლის მინიჭების შესახებ.[120]

ხელშეკრულება, რომელიც მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლებას არ ანიჭებს და მხოლოდ მის წინაშე შესრულებას ითვალისწინებს (ე.წ. ,,ხელშეკრულება მესამე პირის წინაშე შესრულების თაობაზე“) რუსულ იურიდიულ ლიტერატურაშიც იმიჯნება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისგან.[121] ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული ქართულ ერთ-ერთ იურიდიულ ლიტერატურაშიც, სადაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ ხელშეკრულებადაა მიჩნეული ისეთი შემთხვევა, როდესაც შესრულება მესამე პირს უნდა გადაეცეს.[122] მაგრამ აღნიშნული არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან ეს შემთხვევა არის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ისეთი სახე, სადაც მესამე პირს შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. აღნიშნული შემთხვევა ცნობილია, როგორც ქართული, ასევე გერმანული, სხვა ქვეყნების დოქტინისა და სასამართლო

---

[116]EN:“The Principles of European Contract Law (PECL)“, DE: “Grundregeln des Europäischen Vertragsrechts“.

[117]EN:“The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts“ (PICC), DE: “Die UNIDROIT-Grundregeln für Internationale Handelsverträge“.

[118]*Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 880.

[119]“Draft Common Frame of Reference (DCFR)“, დასახელებული დოკუმენტი ქართულად შესაძლოა ასე ითარგმნოს. მისი ზუსტი შესატყვისის მოძებნის სირთულესთან დაკავშირებით იხ. *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014, სქოლიო 46, 22.

[120]*Zimmermann R. (Red.), Jansen N. (Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 881.

[121]იხ. *Абовой Т.Е., Богуславского М.М., Кабалкина А. Ю., Листицина-Светланова А.Г.,* Постатейный комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, Москва, 2018, 369; *Садиков О.Н.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Части первой, Москва, 2006, 969; *Егорова Н.Д., Сергеева А.П.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Часть первая, Издание третье, Москва, 2006, 817.

[122]იხ. *ახვლედიანი ზ.,* ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999, 32.

პრაქტიკისათვის, მათ შორის, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსისათვის[123] (ვალდებულებითი სამართლის) 112-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაციისა და თითოეული მათგანიდან წარმოშობილი მონაწილეთა უფლება-მოვალეობების დიფერენცირების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომში მითითებული იქნება, თუ რომელ მათგანზეა საუბარი, როდესაც საქმე ეხება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთ კონკრეტულ სახეს.

მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულება დამოუკიდებელი მოთხოვნითაა დადებული თუ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, მესამე პირი უფლებამოსილია თუ არა მოვალისაგან ვალდებულების შესრულება მოითხოვოს. იმავდროულად იმის განსასაზღვრად, აქვს თუ არა მესამე პირს სამართლებრივი შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე შესრულების მოთხოვნისა თუ სხვა უფლებების განხორციელების გზით.

4. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე მისი ნების გამოვლენის კვლევის მიზნებისათვის კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონეა, თავდაპირველად განხორციელდეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების საფუძვლიანი ანალიზი. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ სსკ-ით გათვალისწინებული ამ ხელშეკრულების ცნება დაზუსტებას და სრულყოფას საჭიროებს.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად განისაზღვრება შეთანხმება, სადაც მოვალე ვალდებულია ნაკისრი ვალდებულება მესამე პირისათვის შეასრულოს.[124] მაგრამ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების ელემენტები მხოლოდ ამით არ ამოიწურება, რადგან აღნიშნული მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების უზოგადესი დეფინიციაა. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების განსაზღვრა მჭიდროდაა

---

[123] იხ. *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 194, 89.

[124] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 129.

დაკავშირებული თვით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სახეებთან.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად: ერთი, როდესაც მესამე პირი მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზეა უფლებამოსილი და მეორე, როდესაც მესამე პირმა გარდა იმისა, რომ შესრულება უნდა მიიღოს, ამ ხელშეკრულებიდან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებაც წარმოეშობა. სწორედ მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობაა განმსაზღვრელი მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაციისთვის, ხოლო ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ამ ხელშეკრულების ცნების განმსაზღვრელია.

მართალია, წინამდებარე ნაშრომში დასაბუთებული იქნება კრედიტორის, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილის, ,,შეპირების მიმღებად“ აღნიშვნის მიზანშეწონილობა, მაგრამ ამ კონკრეტულ ქვეთავში, ცალკეულ შემთხვევაში, მის კრედიტორად აღნიშვნას განაპირობებს ის, რომ კვლევის მიზნებისათვის მსჯელობა ეყრდნობა სსკ-ის 349-ე მუხლში მოცემულ ფორმულირებას.

მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 349-ე მუხლი, რომლის მიზანი მუხლის სათაურიდან გამომდინარე, ამ ხელშეკრულების ცნების განსაზღვრაა, მაგრამ მისი ფორმულირება სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს დასახულ მიზანს. სსკ-ის 349-ე მუხლის შესაბამისად, **მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.** ამ ნორმის საფუძველზე, პირველ რიგში, ჩნდება შეკითხვა, თუ რას ნიშნავს თვით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, ხოლო შემდგომ - კრედიტორისა და მესამე პირის მოთხოვნები ალტერნატიულია და მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების სხვადასხვა შემთხვევას ეხება საქმე, თუ ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე

უფლებამოსილად ორივე პირს (კრედიტორს და მესამე პირს) ,,თანაბრად“[125] მოიაზრებს კანონმდებელი?

მუხლის ხარვეზების წარმოსაჩენად თავდაპირველად განხილული უნდა იქნეს მისი შინაარსიდან გამომდინარე შემდეგი შემთხვევები: როდესაც ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს როგორც კრედიტორს, ასევე მესამე პირს; როდესაც ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს კრედიტორს; როდესაც ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს მესამე პირს.

სსკ-ის 349-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, **თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირები არიან** როგორც კრედიტორი, ასევე მესამე პირი. ვინაიდან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაციიდან გამომდინარე, იმ ხელშეკრულებაში, სადაც მას დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ აქვს ვერ იქნება შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი, უნდა ითქვას, რომ ასეთ დროს საქმე ეხება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ისეთ ხელშეკრულებას, სადაც მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გააჩნია. ნორმაში მითითებული კავშირი,,**...როგორც...“, ,,ასევე...“,** მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორსაც აქვს და მესამე პირსაც. ასეთ დროს სსკ-ის 349-ე მუხლის შინაარსი ობიექტურად წარმოშობს იმგვარი განმარტების საფრთხეს, რომ ზოგადად მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება თითქოს კრედიტორს თავის სასარგებლოდაც ეკუთვნის, რადგან აღნიშნული ნორმა არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, კრედიტორს თავის სასარგებლოდ აქვს მოვალისაგან იმ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელიც ხელშეკრულებით მესამე პირისთვისაა გათვალისწინებული, თუ მას იმისი უფლება აქვს, რომ მოვალეს მესამე პირის სასარგებლოდ მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ამ ნორმის მოცემული შინაარსის ჩამოყალიბებისას - **ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა** - შესაძლებელია

[125] *იხ. ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 221.

კანონმდებელმა იგულისხმა მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების ორი შემთხვევა, კერძოდ, იქ სადაც უთითებს, რომ **ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს კრედიტორმა** - დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, ხოლო იქ, სადაც **ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს მესამე პირმა** - ამ უკანასკნელის დამოუკიდებელი მოთხოვნით მისსავე სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება. მართალია, გამოყენებული კავშირი **,,...როგორც...", ,,ასევე...",** ნორმის ამ ნაწილის ამგვარი განმარტების შესაძლებლობის საფუძველს ამცირებს, ვინაიდან მისგან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორსაც აქვს და მესამე პირსაც. მესამე პირი კი იმ ხელშეკრულებაში, სადაც მას დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ გააჩნია, კრედიტორთან ერთად ასევე ვერ იქნება შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი, მაგრამ იმავე ნორმის მიხედვით, როგორც კრედიტორს, ასევე მესამე პირს, ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება მაშინ აქვთ, **თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს,** ხელშეკრულებით კი შესაძლოა სწორედ ის იყოს განსაზღვრული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან გამომდინარეობდეს, რომ ხელშეკრულების შესრულება მესამე პირისათვის უნდა მოითხოვოს არა მესამე პირმა, არამედ კრედიტორმა, ან პირიქით გამომდინარეობდეს, რომ ვალდებულების შესრულება უნდა მოითხოვოს თვით მესამე პირმა.

როდესაც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს მესამე პირს, აღნიშნული ნორმის ფორმულირება ეჭვქვეშ აყენებს კრედიტორის მიერ მესამე პირისათვის ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლების რეალიზების შესაძლებლობას, რადგან როგორც კრედიტორის, ასევე მესამე პირის მიერ ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის განხორციელებისთვის ნორმით განსაზღვრული ერთ-ერთი ალტერნატიული პირობა ისაა, რომ ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ უნდა გამომდინარეობდეს, ამ შემთხვევაში კი ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს სწორედ სხვა რამ - მესამე პირის მიერ შესრულების მოთხოვნის უფლება. კრედიტორის (შეპირების მიმღების) იმ უფლების უზრუნველყოფა - მოითხოვოს მოვალისაგან მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულება - იმიტომ არის

მნიშვნელოვანი, რომ კრედიტორს (შეპირების მიმღებს) მაშინაც კი, როდესაც მესამე პირს ანიჭებს ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლებას, როგორც წესი, აქვს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების ღირსი ინტერესი. ამიტომ კრედიტორს (შეპირების მიმღებს), მით უფრო, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში არ უნდა წაერთვას უფლება, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების მესამე პირის მიმართ შესრულება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თვით მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამიტომ, როდესაც მესამე პირს ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება გააჩნია, იმავდროულად აქვს თუ არა ასევე კრედიტორს (შეპირების მიმღებს) მოვალისაგან მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების მოთხოვნის უფლება, ეს საკითხი, ისევე როგორც ამას გსკ-ის 335-ე პარაგრაფი[126] ითვალისწინებს, მხარეთა ნების საფუძველზე უნდა დადგინეს და არა ვალდებულების არსიდან გამომდინარე.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების მიზნებისათვის დაკონკრეტებული უნდა იქნეს, რომ თუ კრედიტორს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შესრულების განხორციელების მოთხოვნის უფლება აქვს, ეს გულისხმობს მესამე პირის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების მოთხოვნას, ვინაიდან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიზანი სწორედ ისაა, რომ ის მესამე პირს ან ხელშეკრულების შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, ან თუ მას დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ გააჩნია და მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზეა უფლებამოსილი, მაშინ მართალია, კრედიტორს აქვს უფლება მოითხოვოს მოვალისაგან შესრულების განხორციელება, მაგრამ არა საკუთარი თავის, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ. ამიტომ ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, ნორმა მიზანშეწონილია უთითებდეს, რომ კრედიტორს შესრულების მოთხოვნის უფლება მესამე პირის სასარგებლოდ აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს კრედიტორის მიერ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის საკითხთან მიმართებით

---

[126] 335. შეპირების მიმღების მოთხოვნის უფლება
თუ ხელშეკრულების მხარეთა ნებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, შეპირების
მიმღებს შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელს თავად ეკუთვნის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), (რედ. *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ.,*), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019, §335, 87.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვით, ,,მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნა კრედიტორს შეუძლია მაშინაც, როცა მესამე პირს არ აქვს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება და მაშინაც, როცა მესამე პირს აქვს დამოუკიდებელი მოთხოვნა. ამ უკანასკნელის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მესამე პირი უარს ამბობს თავისი მოთხოვნის გამოყენებაზე (ამას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლი) ანდა მესამე პირსა და კრედიტორს უფლება აქვთ თანაბრად მოითხოვონ ვალდებულების შესრულება".[127] მითითება იმის შესახებ, რომ კრედიტორის მიერ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის ,,მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მესამე პირი უარს ამბობს თავისი მოთხოვნის გამოყენებაზე", ქმნის იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ აქ კრედიტორის მიერ მესამე პირისათვის შესრულების მოთხოვნაზე კი არა, არამედ საკუთარი თავის სასარგებლოდ შესრულების მოთხოვნაზეა საუბარი, რადგან, ცხადია, თუ მესამე პირი უარს ამბობს უფლების შეძენაზე, მის მიმართ შესრულება ვერ განხორციელდება. ასევე შესაძლოა, დასახელებული კომენტარის ავტორს აქ ის შემთხვევა აქვს მხედველობაში, როდესაც კრედიტორს მესამე პირის მიერ უფლების შეძენაზე უარის თქმის შემთხვევაში, მესამე პირის შეცვლის უფლება აქვს და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შესრულებაზეა საუბარი, ან თუ მესამე პირის მიერ უფლების შეძენაზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ შესრულება კრედიტორის წინაშე უნდა განხორციელდეს.

ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს მესამე პირს, თუ ეს ხელშეკრულება მას ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ასეთ შემთხვევაშიც შეპირების მიმღებს (კრედიტორს) შეუძლია (თუ მხარეთა ნებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს) მოვალისაგან ვალდებულების შესრულება მოითხოვოს, მაგრამ არა საკუთარი თავის, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ. მიზეზი იმისა, თუ რატომაა შესაძლებელი შეპირების მიმღები ითხოვდეს შესრულების განხორციელებას მესამე პირისათვის

[127] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 221.

შესაძლოა მრავალგვარი იყოს. ძირითად შემთხვევაში შეპირების მიმღებს დიდი ინტერესი აქვს,[128] რომ შესრულება მესამე პირმა მიიღოს, მასზე ზრუნვის ან მის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან გათავისუფლების მიზნით. თუ თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირი მხოლოდ შესრულების მიღების უფლებამოსილებით სარგებლობს, ამ შემთხვევაში მხოლოდ შეპირების მიმღებს აქვს მოვალისაგან მესამე პირისათვის შესრულების განხორციელების მოთხოვნის უფლება. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში შეპირების მიმღები მესამე პირისათვის ითხოვს ვალდებულების შესრულებას.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების განსაზღვრის საკითხზე მსჯელობისას, კრედიტორის მიერ მესამე პირის (და არა საკუთარი თავის) სასარგებლოდ შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ხაზგასმა შემდეგ გარემოებათა გამოა აუცილებელი: მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მესამე პირისათვის შესრულების განხორციელება, იქნება ეს მოთხოვნილი მესამე პირის თუ კრედიტორის (შეპირების მიმღების) მიერ. ვინაიდან, თუ ხელშეკრულების მიზანი არ არის მესამე პირის მიმართ შესრულება, მაშინ ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ არც ყოფილა დადებული. რაც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მხარეები უფლებამოსილნი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე; მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების რეალიზებისათვის საჭიროა თუ არა რაიმე წინაპირობების არსებობა; მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების შეძენაზე უარის თქმის ან მესამე პირის გარდაცვალების /ლიკვიდაციის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია თუ არა თავის სასარგებლოდ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ყოველივე აღნიშნული არის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების უკვე განმარტების საკითხები და არა ამ ხელშეკრულების ცნების ელემენტები. ამიტომ ის საკითხები, რომლებიც შესაძლებელია ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში წარმოიშვას, ცალკე ნორმით უნდა იყოს მოწესრიგებული და არა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნებაში გაერთიანებული.

---

[128] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 222.

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმის შემადგენელი ნაწილი, - **„თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს“** - მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას წარმოშობს, ვინაიდან ამ ნორმის ფორმულირება არ გამორიცხავს იმგვარი განმარტების საფუძველს, რომ გარდა ზემოთ დასახელებული შემთხვევებისა, აქ კრედიტორის მიერ მესამე პირისათვის დადებული ხელშეკრულების საკუთარი თავის სასარგებლოდ შესრულების მოთხოვნაც მოიაზრებოდეს. ვინაიდან ხელშეკრულებით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს და არც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობდეს საწინააღმდეგო, რომ მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების შეძენაზე უარის თქმის შემთხვევაში, შესრულება კრედიტორის წინაშე უნდა განხორციელდეს. აღნიშნულიდან გამომდინარეც, ცხადია, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნებაში კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე მითითება წარმოშობს ორაზროვნებას, თუ ვის სასარგებლოდ აქვს კრედიტორს ასეთი უფლება, ყოველივე აღნიშნული კი მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნებას ბუნდოვანს ხდის.

როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, სსკ-ის 349-ე მუხლის ფარგლებში კანონმდებელს მხედველობაში აქვს არა მხოლოდ მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნით და ასეთი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ისეთი შემთხვევებიც, რა დროსაც კრედიტორს შესაძლოა თავის სასარგებლოდ ჰქონდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების ასეთი განზოგადების ხარჯზე კი, სსკ-ის 349-ე მუხლის ნორმატული შინაარსი რეალურად ვერც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სახეებს წარმოაჩენს და ვერც მათი ცნების განსაზღვრას უზრუნველყოფს, რადგან მასში დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მთავარი არსი - მესამე პირმა „უშუალოდ“[129] შეიძინოს

[129] მესამე პირის მიერ უფლების „უშუალოდ“ შეძენის არსი განხილული იქნება წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავში.

ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება - რაც ხელშეკრულების ამ სახეს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან და ასევე სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან განასხვავებს - წარმოჩენილი არ არის.

სსკ-ის 349-ე მუხლის შინაარსი მისი არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას რომ იწვევს აღნიშნულს ცხადყოფს ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობაც, სადაც მითითებულია შემდეგი: ზოგადად მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დეფინიციიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორთან ერთად აქვს მესამე პირსაც, ვის სასარგებლოდაც დადებულია გარიგება ანუ მესამე პირი ხელშეკრულებაში კრედიტორის ადგილს იკავებს და აქვს მოთხოვნის უფლება.[130] თუ რა შემთხვევაში აქვთ მესამე პირს და კრედიტორს ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ამის თაობაზე ზემოთ უკვე აღინიშნა, ამიტომ აქ ყურადღება აღარ იქნება გამახვილებული. რაც შეეხება მესამე პირის მონაწილეობის სტატუსს ხელშეკრულებაში, უნდა განიმარტოს, რომ მესამე პირი ხელშეკრულებაში კრედიტორის ადგილს კი არ იკავებს, არამედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე პირდაპირ, უშუალოდ ,,მესამე პირს"[131] წარმოეშობა ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება (დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში). მესამე პირი არ ხდება ხელშეკრულების მხარე.[132] მესამე პირმა რომ ხელშეკრულებაში კრედიტორის ადგილი დაიკავოს, მაშინ ის თვითონ გახდება ხელშეკრულების მხარე, რაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსს ეწინააღმდეგება და აღნიშნულით ეს ხელშეკრულება მოთხოვნის დათმობის შინაარსს შეიძენს.

---

[130] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 9 ოქტომბრის № 3გ/ად-185-კ-03 განჩინება.

[131]("in der Person des Dritten"), იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 17, 13; ("In der Person des Dritten"), *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 2217; (..."das Recht unmittelbar in seiner Person entsteht"...), *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 9.

[132]*Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 194, 89; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, Rn. 1139, 405; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 247; *Bischof F., Luise R.,* Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, ZJS, 5/2018, 422, <www.zjs-online.com>, [16.01.2020]; *Brieskorn K.,* Vertragshaftung und responsabilité contractuelle, Diss., Tübingen, 2010, 105.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ბუნებას უფრო ნათლად წარმოაჩენს გსკ-ის 328-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი, რომლის მიხედვით, *ხელშეკრულებით შესაძლებელია შეთანხმებულ იქნეს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ ისე, რომ მესამე პირი უშუალოდ იძენს შესრულების მოთხოვნის უფლებას.*[133] ამიტომ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსისეული მოწესრიგება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გსკ-ის 328-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი მხოლოდ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნებას განსაზღვრავს.[134]

ვინაიდან ქართულ სამართალში სწორედ სსკ-ის 349-ე მუხლის მიზანია განსაზღვროს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნება, საჭიროა აღნიშნულის სრულყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სსკ-ის 349-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

1. **მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეპირების მიმღები შემპირებელთან (მოვალე) შეთანხმებით, ხელშეკრულების საგნის შესრულების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს მესამე პირს, აღნიშნული ასევე შესაძლებელია გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან, ან ხელშეკრულების მიზნიდან ისე, რომ მესამე პირი უშუალოდ იძენს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას (დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება).**
2. **მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეპირების მიმღები შემპირებელთან (მოვალე) შეთანხმებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს მესამე პირს, ასევე**

---

[133] *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), (რედ. *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ.,),* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019, §328 (1), 86.
BGB § 328 Vertrag zugunsten Dritter
(1) Durch Vertrag kann eine Leistung an einen Dritten mit der Wirkung bedungen werden, dass der Dritte unmittelbar das Recht erwirbt, die Leistung zu fordern.
<https://www.gesetze-im-internet.de/bgb/__328.html>, [25.01.2020].

[134] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 3, 59; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 1, 2284; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 4, 9, 10.

შესაძლებელია აღნიშნული გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან, ან ხელშეკრულების მიზნიდან ისე, რომ მესამე პირს ხელშეკრულების საგნის შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. მესამე პირისათვის შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს შეპირების მიმღებს (დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება).

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს შეპირების მიმღების უფლება მესამე პირისათვის შესრულების მოთხოვნის უფლების მინიჭების შემთხვევაშიც კი ჰქონდეს შესაძლებლობა მოვალისაგან მესამე პირისათვის შესრულება მოითხოვოს, მიზანშეწონილია **საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 351[1] მუხლი:**

მუხლი 351[1]. შეპირების მიმღების მოთხოვნის უფლება

თუ ხელშეკრულების მხარეთა ნებიდან ან თვით ხელშეკრულების თავისებურებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, შეპირების მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელს თავად ეკუთვნის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

5. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ფორმა და საგანი

შეპირების მიმღებსა და შემპირებელს (მოვალეს) შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება ხელშეკრულების თავისუფლების[135] პრინციპი.[136] მაგრამ იმაზე მითითებით, რომ ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში ამ ხელშეკრულების მიზანი, რომელიც მესამე პირისათვის სარგებლის მინიჭებაში უნდა გამოიხატებოდეს, არ უნდა გასცდეს კანონით დადგენილ

---

[135] ,,გარიგების ფორმის თავისუფლების, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების გამოხატულების“ შესახებ იხ. *ამირანაშვილი გ.,* გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, დის., თბილისი, 2018, 46 და მომდევნო.

[136] *ლეგაშვილი დ.,* დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, 111.

მოთხოვნას.[137] ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ სწორედ ,,ხელშეკრულების თავისუფლების განხორციელების"[138] შედეგია.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიმართ ასევე მოქმედებს ფორმის თავისუფლების პრინციპი.[139]

ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტების შესაბამისად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგება კანონით გათვალისწინებული სპეციალური ფორმის დაცვას არ საჭიროებს. შესაბამისად, როგორც წესი, იგი იმ ფორმას უნდა აკმაყოფილებდეს, რომელიც კანონითა თუ ხელშეკრულებით ყოველი კონკრეტული ხელშეკრულებისთვისაა დადგენილი.[140] ამიტომ ის საკითხი, მესამე პირის უფლების განხორციელებისათვის აუცილებელია თუ არა სპეციალური ფორმა, ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების მიხედვით უნდა დადგინდეს.[141]

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს განმარტების შესაბამისადაც, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება საჭიროებს თუ არა ფორმის დაცვას, შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მიხედვით განისაზღვრება.[142]

---

[137] *ჯორბენაძე ს.,* სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, დის., თბილისი, 2016, 245.

[138] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 50, ველი 1, 422.

[139] *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 270, 115.

[140] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის №2ბ/5180-14 განჩინება; იხ. ასევე, *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 4, 272; *ჯორბენაძე ს.,* სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, დის., თბილისი, 2016, 245.

[141] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 218; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 4, 272 (,,მაგ., თუ მესამე პირის სასარგებლოდ დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მან მიწის ნაკვეთზე უნდა მოიპოვოს საკუთრება, მაშინ ეს ხელშეკრულება წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს."); იხ. ასევე, *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 86; *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 9, 380.

[142] BGH, Urteil vom 9. 4. 1970 - KZR 7/69 (Düsseldorf), NJW 1970, 2157, (Die Frage, ob ein Vertrag zugunsten Dritter der Form bedarf, richtet sich nach dem Rechtsverhältnis zwischen dem Schuldner und dem Versprechensempfänger.); იხ. ასევე, *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 13, 2288.

მაშასადამე, ზოგადი წესის შესაბამისად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არასოდესაა ფორმასავალდებულო[143] მხოლოდ იმის გამო, რომ მესამე პირისათვის შესრულებაა გათვალისწინებული.[144] ყოველი ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ მაშინაა ფორმასავალდებულო, თუ ის მესამე პირის უფლებამოსილების გარეშეც მოითხოვდა ფორმის დაცვას,[145] ესე იგი მაშინ, თუ თვით ის ხელშეკრულება, რომელიც მესამე პირის სასარგებლოდ იდება ფორმასავალდებულოა. მესამე პირისათვის შესრულების მოთხოვნის უფლების ან შესრულების მიღების უფლებამოსილების მინიჭება გარიგების ფორმის სავალდებულოობას არ იწვევს.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ფორმის მიმართ მოქმედი დასახელებული ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც მესამე პირის სასარგებლოდ ხდება სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადება. კერძოდ, სსკ-ის 844-ე მუხლის თანახმად, თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სასარგებლოდ, მაშინ საჭიროა ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა. მესამე პირის წერილობითი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება ბათილია.[146] მესამე პირის თანხმობა იქნება ასევე საჭირო მის სასარგებლოდ დადებულ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებაში, სსკ-ის 854-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ამიტომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, მესამე სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის მესამე პირის თანხმობა არ არის აუცილებელი,[147] პირდაპირ არ უნდა იქნეს გაზიარებული.

---

[143]ფორმასავალდებულო და ფორმათავისუფალი გარიგებების შესახებ იხ. *ამირანაშვილი გ.,* გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, დის., თბილისი, 2018, 38 და მომდევნო.

[144]*Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 270, 115.

[145]*Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 III 2-3, 481; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 13, 2288; *Hirtsiefer W.,* Unterschied zwischen echtem und unechtem Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1935, 10.

[146]*ცისკაძე მ.,* ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 58-59.

[147]*ცერცვაძე ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 216.

ზოგადი წესის შესაბამისად, მესამე პირის მონაწილეობა მის სასარგებლოდ არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, გავლენას არ ახდენს გარიგების ფორმაზე, მაგრამ მესამე პირის ნების გამოვლენა, კერძოდ, მისი თანხმობა გავლენას ახდენს მის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლის/უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება ყველაზე ხშირად სადაზღვევო სფეროში ხორციელდება,[148] პრაქტიკული თვალსაზრისით, მესამე პირის ნების გამოვლენა მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ხშირ შემთხვევაში გახდება საჭირო. თავის მხრივ, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხის დადგენა ზოგადი წესების მიხედვით ხორციელდება.

აქვე ყურადღებაა გასამახვილებელი იმ საკითხზე, რომ სსკ-ის 843[1]-ე მუხლი ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების სხვა პირის სასარგებლოდ დადების შესაძლებლობას, მაგრამ ჯანმრთელობის დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებში (843[1]-843[3]-ე) სხვა პირის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით (სსკ-ის 844-ე მუხლის მეორე ნაწილი), არ არის გათვალისწინებული მესამე პირის წერილობითი თანხმობის საჭიროება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონმდებელმა ჯანმრთელობის დაზღვევაზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია სიცოცხლის დაზღვევის დროს გამოსაყენებელი ნორმების გავრცელება. აღნიშნულს ცხადყოფს როგორც სსკ-ის 843[2]-ე მუხლი, ისე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე არსებული განმარტებითი ბარათი,[149] რომლის შესაბამისად, სიცოცხლის დაზღვევისაგან განსხვავებით, ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველს აქვს სუბროგაციის უფლების გამოყენების შესაძლებლობაც. მაგრამ **მიზანშეწონილია მესამე პირის სასარგებლოდ ჯანმრთელობის დაზღვევის**

---

[148] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 217; *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 868.

[149] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს 2017 წლის 28 ივნისის კანონი №1115 - ვებგვერდი, 10.07.2017 - განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/150592?>.

ხელშეკრულების დადებისათვის მოთხოვნილი იქნეს მესამე პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა. ამ შემთხვევაში ყურადღებაა ასევე გასამახვილებელი მესამე პირის პერსონალური მონაცემების დაცვაზე ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნიდან გამომდინარე. ვინაიდან მესამე პირის სასარგებლოდ ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას განხორციელდება მესამე პირის პერსონალური მონაცემების დამუშავება, საჭიროა მესამე პირის, როგორც მონაცემთა სუბიექტის თანხმობა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" პუნქტის საფუძველზე, ხოლო თუ საქმე შეეხება მესამე პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას, იმავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მათი დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით, ან იმავე მუხლის იმავე პუნქტით დადგენილ გამონაკლისი შემთხვევებში.

გარდა აღნიშნულისა, ზემოთ მითითებულ მსჯელობაში ასევე დასაბუთებული იქნა მესამე პირის სასარგებლოდ სანივთოსამართლებრივი გარიგების დადებისათვის მესამე პირის წერილობითი თანხმობის გათვალისწინების მიზანშეწონილობა.

რაც შეეხება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების საგანს, იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირის სასარგებლოდ შეიძლება დაიდოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, მისი საგანი ხელშეკრულების ტიპის მიხედვით განისაზღვრება.[150] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი დასაშვები შესრულება,[151] რომელიც სსკ-ის 316-ე მუხლის შინაარსში მოიაზრება. შესაბამისად, ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია იყოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაც.[152] მოქმედებისაგან თავის შეკავების მაგალითია დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის შეთანხმება, დამქირავებელმა არ

---

[150] *ლეგაშვილი დ.,* დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, 110.

[151] *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 136; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 1, 466; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 15, 2288; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 21, 678.

[152] *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 197, 90, 91; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 136; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 15, 2288; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 21, 678; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 1, 466; BGH, Urteil vom 29. 11. 1974 - V ZR 73/73 (Frankfurt), NJW 1975, 344 (345).

განახორციელოს სხვა დამქირავებლისათვის ხელისშემშლელი მოქმედება, როგორიცაა ფორტეპიანოზე დაკვრა განსაზღვრული საათების განმავლობაში.[153] სხვა დამქირავებელს შეუძლია ამ ხელშეკრულების საფუძველზე დამქირავებელს (შემპირებელს) მოსთხოვოს მოქმედებისაგან თავის შეკავება.[154]

მესამე პირის სასარგებლოდ შესაძლებელია განსაზღვრული იყოს მთლიანად ვალდებულების ან მხოლოდ მისი ნაწილის შესრულება.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შესაძლებელია პირდაპირ არ იქნეს მითითებული, რომ ამ ხელშეკრულებიდან უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს, ან მას მხოლოდ შესრულების მიღების უფლებამოსილება მიენიჭოს და აღნიშნული საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან დადგინდეს,[155] ამიტომ დასაშვებია, ხელშეკრულების საგანი პირდაპირ არ უთითებდეს მესამე პირისათვის შესრულებაზე. რაც შეეხება უშუალოდ განსახორციელებელი შესრულების სახეს, აღნიშნული დამოკიდებულია იმ კონკრეტული ხელშეკრულების შინაარსზე, რომელიც მესამე პირის სასარგებლოდ უნდა დაიდოს. მაგრამ რომელ სახესაც არ უნდა განეკუთვნებოდეს ხელშეკრულება, მისი საგანი ყოველთვის იქნება მესამე პირისათვის ამა თუ იმ შესრულების განხორციელება.

6. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეები

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში სამართალურთიერთობის სამი სუბიექტი მონაწილეობს: მოვალე, როგორც ,,შემპირებელი",[156] კრედიტორი, როგორც ,,შეპირების მიმღები",[157] გარდა ამისა,

---

[153] დასახელებული მაგალითი იხ. *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 136.

[154] OLG München MDR, 1992, 670, 671, მითითებულია: *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 136.

[155] იხ. BGH, Urteil vom 24. 2. 1954 - VI ZR 315/52 (Düsseldorf), NJW 1954, 874.

[156]"Versprechender=Promittent", *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, Rn. 1, 4; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 12, 13, 14, 11-12*; Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 14, 15, 16; 6; *Sielemann F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Berlin, 1964, 3;*Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 199, 91.

[157]"Versprechensempfänger=Promissar/Stipulant", იქვე.

მონაწილე არის ,,მოსარგებლე“,[158] რომელიც მესამე პირია.[159] აღნიშნულთაგან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მხარეები არიან შემპირებელი და შეპირების მიმღები. მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე.

ქართულ სამართალში ,,შემპირებელი“ და ,,შეპირების მიმღები“ გერმანული სამართლისაგან (გსკ-ის §331-§335) განსხვავებით, არ არის საკანონმდებლო ტერმინი, მაგრამ ცნობილია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.[160] ,,შეპირების მიმღებს“ სსკ კრედიტორად მოიხსენიებს, მაგრამ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში კრედიტორისა და მესამე პირის უფლებამოსილების გამიჯვნისათვის და ამ კუთხით ცნების სიზუსტის თვალსაზრისისათვის მიზანშეწონილია, ,,კრედიტორის“ ნაცვლად გამოყენებული იქნეს ტერმინი ,,შეპირების მიმღები“. ვინაიდან, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ზოგ შემთხვევაში ,,კრედიტორისადმი მინიჭებული უფლებამოსილებების გადანაწილება“[161] ხდება შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის.[162] შეპირების მიმღებს ზოგიერთ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც კრედიტორად მოიხსენიებენ.[163] მაგრამ შეპირების მიმღებთან მიმართებით ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ,,კრედიტორად“ არ უნდა აღინიშნებოდეს, რაც გასაზიარებელია, ვინაიდან ის ყოველთვის არ არის კრედიტორი წმინდა გაგებით,[164] რადგან კრედიტორის ტიპურ უფლებას, - მოითხოვოს შესრულება მოვალისაგან, იმთავითვე სხვა პირს, კერძოდ, მესამე პირს ანიჭებს.[165] აღნიშნული,

---

[158]“Begünstigter, Destinatar“, იქვე.

[159]*Joussen J.,* Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, 358; *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 1, 377; *Hirtsiefer W.,* Unterschied zwischen echtem und unechtem Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1935, 1; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, სქოლიო 6, 272 (,,მოვალის შეპირების მიმღები - კრედიტორი“); *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 85.

[160]იხ., *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, სქოლიო 6, 272, (,,მოვალის შეპირების მიმღები - კრედიტორი“); *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 85.

[161]*კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, §328, ველი 13, 235.

[162]მაგალითად, შეპირების მიმღების გარდაცვალების შეთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში. აღნიშნული საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

[163]იხ. *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 15, 6; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, Rn. 1137 ff., 404.

[164]იხ. *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 15, 6.

[165]*Hirsch Ch.,* Schuldrecht AT, 9. Aufl., Saarbrücken, 2015, Rn. 1088, 477; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 15, 6.

ცხადია, ისეთ შემთხვევას ეხება, როდესაც მესამე პირს ხელშეკრულებაში დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გააჩნია.

რაც შეეხება მოვალეს, ის ყოველთვის უცვლელად რჩება, როგორც შესრულებაზე ვალდებული პირი,[166] ამიტომ მის მოსახსენიებლად მოვალე იქნება გამოყენებული თუ შემპირებელი სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით იდენტური მნიშვნელობის მქონეა, თუმცა ტერმინოლოგიური სიცხადისათვის, მისი, როგორც ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის აღსანიშნავად უმჯობესია, გამოყენებული იქნეს „შემპირებელი".

1. შემპირებელი (მოვალე)

შემპირებელი არის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მხარე და ის შეპირების მიმღებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, შესრულებაზე ვალდებული პირია. ამ შესრულების მოთხოვნის უფლება, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როგორც „შესრულების კრედიტორს", აქვს მესამე პირს, ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შემპირებელი, როგორც კრედიტორის წინაშე, შეპირების მიმღებთანაა ვალდებული (მესამე პირის მიმართ) შესრულებაზე.[167]

შემპირებელი, შეპირებული შესრულების ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.[168] ვინაიდან შემპირებელი ხელშეკრულების მხარეა, ის, ჩვეულებრივ, უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი უნდა იყოს,[169] შესაბამისად, შემპირებელი შეიძლება იყოს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირიც[170] (მხარდაჭერის მიმღები).

ისევე როგორც ზოგადად, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაშიც სოლიდარული ვალდებულება დასაშვებია.[171]

---

[166] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1149, 353.

[167] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 14, 12.

[168] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 232, 59.

[169] იქვე.

[170] თუ მხარდაჭერის მიმღები სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე დადებს მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი დადგინდება ზოგად საფუძველზე.

[171] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 234, 59.

სახელწოდება ,,შემპირებელი“ იქიდან მომდინარეობს, რომ ის ჰპირდება ხელშეკრულების მხარეს განსაზღვრული შესრულების განხორციელებას მესამე პირისათვის.[172]

შემპირებლისთვის მესამე პირი, როგორც ,,შესრულების კრედიტორი“, რომელმაც უნდა მიიღოს შესრულება, არის ადრესატი ყველა იმ შეტყობინებისა, რომელიც შესრულებას შეეხება. ხოლო შეპირების მიმღები, როგორც ხელშეკრულების მხარე არის ადრესატი, ყველა იმ განცხადებისა (ნების გამოვლენის), რომელიც, როგორც ასეთი, თვით ხელშეკრულებას ეხება (განსაკუთრებით, ადრესატი შეცილების თაობაზე ნების გამოვლენის შესახებ) და როგორც ,,სინალაგმატური ვალდებულების განმკარგველი“[173] შეპირების მიმღები არის ასევე ადრესატი ყველა აქტის, რომელიც სინალაგმატური ურთიერთობისათვის[174] მნიშვნელობის მქონეა.[175]

2. შეპირების მიმღები

,,შეპირების მიმღები“ შემპირებელთან ერთად არის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მხარე; შესაბამისად, ისიც, როგორც წესი, უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი ფიზიკური ან იურიდიული პირი[176] უნდა იყოს.[177] ისევე როგორც ზოგადად, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაშიც შესაძლებელია შეპირების მიმღები ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი იყოს.

შეპირების მიმღები შემპირებელთან ერთად განსაზღვრავს მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების შინაარსს.[178] შეპირების მიმღები არის პირი, რომელიც

---

[172] *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, Rn. 1, 4; *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 4, 233; *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230.

[173]“Als Herr des Synallagmas“, *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 IV 5-6/V 1, 502.

[174]სინალაგმატური ხელშეკრულების შესახებ იხ. *მესხიშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 369, ველი 1 და მომდევნო, 422 და მომდევნო.

[175] *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 IV 5-6/V 1, 502.

[176]იურიდიული პირების ქმედუნარიანობისა და უფლებაუნარიანობის შესახებ *იხ. ბურდული ი., ეგნატაშვილი დ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 24, ველი 22 და მომდევნო, მუხლი 25, 191 და მომდევნო.

[177] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 256 ff., 64.

[178] *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 315, 134.

შემპირებლისაგან იღებს შეპირებას შესრულების შესახებ.[179] უფრო კონკრეტულად, მესამე პირის სასარგებლოდ ინიციატივა ეკუთვნის და დათქმას ახორციელებს შეპირების მიმღები. მაგალითად, კვებეკის სამოქალაქო კოდექსში შეპირების მიმღები პირდაპირ ,,დათქმის გამკეთებლადაა"[180] წოდებული. მეტი სიცხადისათვის განმარტებული უნდა იქნეს, რომ შეპირების მიმღები ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიმღები კი არ არის, არამედ შეპირების მიმღებია მხოლოდ ამ შესრულების განხორციელების თაობაზე. ასეთი შესრულების - ხელშეკრულების შედეგის - მიმღები არის მესამე პირი.

შეპირების მიმღების მხარეზეც ჩვეულებრივ შესაძლოა რამდენიმე პირი მონაწილეობდეს, შესაბამისად, ისინი სოლიდარულ ,,კრედიტორებად" განიხილებიან.[181]

შეპირების მიმღებმა შესაძლებელია შემპირებლისაგან მოითხოვოს მესამე პირის მიმართ შესრულების განხორციელება.[182] დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში სწორედ შეპირების მიმღებია მოვალისაგან მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მართალია, შესრულების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის მესამე პირს, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, შეპირების მიმღებსაც უნდა შეეძლოს მოვალისაგან მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების განხორციელების მოთხოვნა, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

---

[179]("Versprechensempfänger ist die Person, der gegenüber dieses Versprechen abgegeben wird."), იხ. *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, Rn. 1, 4; ასევე, *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 15, 6; ("Die Person, die sich beim Vertrag zugunsten Dritter die Dritt-Leistung vom Promittenten versprechen lässt, heisst Stipulant, Versprechensempfänger oder Promissar").

[180]იხ. კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 1446-1450-ე მუხლები, კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი და რედ., *ჭეჭელაშვილი ზ.,* თბილისი, 2017, 297, 298.

[181]*Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 260, 65.

[182]*Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 315, 134.

3. მესამე პირი

მესამე პირი არ არის თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მხარე.[183] მას იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ,,სარგებლის მიმღებს"[184], ,,მოსარგებლეს" უწოდებენ.[185] სარგებლის მიმღებად შესაძლებელია დასახელებული იქნეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე პირი.[186]

მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობა იმის მიხედვით განისაზღვრება, ხელშეკრულების თუ რომელი სახეა მის სასარგებლოდ დადებული. კერძოდ, ხელშეკრულებაში, სადაც მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლება არ აქვს, მესამე პირი მხოლოდ ,,შესრულების მიღებაზეა უფლებამოსილი",[187] ესე იგი, ის არ არის აღჭურვილი კრედიტორის უფლებამოსილებებით. მას ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში ,,სარგებლის მიღების მომლოდინე პირად"[188] მოიხსენიებენ.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირი თვითონაა შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი, ე.ი. ამ შემთხვევაში მესამე პირი აღჭურვილია კრედიტორის უფლებით - მოითხოვოს მოვალისაგან ვალდებულების შესრულება.[189] ზემოთაც აღინიშნა და აქაც უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული, რომ მესამე პირის შესრულების მოთხოვნის უფლება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მესამე

---

[183] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 6, 272; *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 216; *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, Rn.1, 4; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8.

[184] "Begünstigter".

[185] იხ. *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 269, 67; *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, Rn.1, 4; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 6, 272; *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 85.

[186] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg Schweiz, 2000, Rn. 269, 67.

[187] "Empfangszuständigkeit", იხ., *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 6, 10, Rn. 14, 12; *Wolf Ch., ,* Drittleistung und Leistungsmittlung, Diss., Berlin, 1995, 35; *Krauskopf,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg Schweiz, 2000, Rn. 260, 65.

[188] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 215; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 9 ოქტომბრის №3გ-ად-40-კ-03 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 9 ოქტომბრის № 3გ/ად-185-კ-03 განჩინება.

[189] შეად. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 14, 12.

პირი ხელშეკრულებაში კრედიტორის ადგილს იკავებს.[190] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურება სწორედ იმაში ვლინდება, რომ ის, როგორც ახალი კრედიტორი, თავდაპირველი კრედიტორის ადგილს კი არ იკავებს,[191] არამედ პირდაპირ მესამე პირს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთანავე, მესამე პირი ვერ სარგებლობს კრედიტორის ყველა უფლებით. ის საკითხი, თუ კონკრეტულად რა უფლებებით სარგებლობენ მესამე პირი და შეპირების მიმღები განხილული იქნება მომდევნო თავებში.

ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობის გამო ვერ იქნება გაზიარებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში არსებული მოსაზრება, იმის შესახებ, რომ მესამე პირი ხელშეკრულებაში კრედიტორის ადგილს იკავებს.[192]

დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ,,შესრულების კრედიტორს",[193] ასევე ,,პირველადი მოთხოვნის კრედიტორსაც"[194] უწოდებენ. ხოლო შეპირების მიმღებს - ,,ხელშეკრულების კრედიტორს"[195]. მართალია, ,,შესრულების კრედიტორი" სტილისტური თვალსაზრისით არ არის სწორი ტერმინი, ვინაიდან კრედიტორი ისედაც შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს ნიშნავს, მაგრამ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთგან[196] მესამე პირს ასე იმაზე ხაზგასასმელად აღნიშნავენ, რომ გაიმიჯნოს მისი, როგორც ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე უფლების მქონე პირისა და შეპირების მიმღების, როგორც ხელშეკრულების მხარის უფლებამოსილებები.

---

[190]BGH, Urteil vom 8. 2. 2006 - IV ZR 205/04 (OLG Celle), NJW 2006, 1434 (1437); შეად. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 216.

[191] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მოთხოვნის დათმობისაგან გამიჯვნის შესახებ იხ. ქვემოთ.

[192]იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 9 ოქტომბრის № 3გ/ად-185-კ-03 განჩინება; *მესხიშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 365, ველი 22, 396; *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 216.

[193]"Gläubiger der Leistung", *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 341.

[194]"Gläubiger der primeren Forderung", *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 41, 22; იხ. ასევე, *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 517.

[195] "Vertragsgläubiger", *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 14., neu bearb. Aufl., München, 2016, Rn. 1126, 407.

[196]იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 341.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ერთ-ერთ განჩინებაში დაკონკრეტებულია, რომ მესამე პირი შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირია.[197]

მაშასადამე, მესამე პირი ორ სხვა პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი ან იმავდროულად ამ შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე პირი.

მესამე პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.[198] გერმანულ დოქტრინაში არსებული მიდგომის შესაბამისად, მესამე პირის ვინაობა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაძლოა ზუსტად განსაზღვრული არ იყოს. საკმარისია, რომ ის განსაზღვრადი იყოს,[199] პიროვნული ან საგნობრივი

---

[197] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის №ას-274-262-2015 განჩინება. აღნიშნული განჩინების კრიტიკასთან დაკავშირებით იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, სქოლიო 9, 272, 273; (დასახელებულ წყაროში, ამ განჩინებასთნ მიმართებით, კრიტიკული მოსაზრება იმ თვალსაზრისითაა გამოთქმული, რომ როგორც აღნიშნულია, ,,ტერმინოლოგიურად გაუმართავია", ასევე მითითებულია, რომ ,,არასწორია მესამე პირის ხელშეკრულების მხარედ ანუ ,,მეორე პირად" მოხსენიება."
უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილად ,,არასწორია მესამე პირის ხელშეკრულების მხარედ ანუ ,,მეორე პირად" მოხსენიება", მაგრამ ვერ იქნება გაზიარებული, რომ თითქოს ასეთად მესამე პირი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის №ას-274-262-2015 განჩინებაშია მოხსენიებული.
მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთნ მიმართებით, სასამართლოს დასახელებულ განჩინებაში ტერმინოლოგიურ უზუსტობად უნდა იქნეს მიჩნეული ის მონაკვეთი, სადაც აღნიშნულია, რომ ,,მესამე პირი ხელშეკრულების კრედიტორია", ვინაიდან წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ,,მესამე პირი ვერ სარგებლობს კრედიტორის ყველა უფლებით", ამიტომ უნდა ,,გაიმიჯნოს მისი, როგორც ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე უფლების მქონე პირისა და, შეპირების მიმღების, როგორც ხელშეკრულების მხარის უფლებამოსილებები." თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით, სასამართლოს განჩინება ამ ნაწილში არ იმსახურებს კრიტიკას, რადგან აღნიშნული იმ დატვირთვითაა მითითებული, რომ მესამე პირმა ,,შესრულების მოთხოვნის უფლება შეიძინა", რაც სასამართლოს მიერ სწორადაა შეფასებული.).

[198] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 214; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 3, 272; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 2, 561; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 157.

[199] ("In einem Vertrag zu Gunsten Dritter muss der begünstigte Dritte nicht konkret bezeichnet werden; es genügt, wenn er bestimmbar ist"), BGH, Urteil vom 16. 11. 2007 - V ZR 208/06 (OLG Hamm), NJW-RR 2008, 683; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 2, 561; BGH NJW 13, 232, მითითებულია იქვე; *Sielemann F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Berlin, 1964, 11; *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 86; OLG Brandenburg, Urteil vom 05.05.2011 - 5 U 182/09, BeckRS 2011, 14322.

კრიტერიუმებით.[200] ანალოგიური მიდგომაა გაზიარებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.[201] ავსტრიული დოქტრინის შესაბამისადაც საკმარისია მესამე პირი განსაზღვრადი იყოს.[202] ,,უნიდროას პრინციპების" 5.2.2. მუხლის შესაბამისად, მესამე პირი ხელშეკრულებით საკმარისად განსაზღვრადი უნდა იყოს.[203] ,,ხელშეკრულებების (მესამე პირის უფლებების) შესახებ" ინგლისის 1999 წლის აქტის 1 (3) მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მესამე პირი ხელშეკრულებაში ნათლად განსაზღვრული[204] უნდა იყოს სახელობით, იმავე აქტის იმავე მუხლის თანახმად, ასევე საკმარისია, თუ ის იდენტიფიცირებადია, განსაზღვრადია, რომელიმე განსაზღვრული ჯუფისადმი კუთვნილების საფუძველზე, ან კონკრეტული აღწერილობითი ნიშნით.[205] ,,ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების" 6:110 (1) მუხლის მეორე წინადადების თანახმად კი, მესამე პირი არ არის საჭირო ხელშეკრულების დადების მომენტში განსაზღვრული იყოს.[206] რუსულ სამართალში არსებული მიდგომის შესაბამისად, მესამე პირი ხელშეკრულებაში შესაძლებელია

---

[200] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 24, 2222; BGH NJW-RR 2008, 683/84; NJW 1985, 1457; NJW 1979, 2036 მითითებულია იქვე; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 814.

[201] იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 86; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 3, 272.

[202] *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 26 (..."Bestimmbarkeit des Dritten genügt").

[203] Artikel 5.2.2 (Bestimmbarkeit des Dritten)
Der Begünstigte muss durch den Vertrag mit hinreichender Sicherheit bestimmbar sein, braucht aber zur Zeit des Vertragsschlusses noch nicht zu existieren.
<https://www.unidroit.org/german/principles/contracts/principles2004/blackletter2004.pdf>, [16.12.2019]; იხ. ასევე, *Vogenauer S., Kleinheisterkamp J.,* Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford, 2008, 10.

[204] საქმეში ,,Avraamides v Colwill [2006] EWCA Civ 1533, the Court of Appeal, per Waller LJ at [19], სააპელაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მესამე პირის აშკარად განსაზღვრულობა ხელშეკრულებიდან მისი უფლების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო. იხ. *Koffman L., Macdonald E.,* The Law of Contract, Seventh Edition, Oxford, 2010, 465.

[205] The Contracts (Rights of Third Parties) Act 1999
1. Right of third party to enforce contractual term
(3)The third party must be expressly identified in the contract by name, as a member of a class or as answering a particular description but need not be in existence when the contract is entered into.
<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1999/31/contents>, [16.12.2019].
იხ. ასევე, *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 152, 153; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 117-119; *Hallebeek J., Dondorp H.,* Contracts for a Third-Party Beneficiary, Leiden, Boston, 2008, 134.

[206] PECL, Artikel 6:110 (1), Satz 2, (Der Dritte braucht zur Zeit des Vertragsschlusses nicht bestimmt zu sein), <http://www.christiantakoff.com/wp-content/uploads/soft_law/pecl_komplett_EN_DE.pdf>, [14.12.2019]; იხ. ასევე, *Zimmermann R. (Red.), Jansen N. (Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 878.

იყოს კონკრეტულად მითითებული ან არ იყოს მითითებული.[207] აღნიშნულს პირდაპირ ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 430-ე მუხლის პირველი ნაწილი.[208]

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მესამე პირის ხელშეკრულებაში განსაზღვრასთან მიმართებით არაერთგვაროვანი მიდგომაა. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ არ არის სავალდებულო, მესამე პირის კონკრეტიზაცია მოხდეს უშუალოდ ხელშეკრულებაში.[209] ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ერთ-ერთი განჩინების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად ვერ ჩათვალა, რომ მოპასუხეები სადავო ხელშეკრულებით შეთანხმდნენ მოსარჩელის სასარგებლოდ რაიმე ქმედების განხორციელებაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა, რომ არც ერთ სადავო ხელშეკრულებაში მოსარჩელე უშუალოდ მოხსენიებული არ ყოფილა.[210]

გასაზიარებელია მიდგომა, რომლის მიხედვით მესამე პირი ხელშეკრულებაში შესაძლებელია პირდაპირ განსაზღვრული არ იყოს, მაგრამ ის მინიმუმ

---

[207] *Абовой Т.Е., Богуславского М.М., Кабалкина А. Ю., Листицина-Светланова А.Г.,* Постатейный комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, Москва, 2018, 368, 369; *Садиков О.Н,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Части первой, Москва, 2006, 969; *Борисов А.Б.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, 8-е издание, Москва, 2008, 390; *Егорова Н.Д., Сергеева А.П.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Часть первая, Издание третье, Москва, 2006, 817.

[208] <http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_5142/629356cc68c0bf9ac272d206afbb0a14efcf0810/>, [18.12.2019].

[209] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის №2ბ/1339-07 გადაწყვეტილება.

[210] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის №ას-195-184-2011 განჩინება. მართალია, სასამართლოს მხრიდან მხოლოდ ის გარემოება არ გამხდარა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რომ არც ერთ სადავო ხელშეკრულებაში მოსარჩელე უშუალოდ მოხსენიებული არ ყოფილა, ვინაიდან დასახელებულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელეები, მათ შორის მ. ფ.-ძე, არ იყვნენ სადავო მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელები, ხელშეკრულებით კი იმ შემთხვევისათვის განისაზღვრა მყიდველების მიერ სხვა ახალი ფიზიკური პირების (თუკი ასეთი აღმოჩნდებოდა) პრეტენზიების დაკმაყოფილება, თუკი მათ მიწის ნაკვეთი თბილისის იპოდრომის მომიჯნავე ფერდზე მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთით ექნებოდათ გამოყოფილი. მაგრამ, თუ ეს უკანასკნლი გარემოება სახეზე იქნებოდა, არ იქნებოდა აუცილებელი, რომ მესამე პირი უშუალოდ ყოფილიყო ხელშეკრულებაში განსაზღვრული. მესამე პირი ამ შემთხვევაში საკმარისად განსაზღვრადად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ხელშეკრულება შეიცავდა მითითებას, თუ ვის შეიძლება წარმოშობოდა მოთხოვნის უფლება. ასეთად კი ხელშეკრულებით განისაზღვრნენ ისეთი ფიზიკური პირები, რომელთაც მიწის ნაკვეთი თბილისის იპოდრომის მომიჯნავე ფერდზე მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთით ექნებოდათ გამოყოფილი.

განსაზღვრადი უნდა იყოს. თუმცა აქ აუცილებელია მითითება, რომ ეს არის ზოგადი წესი, საიდანაც გამონაკლისი ქვემოთ იქნება განხილული. არის თუ არა მესამე პირი განსაზღვრადი, კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს.

მაგალითისთვის, გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც მესამე პირები ხელშეკრულებაში აღნიშნულნი იყვნენ როგორც ,,მომავალი თანამესაკუთრეები", მიიჩნია, რომ მესამე პირი განსაზღვრადი იყო.[211] ასევე, მაგალითად, თუ ,,ა" არის საერთაშორისო კომპანია, რომლის თანამშრომლებს პერიოდულად უწევთ სამუშაო ადგილის ცვლილება სხვა ფილიალში, რის გამოც დებს ქირავნობის ხელშეკრულებას და გამქირავებელს უთანხმდება, რომ ბინას სხვადასხვა თანამშრომლებს გადასცემს სარგებლობისათვის, მესამე პირი საკმარისად განსაზღვრულად უნდა იქნეს მიჩნეული.[212] ის საკითხი, რომ მესამე პირი ხელშეკრულებაში კონკრეტულად განსაზღვრული არ არის, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის არაარსებითია.[213] მაგრამ იმავდროულად გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რა სახის ხელშეკრულების დადება ხდება მესამე პირის სასარგებლოდ. მაგალითად, სსკ-ის 836-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს დაზღვევას სხვა პირის სასარგებლოდ, პირდაპირ მიუთითებს, რომ დამზღვევს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ. ამ პირის დასახელება კი სავალდებულო არ არის. მაგრამ იმავე კოდექსის 844-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მესამე პირის სასარგებლოდ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა მესამე პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა. ანალოგიურად იქნება საჭირო მესამე პირის თანხმობა მის სასარგებლოდ დადებულ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებაში, ვინაიდან მასზე სსკ-ის 854-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ვრცელდება[214] წესები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ.

---

[211]BGH, Urteil vom 16. 11. 2007 - V ZR 208/06 (OLG Hamm), NJW-RR 2008, 683, (684).

[212]*Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 814.

[213] OLG Brandenburg, Urteil vom 05.05.2011 - 5 U 182/09, BeckRS 2011, 14322; BGH, Urteil vom 16. 11. 2007 - V ZR 208/06 (OLG Hamm), NJW-RR 2008, 683, (684).

[214]*ცისკაძე მ.,* ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 63; *ცისკაძე მ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 177.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ,,შემნახველი წიგნაკი", საკმაოდ მოძველებული ინსტიტუტია,[215] აქვე გასათვალისწინებელია სსკ-ის 875-ე მუხლი, რომელიც საკრედიტო დაწესებულების მიერ შემნახველი წიგნაკის გაცემის უფლებამოსილებას ითვალისწინებს მხოლოდ სახელობით (კონკრეტულ პირზე).

მაშასადამე, ცალკეულ შემთხვევაში, ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით, მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ამ პირის დასახელება (ე.ი. განსაზღვრა), მისი იდენტიფიკაცია და მისი თანხმობაც.[216] ამიტომ სწორი იქნება ითქვას, რომ მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისათვის ზოგადი წესის შესაბამისად, საჭირო არ არის მესამე პირის თანხმობა ან მისი განსაზღვრა, საკმარისია, რომ ის განსაზღვრადი იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კანონით[217] სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მესამე პირი თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში რომ დასაშვებია განსაზღვრული არ იყოს, გამომდინარეობს იქიდან, რომ ის არ არის ხელშეკრულების მხარე,[218] შესაბამისად, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ნებას არ ავლენს ხელშეკრულების დასადებად.[219] იმავე არგუმენტაციით მესამე პირის უფლებაუნარიანობისა თუ ქმედუნარიანობის საკითხი, განსხვავებით შემპირებლისა

---

[215] *გაბისონია ზ.,* საბანკო სამართალი, თბილისი, 2017, 241.

[216]*ლეგაშვილი დ.,* დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, 110.

[217]წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ყურადღება ასევე გამახვილებული იყო ,,კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N4 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტზე, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, ბანკი ვალდებულია სათანადო წინაპირობების არსებობისას მოახდინოს მესამე პირის იდენტიფიკაცია, თუ გარიგება იდება მესამე პირის სასარგებლოდ. (შესაბამისად განხორციელდა მითითება შემდეგ განჩინებებზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის №ას-322-307-2016 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მარტის №3ბ/1784-17 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის №3ბ/987-17 განჩინება.); მაგრამ სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად წარდგენის შემდგომ, აღნიშნული ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანებით.

[218]*Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 194, 89; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 813; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 248; *Westermann P.,* Vertragliche Dritthaftung im neuen Schuldrecht, FS für Heinrich Honsell, Zürich, 2002, 150.

[219]იხ. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 216.

და შეპირების მიმღებისაგან, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ გაითვალისწინება,[220] (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისათვის ამ უკანასკნელის თანხმობაც საჭიროა).[221] აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების დადების მომენტში მესამე პირი შესაძლოა არათუ დაბადებული,[222] არამედ ჩასახულიც კი არ იყოს.[223] ხოლო იურიდული პირი შეიძლება ჯერ კიდევ დაუარსებელი (დაგეგმილი) იყოს.[224] როგორც ქართულ,[225] ასევე გერმანულ[226] და ინგლისურ[227] იურიდიულ ლიტერატურაში მიდგომა ერთიანია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მესამე პირი ხელშეკრულების დადების მომენტში შესაძლოა არ არსებობდეს. აღნიშნული პირდაპირაა მითითებული, მაგალითად, ,,უნიდროას პრინციპების" 5.2.2. მუხლში,[228] ასევე, ,,ხელშეკრულებების (მესამე პირის უფლებების) შესახებ" ინგლისის 1999 წლის აქტის 1 (3) მუხლსა[229] და კვებეკის

---

[220] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2223; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 14., neu bearb. Aufl., München, 2016, Rn. 1131, 408; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 8.

[221] იხილეთ ზემოთ დასახელებული მაგალითი სიცოცხლის და უბედური შემთხვევის დაზღვევის შესახებ.

[222] OLG München, Urteil vom 9. 11. 1999 - 25 U 3831/99, NJW 2000, 1423; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 10; *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 152, 153.

[223] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 214; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 3, 272; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 270, 67; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 2, 561; *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 267.

[224] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 2, 561; BGH 129, 305, NJW 15, 1672 Tz 40, მითითებულია იქვე; *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 153.

[225] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 214; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 3, 272.

[226] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 2, 561; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 270, 67.

[227] *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 120, 121; *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 152, 153; ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს შოტლანდიური სამართალიც,
იხ. *Tack N.,* Third Party Rights in Contract Law: Confusion in Scotland and Flexibility in Germany, 2016, 98, <https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/aglj2&div=8&id=&page=>, [22.02.2017].

[228] Artikel 5.2.2 (Bestimmbarkeit des Dritten)
<https://www.unidroit.org/german/principles/contracts/principles2004/blackletter2004.pdf>, [16.12.2019].

[229] The Contracts (Rights of Third Parties) Act 1999
<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1999/31/contents>, [16.12.2019].

სამოქალაქო კოდექსის 1445 მუხლში.[230] ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს შოტლანდიური სამართალიც, რომლის მიხედვით, იქიდან გამომდინარე, რომ მესამე პირი არ არის სავალდებულო ხელშეკრულების დადების მომენტში არსებობდეს, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის, ასევე დაუარსებელი იურიდიული პირის სასარგებლოდ.[231] ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა[232] წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. მართალია, ,,უფლებაუნარიანობის გარეშე ადამიანი ვერ იქნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი და, შესაბამისად, ვერ იქნება პირი",[233] მაგრამ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, მესამე პირის დაბადებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება არ არის სუბიექტის გარეშე; ეს უფლება, როგორც სუბიექტს, აქვს შეპირების მიმღებს.[234] მესამე პირი კი მხოლოდ დაბადების შემთხვევაში[235] შეიძენს მისთვის გათვალისწინებულ უფლებას იმავე ხელშეკრულების საფუძველზე. ის საკითხი, თუ რამდენადაა დაუბადებელი მესამე პირის უფლება დაცული, ქვემოთ იქნება განხილული.

იურიდიული პირი კი სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხოლოდ რეგისტრაციის განხორციელების შემთხვევაში შეძლებს უფლების შეძენას, რადგან მისი უფლებაუნარიანობის წარმოშობა უკავშირდება რეგისტრაციის მომენტს.

,,მოთხოვნის უფლების შეძენისთვისაც" არაა აუცილებელი მესამე პირის ქმედუნარიანობა,[236] ვინაიდან მოთხოვნის შეძენა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ გულისხმობს მესამე პირის მიერ მოქმედების განხორციელებას. მესამე პირის მიერ უფლების შეძენის თავისებურება განხილული იქნება მომდევნო თავში.

---

[230] კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი და რედ., *ჭეჭელაშვილი ზ.,* თბილისი, 2017, 297.

[231] *Tack N.,* Third Party Rights in Contract Law: Confusion in Scotland and Flexibility in Germany, 2016, <https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/aglj2&div=8&id=&page=>, [22.02.2017].

[232] უფლებაუნარიანობის შესახებ იხ. *ჩიტოშვილი თ.,* ვალდებულებით-სამართლებრივი და სანივთო-სამართლებრივი უფლებების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება" №1, 2007, 47.

[233] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 100; *გელაშვილი ი.,* ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, დის., თბილისი, 2012, 21.

[234] *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §331, Rn. 1, 759.

[235] იხ. *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 157.

[236] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 8, 212; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 271, 67.

მართალია, ხელშეკრულების დადების მომენტში არ არის სავალდებულო მესამე პირი უფლებაუნარიანი იყოს, მაგრამ ხელშეკრულების შესრულების მომენტისათვის მესამე პირის უფლებაუნარიანობა აუცილებელია.[237] მაშასადამე, აუცილებელია მესამე პირი არსებობდეს ხელშეკრულების შესრულების მომენტში. ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების შესრულების მომენტისათვის, გარდა მესამე პირის უფლებაუნარიანობისა, მისი ქმედუნარიანობაც საჭიროა,[238] ვინაიდან მან უნდა განახორციელოს თავისი უფლება - მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. ცხადია, აღნიშნული არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მესამე პირი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

დოქტრინაში ასახული მიდგომა საკანონმდებლო დონეზე გაიზირა კვებეკის სამართალმა, კერძოდ, კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლში მითითებულია, რომ არ არის აუცილებელი ბენეფიციარი მესამე პირი არსებობდეს ან იყოს განსაზღვრული დათქმის გაკეთების მომენტში; ის აღნიშნულ მომენტში უნდა იყოს მხოლოდ განსაზღვრებადი და არსებობდეს იმ მომენტში, როდესაც შემპირებელმა უნდა შეასრულოს ვალდებულება მის სასარგებლოდ.[239]

მართალია, მესამე პირი მოთხოვნის უფლების შეძენის მიღებით არ ხდება ხელშეკრულების მხარე, არამედ რჩება როგორც ,,მესამე პირი", სსკ-ის 349-ე მუხლის (გსკ-ის §328-ის) გაგებით,[240] მაგრამ მესამე პირი ხდება ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.[241] უფრო კონკრეტულად კი, მესამე პირი წარმოადგენს რა მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტს, ის სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილეობის გარეშე კი არ იღებს შესრულებას, არამედ როგორც არაკონტრაჰენტი, როგორც მხარეთა შორის სახელშეკრულებო შეთანხმებაში არამონაწილე პირი. ამიტომ სწორი იქნება აღინიშნოს, რომ მესამე პირი არის სახელშეკრულებო

---

[237] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 270, 67.

[238] შეად. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 214; *ცერცვაძე ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 214.

[239] კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი და რედ., *ჭეჭელაშვილი ზ.,* თბილისი, 2017, 297.

[240] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 14, 12; იხ; *Mankowski P.,*Verbrauchervertrag und Vertrag zu Gunsten Dritter, VuR, 17. Jahrg., 2002, 269; ასევე, *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 6, 272.

[241] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 14, 12.

ურთიერთობის მონაწილე, თუმცა ,,ხელშეკრულების დადებაში არამონაწილე“[242] პირი.

მართალია, მეასამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ,,მხარის მსგავსი“[243] პოზიცია. ამიტომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს კერძო სამართლის სუბიექტისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

III. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეთა ნება, როგორც მათ შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი

1. ნების გამოვლენა, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების წარმოშობის საფუძველი

ისევე როგორც ნებისმიერი ხელშეკრულების დადებას, მესამე პირის სასარგებლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობას მხარეთა ნების გამოვლენა[244] უდევს საფუძვლად. კერძოდ, შემპირებლისა და შეპირების მიმღების ,,საერთო ნება“[245]. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მხარეთა ნების გამოვლენა[246] თავისებურებით არ ხასიათდება, გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაში მათი ,,ერთიანი ნების ფორმირება“[247] მიმართულია ამ ხელშეკრულებიდან მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენის ან მის მიერ მხოლოდ შესრულების მიღებისაკენ. მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობა ზოგადი წესების საფუძველზე უნდა დადგინდეს.

მესამე პირის სამართლებრივ პოზიციას ხელშეკრულებაში სწორედ მხარეთა ნება განსაზღვრავს. ამიტომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში

---

[242] *Lakenberg Th.,* Kinder, Kranke, Küchenhilfen, Band 34, Diss., Köln, Weimar, Wien, 2014, 26, (...“nicht am Vertragsschluss beteiligte“...); *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 248 (...“nicht Abschlußbeteiligter“...); *Saar Ch.,* Grenzen des ,,vertraglichen Drittschutzes“-BGH, NJW 1996, 2927, JUS 2000, Heft 3, 220, (... “am Vertragsschluss unbeteiligt“); *Sielemann F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Berlin, 1964, 9, (…“ohne an seinem Abschluss beteiligt“...); *Lüttringhaus J.,* Vertragsfreiheit und ihre Materialisierung im Europäischen Binnenmarkt, Tübingen, 2018, 301, (“Vertragsextern“).

[243] (“Parteiähnliche Stellung“), *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 16. Aufl., Düsseldorf, 2018, Rn. 16, 420.

[244] *ზოიძე ბ., ბურდული ი.,* თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2018, 43.

[245] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 295.

[246] ნებისა და ნების გამოვლენის შესახებ დაწვრილებით იხ. *ქოჩაშვილი ქ.,* ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), ,,სამართლის ჟურნალი“ №2, 2016, 16 და მომდევნო.

[247] იხ. *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 241.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ,,ნების გამოხატვის სამართლებრივი ფორმა“[248], კერძოდ, ის საკითხი, ,,თუ როდის ჩაითვლება ეს ნების გამოვლენა მბოჭავად მხარეებისათვის“[249] მესამე პირისათვის სამართლებრივი შედეგის წარმოშობისა თუ მისი სამართლებრივი პოზიციის სტაბილურობასთან მიმართებით; ვინაიდან მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს, თუ სად დგინდება მხარეთა ნების ავტონომიის ფარგლები.

ცალკეულ შემთხვევაში გარიგების მიზნის ე.ი. იმ სამართლებრივი შედეგის მისაღწევად, რომელიც მხარეებს სურთ, საკმარისი არ არის მხოლოდ მათი ნების გამოვლენა და აუცილებელი ხდება დამატებითი ნების გამოვლენის არსებობა,[250] ასეთია, მაგალითად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება, რომელთა ნამდვილობაც მესამე პირის (დაზღვეულის) ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაზე, მისი ნების გამოვლენაზეა დამოკიდებული. მართალია, მესამე პირის ნების გამოვლენის ფარგლები მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე ამით არ ამოიწურება, რადგან ამ ხელშეკრულების თავისებურება განაპირობებს, რომ მესამე პირის ნება ანგარიშგასაწევი ხდება მის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის თითქმის ყველა ეტაპზე, რაც მომდევნო თავების განხილვის საგანია, თუმცა მესამე პირის სასარგებლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობისათვის მესამე პირის ნება მხოლოდ იმ ნაწილში ახდენს გავლენას, რომ ცალკეულ შემთხვევაში მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის შესაძლებელია საჭირო იყოს მისი თანხმობა. ძირითადად კი, მესამე პირის ნების გამოვლენა მის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისათვის არ მოითხოვება. ხელშეკრულების დადების ეტაპზე მესამე პირისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფარგლებს მთლიანად მხარეთა ნება უდევს საფუძვლად.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება მის მონაწილეთა შორის წარმოშობს ურთიერთობებს, რომლებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, ამიტომ მიზანშეწონილია მათი განხილვა.

---

[248] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 292.
[249] იქვე.
[250]იქვე, 293; *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 50, ველი 4, 287.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მონაწილეთა შორის სამი სახის სამართლებრივ ურთიერთობას განასხვავებენ: შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის; შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის; შემპირებელსა და მესამე პირს შორის.[251]

შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის წარმოიშობა ე.წ. ,,პროპორციული ურთიერთობა",[252] შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის - ,,სავალუტო ურთიერთობა",[253] შემპირებელსა და მესამე პირს შორის - ,,შესრულების ურთიერთობა"[254]. [255] ეს ტერმინები არც სსკ-ით და არც გსკ-ით განსაზღვრული არ არის, მაგრამ, ზოგადად, იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენება, როგორც ტექნიკური დასახელებები სხვადასხვა მონაწილეთა შორის ამ სამართლებრივი ურთიერთობების აღსანიშნავად.[256]



[251] *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 7, 379; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 16, 12,13*; კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 3-6, 233; *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 25.

[252] "Deckungsverhältnis", ასევე "Außenverhältnis" ან "Eigentliches Vertragsschuldverhältnis".

[253] "Valutaverhältnis".

[254] "Vollzugsverhältnis".

[255] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 16, 12; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 25; *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 4, 10, 233, 234; შად. *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 86, 87, (შესრულების ურთიერთობად აღნიშნულია მოვალესა და შეპირების მიმღებს შორის ურთიერთობა. რაც არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან წინამდებარე ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მიზანშეწონილია ,,შესრულების ურთიერთობა" მოვალესა და მესამე პირს შორის არსებული ურთიერთობის აღსანიშნავად იქნეს გამოყენებული); შად., ასევე, *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 855, 386.

[256] *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 851, 387; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 201 ff., 92 ff.

მესამე პირის სარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეთა შორის არსებული ურთიერთობების დახასიათება მნიშვნელოვანია მთელი რიგი საკითხების სწორად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად. უპირველეს ყოვლისა, იმის განსასაზღვრად, რომ ნაჩვენები იქნეს რომელ ურთიერთობაზე ახდენს გავლენას მესამე პირის ნების გამოვლენა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი ის იძენს ვალდებულების დარღვევისას, რადგან ამ ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომელ ურთიერთობაში ხდება ვალდებულების დარღვევა. რაც ვრცლად იქნება განხილული ნაშრომის მომდევნო თავებში.

2. შეპირების მიმღების და შემპირებელის ნების გამოვლენა, როგორც მათ შორის „პროპორციული ურთიერთობის" წარმოშობის საფუძველი

„პროპორციულ ურთიერთობად" აღინიშნება ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ,[257] ამიტომ იგი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის მოთხოვნის უფლებისა და მონაწილეთა სხვა უფლებების წარმოშობისათვის.[258] ეს ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშობა შემპირებლისა და შეპირების მიმღების ნების გამოვლენის საფუძველზე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, განსაზღვრავს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას და ამ გზით მისი ნამდვილობის წინაპირობებს მესამე პირის მიერ უფლების შეძენისათვის.[259] რადგან პროპორციული ურთიერთობაა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, ამ ურთიერთობის წარმოშობისათვის შესაძლებელია არა მხოლოდ მხარეების, არამედ მესამე პირის ნების გამოვლენაც იყოს საჭირო, კერძოდ, მესამე პირის სასარგებლოდ სიცოცხლისა და უბედური დაზღვევის ხელშეკრულებაში.

---

[257] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 25, 2222; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 1-2, 478; იხ. ასევე, OLG Brandenburg, Urteil vom 05.05.2011 - 5 U 182/09, BeckRS 2011, 14322.

[258] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 17, 13; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8.

[259] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 26, 2222; *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230.

პროპორციული ურთიერთობის ნამდვილობის საკითხი ზოგადი წესების საფუძველზე უნდა დადგინდეს.[260] პროპორციული ურთიერთობა არის ,,ძირითადი ურთიერთობა"[261] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს შორის,[262] იმ თვალსაზრისით, რომ ის განსაზღვრავს როგორც შესასრულებელი ვალდებულების შინაარსს, მისი ვადამოსულობის საკითხს, ასევე მესამე პირის ვინაობას.[263] ამ ურთიერთობიდან წარმოიშობა შემპირებლის მიერ მესამე პირისათვის შესრულების სამართლებრივი საფუძველი.[264] პროპორციული ურთიერთობა აფუძნებს მესამე პირის მოთხოვნის უფლებას.[265] მესამე პირის უფლებებს არ აქვს სხვა საფუძველი, ვიდრე ეს ხელშეკრულებაა.[266] ამ ურთიერთობის ბათილობა გამორიცხავს მესამე პირის მოთხოვნის უფლების არსებობას.[267] აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მესამე პირის უფლების ან შესრულების მიღების უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველი შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობაა. სწორედ პროპორციულ ურთიერთობაზე აისახება მესამე პირის ნების გამოვლენის შედეგები.

პროპორციულ ურთიერთობაში შესრულებაზე ვალდებულ პირად ყოველთვის უცვლელად რჩება მოვალე.[268] შესრულებაზე მოთხოვნის უფლების მქონე პირი კი, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, შეიძლება იყოს ან შეპირების მიმღები, როგორც ხელშეკრულების მხარე, ან მესამე პირი.[269]

ამ ვალდებულებითი ურთიერთობიდან, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, წარმოიშობა შეპირების

---

[260] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8.

[261] "Grundverhältnis".

[262] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1169, 358; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 7, 2286; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 224.

[263] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 7, 2286; *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., 2015, Rn. 1170, 359.

[264] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 7, 2286.

[265] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8. *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 25, 2222; იხ. ასევე, *Canaris C.-W.,* Der Bereicherungsausgleich im Dreipersonenverhältnis, FS für Karl Larenz, München, 1973, 831.

[266] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 7, 2286.

[267] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 25, 2222; იხ. ასევე, *Hadding W.,* Der Bereicherungsausgleich beim Vertrag zu Rechten Dritter, Tübingen, 1970, 156.

[268] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1149, 353.

[269] შეად. *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1149, 353.

მიმღების მოთხოვნა მოვალის მიმართ მესამე პირისათვის, როგორც შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის, შესრულების შესახებ. ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში - მესამე პირის მოთხოვნის უფლება (თუ მესამე პირი უარს არ ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე) შესრულებაზე, მოვალის მიმართ.[270]

იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირის სასარგებლოდ ვალდებულების პირობათა განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს (სსკ-ის 325-ე მუხლი, გსკ-ის §315), მაშინ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ერთ-ერთი მხარის და არა მესამე პირის მიერ.[271] მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში მესამე პირის ნება არ ფიგურირებს.

ვინაიდან ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ ორმხრივი ხელშეკრულებაა, მისგან, ისევე როგორც ზოგადად ორმხრივი ხელშეკრულებიდან, უმეტეს შემთხვევაში, კერძოდ მაშინ, როდესაც შესრულება და საპირისპირო შესრულება ურთიერთდამოკიდებულია,[272] ე.ი. ორმხრივად მავალდებულებელი[273] ხელშეკრულებიდან (სასყიდლიანი ხელშეკრულების დროს)[274] წარმოიშობა მოვალის მოთხოვნის უფლება (თავის მიერ მესამე პირისათვის განხორციელებული შესრულების სანაცვლოდ) შეპირების მიმღების მიმართ საპირისპირო შესრულებაზე.[275] მაშასადამე, ხელშეკრულების მხარეებს შორის ურთიერთობა ,,სინალაგმატური" ხასიათისაა.[276] ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობაში მესამე პირის მონაწილეობა გავლენას არ ახდენს მოვალის მიერ საპასუხო შესრულების ხელშეკრულების მხარისაგან მოთხოვნის უფლებაზე. მხოლოდ ამ ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, თუ

---

[270] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 17, 13.

[271] BGH, Urteil vom 30. 5. 2003 - V ZR 216/02 (OLG München), NJW-RR 2003, 1355 (1357).

[272] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 14, 18, 13; *იხ., კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §320, ველი 3, 222.

[273] ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებების შესახებ იხ., *მესხიშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 369, ველი 1, 422.

[274] *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 7, 379; *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 852, 386.

[275] *Hadding W.,* Schuldverhältnis und Synallagma beim Vertrag zu Rechten Dritter, FS für Joachim *Gernhuber J.,* Tübingen, 1993, 163; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 18, 13.

[276] *Hadding W.,* Schuldverhältnis und Synallagma beim Vertrag zu Rechten Dritter, FS für Joachim Gernhuber, Tübingen, 1993, 155.

რომელი ხელშეკრულებაა სახეზე, მოვალეს შესრულებას სთხოვს მესამე პირი ან შეპირების მიმღები (მესამე პირისათვის), ე.ი. ორმხრივი ხელშეკრულების კლასიკური შემთხვევისაგან განსხვავებით, აქ შესრულება კრედიტორის ნაცვლად სხვა ადრესატისკენაა (მესამე პირისკენ) მიმართული, ხოლო მოვალის შესრულებისათვის საპასუხო შესრულებაზე ვალდებულ პირად რჩება შეპირების მიმღები. შემპირებელი არის შეპირების მიმღების კრედიტორი საპასუხო შესრულებაზე.[277] შეპირების მიმღებსაც შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე მანამდე, ვიდრე შემპირებელი მესამე პირის მიმართ შესრულებას არ განახორციელებს.[278] მაგალითად, როდესაც ,,ა"-სა და ,,ბ"-ს შორის ,,გ"-ს სასარგებლოდ დადებული ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც ,,ა" არის შემპირებელი, ,,ბ" - შეპირების მიმღები, ხოლო ,,გ" - მესამე პირი, შემპირებელი ავტომანქანის მესამე პირისათვის მიწოდების გზით ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ცხადია, ხელშეკრულების მხარის (ამ შემთხვევაში შეპირების მიმღების) იმავდროული ვალდებულებაა გადაუხადოს გამყიდველს (შემპირებელს) შეთანხმებული ფასი.

ამრიგად, შემპირებელი მესამე პირის სასარგებლოდ თავისი შესრულებისათვის შეპირების მიმღებისაგან იღებს საპასუხო შესრულებას.[279] ე.ი. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია შეპირების მიმღების მხრიდან მოვალისათვის საპასუხო შესრულებით. მაშასადამე, მოვალის მიერ მესამე პირის მიმართ შესრულებული ვალდებულებისათვის შეპირების მიმღებისაგან ხორციელდება თავისი საპასუხო ვალდებულების პროპორციული ,,დაფარვა",[280] რა გზითაც ორივე მხარის შესრულება დაბალანსებული, გაწონასწორებულია.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ეწოდება შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას[281] ,,პროპორციული"[282]

---

[277] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 18, 13.

[278] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 224.

[279] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 25, 2222; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 224.

[280] "Deckung", იხ., *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 25, 2222, BGH, NJW 1984, 2156 მითითებულია იქვე; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 1-2, 478; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 20, 8.

[281] "Deckungsverhältnis".

[282] *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 4, 233.

ურთიერთობა.[283] ე.ი. ორმხრივად მავალდებულებელი, სინალაგმატური ურთიერთობა. ამ ურთიერთობას ზოგიერთ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მოიხსენიებენ ასევე, როგორც ,,გარე ურთიერთობა",[284] ან - ,,ნამდვილი სახელშეკრულებო-ვალდებულებითი ურთიერთობა".[285] ე.წ. ,,გარე ურთიერთობა" მესამე პირთან მიმართებითაა ნაგულისხმევი, რადგან მესამე პირი ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარე არ არის.

მაშასადამე, შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშობა მესამე პირის სასარგებლოდ მათ მიერ დადებული ხელშეკრულებიდან. ეს ურთიერთობა ხელშეკრულების მონაწილეთა შორის არსებულ ურთიერთობებში იმიტომ არის ძირითადი, რომ მესამე პირის უფლებების წარმოშობის საფუძველი სწორედ შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებაა. ამასთანავე, ,,ძირითადი ურთიერთობა" ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს მესამე პირი გარდა ამ ურთიერთობისა, მონაწილეთა შორის არსებული სხვა ურთიერთობიდანაც იძენდეს უფლებებს. დანარჩენი ურთიერთობები მნიშვნელოვანია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსის წარმოსაჩენად, უფრო მეტად კი მონაწილეთა შორის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრისათვის, მაგრამ დამოუკიდებელია[286] ,,პროპორციული ურთიერთობისაგან". ამიტომაა ეს უკანასკნელი მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეთა შორის არსებულ ურთიერთობებს შორის ერთადერთი ურთიერთობა, საიდანაც მხარეთა უფლება-მოვალეობები და მესამე პირის შესაბამისი უფლება/უფლებამოსილება, ასევე ფართო გაგებით მოვალეობა (მაგ., გულისხმიერების ვალდებულება, აღნიშნული საკითხი განხილულია ნაშრომის მომდევნო თავში) წარმოიშობა.

---

[283]იხ. *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 7, 379 ("Das Deckungsverhältnis wird deshalb so bezeichnet, weil der Verspechende aus ihm (jedenfalls bei entgeltlichem Vertage) die Gegenleistung, also die Deckung für seine Leistung an den Dritten erwirbt."); *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 852, 386 ("Es hat seinen Namen daher, dass der Versprechende für die Leistung, die er an den Dritten erbringen soll, eine Deckung haben muss".).

[284] "Außenverhältnis", იხ. *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 25, 2222; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 657.

[285] "Eigentliches Vertragsschuldverhältnis", *იხ., Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 20, 7.

[286]აღნიშნული უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება განხილული თითოეული ურთიერთობის დახასიათებისას.

პროპორციული ურთიერთობა მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა შორის წარმოშობს ვალდებულებით ურთიერთობას. ის, რომ მესამე პირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიმღებია, ან შემპირებლისაგან შესრულებაზე მოთხოვნის უფლების მქონე პირი, არ გულისხმობს შემპირებელსა და მესამე პირს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობას. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულებასა და ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს ასევე ის, თუ რა ურთიერთობა არსებობს შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის. მაგრამ ამ ხელშეკრულების შესრულებაზე ან მიღებული შესრულების შენარჩუნებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობამ, თუ სავალუტო ურთიერთობაში მესამე პირს შესრულების მისაღებად არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. რაც უფრო ფართოდ მომდევნო ქვეთავში იქნება განხილული.

3. შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ,,სავალუტო ურთიერთობის" წარმოშობის თავისებურება

სამართლებრივი ურთიერთობა შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ,,სავალუტო ურთიერთობად"[287] აღინიშნება.[288] მას ,,შიდა ურთიერთობასაც"[289] უწოდებენ.[290]

შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის არსებული ურთიერთობა, როგორც წესი, მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების საფუძველს შეადგენს.[291] შესაბამისად, სავალუტო ურთიერთობა არის მიზეზი[292] შესრულებისა, რომელსაც შეპირების მიმღები მესამე პირს შემპირებლის მეშვეობით ,,აწვდის",[293] კერძოდ, სავალუტო ურთიერთობა მიუთითებს, თუ რატომ, რომელი სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე სურს შეპირების მიმღებს, მესამე პირმა პროპორციული

---

[287] "Valutaverhältnis".

[288] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, Rn. 1137, 404; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 1-2, 478.

[289] "Innenverhältnis".

[290] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 658.

[291] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 29, 2223; *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230.

[292] "Causa für diese Leistung", *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 20, 64.

[293] *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 853, 387.

ურთიერთობის მეშვეობით რაიმე მიიღოს,[294] ,,თუ რატომ ანიჭებს შეპირების მიმღები მოთხოვნის უფლებას მესამე პირს და აქვს თუ არა მესამე პირს ამ მინიჭებული მოთხოვნის უფლების შენარჩუნების უფლება".[295] ამიტომაა ეს ურთიერთობა მესამე პირისათვის ე.წ. ,,შიდა ურთიერთობა".

თუ რა არის სავალუტო ურთიერთობის საგანი, ე.ი. ის საკითხი, თუ რატომ დებს შეპირების მიმღები მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულებას,[296] კანონით მოწესრიგებული არ არის. მას შესაძლოა სხვადასხვა საფუძველი ჰქონდეს.[297] ხშირ შემთხვევაში ეს ურთიერთობა უკვე არსებობს და შეპირების მიმღები შემდეგ დებს ხელშეკრულებას მესამე პირის სასარგებლოდ იმისათვის, რომ მათ შორის არსებულ ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს ან, უბრალოდ სურს, რომ მესამე პირმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება ამ გზით უსასყიდლოდ მიიღოს,[298] როგორც საჩუქარი, ან თავიანთი შვილების მიმართ მშობლების კანონისმიერი ზრუნვის ვალდებულების შესრულების მიზნით.[299] მაგრამ უფრო ხშირად შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობს.[300]

მართალია, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე სპეციალური კვლევა არ არის განხორციელებული, მაგრამ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ გარდა დასახელებული მოტივებისა, მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებას შესაძლებელია მორალური დატვირთვაც ჰქონდეს. კერძოდ, როდესაც შეპირების მიმღები მორალურ-ეთიკური ნორმების საფუძველზე ახორციელებს დათქმას მესამე პირის სასარგებლოდ, რაც ,,ზნეობრივ

---

[294] *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 7, 379; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 21, 8; *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 87.

[295] *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 5, 233; იხ. ასევე, *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 8, 1697.

[296] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 4., überarb. Aufl., Stuttgart, 2017, Rn. 1153, 356.

[297] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, Rn. 1137, 404; *Stelken P.,* Vertäge zu Lasten Dritter, Diss., Köln, 1935, 17.

[298] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8.

[299] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 4., überarb. Aufl., Stuttgart, 2017, Rn. 1173, 362, Rn. 1168, 360*; Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 853, 387; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 224.

[300] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, Rn. 1137, 404; *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 4., überarb. Aufl., Stuttgart, 2017, Rn. 1173, 362.

ურთიერთობათა დაცვის ფუნქციაში“[301] ვლინდება. სწორედ ,,მორალური დებულებები აძლევენ ადამიანებს ორიენტაციას მათი ნებაყოფლობითი გამოყენებისათვის გარკვეული სოციალური ქცევების განხორციელების ან მათგან თავის შეკავების შინაგანი მოტივის სახით.“[302] მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით ეს ისეთი შემთხვევაა, თუ მაგალითად, მშობელი შვილის, ან ოჯახის ერთი წევრი მეორე წევრის სასარგებლოდ დებს სამედიცინო დაწესებულებასთან სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებას. ასეთ დროს მესამე პირის (ოჯახის წევრის) სასარგებლოდ გაკეთებულ დათქმას მორალური, ,,ზნეობრივი ურთიერთობის“[303] შინაარსი უფრო აქვს, ვიდრე სამართლებრივი, მაგრამ ის, ცხადია, შემდეგ მაინც იძენს სამართლებრივ დანიშნულებას, რადგან ამ ტიპის ხელშეკრულებაც თავისი არსით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება.

თუ შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის არსებობს სასყიდლიანი ხელშეკრულება, მესამე პირი, ჩვეულებრივ, ვალდებულია შეპირების მიმღების წინაშე საპასუხო შესრულებაზე,[304] მაგრამ არა პროპორციულ ურთიერთობაში. ამიტომაა, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების დარღვევა სავალუტო ურთიერთობაში, პროპორციულ ურთიერთობაზე (შემპირებლის მიერ მესამე პირის წინაშე შესასრულებელ ვალდებულებაზე) გავლენას არ ახდენს.[305] აღნიშნული საკითხი ვრცლად იქნება განხილული ნაშრომის მომდევნო თავში.

შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობა ასევე შესაძლებელია, რომ პირველად მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისას აღმოცენდეს.[306] დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ეს ურთიერთობა ყველაზე გვიან მესამე პირის მიერ მოთხოვნის უფლების ე.წ. ,,შეძენის მიღებით“ (ე.ი. თუ მესამე პირი უარს არ იტყვის შეძენილ უფლებაზე) წარმოიშობა.[307] შესაძლებელია ასევე, რომ სავალუტო

---

[301] *ხეცურიანი ჯ.,* სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბილისი, 1995, 171.

[302] იქვე; ზნეობრივ ვალდებულებათა შესახებ დაწვრილებით იხ. *ზარანდია თ., ჯულელი თ.,* ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი“, №4(11)'06, 74 და მომდევნო.

[303] იქვე.

[304] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2223.

[305] იქვე, Rn. 29, 2223.

[306] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 21, 14.

[307] იქვე.

ურთიერთობა პირველად შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ წარმოიშვას,[308] რაც ქვემოთ იქნება განხილული.

მას ,,სავალუტო ურთიერთობა"[309] იმიტომ ეწოდება, რომ აქ შეპირების მიმღებს ყველა შემთხვევაში, იქნება ეს სასყიდლიანი თუ ჩუქების ურთიერთობა მესამე პირთან, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ რაიმე ,,ფასეულის"[310] განხორციელება სურს.[311] ეს ურთიერთობა მიუთითებს, რა სამართლებრივი ღირებულება აქვს მესამე პირისათვის რაიმეს გადაცემას.[312]

მის აღსანიშნავად იყენებენ ასევე ტერმინს ,,გადაცემის ურთიერთობა".[313] ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმაზე, რომ შეპირების მიმღები, როგორც წესი, თვითონ კი არ ახორციელებს მესამე პირისათვის შესრულების ,,გადაცემას", არამედ, მესამე პირისათვის ,,არაპირდაპირ შესრულებას"[314] იწვევს.[315] ურთიერთობა მესამე პირსა და შეპირების მიმღებს შორის ხდება მიზეზი მესამე პირისათვის პირდაპირი შესრულებისა პროპორციული ურთიერთობის საფუძველზე.[316] ამასთანავე, სიტყვა "Zuwendung"[317] საჩუქრის მნიშვნელობით გამოიყენება, შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობას კი ყოველთვის ჩუქება არ უდევს საფუძვლად.

გარდა ამისა, ,,გადაცემა" ხორციელდება შესრულების ურთიერთობაში და შესაძლოა პროპორციულ ურთიერთობაშიც მოხდეს, ამიტომ გასაზიარებელია პოზიცია, რომლის მიხედვით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შეპირების მიმღებსა და

---

[308] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 8, 1697; იხ. ასევე, *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 29, 2223.

[309] "Valuta" (Latein/italienisch) = Wert, Gegenwert, "Valuta" (ლათინურად/იტალიურად) ნიშნავს: მნიშვნელობას, ღირებულებას, ფასეულობას, იხ., *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, სქოლიო 21, 8.

[310] "Wertbewegung".

[311] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 21, 14.

[312] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 21, 8; იხ. ასევე, *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 1-2, 478.

[313] "Zuwendungsverhältnis", იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 87; ტერმინი "Zuwendungsverhältnis" გამოყენებულია ასევე შემდეგ წყაროებში: *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 29, 2223; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 224; *Hirsch Ch.,* Schuldrecht AT, 10. Aufl., Saarbrücken, 2017, Rn. 1091, 438.

[314] "Eine indirekte Leistung".

[315] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 21, 14.

[316] იხ. იქვე.

[317] ,,Zuwendung (F.) 1.სუბვენცია (ბიუჯეტიდან); 2. შეწირულობა, ფულადი დახმარება; 3. საჩუქარი", *გაბრიჩიძე გ., კალანდაძე ლ., მანჯგალაძე მ., მიგრიაული რ., ხუჭუა ნ., პაპუაშვილი შ.* (რედ.), *ფხაკაძე ქ.* (რედ.), *ჩაჩანიძე ე.* (რედ.), იურიდიული ლექსიკონი, გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული, თბილისი, 2012, 310.

მესამე პირს შორის არსებული ურთიერთობის სავალუტო ურთიერთობად აღნიშვნას.[318]

მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებაში და მის ნამდვილობაში, ასევე მესამე პირის მიერ მოთხოვნის უფლების შეძენისათვის, ზოგადად, სავალუტო ურთიერთობის ნამდვილობა როლს არ ასრულებს,[319] რადგან პროპორციული ურთიერთობა და სავალუტო ურთიერთობა სამართლებრივად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.[320] ამიტომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხს მხოლოდ პროპორციული ურთიერთობა განსაზღვრავს.[321] მაშასადამე, შემპირებლის ვალდებულებას მესამე პირისათვის შესრულებაზე არ ეხება სავალუტო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლის ნაკლი.[322] აღნიშნული იმითაა განპირობებული, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენის საფუძველი მხოლოდ პროპორციული ურთიერთობაა.

მართალია, შემპირებელს მესამე პირის მიმართ თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლად არ შეუძლია მიუთითოს სავალუტო ურთიერთობის ნაკლზე, მაგრამ თუ სახეზე არ არის ნამდვილი სავალუტო ურთიერთობა, მაგალითად, ფორმის ნაკლის გამო, შეპირების მიმღებს შეუძლია მესამე პირისაგან უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად მოითხოვოს მიღებულის უკან დაბრუნება,[323] (სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი, გსკ-ის § 812-ის პირველი ნაწილი) რადგან ამ შემთხვევაში მესამე პირს მიღებული ექნება შესრულება, რომლისთვისაც რეალურად სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.[324]

---

[318] იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 21, 14.

[319] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 209; *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1173, 360.

[320] *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 29, 2223; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 18, 63; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Mankowski P.,*Verbrauchervertrag und Vertrag zu Gunsten Dritter, VuR, 17. Jahrg., 2002, 270; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 521; შეად. *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1632 ff., 402.

[321] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1173, 360.

[322] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 8, 1697; იხ. ასევე, *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, Stuttgart, 2015, §328, Rn. 18, 63.

[323] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1173, 360; *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1231; *Wolf Ch.,* Drittleistung und Leistungsmittlung, Diss., Berlin, 1995, 44.

[324] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1173, 360.

მიუხედავად იმისა, რომ პროპორციული და სავალუტო ურთიერთობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ სავალუტო ურთიერთობასა და პროპორციულ ურთიერთობას (მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებას) შორის არსებობდეს სამართლებრივი კავშირი იმ გზით, რომ სავალუტო ურთიერთობის არსებობა მესამე პირის სასარგებლოდ გარიგების გადადების ან გაუქმების პირობად დათქვან.[325] (სსკ-ის 96-ე, 97-ე მუხლები, გსკ-ის § 158) მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ თუ შეპირების მიმღებს მესამე პირის მიმართ ვალდებულება არ ექნება შესასრულებელი, პროპორციული ურთიერთობა შეწყდეს.

ამრიგად, სავალუტო ურთიერთობა განსაზღვრავს, თუ რატომ ხდება მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება. მაგრამ სავალუტო ურთიერთობა არ არის განმსაზღვრელი მესამე პირის უფლებების წარმოშობისათვის თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან. სავალუტო ურთიერთობა არის მიზეზი მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების, ხოლო სამართლებრივი საფუძველი მესამე პირის უფლებების წარმოშობისათვის უშუალოდ პროპორციული ურთიერთობაა.

სავალუტო ურთიერთობაში შეპირების მიმღების ან მესამე პირის ნების გამოვლენის შედეგები მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე პირდაპირ არ აისახება.

სავალუტო ურთიერთობის ნამდვილობის საკითხი გავლენას არ ახდენს პროპორციულ ურთიერთობაზე იმ მხრივ, რომ მოვალეს არ შეუძლია მიუთითოს სავალუტო ურთიერთობის ნაკლზე თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლად. მაგრამ სავალუტო ურთიერთობის ნაკლი შეპირების მიმღებისათვის არის იმის საფუძველი, მოითხოვოს მესამე პირისაგან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულის დაბრუნება. აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში კი, ცხადია, საბოლოოდ, სავალუტო ურთიერთობის ნაკლი გავლენას იქონიებს მესამე პირის მიერ მიღებული შესრულების ან შეძენილი უფლების შენარჩუნებაზე. მაშასადამე, პროპორციული ურთიერთობის საფუძველზე

[325] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 19, 64; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 14., neu bearb. Aufl., München, 2016, Rn. 1138, 411.

ხდება მესამე პირის მიერ შესრულების მიღება ან/და შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენა, ხოლო რამდენად არსებობს მესამე პირის მიერ მათი შენარჩუნებს საფუძველი, ამას სავალუტო ურთიერთობა განსაზღვრავს.

სავალუტო ურთიერთობისა და პროპორციული ურთიერთობის ურთიერთდამოუკიდებლობა გულისხმობს იმას, რომ იმ საკითხს, თუ რა ურთიერთობა არსებობს შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის, ე.ი. თუ რა მიზეზით ხდება მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება, ამ უკანასკნელის ნამდვილობისა და შესრულებისათვის მნიშვნელობა არ აქვს და ასევე იმას, რომ ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე პირებს შორის არსებული ურთიერთობების გამიჯვნის გზით მათი უფლება-მოვალეობებია ერთმანეთისაგან გამიჯნული. მოვალეს თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლად იმიტომ არ შეუძლია მიუთითოს სავალუტო ურთიერთობის ნაკლზე, რომ ეს ურთიერთობა შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის არსებულია, ხოლო ის პროპორციული ურთიერთობის საფუძველზეა მესამე პირის წინაშე შესრულებაზე ვალდებული.

4. შემპირებელსა და მესამე პირს შორის „შესრულების ურთიერთობის“ თავისებურება

პროპორციული ურთიერთობის საფუძველზე მოვალესა (შემპირებელს) და მესამე პირს შორის წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც „შესრულების ურთიერთობას“[326] უწოდებენ.[327] გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი მას მოიხსენიებს ასევე, როგორც „(პირდაპირი) შესრულების

[326]“Vollzugsverhältnis“, ავსტრიულ იურიდიულ დოქტრინაში ამ ურთიერთობის აღსანიშნავად გამოყენებულია იგივე შინაარსობრივი დატვირთვის მქონე ტერმინი “Das Einlösungsverhältnis“, იხ. *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 25.

[327] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2223; *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 6, 233; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 19, 13; იხ. ასევე, *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 9, 1697; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Vogt A.,* Verträge zu Rechten Dritter, insbesondere auf den Todesfall, mit einem englischen Versprechensempfänger, Diss., Berlin, 1999, 29; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 203, 93.

ურთიერთობა“,[328] ,,(პირდაპირი) გადაცემის ურთიერთობა“,[329] ,,მესამე პირის ურთიერთობა“,[330] ან, უბრალოდ, დასახელების გარეშე ტოვებენ[331].[332]

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მოვალესა და მესამე პირს შორის არსებული ურთიერთობის აღსანიშნავად გამოყენებული იქნეს ,,შესრულების ურთიერთობა“[333], ვინაიდან მოვალე პირდაპირ შესრულებას მესამე პირისათვის სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებს.[334] გასათვალისწინებელია ისიც, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიზანი მესამე პირის მიმართ შესრულების განხორციელებაა. ამიტომ გასაზიარებელია ის მოსაზრება, რომლის შესაბამისად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების რეალიზება ამ ურთიერთობაში ხორციელდება.[335]

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიმართ იმავდროულად არის პროპორციულ ურთიერთობაში ვალდებულების შესრულება, როგორც კრედიტორის მიმართ და ასევე სავალუტო ურთიერთობაში კრედიტორის (შეპირების მიმღების) მიერ არაპირდაპირი შესრულება მესამე პირის მიმართ.[336] ე.ი. მოვალის მიერ მესამე პირის მიმართ ვალდებულების შესრულებით იმავდროულად სავალუტო ურთიერთობაში მესამე პირის მიმართ ხორციელდება არაპირდაპირი შესრულება.[337]

იქიდან გამომდინარე, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან, საკუთარი მოქმედების გარეშე ხდება

---

[328] “Direktes Leistungsverhältnis“, *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 22, 8.

[329] “Direktes Zuwendungssverhältnis“, იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 209.

[330] “Drittverhältnis“, *Jauernig O., Stadler A.,* BGB, Kommentar, 15. Aufl., München, 2014, Rn. 11, 476; *Westermann P.,* BGB-Schuldrecht AT, 8., neu bearb. Aufl., Heidelberg, 2013, Rn. 15/9, 303; *Bischof F., Luise R.,* Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, ZJS, 5/2018, 422, <www.zjs-online.com>, [16.01.2020].

[331] იხ. *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 13, 381; *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 20., neu bearb. Aufl., München, 2012, Rn. 809, 411.

[332] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2223; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 22, 8.

[333] *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 6, 233; *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 86.

[334] შეად. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 20, 13, 14.

[335] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8.

[336] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 29, 2223.

[337] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 20, 13, 14; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 2-3, 479.

შესრულების მოთხოვნის კრედიტორი, მესამე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, მაგრამ თვითონ ამისათვის საპასუხო ვალდებულება არ უნდა შეასრულოს.[338]

მოვალესა და მესამე პირს შორის ურთიერთობის ფარგლები იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელი სახის ხელშეკრულებაა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული.

მესამე პირსა და შემპირებელს შორის ურთიერთობა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მოვალის მიერ შეპირების მიმღების წინაშე ნაკისრი ვალდებულების მესამე პირის მიმართ შესრულებით შემოიფარგლება.[339] მაგრამ, ცხადია, გულისხმიერების ვალდებულება ორივე მათგანს მაინც აკისრია.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირსა და მოვალეს შორის ურთიერთობა, პირველ რიგში, გამოიხატება პროპორციულ ურთიერთობაში შეთანხმებული შესრულების მოვალისაგან მესამე პირის მოთხოვნის უფლებაში.[340] მაშასადამე, მესამე პირის ნებაა განმსაზღვრელი იმისათვის, შემპირებელი მის მიმართ განახორციელებს თუ არა შესრულებას. თუ მესამე პირი საკუთარი ნების ავტონომიის ფარგლებში უარს იტყვის მისთვის გათვალისწინებულ შესრულებაზე,[341] ამ ურთიერთობაში შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული მესამე პირის მისამართით ვეღარ განხორციელდება.

როდესაც მესამე პირს შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება აქვს მინიჭებული და იმავდროულად შეპირების მიმღებსაც შეუძლია მოვალისაგან მესამე პირისათვის შესრულების მოთხოვნა, ასეთ შემთხვევაში, როგორც მესამე პირის, ასევე შეპირების მიმღების მოთხოვნა მიმართულია ერთი მიზნისაკენ - განხორციელდეს შესრულება მესამე პირისათვის.[342] მაგრამ საქმე ეხება ორი სხვადასხვა ,,კრედიტორის“

---

[338] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2223.

[339] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 19, 20, 13; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 9, 1697.

[340] იქვე.

[341] აღნიშნული საკითხი განხილულია წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავში.

[342] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 9, 1697; *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003,160.

უფლებას განსხვავებული შინაარსით.[343] ე.ი. მესამე პირი თავის სასარგებლოდ ითხოვს მოვალისაგან შესრულებას, ხოლო შეპირების მიმღები - მესამე პირის სასარგებლოდ. ამიტომ აქ მესამე პირი და შეპირების მიმღები არ არიან სოლიდარული კრედიტორები.[344] არც სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა წარმოიშობა.[345] აღნიშნული განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, სადაც ორი ან მეტი შეპირების მიმღებია ხელშეკრულების მხარე, ან ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლება ორ ან მეტ მესამე პირს ენიჭება და თითოეულ მხარეზე სოლიდარული უფლებამოსილება წარმოიშობა. ე.ი. ის შემთხვევა, როდესაც შეპირების მიმღები მესამე პირის სასარგებლოდ ითხოვს ვალდებულების შესრულებას და მესამე პირსაც აქვს მოთხოვნის უფლება, არ ნიშნავს, რომ მესამე პირი და შეპირების მიმღები სოლიდარული კრედიტორები არიან, რადგან შესრულება უნდა განხორციელდეს არა მოვალის სურვილისამებრ შეპირების მიმღების ან მესამე პირის წინაშე (როგორც ეს სოლიდარული კრედიტორების შემთხვევაშია შესაძლებელი - მოვალეს შეუძლია თავისი სურვილისამებრ ვალდებულება შეასრულოს ნებისმიერი კრედიტორის წინაშე (სსკ-ის 457-ე მუხლი), არამედ მესამე პირის წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირი იძენს მოვალისაგან შესრულების მოთხოვნის უფლებას, ან იღებს შესრულებას, მოვალესა და მესამე პირს შორის არ წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობა. რადგან მესამე პირი არ ხდება ხელშეკრულების მხარე.[346] მაგრამ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმაზე, რომ მართალია, მოვალესა და მესამე პირს შორის ურთიერთობა არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობა,[347] მაგრამ ის ,,ხელშეკრულების მსგავსი"[348]

---

[343] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 9, 1697.

[344] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 223; *Bischof F., Luise R.,* Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, ZJS, 5/2018, 423, <www.zjs-online.com>, [16.01.2020]; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 661; შეად. BGB-Schuldrecht AT, 8., neu bearb. Aufl., Heidelberg, 2013, Rn. 15/9, 303, სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის წარმოიშობა სოლიდარული უფლებამოსილების (სოლიდარული კრედიტორები) სპეციალური შემთხვევა განსხვავებული მოთხოვნის უფლებებით; ასევე შეად. *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 817, სქოლიო 45; *ვაშაკიძე გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 316, ველი 6, 18.

[345] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 661.

[346] BGH, Urteil vom 8. 2. 2006 - IV ZR 205/04 (OLG Celle), NJW 2006, 1434 (1437); BGH, Beschluß vom 10-02-1993 - XII ZB 80/88 (Kobelnz), NJW-RR 1993, 770; *Hallebeek J., Dondorp H.,* Contracts for a Third-Party Beneficiary, Leiden, Boston, 2008, 134.

[347] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2224, NJW 1970, 2157 მითითებულია იქვე; BGH, Urteil vom 22. 9. 2005 - III ZR 295/04 (OLG Schleswig), NJW 2005, 3778;

,,ნდობაზე დაფუძნებული“[349] ურთიერთობაა,[350] საიდანაც ორმხრივი ,,გულისხმიერების ვალდებულება“[351], ,,დაცვის ვალდებულება“[352] (გსკ-ის § 241 II, სსკ-ის 316 II) წარმოიშობა.[353] აღნიშნული მესამე პირს თავისი სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე აკისრებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც თითოეულ კრედიტორს თავისი უფლების განხორციელებისას დამატებით ეკისრება სახელშეკრულებო ურთიერთობაში.[354]

IV. მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის არსი მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში

მესამე პირს თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ამ ხელშეკრულების კლასიფიკაციის მიხედვით, შესაძლებელია ორი სახის სამართლებრივი პოზიცია გააჩნდეს. ხელშეკრულებაში, სადაც მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ აქვს, მესამე პირი მხოლოდ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილების მქონე პირია, ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების მქონეა.

Westermann P., BGB-Schuldrecht AT, 8., neu bearb. Aufl., Heidelberg, 2013, Rn. 15/9, 303; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 22, 8; *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 26.

348 “Vertragsähnlich“, იხ. BGH, Urteil vom 22. 9. 2005 - III ZR 295/04 (OLG Schleswig), NJW 2005, 3778; იხ. ასევე, BGH, Urteil vom 29. 4. 1953 - VI ZR 63/52 (Frankfurt), NJW 1953, 977; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 17, 13; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 16. Aufl., Düsseldorf, 2018, Rn. 14, 419; *Bischof F., Luise R.,* Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, ZJS, 5/2018, 422, <www.zjs-online.com>, [16.01.2020].

349 “Vertrauensverhältnis“.

350 *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2223; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 9, 1697; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, Kommentar, 15. Aufl., München, 2014, Rn. 11, 476.

351 “Sorgfaltspflichten“.

352 “Schutzpflichten“.

353 *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §328, Rn. 11, 556; *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., Stuttgart, 2015, Rn. 1175, 360; *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 855, 386; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, Rn. 1139, 405; იხ. ასევე, *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 22, 8; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; BGH, Urteil vom 22. 9. 2005 - III ZR 295/04 (OLG Schleswig), NJW 2005, 3778; BGH, Urteil vom 29. 4. 1953 - VI ZR 63/52 (Frankfurt), NJW 1953, 977.

354 *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2223; BGH, Urteil vom 22. 9. 2005 - III ZR 295/04 (OLG Schleswig), NJW 2005, 3778; BGH, Urteil vom 29. 4. 1953 - VI ZR 63/52 (Frankfurt), NJW 1953, 977.

აქვე ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმაზე, რომ მესამე პირის უფლებაზე (შესრულების მოთხოვნის უფლება) საუბარი შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში. რადგან მხოლოდ ამ სახის ხელშეკრულებაში ანიჭებენ მხარეები მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლებას. რაც შეეხება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას, რადგან აქ მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია და მხოლოდ შესრულების მიმღებ პირადაა განსაზღვრული, მის ამ სტატუსს ვერ ეწოდება ,,უფლება", უფლების ცნებიდან გამომდინარე. ვინაიდან უფლება მოთხოვნის ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.[355] ზოგიერთი უფლების ,,აღსანიშნავად სამოქალაქო კოდექსი იყენებს მოთხოვნის ცნებას".[356] მოთხოვნის არსებობის წინაპირობად განიხილება უფლების არსებობა.[357] რადგან მხარეები ამ სახის ხელშეკრულებაში მესამე პირს არ ანიჭებენ შესრულების მოთხოვნის უფლებას, მას არც მოთხოვნის რეალიზების სამართლებრივი საფუძველი ექნება. აქედან გამომდინარე, მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში აქვს მხოლოდ და მხოლოდ შესრულების მიღების კომპეტენცია, შესრულების მიღების (და არა მოთხოვნის) უფლებამოსილება. სწორედ ამიტომ, ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ,,ხელშეკრულებით შეძენილი უფლება"/ ,,მესამე პირის უფლება", ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში - ,,შესრულების მიღების უფლებამოსილება".

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის დადგენა უმნიშვნელოვანესი საკითხია, ხელშეკრულებიდან მესამე პირის უფლებების წარმოშობისათვის. სწორედ მხარეთა მიერ მესამე პირისათვის მინიჭებული სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრავს

---

[355] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 77.

[356] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 99; იხ. *ჩიტოშვილი თ.,* ვალდებულებით-სამართლებრივი და სანივთო-სამართლებრივი უფლებების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება" №1, 2007, 47.

[357] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 77.

მესამე პირის უფლებამოსილებისა თუ მისი ნების გამოვლენის ფარგლებს. სირთულეს წარმოშობს ის, რომ მხარეები, ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულებით პირდაპირ არ ითვალისწინებენ მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობის საკითხს. რაც საჭიროს ხდის ხელშეკრულების განმარტებას მისი არსისა და მიზნის განსაზღვრის საფუძველზე.

ის, რომ მხარეთა ნება საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურებით არ აიხსნება,[358] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტება ხორციელდება ზოგადად ხელშეკრულების განმარტების[359] მიმართ მოქმედი წესების შესაბამისად.

განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც კონკრეტულ შემთხვევას ახასიათებს.[360]

სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, კანონმდებელი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დიდ თავისუფლებას უტოვებს.[361] ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში არ არის სპეციალური დათქმა, სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეფასების საგანია, მესამე პირისათვის როგორც უფლების წარმოშობის, ისე მისი შეცვლის ან გაუქმების დადგენა.[362]

განმარტების გზით უნდა დადგინდეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 350-ე მუხლის პირველ ნაწილში, კერძოდ: უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა; ეს უფლება მას მაშინვე წარმოეშობა, თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას; ხელშეკრულების მხარეები

---

[358] *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 136.

[359] ხელშეკრულების განმარტების შესახებ დაწვრილებით იხ. *ზოიძე ბ., ბურდული ი.,* თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2018, 18 და მომდევნო.

[360] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მნიშვნელოვანი განმარტება №ას-1144-1090-2014 საქმეზე; იხ. ასევე, *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 33, 2224.

[361] იხ. მსჯელობა გსკ-ის §328-სთან დაკავშირებით, *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 134.

[362] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივლისის №ას-796-850-2011 გადაწყვეტილება.

უფლებამოსილნი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე. აღნიშნული საკითხების განმარტების საჭიროება ხდება მაშინ, როდესაც მხარეებმა ისინი ხელშეკრულებაში მოწესრიგების გარეშე დატოვეს, ან - ბუნდოვანია.

იმისათვის, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში სწორად განხორციელდეს განმარტება იმ საკითხებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია ხელშეკრულებიდან მესამე პირის უფლების წარმოშობისათვის, ასევე მესამე პირის სამართლებრივ პოზიციაზე მხარეთა მიერ ზემოქმედების თვალსაზრისით, აუცილებელია განხილული იქნეს თითოეული მათგანის თავისებურება და ნაჩვენები იქნეს დოქტრინაში და სასამართლო პრაქტიკაში არსებული მიდგომები.

1. მესამე პირის მიერ უფლების შეძენის თავისებურება

იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან მესამე პირის მიერ უფლების შეძენის წესთან დაკავშირებით. კერძოდ, იმ საკითხზე, მესამე პირის მიერ უფლების შეძენა უშუალოდ ხორციელდება პირველადი (ორიგინალური[363]) წესით, თუ ნაწარმოებია[364] (დერივატიული[365]).[366] აქვე უნდა აღინიშნოს, მართალია, სამოქალაქო სამართალში უფლების პირველად წარმოშობას ის თავისებურება ახასიათებს, რომ უფლება შემძენთან „აღმოცენდება ისე, რომ მას საფუძვლად არ უდევს გარიგება“,[367] მაგრამ როდესაც საუბარია უფლების პირველად შეძენაზე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მესამე პირის მიერ უფლების პირველადი შეძენა იმ დატვირთვას ატარებს, მესამე პირი ხელშეკრულებიდან

---

[363] “Originär“.

[364] “Derivativ“.

[365] *ჯანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 102.

[366] იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 276-277; *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, 262 ff.; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 3, 674, 675; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 16, 2289; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, Vorbem zu §328, Rn. 30, 20, 21; *Elfring C. M.,* Drittwirkungen der Lebensversicherung, Diss., Karlsruhe, 2003, 10-11; *Vogenauer S., Kleinheisterkamp J.,* Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford, 2008, 2.

[367] *ჯანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 102.

პირდაპირ თვითონ (შეპირების მიმღების მიერ შუალედური[368] შეძენის გარეშე) იძენს უფლებას (პირველადი შეძენა), თუ ამ უფლებას ჯერ შეპირების მიმღები იძენს და შემდეგ გადასცემს მესამე პირს (ნაწარმოები (დერივატიული)) შეძენა. ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დადგინდეს მესამე პირის მიერ უფლების შეძენისათვის საჭიროა მესამე პირის ნების გამოვლენა, თუ მესამე პირს ხელშეკრულებიდან საკუთარი ნებისა და მოქმედების გარეშე („ავტომატურად“[369]) წარმოეშობა უფლება.

მესამე პირის მიერ უფლების ორიგინალური თუ ნაწარმოები წესით შეძენასთან მიმართებით მნიშვნელოვანია განხილული იქნეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ე.წ. „საწყისი, თავდაპირველი“[370] და „შემდგომი“[371] ხელშეკრულებები, რომლებიც ასეთად იწოდება იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში.[372] „თავდაპირველადვე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად“ (ე.წ. „საწყის ხელშეკრულებად“) გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ისეთი შემთხვევა, როდესაც მხარეები ხელშეკრულების დადებისთანავე თანხმდებიან ხელშეკრულებაში მესამე პირის უფლების შესახებ;[373] ხოლო მესამე „პირის სასარგებლოდ დადებულ შემდგომ ხელშეკრულებად“ - ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულებაში მესამე პირის უფლება გათვალისწინებული არ იყო და შემდგომში ხორციელდება მისი განსაზღვრა.[374] მაშასადამე, ეს უკანასკნელი ისეთი შემთხვევაა, როდესაც ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ არ ყოფილა დადებული და შემდგომში ხდება მისი გარდაქმნა მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ცვლილების საფუძველზე,[375] ვინაიდან ეს ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილებაა და ორივე მხარის თანხმობას საჭიროებს; მაგრამ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია ხელშეკრულებაში

---

[368] “Zwischenerwerb“, *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 212, 276-277.

[369] *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 254.

[370] “Anfänglicher Vertrag zugunsten Dritter“, *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 211; *Elfring C. M.,* Drittwirkungen der Lebensversicherung, Diss., Karlsruhe, 2003, 24-30.

[371] “Nachträglicher Vertrag zugunsten Dritter“, იქვე.

[372] იხ. იქვე; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 252, 253; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, Vorbem zu §328, Rn. 30, 20, 21.

[373] იქვე.

[374] იქვე.

[375] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 211.

შეპირების მიმღების ცალმხრივ უფლებად იყოს განსაზღვრული, რომ მას შეუძლია შემდგომში მესამე პირი დაასახელოს სარგებლის მიმღებად.[376] როდესაც მესამე პირის უფლება ხელშეკრულებაში თავდაპირველადვე განსაზღვრულია (ან გამომდინარეობს ხელშეკრულების მიზნიდან), ამ შემთხვევაში დაუსაბუთებელია მესამე პირის მიერ უფლების ნაწარმოებ შეძენაზე საუბარი. ასეთ დროს მესამე პირის მიერ უფლების შეძენა პირველადია (ორიგინალურია). მესამე ,,პირის სასარგებლოდ დადებული შემდგომი ხელშეკრულების" შემთხვევაში კი ზოგიერთი მეცნიერის მიერ მიჩნეულია, რომ მესამე პირი უფლებას ნაწარმოები წესით იძენს.[377] მართალია, თუ ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ არ იყო დადებული და შემდგომში ხდება მესამე პირის სასარგებლოდ შეთანხმება, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლება მანამდე ეკუთვნოდა შეპირების მიმღებს, როგორც სუბიექტს, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენა ნაწარმოები წესით ხორციელდება და ამ უფლებას მესამე პირი შეპირების მიმღებისაგან იძენს; ვინაიდან ასეთ დროს საქმე ეხება ხელშეკრულების მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად გარდაქმნას და მესამე პირი შეპირების მიმღებისაგან მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე კი არ იძენს უფლებას, არამედ პირდაპირ მის სასარგებლოდ შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის დადებული (გარდაქმნილი) ხელშეკრულებიდან. რაც შეეხება შეპირების მიმღების უფლებამოსილებას შემდგომში ცალმხრივად დაასახელოს მესამე პირი სარგებლის მიმღებად, ასეთ დროსაც შეპირების მიმღების მიერ მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობა კი არ ხორციელდება, არამედ იმთავითვე ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, რომ შეპირების მიმღებმა მოსარგებლედ შეიძლება დაასახელოს მესამე პირი. მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ როგორც ე.წ. ,,საწყის, თავდაპირველ", ასევე ,,შემდგომ" მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის განსაზღვრას, მესამე პირის მიერ უფლების შეძენას, საფუძვლად უდევს მხოლოდ შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის არსებული შეთანხმება.[378]

---

[376] იქვე.

[377] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 278; შეად. *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 3, 469; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, Vorbem zu §328, Rn. 30, 20; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 3, 674, 675.

[378] *Dauner-Lieb B., Preuß N.,* NK-BGB, Baden-Baden, 2016, §328, Rn. 10, 1264.

მესამე პირის მიერ უფლების შეძენისათვის შეპირების მიმღებისა და მესამე პირს შორის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადება რომ არ არის კანონმდებლის მიზანი იქიდანაც გამომდინარეობს, რომ მესამე პირს კანონმდებელი უფლებას ანიჭებს უარი თქვას ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მისი ეს უფლება კი სწორედ იმის გამოა უზრუნველყოფილი, რომ მესამე პირს საკუთარი მოქმედებისა და ნების გამოვლენის გარეშე (გარდა სიცოცხლის/უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებისა, სადაც მესამე პირის თანხმობაა საჭირო) ენიჭება ხელშეკრულებიდან უფლება.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენა ხდება პირდაპირ შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მესამე პირი იძენს საკუთარ, დამოუკიდებელ მოთხოვნის უფლებას შეთანხმებულ შესრულებაზე.[379] ამ უფლების განხორციელება მესამე პირს საკუთარი სახელით შეუძლია.[380]

გსკ-ის 328-ე პარაგრაფის თანახმად, მესამე პირის მიერ შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენა ხდება ,,უშუალოდ"[381].

სსკ, როგორც უკვე ზემოთაც იქნა აღნიშნული, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში არ უთითებს მესამე პირის მიერ მოთხოვნის უფლების ,,უშუალოდ" შეძენაზე.

მესამე პირის მიერ უფლების ,,უშუალოდ" შეძენას ითვალისწინებს ასევე ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსი (§881-ის მეორე ნაწილი)[382] და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (1121-ე მუხლი).[383] შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი (ვალდებულებითი სამართლის 112-ე მუხლის მეორე ნაწილი) მესამე პირის მიერ შესრულების დამოუკიდებლად მოთხოვნის უფლებაზე მიუთითებს.[384]

---

[379] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 16, 1699.

[380] *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 247.

[381] "Unmittelbar".

[382] ABGB, (§881 (2), (... der Dritte unmittelbar das Recht erwirbt,...), <https://www.jusline.at/gesetz/abgb/paragraf/881>, [12.01.2020].

[383] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 219.

[384] OR, Art. 112 (2), (Der Dritte oder sein Rechtsnachfolger kann selbständig die Erfüllung fordern,..) <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/19110009/index.html>, [12.01.2020].

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში, ასევე ინგლისურ დოქტრინაში,[385] ავსტრიულ სამეცნიერო ლიტერატურასა[386] და ,,უნიდროას პრინციპებთან" მიმართებით,[387] საუბარია მესამე პირის მიერ უფლების ,,ორიგინალური"[388] (პირველადი), ,,უშუალო" შეძენის შესახებ.[389] ამასთანავე, გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრება,[390] რომლის მომხრეებიც მიიჩნევენ, რომ მოთხოვნის შეძენა პირდაპირ მესამე პირის მიერ (,,ორიგინალური" შეძენა) კი არ ხდება, არამედ მოთხოვნის უფლებას ჯერ შეპირების მიმღები იძენს და შემდგომ გადასცემს მესამე პირს (ნაწარმოები შეძენა).[391] მაგრამ ეს უკანასკნელი პოზიცია არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსი სწორედ ის არის, რომ უფლება პირდაპირ მესამე პირს წარმოეშობა. თუკი მესამე პირისათვის მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის საჭირო გახდებოდა უფლების ჯერ შეპირების მიმღების მიერ შეძენა და შემდგომ მისი მესამე პირისთვის გადაცემა, მაშინ მხარეები ურთიერთობას მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძელზედაც მოაწესრიგებდნენ და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების უპირატესობას - მხარეებმა მარტივად, ერთი ხელშეკრულების საფუძველზე მიაღწიონ დასახულ მიზანს - საფუძველი ეცლება.

---

[385] *Schwartz A., Scott R. E.,* Third Party Beneficiaries and Contractual Networks, Journal of Legal Analysis, 2015, 334, <https://doi.org/10.1093/jla/lav006>, [26.12.2019], (..."on the doctrinal grounds that the beneficiary's rights are direct and not derivative.").

[386] *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 26.

[387] *Vogenauer S., Kleinheisterkamp J.,* Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford, 2008, 22.

[388] "Originär".

[389] იხ. *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1201, 505; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 2217; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 63, 78; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 19, 20*; Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 291, 73; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 813, 816, 817; *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230; *Zweigert K., Kötz H.,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neu bearb. Aufl., Tübingen, 1996, 457; იხ. ასევე, *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 131, 132; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 248, 250; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 2-3, 468; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 9; *Kaduk H., Canaris C.,* Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983, 303; OLG München, Urteil vom 9. 11. 1999 - 25 U 3831/99, NJW 2000, 1423.

[390] "Theorie des derivative Forderungserwerbs".

[391] იხ. *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 311 ff., 77; *Hallebeek J., Dondorp H.,* Contracts for a Third-Party Beneficiary, Leiden, Boston, 2008, 135.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ასევე მესამე პირის მიერ უფლების შეძენის წესზე იმ შემთხვევისათვის, როდესაც მესამე პირმა უფლება პირველად ,,შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ“[392] უნდა შეიძინოს. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, მესამე პირის მიერ უფლების შეძენა ამ შემთხვევაშიც პირველადი (,,ორიგინალური“) წესით ხორციელდება.[393] საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად კი, ასეთ დროს მესამე პირის მიერ უფლების შეძენა ნაწარმოებია.[394] მართალია, შეპირების მიმღების გარდაცვალებამდე უფლება არ არის სუბიექტის გარეშე, ეს უფლება ეკუთვნის შეპირების მიმღებს,[395] ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც არ იცნობს სუბიექტის გარეშე უფლების ცნებას“[396], მაგრამ არც ამ შემთხვევაში უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება მესამე პირის მიერ უფლების ნაწარმოები გზით შეძენის შესახებ. ასეთ დროს უნდა ითქვას, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენა გადავადებულია განსაზღვრულ დრომდე (შეპირების მიმღების გარდაცვალებამდე). ამ შემთხვევაში მესამე პირის უფლება შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ პირდაპირ წარმოიშობა შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის ამ უკანასკნელის სიცოცხლის განმავლობაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან. უფლების ნაწარმოები გზით შეძენა საფუძველს აცლის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ეკონომიკურ დანიშნულებას,[397] ვინაიდან, ასეთ დროს, გარდა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისა, საჭირო გახდება შეპირების მიმღების მიერ მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობა, რაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიზანსა და არსს ეწინააღმდეგება.

მესამე პირის მიერ მოთხოვნის უფლების ,,უშუალოდ“ შეძენა ნიშნავს იმას, რომ შემპირებლისაგან მოთხოვნის უფლება თავდაპირველადვე მესამე პირს (,,მესამე

---

[392] “Vertrag zugunsten Dritter auf den Todesfall“.

[393] *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 3, 674, 675; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 16, 2289.

[394] *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, 810; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 281.

[395] *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §331, Rn. 1, 759.

[396] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 102.

[397] *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 3, 675.

პირის პიროვნებაში“[398]) წარმოეშობა,[399] უფლების შეძენის შეპირების მიმღებზე გადასვლის გარეშე (უფლების შეპირების მიმღების მიერ შეძენის გარეშე).[400] იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სიტყვიდან ,,უშუალოდ“ გამომდინარეობს, რომ მესამე პირის მიერ მოთხოვნის შეძენა ხორციელდება მესამე პირის თანამონაწილეობის და, ხშირ შემთხვევაში, მისი ცოდნის გარეშეც.[401]

მესამე პირის მიერ უფლების ,,უშუალოდ“ შეძენას ის დატვირთვაც აქვს, რომ მესამე პირის მოთხოვნა არ ხვდება შეპირების მიმღების ქონებაში/სამკვიდროში.[402] აღნიშნულითაა განპირობებული, რომ თუ მესამე პირის მოთხოვნის უფლება

---

[398](“In der Person des Dritten“), *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 2217; (...“das Recht unmittelbar in seiner Person entsteht“...), *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 9.

[399](“Der begünstigte Dritte ewirbt durch den echten Vertrag zugunsten Dritter originär einen Anspruch gegen den Versprechenden“), *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 63, 78; (“Der Anspruch entsteht unmittelbar (“Originär“) in der Person des Dritten ohne Durchgangserwerb des Versprechensempfängers“), *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 2217; (“Ohne Transit“), *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 291, 73; (“Unmittelbar, d.h. dass der Gläubiger die Forderung nicht eigens abzutreten braucht“), *Brömmelmeyer Ch.,* Schuldrecht, AT, München, 2014, Rn. 2, 267; (“...ohne einen Durchgangserwerb der zu seinen Gunsten handelnden Vertragspartei“...), *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230; (...“einen unmittelbren d.h. nicht über die Person des Versprechensempfängers gehenden“), *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 9, 10.

[400]*Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 19, 20*; Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 63, 78, NJW 2010, 3232 მითითებულია იქვე; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 2217; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 9, 10; *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 14. Aufl., §331, Rn. 7, 1490; OLG München, Urteil vom 9. 11. 1999 - 25 U 3831/99, NJW 2000, 1423; იხ. ასევე, *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 291, 73; *Elfring C. M.,* Drittwirkungen der Lebensversicherung, Diss., Karlsruhe, 2003, 10.

[401]*Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 20*; იხ. ასევე, Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 219; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 318, 79; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 8; *Brömmelmeyer Ch.,* Schuldrecht, AT, München, 2014, Rn. 2, 267; *Kaduk H., Canaris C.,* Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983, 305, 306; *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 248.

[402] (... “ohne Durchgang durch das Vermögen des Versprechensempfängers“...), OLG München, Urteil vom 9. 11. 1999 - 25 U 3831/99, NJW 2000, 1423; (“weil der Dritte ... sein Recht auf Leistung ,,unmittelbar“ d.h. nicht aus dem Nachlaß des Verstorbenen erwirbt...“), *Zweigert K., Kötz H.,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neu bearb. Aufl., Tübingen, 1996, 457; (... “ohne Durchgang durch das Vermögen des Versprechensempfängers“...), ...(“nicht aus dem Nachlaß“...), *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 248; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 16, 1699; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 14., neu bearb. Aufl., München, 2016, Rn. 1126, 407; შეად. *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, 810.

შეპირების მიმღების გარდაცვალებით უნდა წარმოიშვას, მესამე პირის მოთხოვნა სამკვიდროში არ შედის.[403] მესამე პირი არ არის შეპირების მიმღების მემკვიდრე.[404]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული განმარტებების შესაბამისად, სიტყვაში ,,უშუალოდ" ასევე იგულისხმება, რომ მესამე პირის თანხმობა, შესრულების მიღებაზე თანხმობის შესახებ განცხადება არ მოითხოვება;[405] რომ შეპირების მიმღების მიერ არ ხორციელდება მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობა;[406] რომ მესამე პირის ხელშეკრულებაში მიერთება, ან სხვაგვარი თანამონაწილეობა მესამე პირის მიერ თავისი უფლების შეძენისათვის საჭირო არ არის.[407]

მესამე პირის მიერ უფლების შეძენის პირველადი (,,ორგინალური") წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირმა უფლება თავიდანვე უნდა შეიძინოს, ასევე მაშინ, როდესაც მხარეების მიერ ხელშეკრულების ცვლილების საფუძველზე შემდგომში ხორციელდება მესამე პირის უფლების განსაზღვრა და მაშინაც, თუ მესამე პირის მიერ უფლების შეძენა გადავადებულია, მაგალითად, შეპირების მიმღების გარდაცვალებამდე.[408]

ამიტომ უნდა ითქვას, რომ ძირითადად, მესამე პირის მიერ უფლების შეძენა ხორციელდება ,,საკუთარი მოქმედების გარეშე"[409] ,,ავტომატურად".[410]

---

[403] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 19; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 16, 1699, NJW 1964, 1124 მითითებულია იქვე; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 70, 79; შეად. *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 305, 76.

[404] *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §331, Rn. 7, 1490.

[405] *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §331, Rn. 7, 1490; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1201, 505; *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht I, AT, 21., neu bearb. Aufl., München, 2015, Rn. 858, 388.

[406] *Brömmelmeyer Ch.,* Schuldrecht, AT, München, 2014, Rn. 2, 267; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 249.

[407] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 2217; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 20; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 248; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 2-3, 468; შეად. *Егорова Н.Д., Сергеева А.П.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Часть первая, Издание третье, Москва, 2006, 819.

[408] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 16, 1699; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 3, 674, 675; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 63, 78.

[409] "Unmittelbar - also ohne eigenes Zutun", *Petersen J.,*Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230; იხ. ასევე, *Lorenz W.,* Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JUS, 8. Jahrg., München, 1968, Heft 10, 443.

სწორედ ყოველივე აღნიშნულითაა განპირობებული, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენისათვის მისი ქმედუნარიანობა არ მოითხოვება.[411]

მაშასადამე, ზოგადად მესამე პირის ნების გამოვლენა, მასთან შეპირების მიმღების მიერ უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების დადება, მისი თანხმობა უფლების შეძენის ნამდვილობისათვის საჭირო არ არის. მაგრამ კვლავ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული სსკ-ის 844-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, სხვა პირის სასარგებლოდ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ მესამე პირის მიერ თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან უფლების შეძენა ყოველთვის თავისი თანხმობისა თუ ცოდნის გარეშე არ ხორციელდება. ამრიგად, **მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისათვის მესამე პირის თანხმობა არ მოითხოვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.** აქვე უნდა იქნეს დაკონკრეტებული, რომ მესამე პირის მიერ თანხმობის გამოხატვა არ გულისხმობს სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობას მესამე პირსა და ხელშეკრულების მხარეებს შორის. ეს არც უფლების შეძენის წესზე ახდენს გავლენას. ამ შემთხვევაშიც მესამე პირის მიერ უფლების შეძენა ხორციელდება თვით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან და საჭირო არ არის[412] მესამე პირთან უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადება.

უფლების შეძენით მესამე პირი ხდება მხოლოდ მოთხოვნის კრედიტორი და არა ხელშეკრულების მხარე.[413]

მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისას მხარეები მინიმუმ ვარაუდობენ, რომ მესამე პირი უარს არ იტყვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების შეძენაზე. ამიტომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოთხოვნის შეძენაზე მესამე პირის გამოხატული ან

---

[410](“Automatischer Erwerb“), *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 254; (“Ipso iure“), *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 8.

[411] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 8, 212.

[412] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 2217; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 19, 20.

[413] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 63, 78.

უსიტყვო ,,თანხმობა“ წინასწარ მოიაზრება.[414] მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მესამე პირის მიერ მოთხოვნის უფლების ,,უშუალო“ შეძენა, საეჭვოობის შემთხვევაში, ხორციელდება შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის ხელშეკრულების დადებით, დროის თვალსაზრისით მაშინვე, მესამე პირის მოქმედების გარეშე.[415]

მაშასადამე, მესამე პირის მიერ უფლების ,,უშუალოდ“ შეძენა ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ჯერ შეპირების მიმღები კი არ იძენს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას და შემდგომ ამ უფლებას გადასცემს მესამე პირს, არამედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე პირდაპირ მესამე პირს ენიჭება ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ხელშეკრულების დადებაში მესამე პირის მონაწილეობის გარეშე.

სწორედ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს ზემოთ განვითარებულ მსჯელობაში, სადაც კვლევის შედეგად მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების ახალი რედაქციია შემუშავებული, მესამე პირის მიერ უფლების ,,უშუალოდ“ შეძენის ელემენტის გათვალისწინების მიზანშეწონილობა.

მესამე პირის მიერ უფლების შეძენის წესის გარდა, მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა შემთხვევაში იძენს მესამე პირი ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლებას.

მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელი სახის ხელშეკრულებაა მის სასარგებლოდ დადებული. მესამე პირის უფლებას - მოითხოვოს მოვალისაგან ვალდებულების შესრულება, როგორც წესი, მხარეები ხელშეკრულებით პირდაპირ ითვალისწინებენ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ისინი ამის თაობაზე სპეციალურ დათქმას არ ახორციელებენ, ასეთ დროს სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა.

თუ არ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც სსკ-ის 350-ე მუხლის თანახმად, განაპირობებს მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული

---

[414] იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 19.
[415] იქვე, §328, Rn. 36, 19, 20.

დანაწესის სხვაგვარად განმარტების შესაძლებლობას,[416] მოქმედებს სახელშეკრულებო პირობა.

თუ ხელშეკრულება მესამე პირზე ზრუნვისათვის ან მისი ინტერესებისათვის დაიდო, შესაძლოა ეს პირი ხელშეკრულებიდან უფლებას იძენდეს.[417] მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი სახის ხელშეკრულებიდან მესამე პირს ყოველთვის აქვს შესრულების მოთხოვნის უფლება.

მესამე პირი იძენს თუ არა უფლებას თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სპეციალური შეთანხმების არარსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად უნდა გადაწყდეს.[418] მაშასადამე, მესამე პირის მიერ უფლების შეძენის საკითხი შესაძლებელია ,,ხელშეკრულების შევსებითი განმარტების"[419] მეშვეობით დადგინდეს.[420] ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მიზანს,[421] კერძოდ, იმას ,,თუ რა მიზანს ისახავდნენ მხარეები ხელშეკრულების დადებისას".[422] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრების შესაბამისად, თუ ხელშეკრულების არსიდან გამომდინარეობს, რომ ვალდებულმა პირმა პასუხი უნდა აგოს მესამე პირის წინაშე, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს მესამე პირს მოთხოვნის უფლება.[423]

თუმცა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტების (სსკ-ის მ. 350) საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის პრაქტიკა

---

[416]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის №ას-995-1028-2011 განჩინება.

[417] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 561.

[418] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 224.

[419],,ხელშეკრულების შევსებითი განმარტების" შესახებ დაწვრილებით იხ. *ოსელიანი ნ.,* ხელშეკრულების განმარტება, თბილისი, 2008, 19 და მომდევნო.

[420] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 74. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 561, BGH NJW 1975, 344 მითითებულია იქვე; *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15., Aufl., Köln, 2017, §328, Rn. 10, 1502; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 221; *Sutschet H.,* Der Schutzanspruch zugunsten Dritter, Diss., Berlin, 1999, 17.

[421] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 561, BGH NJW 91, 2209, მითითებულია იქვე.

[422] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 223.

[423]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბერის №3კ/804-01 განჩინება.

არაერთგვაროვანია, კერძოდ, ერთ-ერთი განჩინების[424] ანალიზი ცხადყოფს, ხელშეკრულება შესაძლოა, არ შეიცავდეს პირდაპირ მითითებას, იმის შესახებ, რომ ის მესამე პირის სასარგებლოდაა დადებული, მაგრამ აღნიშნული საქმის გარემოებებიდან გამომდინარეობდეს, ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, სახეზე იყო მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება,[425] ხოლო სხვა შემთხვევაში საკასაციო პალატამ ხელშეკრულება არ ჩაითვალა მესამე პირის სასაგებლოდ დადებულად, რადგან ხელშეკრულებაში მითითებული არ იყო, რომ იგი დაიდო მესამე პირთა სასარგებლოდ და ამ ხელშეკრულების საფუძველზე მესამე პირებმა შეიძინეს რაიმე უფლება. რაც სასამართლოს შეფასებით არ შეესაბამებოდა სსკ-ის 350-ე მუხლის მოთხოვნას.[426] სასამართლოს ეს უკანასკნელი მოსაზრება არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულება შესაძლოა არ ითვალისწინებდეს სპეციალურ დათქმას მესამე პირის სასარგებლოდ, მაგრამ აღნიშნული საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან დგინდებოდეს.

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს განმარტების შესაბამისად, ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეთანხმებული არ იყოს, მაგრამ საქმის გარემოებებიდან გამომდინარეობდეს, რომ ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდაა დადებული.[427] ანალოგიური მიდგომაა აღიარებული გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.[428]

---

[424] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის №ბს-1115-1066(კ-07) განჩინება; იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის №ბს-1072-1022(კ-06) განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის №ას-623-586-2012 გადაწყვეტილება.

[425] ქ. ბათუმის მერიის განკარგულებით კონკრეტულ კომპანიას ეთხოვა ბათუმის შს სამმართველოსათვის განსაზღვრული რაოდენობის საწვავის გამოყოფა. ამასთან, ქ. ბათუმის მერიამ იკისრა ვალდებულება ბათუმის შს სამმართველოსათვის მიწოდებული საწვავის თანხის გადახდის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა"ქვეპუნქტის თანახმად, სახეზეა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება. იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის №ბს-1115-1066(კ-07) განჩინება.

[426] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის №ბს-1259-1064-კ-04 განჩინება.

[427] BGH, Urteil vom 24. 2. 1954 - VI ZR 315/52 (Düsseldorf), NJW 1954, 874; იხ. ასევე, BGH, Urteil vom 29. 11. 1974 - V ZR 73/73 (Frankfurt), NJW 1975, 344 (345).

[428] *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1200, 504; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 814; *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230.

ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული პოზიციის თანახმად, იმის განსასაზღვრად ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდაა დადებული თუ არა, სასამართლოს მიერ ყურადღება ექცევა მხარეთა განზრახვას და საქმის გარემოებებს.[429] მტკიცების ტვირთი აღნიშნული ,,გარემოებების" შესახებ ეკისრება მესამე პირს.[430]

,,ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების", ასევე ,,უნიდროას პრინციპებიდან" გამომდინარეც, მესამე პირისათვის ხელშეკრულებიდან უფლების მინიჭების საკითხი შესაძლებელია დადგინდეს ხელშეკრულების მიზნიდან ან კონკრეტული საქმის გარემოებებიდან.[431] კერძოდ, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 6:110-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესამე პირს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, როდესაც ასეთი უფლება შემპირებელსა[432] და შეპირების მიმღებს[433] შორის ნათლადაა შეთანხმებული, ან როდესაც ასეთი შეთანხმება გამომდინარეობს ხელშეკრულების მიზნიდან ან საქმის გარემოებებიდან.[434]

თუ დადგინდება, რომ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მესამე პირმა არ უნდა შეიძინოს, ეს არ ნიშნავს, რომ ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ არაა დადებული. თუ მესამე პირმა უფლება არ უნდა შეიძინოს და მხარეთა მიზანი მხოლოდ მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაა, მაშინ საქმე შეიძლება ეხებოდეს მესამე პირის

---

[429] *Schwartz A., Scott R. E.,* Third Party Beneficiaries and Contractual Networks, Journal of Legal Analysis, 2015, 333-334, <https://doi.org/10.1093/jla/lav006>, [26.12.2019]; იხ. ასევე, *Koffman L., Macdonald E.,* The Law of Contract, Seventh Edition, Oxford, 2010, 466; *Hallebeek J., Dondorp H.,* Contracts for a Third-Party Beneficiary, Leiden, Boston, 2008, 134; *MacQueen H., Third* Party Rights in Contract: English Reform and Scottish Concerns, Vol 1, 1997, 489, <https://heinonline.org/>, [22.02.2017].

[430] *Schwartz A., Scott R. E.,* Third Party Beneficiaries and Contractual Networks, Journal of Legal Analysis, 2015, 333-334, <https://doi.org/10.1093/jla/lav006>, [26.12.2019].

[431] *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 882, 883; შეად. *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 252.

[432] "Promisor".

[433] "Promisee".

[434] PECL, Article 6:110: Stipulation in Favour of a Third Party
(1) A third party may require performance of a contractual obligation when its right to do so has been expressly agreed upon between the promisor and the promisee, or when such agreement is to be inferred from the purpose of the contract or the circumstances of the case...
<http://www.christiantakoff.com/wp-content/uploads/soft_law/pecl_komplett_EN_DE.pdf>, [14.12.2019]; იხ. ასევე, *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 251, 252.

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე დადებულ ხელშეკრულებას. სწორედ ამიტომ, მესამე პირის მიერ უფლების შეძენის საკითხის განსაზღვრა ნიშნავს იმის დადგენას, ხელშეკრულება დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდაა დადებული თუ არა;[435] ვინაიდან მესამე პირი სწორედ უფლების შემძენი პირია და თუ მან ეს უფლება არ უნდა შეიძინოს, ცხადია, ხელშეკრულება მისთვის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების მინიჭებით არ ყოფილა დადებული.

მესამე პირის უფლების წარმოშობის საკითხთან მიმართებით სხვადასხვა ქვეყნის სამართალში განსხვავებული მოწესრიგება არსებობს. მაგალითად, ნიდერლანდების[436] სამოქალაქო კოდექსის 6:254 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესამე პირი უნდა დაეთანხმოს თავის სასარგებლოდ დათქმას იმისათვის, რომ განხილული იქნეს როგორც ხელშეკრულების მხარე.[437] მესამე პირის მხარედ განხილვა საფუძველს აცლის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსს, ამიტომ ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოწესრიგება ვერ იქნება გაზიარებული.

ევროკავშირის სასამართლოს პრაქტიკაში მესამე პირის თანხმობა არ მოითხოვება იმისათვის, რომ მესამე პირს უფლება მიენიჭოს თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან.[438]

მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულებაზე მისი ნების გავლენის თვალსაზრისით აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია, ძირითად შემთხვევაში

---

[435] *ლეგაშვილი დ.,* დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, 109.

[436] ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის 253-ე და მომდევნო მუხლებით მოწესრიგებულია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება. იმავე კოდექსის 253-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესამე პირის უფლებამოსილების წარმოშობისათვის საჭიროა მესამე პირმა მიიღოს (დაეთანხმოს) თავის სასარგებლოდ არსებული დათქმა. რა გზითაც მესამე პირი ხელშეკრულების მხარედ განიხილება (254-ე მუხლის პირველი ნაწილი), იხ. *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, Vorbem zu §328 ff., Rn. 120, 48; *Lüttringhaus J.,* Vertragsfreiheit und ihre Materialisierung im Europäischen Binnenmarkt, Tübingen, 2018, 300.

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოწესრიგება, რომლის შესაბამისად, მესამე პირი თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მის სასარგებლოდ არსებული დათქმის მიღების შემდეგ ხელშეკრულების მხარედ განიხილება, განხილული უნდა იქნეს, როგორც გამონაკლისი.

საკითხის ასეთი მოწესრიგება არ აირჩია არც ქართულმა და არც გერმანულმა სამართალმა, მათ შორის, არც სხვა ბევრი ქვეყნის სამართალმა (მაგალითად, ავსტრია, შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და ა.შ. იხ. *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, Vorbem zu §328 ff., Rn. 111 ff., 46 ff.

[437] *Lüttringhaus J.,* Vertragsfreiheit und ihre Materialisierung im Europäischen Binnenmarkt, Tübingen, 2018, 300.

[438] იქვე.

ხელშეკრულების დადებით მესამე პირის მიერ უფლება შეძენილად ითვლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მესამე პირი აუცილებლად ისარგებლებს ამ უფლებით. სწორედ მესამე პირის ნებაზეა დამოკიდებული, იქნება თუ არა თანახმა მისთვის მინიჭებული უფლება განახორციელოს. აღნიშნული საკითხი უფრო ვრცლად ნაშრომის მომდევნო თავშია განხილული, ამიტომ აქ მასზე მეტი ყურადღება არ იქნება გამახვილებული.

მესამე პირის მიერ უფლების შეძენის თვალსაზრისით, უფლების ,,უშუალოდ" შეძენა და უფლების შეძენის მომენტი (მაშინვე თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას) მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან,[439] რადგან მესამე პირის მიერ უფლების ,,უშუალოდ" შეძენა არ ნიშნავს იმას, რომ უფლების შეძენა ყოველთვის ხელშეკრულების დადების მომენტისთანავე (,,მაშინვე") ხორციელდება,[440] ვინაიდან უფლების წარმოშობა შესაძლოა გარკვეული წინაპირობების არსებობასთან იყოს დაკავშირებული.

2. მესამე პირისათვის უფლების წარმოშობის მომენტი

სსკ-ში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები არ შეიცავს მითითებას, თუ როდის უნდა შეიძინოს მესამე პირმა უფლება. აღნიშნულზე ხაზგასმა არც ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებსა და უნიდროას პრინციპებშია.[441]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მესამე პირი თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან, უმეტეს შემთხვევაში, უფლებას იძენს ხელშეკრულების დადების მომენტიდან.[442] მაგრამ სსკ-ის 350-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, დასაშვებია, რომ მესამე პირის უფლება ხელშეკრულების დადებისთანავე არ წარმოიშვას და მის წარმოშობას მხარეებმა გარკვეული წინაპირობების არსებობა დაუკავშირონ.[443] მესამე პირისათვის უფლების

---

[439] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 20.

[440] იქვე.

[441] *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 254.

[442] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 225.

[443] იქვე; იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივლისის №ას-796-850-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 03 ოქტომბრის № ას-824-876-2011 განჩინება.

წარმოშობის მომენტის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ მას უკავშირდება მესამე პირის მიერ უფლების განხორციელების შესაძლებლობა.

სსკ არ განსაზღვრავს, თუ რა ჩაითვლება ასეთ წინაპირობად და ის თითოეულ შემთხვევაში საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს. ამიტომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია სწორად იქნეს შეფასებული მესამე პირის მიერ უფლების შეძენის საკითხი.[444] შესაძლოა, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენა გარკვეული ვადის ან პირობის დადგომაზე დამოკიდებული იყოს.[445] მაგალითისთვის, ხელშეკრულების მიზნიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ მესამე პირს უფლების შეძენა არ უნდა შეეძლოს სრულწლოვანების მიღწევამდე, სკოლის/უნივერსიტეტის დამთავრებამდე, დაქორწინებამდე, შეპირების მიმღების გარდაცვალებამდე და ა.შ. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში მესამე პირის უფლების განხორციელების წინაპირობაა სადაზღვევო შემთხვევის დადგომა. ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოსამართლეთა სასარგებლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადაზღვევო მომსახურების შესახებ დადებულ ხელშეკრულებაში, ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების რეალიზების ერთ-ერთ პირობად მიიჩნია, მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნა, ვინაიდან დამზღვევი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან წყვეტდა მის დაზღვევას.[446] მაშასადამე, შესაძლებელია ისიც, რომ მესამე პირს უფლება შეძენილი კი ჰქონდეს, მაგრამ მისი რეალიზებისათვის საჭირო იყოს შესაბამისი წინაპირობის არსებობა. როგორც ეს დასახელებულ საქმეზე მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნაა.

მესამე პირის მიერ უფლების შეძენის წინაპირობა შესაძლოა იყოს ასევე შეპირების მიმღების გარდაცვალება, მაგრამ, რადგან ამ საკითხს ცალკე თავი აქვს დათმობილი წინამდებარე ნაშრომში, ამ ეტაპზე მასზე ყურადღება არ იქნება გამახვილებული.

---

[444] *ლეგაშვილი დ.,* დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი №2, 2016, 109.

[445] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 4, 561, BGH NJW-RR 87, 114, მითითებულია იქვე; *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 225; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 18, 1699.

[446] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 03 ოქტომბრის № ას-824-876-2011 განჩინება.

ის საკითხი, რომ შესაძლოა მესამე პირის მიერ უფლების შეძენა გარკვეული ვადის ან პირობის დადგომაზე იყოს დამოკიდებული[447] ყოველთვის არ გულისხმობს პირობითი გარიგების არსებობას. როდესაც მესამე პირი თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან უფლებას ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე არ იძენს, მესამე პირისათვის უფლების წარმოშობის მომენტთან მიმართებით, ძირითადად საქმე ეხება გარკვეული წინაპირობის და არა პირობის არსებობას.

მაგალითად, შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეპირების მიმღების გარდაცვალება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში კანონის მიზნებისათვის განიხილება არა უფლების დროში შეზღუდვად ან პირობად, არამედ წინაპირობად უფლების შეძენისათვის, რადგან მესამე პირი შეპირების მიმღების გარდაცვალებით ყოველთვის ვერ იძენს უფლებას.[448] უშუალოდ მესამე პირი შეპირების მიმღების გარდაცვალებით იმ შემთხვევაში შეიძენს უფლებას, თუ მესამე პირი შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტისათვის ცოცხალი იქნება.[449] იმისათვის, რომ გარიგება ჩაითვალოს პირობითად, ის დამოკიდებული უნდა იყოს სამომავლო და უცნობ მოვლენაზე (სსკ-ის 90-ე მუხლის შესაბამისად). მართალია, გარდაცვალება არის სამომავლო მოვლენა, მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევა გარდაუვალია. მაშასადამე, აღნიშნული ვერ აკმაყოფილებს ,,უცნობი მოვლენის" კრიტერიუმს, რადგან ამ მოვლენის დადგომის თუ არდადგომის ფაქტი არ არის უცნობი.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ სხვა მაგალითებს, როდესაც ხელშეკრულების მიზნიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ მესამე პირს უფლების შეძენა არ უნდა შეეძლოს სრულწლოვანების მიღწევამდე, სკოლის/უნივერსიტეტის დამთავრებამდე, დაქორწინებამდე, ცალსახად პირობად არ უნდა იქნეს შეფასებული, პირობითი გარიგების კონტექსტში. მართალია, პირის სრულწლოვანების ასაკამდე მიღწევა, შესაძლებელია ჩათვალოს პირობად,[450] რადგან მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს

---

[447] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 4, 561, BGH NJW-RR 87, 114, მითითებულია იქვე; *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 225; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 18, 1699.

[448] იხ. *Staudinger J., Jagmann R..,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 5, 195; იხ. ასევე, *Harder M.,* Zuwendungen unter Lebenden auf den Todesfall, Berlin, 1968, 125.

[449] იქვე.

[450] იხ. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 90, ველი 5, 530.

პირი გარკვეულ ასაკს, თუ არ გარდაიცვლება (ე.ი. არ არის ცნობილი მიაღწევს თუ არა პირი სრულწლოვანების ასაკს) მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ იქნება პირობითი გარიგება, რადგან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, მხარეებს ასევე უფლება აქვთ დათქვან მესამე პირის უფლების შეცვლის ან გაუქმების უფლებამოსილება.[451] მაშასადამე, შესაძლებელია დადგეს ის წინაპირობა, რომელიც მესამე პირის მიერ უფლების შეძენისათვის იყო განსაზღვრული, მაგრამ მესამე პირის უფლება ამ წინაპირობის დადგომამდე გააუქმონ მხარეებმა.

ცხადია, მესამე პირის სასარგებლოდ შესაძლებელია დაიდოს პირობითი გარიგებაც. აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს.

მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტი, პირველ რიგში, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე უნდა დადგინდეს,[452] რადგან მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ ხელშეკრულებაში განსაზღვრონ მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტი.[453] ვინაიდან უფლების შეძენის მომენტისათვის გადამწყვეტი მხარეთა შეთანხმებაა,[454] ხელშეკრულების განმარტება არსებითი მნიშვნელობისაა.[455] მხოლოდ ის საკითხი, რომ მესამე პირს უფლების შეძენის შესახებ დიდი ინტერესი აქვს არ კმარა.[456] ამიტომ მესამე პირის ნება ვერ იქნება განმსაზღვრელი იმისათვის, თუ როდის უნდა შეიძინოს მან უფლება. აღნიშნულს განაპირობებს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სპეციფიკაც, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი მესამე პირისათვის უნდა დადგეს მხედველობაშია მისაღები მრავალი ფაქტორი და ხელშეკრულების მიზანი მესამე პირთან ურთიერთკავშირში უნდა იქნეს გააზრებული, რათა ხელშეკრულება მისთვის ზიანის მომტანი[457] არ აღმოჩნდეს.

---

[451] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 241; იხ. ასევე, *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 14.

[452] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 69, 79.

[453] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 241.

[454] *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1202, 505.

[455] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 70, 79.

[456] *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1202, 505.

[457] მაგალითად, თუ არასრულწლოვანი მესამე პირის სასარგებლოდ დადებულია ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც პირდაპირ მითითებას არ შეიცავს მესამე პირის უფლების შეძენის მომენტზე, აქ შეიძლება განიმარტოს, რომ მესამე პირს სრულწლოვანების მიღწევამდე და

ისეთი შემთხვევისათვის, თუ მხარეებს მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტი გათვალისწინებული არ აქვთ და იგი არც ხელშეკრულების მიზნიდან ირკვევა, ე.ი. როდესაც უფლების შეძენის მომენტი საეჭვოა,[458] გამოიყენება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას ვალდებულების შესრულების ზოგადი წესები (სსკ-ის 365-ე მუხლი, გსკ-ის §271-ის პირველი ნაწილი) და ასეთ შემთხვევაში უფლებაც მაშინვე ითვლება წარმოშობილად და მოთხოვნაც ვადამოსული ხდება;[459] რადგან სსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება. მართალია, მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე, მაგრამ ისაა შესრულების მოთხოვნის მქონე პირი.

მაშასადამე, თუ მესამე პირის მიერ უფლების შეძენა გარკვეული წინაპირობის დადგომაზეა დამოკიდებული, უფლების შეძენის მომენტად ასეთი წინაპირობის დადგომა უნდა იქნეს მიჩნეული.

მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტის დადგენა მნიშვნელოვანია მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე ასეთი პირის ნების გამოვლენის გავლენის განსაზღვრის მიზნითაც; თუ მესამე პირმა უფლება უნდა შეიძინოს, მესამე პირის ნებამ იმ მომენტიდან შეიძლება მოახდინოს გავლენა ხელშეკრულებაზე, როცა მესამე პირი შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე პირი გახდება (და თუ მესამე პირის უფლება მისი თანხმობის გარეშე არ ექვემდებარება გაუქმებას/გამოხმობას).

თუ დადგინდება, რომ მესამე პირმა უფლება ხელშეკრულების დადებისთანავე უნდა შეიძინოს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მიერ შეძენილი უფლება გაუქმებას ან შეცვლას აღარ შეიძლება დაექვემდებაროს. ვინაიდან, ისევე როგორც მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტის განსაზღვრისა, მხარეებს ასევე უფლება აქვთ დათქვან მესამე პირის უფლების შეცვლის ან გაუქმების უფლებამოსილება.[460] ამიტომ

მართვის მოწმობის მიღებამდე ავტომანქანის მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა. იხ. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 225.

[458] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 18, 1699.

[459] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 69, 79; NJW 1954, 874; RGZ 127, 218, მითითებულია: იქვე; იხ. ასევე, *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 18, 1699.

[460] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 241; იხ. ასევე, *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 14.

მესამე პირის მიერ უფლების მაშინვე შეძენა და საბოლოო ძალის მქონე შეძენა ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს.[461]

3. ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოსილება მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის შესახებ

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე მესამე პირის ნების გამოვლენის გავლენის საკითხის კვლევისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრობლემაა ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოსილება მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის შესახებ. რადგან აღნიშნული არის მესამე პირის უფლებაზე ზემოქმედების საშუალება, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების სამართლიანად დაცვის უზრუნველსაყოფად დადგენილი უნდა იქნეს, თუ რა ფარგლებშია შესაძლებელი მესამე პირის ნებამ გავლენა მოახდინოს ხელშეკრულებაზე, ე.ი. თვით მხარეთა ნებაზე.

მესამე პირის უფლების გაუქმების საკითხზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მესამე პირი ხელშეკრულებიდან შეიძლება იძენდეს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას, რომელიც გაუქმებადია (გამოხმობადია), ესე იგი, ექვემდებარება მხარეთა მიერ გაუქმებას, ან შეპირების მიმღების მიერ გამოხმობას ცალმხრივი უფლებამოსილების საფუძველზე, ან ისეთი დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას, რომელიც მხარეების ან შეპირების მიმღების მიერ გაუქმებას აღარ ექვემდებარება (გამოუხმობადია, საბოლოო ძალის მქონეა). მესამე პირის გამოუხმობადი, დამოუკიდებელი მოთხოვნის მაგალითი არც სსკ-ში, არც გსკ-ში მოწესრიგებული არ არის. მესამე პირის უფლება გამოუხმობადი მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც ეს ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. ასევე, შეპირების მიმღებმა ხელშეკრულებაში შეიძლება გააკეთოს დათქმა, რომ მესამე პირის უფლებას არ გამოიხმობს. მესამე პირის უფლება ჩაითვლება რომ გამოუხმობადია, თუ მისი გაუქმება არც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული და არც საქმის გარემოებებიდან/ხელშეკრულების მიზნიდან დადგინდება. ასეთ შემთხვევაში მესამე პირის უფლების გაუქმება/გამოხმობა მხოლოდ მესამე პირის თანხმობითაა შესაძლებელი.

---

[461] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 35, 2225.

თუ მესამე პირის უფლება გამოხმობადია/გაუქმებადია, მხარეების მიერ აღნიშნულის განსახორციელებლად მესამე პირის თანხმობა არ მოითხოვება. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გამოხმობადია თუ გამოუხმობადი, რათა განისაზღვროს მხარეებს მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა მისი ნების გამოვლენის (მისი თანხმობის) გარეშე შეუძლიათ თუ არა.

რაც შეეხება მესამე პირის სამართლებრივ პოზიციას დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მესამე პირის მიერ შესრულების მიღების უფლებამოსილების გაუქმება ყოველთვის შეუძლიათ მხარეებს. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საქმე არ ეხება მესამე პირის უფლებას, ეს საკითხი არ არის წინამდებარე თავის განხილვის საგანი.

იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მესამე პირს თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში უფლებას მხარეები ანიჭებენ, კანონმდებელი სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით უშვებს შესაძლებლობას, რომ მათვე გააუქმონ ან შეცვალონ მესამე პირის უფლება, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ამისათვის საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა. მესამე პირის მიერ უფლების შეძენას იმ შემთხვევაში აქვს ძალა, თუ მხარეთა მიერ მისი უფლება გაუქმებას არ ექვემდებარება.[462] ამიტომ, როდესაც მესამე პირი უფლებას ხელშეკრულების დადებისთანავე იძენს, არ ნიშნავს, რომ ეს შეძენა აუცილებლად საბოლოო ძალის მქონეა.[463] სახელშეკრულებო თავისუფლება განაპირობებს მხარეთა უფლებას, ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინონ მესამე პირის უფლებაში ჩარევა;[464] მაგრამ როდესაც ეს ნათლად არ არის განსაზღვრული, აღნიშნული ხელშეკრულების განმარტების გზით უნდა დადგინდეს.[465] ამდენად, მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის შესახებ დათქმა შესაძლოა პირდაპირ ხელშეკრულებაში იყოს მითითებული,[466] მაგრამ მისი არარსებობისას საკმარისია,

---

[462] იხ. *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 292, 73.

[463] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 222.

[464] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 73, 80.

[465] იქვე, OLG Frankfurt a.M. (Senat Kassel), Urteil vom 29. 5. 2001 - 14 U 107/00, NZM 2001, 900, (901); *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 222.

[466] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 4, 561; *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 661.

რომ ის გარემოებებიდან[467] და ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარეობდეს.[468] შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს შეპირების მიმღების ცალმხრივი უფლებამოსილება მესამე პირის უფლების გამოხმობის შესახებ.[469] ძირითად შემთხვევაში კი მხარეები სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ მესამე პირის უფლება შეიძლება თუ არა გაუქმებული ან შინაარსობრივად მოდიფიცირებული იქნეს.[470] გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული ზოგიერთი შეხედულების თანახმად, თუ ხელშეკრულებაში ეს საკითხი მოწესრიგებული არ არის, მაშინ მესამე პირი იძენს საბოლოო ძალის მქონე მოთხოვნის უფლებას,[471] მაგრამ აღნიშნული მოსაზრება არ უნდა იქნეს გაზიარებული; ვინაიდან როგორც გსკ-ის 328 პარაგრაფის მეორე ნაწილი, ასევე სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი სწორედ ისეთ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც მხარეებს ხელშეკრულებაში მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის შესახებ სპეციალური დათქმა არ განუხორციელებიათ.

ხელშეკრულების განმარტებისას განსაზღვრული უნდა იქნეს მესამე პირის უფლება გაუქმებადი ან შეცვლადი უფლებაა თუ არა, ,,თუ რა ხასიათის უფლებას იძენს მესამე პირი, განეკუთვნება თუ არა ეს უფლება იმ უფლებათა ჯგუფს, რომლის ჩამორთმევა მხარეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ", რაც კონკრეტული ფაქტის შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს.[472] განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე ხელშეკრულების მონაწილეთა ინტერესები.[473] თუ საკითხის ასეთი ობიექტური განმარტება აჩვენებს, რომ მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა მხარეთა ჰიპოთეტურ ნებას შეესაბამება, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, არ გაითვალისწინება ის საკითხი, ასეთი

---

[467] *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 661.

[468] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 243; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 73, 35; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 4, 561; OLG Frankfurt a.M. (Senat Kassel), Urteil vom 29. 5. 2001 - 14 U 107/00, NZM 2001, 900, (901).

[469] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 71, 81.

[470] იხ. *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 71, 79; *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 14; იხ. ასევე, OLG Frankfurt a.M. (Senat Kassel), Urteil vom 29. 5. 2001 - 14 U 107/00, NZM 2001, 900, (901).

[471] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 71, 79.

[472] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 226.

[473] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 243.

დათქმა მესამე პირის მიერ შეცნობადი იყო თუ არა.[474] მესამე პირის დაცვის ასეთი ასპექტი უფრო მეტად იმ შემთხვევისთვის მიიღება მხედველობაში, როდესაც მესამე პირი უფლების შეძენის შესახებ ინფორმირებული იყო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მესამე პირის უფლებამოსილების გაუქმება/შეცვლა ან ხელშეკრულების გაუქმება/შეცვლა არ გამოირიცხება.[475]

სპეციალური დათქმის არარსებობისას, მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლისათვის საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა, ამ საკითხზე პასუხი ქართველმა კანონმდებელმა ხელშეკრულების განმარტებას მიანდო.

გსკ-ის (§328-ის მეორე ნაწილი) მიხედვით, სპეციალური დათქმის არარსებობისას შესაძლებელია თუ არა მესამე პირის უფლების გაუქმება, სახელშეკრულებო შეთანხმების განმარტების გზით უნდა დადგინდეს, საეჭვოობის შემთხვევაში კი - ხელშეკრულების მიზნის ობიექტური ანალიზის საფუძველზე. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მკაფიო დათქმის არარსებობისას მესამე პირის უფლება ძირითადად არ ექვემდებარება გაუქმებას, მანამდე ვიდრე მხარეთა ნება, ხელშეკრულების მიზანი ან განსაკუთრებული ნდობის დასაბუთება მესამე პირის პოზიციის დაცვაზე მიუთითებს.[476]

სწორედ აქედან გამომდინარე, ისეთი შემთხვევისათვის, თუ დადგინდება მხარეთა უფლებამოსილების არსებობა მესამე პირის უფლების გაუქმების შესახებ, არც სსკ და არც გსკ არაფერს ამბობს, თუ რა მომენტამდე აქვთ მხარეებს მესამე პირის მიერ შეძენილი უფლების გაუქმების შესაძლებლობა, რაც მესამე პირის ინტერესების ხელყოფის საფრთხეს ქმნის.

გერმანულ სამართალში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მესამე პირის უფლება, ძირითადად, გაუქმებას ექვემდებარება, ამიტომ გამოუხმობადი უფლება მესამე პირის უფლების გაუქმების პრინციპიდან გამონაკლისადაა განხილული.[477] მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, აზრთა ერთიანობა არსებობს იმის შესახებ, რომ მესამე პირის მიერ უფლების წარმატებული შეძენის შემდეგ მხარეებს აღარ

---

[474] იქვე.
[475] იქვე.
[476] იქვე.
[477] *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 662.

შეუძლიათ მესამე პირის მონაწილეობის გარეშე თვითნებურად მოახდინონ გავლენა მესამე პირის მოთხოვნაზე;[478] რადგან მიჩნეულია, რომ ასეთი დათქმის გარეშე მხარეებს არ აქვთ მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის უფლებამოსილება.[479] თუ რა იგულისხმება უფლების ე.წ. ,,წარმატებით შეძენაში" ეს საკითხი დაკონკრეტებული არ არის; აღნიშნული რთული შესაფასებელია, იმდენად რამდენადაც, როგორც აღინიშნა, ძირითად შემთხვევაში მესამე პირის მიერ უფლების შეძენა მესამე პირის თანხმობის, მისი მოქმედების გარეშე ხორციელდება; მაგრამ უფლების წარმატებით შეძენაში უნდა მოიაზრებოდეს ისეთი შემთხვევა, თუ მაგალითად: მესამე პირი შემპირებლისაგან მოითხოვს შესრულების განხორციელებას; თუ მესამე პირი უარს არ იტყვის შეძენილ უფლებაზე; თუ მესამე პირი მიიღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებას და სხვა. აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს.

იმ საკითხს, ხელშეკრულების მხარეებს თუ რა წინაპირობების არსებობისას აღარ შეუძლიათ მესამე პირის თანხმობის გარეშე მესამე პირის მოთხოვნის უფლების გაუქმება ან შეცვლა, სხვადასხვა ქვეყნის მართლწესრიგი, ასევე სამართლებრივი რეკომენდაციები ევროპულ დონეზე განსხვავებულად წყვეტს.[480] ვინაიდან მესამე პირის უფლების გაუქმება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ინსტიტუტის არსებითი საკითხია,[481] მიზანშეწონილია, გარდა ქართული სამართლისა, ყურადღება გამახვილებული იქნეს ასევე სხვადასხვა ქვეყნის სამართალში ამ საკითხის მიმართ არსებულ მიდგომაზე. რადგან ქართული და გერმანული სამართლის მოწესრიგება ამ საკითხთან მიმართებით იდენტურია, გერმანულ სამართალთან სხვა ქვეყნების სამართლის შედარება უზრუნველყოფს მისი თავსებადობის წარმოჩენას ქართულ სამართალთან.

მესამე პირის უფლების გაუქმების საკითხს უფრო დეტალურად აწესრიგებს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული კოდიფიკაციები, ვიდრე გერმანიის სამოქალაქო

---

[478] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 242-243.

[479] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 242, 241; RGZ 64, 108/113; BGH 28.11.1973=WM 1974, 14/15; WM 1982, 902/903; OLG Celle 17.4.198, მითითებულია იქვე.

[480] *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 660.

[481] იქვე, 665, 678.

კოდექსი.[482] ისევე როგორც შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის (ვალდებულებითი სამართლის) 112-ე მუხლის მესამე ნაწილი,[483] ასევე საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1121-ე მუხლი მესამე პირის მიერ ისეთი უფლების შეძენისათვის, რომელიც მხარეთა მიერ გაუქმებას აღარ ექვემდებარება, მოითხოვს მესამე პირის მიერ მოვალის წინაშე ახსნა-განმარტების გაკეთებას იმის შესახებ, რომ მას თავისი უფლებით სარგებლობა სურს.[484] ამდენად, ფრანგულ სამართალში მესამე პირის უფლება გამოხმობადია, ხოლო გამოუხმობადი ხდება მესამე პირის მიერ მის მიღებაზე თანხმობის გამოხატვით.[485] ასეთი ე.წ. ,,აქცეპტის თეორია" არ გაიზიარა არც გერმანულმა და არც ავსტრიულმა სამართალმა.[486] სსკ-ში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული თეორია არც ქართველი კანონმდებლის მიერაა გაზიარებული.

მაგრამ, ცხადია, ზოგადად მესამე პირის მიერ შეტყობინება, რომ მან უფლება წარმატებით შეიძინა დიდი მნიშვნელობის მქონეა, როგორც მხარეთა ნების გამოვლენის ინტერპრეტაციისათვის, ასევე მესამე პირის მიერ შეძენილ უფლებაზე ნდობის პრინციპის თვალსაზრისით.[487]

მესამე პირის უფლების გაუქმების საკითხს გერმანული სამართლისაგან განსხვავებულად წყვეტს ინგლისური სამართალი.[488] ,,ხელშეკრულებების (მესამე პირის უფლებების) შესახებ" ინგლისის 1999 წლის აქტი ამ საკითხს საკმაოდ ფართოდ აწესრიგებს მეორე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, მესამე პირის უფლება მხარეთა მიერ ექვემდებარება გაუქმებას.[489] იმავე აქტის იმავე

---

[482] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 244.

[483] Schweizerisches Zivilgesetzbuch, Fünfter Teil, Obligationenrecht (OR)
Art. 112 (3) In diesem Falle kann der Gläubiger den Schuldner nicht mehr entbinden, sobald der Dritte dem letzteren erklärt hat, von seinem Rechte Gebrauch machen zu wollen.
<https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/19110009/index.html>, [29.01.2020].

[484] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 244, 221; შვეიცარიის სამართალში აღიარებულია, რომ მხარეებს შეუძლიათ ასევე დათქვან, რომ მესამე პირის უფლების გაუქმება/შეცვლა მოგვიანებითაც შეუძლიათ. იხ. ასევე, *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, სქოლიო 208, 244.

[485] *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 663.

[486] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 245.

[487] იქვე.

[488] *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003,156; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 123.

[489] *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 666.

მუხლის თანახმად, მხარეებს არ აქვთ უფლება მესამე პირის თანხმობის გარეშე გააუქმონ ან შეცვალონ მესამე პირის უფლება, როდესაც მესამე პირი შემპირებლის მიმართ განაცხადებს, რომ მიიღო უფლება, ან მესამე პირს წარმოეშვა ნდობა მის სასარგებლოდ არსებული შეთანხმების მიმართ და შემპირებელმა ეს იცოდა ან უნდა სცოდნოდა.[490] ინგლისური სამართლის მიხედვით, მხოლოდ შემპირებლის მიმართ უნდა გააკეთოს განცხადება მესამე პირმა უფლების მიღების შესახებ და მხოლოდ მისი შეფასებაა გადამწყვეტი იმისათვის, მესამე პირს წარმოეშვა თუ არა ნდობა. ამიტომ ინგლისური სამართალი არ ითვალისწინებს შეპირების მიმღების ინტერესს, რომელიც მას მესამე პირის უფლების დაფუძნებისთვის გააჩნია.[491] აღნიშნული მოწესრიგებით შესაძლებელია ითქვას, ინგლისური სამართალი მესამე პირის დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფს. მაგრამ ინგლისური სამართალიც[492] ანიჭებს მხარეებს უფლებას, ხელშეკრულებაში დათქვან უფლებამოსილება, რომ მათ მესამე პირის თანხმობის ან მისი ნდობის არსებობის შემთხვევაშიც კი შეეძლოთ ხელშეკრულების გაუქმება ან შეცვლა (დასახელებული აქტის 2 (3) მუხლი).[493] მხარეთა აღნიშნული შესაძლებლობა მესამე პირის უფლებრივ მდგომარეობას უფრო არასტაბილურს ხდის. ამიტომ ამ კუთხით, უფრო მისაღები საკითხის საქართველოს, ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსისეული მოწესრიგებაა, რომლის მიხედვით, მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის საკითხი, სათანადო შეთანხმების არარსებობისას, საქმის გარემოებების შეფასების, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნის დადგენის შედეგად წყდება. რაც უფრო გამართლებულია მესამე პირის ინტერესების სამართლიანად დაცვისა და მხარეთა ნების სწორად დადგენის თვალსაზრისითაც. თუმცა მესამე პირის ნდობის ფაქტორის გათვალისწინება მიზანშეწონილია მისი უფლების გაუქმების საკითხის გადაწყვეტისათვის, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

---

[490] *Koffman L., Macdonald E.,* The Law of Contract, Seventh Edition, Oxford, 2010, 468; *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 665, 666.

[491] *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 665, 666.

[492] The Contracts (Rights of Third Parties) Act 1999, 2 (3) <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1999/31/contents>, [16.12.2019].

[493] *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003,156, 157; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 128; *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 666.

ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის[494] მიხედვით, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხარეები უფლებამოსილნი არიან, მესამე პირის უფლება/უფლებამოსილება გააუქმონ ან შეცვალონ, სპეციალური დათქმა ამისათვის საჭირო არ არის.[495] აღნიშნული მოწესრიგება მესამე პირის ინტერესების ხელყოფის საფრთხეს ქმნის, ვინაიდან, თუ ხელშეკრულებით არ არის სპეციალურად მოწესრიგებული ეს საკითხი, მისი უფლების გაუქმება მარტივად ხდება შესაძლებელი. მაშინ როდესაც ხელშეკრულებაში შესაძლოა სპეციალური მითითება არ იყოს, მაგრამ მისი მიზნიდან გამომდინარეობდეს, რომ მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა მისი თანხმობის გარეშე არ უნდა განხორციელდეს.

,,უნიდროას პრინციპების“ 5.2.5. მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ გააუქმონ ან შეცვალონ მესამე პირის უფლება მანამდე, ვიდრე მესამე პირი მიიღებდეს მისთვის გათვალისწინებულ უფლებას, ან მასზე გონივრული ნდობის წარმოშობის გამო განახორციელებდეს მოქმედებას.[496] აღნიშნული მოწესრიგება იცავს მესამე პირის ინტერესს მის მიერ უფლების მიღების ან მასზე წარმოშობილი ნდობის საფუძველზე მოქმედების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული პირობების არარსებობისას კი შესაძლებელს ხდის მესამე პირის უფლების გაუქმებას მისი თანხმობის გარეშე.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 6:110 (3) მუხლის თანახმად, შეპირების მიმღებს შეუძლია შემპირებლისათვის შეტყობინებით, მესამე პირს ჩამოართვას თავისი უფლება შესრულების მოთხოვნის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: მესამე პირს შეპირების მიმღებისაგან მიღებული ჰქონდა შეტყობინება, რომ მისი უფლება გამოუხმობადი იქნებოდა; ან შემპირებელს ან შეპირების მიმღებს მესამე პირისაგან მიღებული ჰქონდა შეტყობინება, რომ მან უფლება მიიღო.[497] აღნიშნული მოწესრიგებაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთშეტყობინების არსებობის საფუძველზე წყვეტს მესამე პირის უფლების გაუქმების საკითხს, რაც მართალია, თანხმობის არსებობის

---

[494] “Restatement of the law“, §311 (2).

[495] *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 665, 668.

[496] PICC, <https://www.unidroit.org/german/principles/contracts/principles2004/blackletter2004.pdf>, [16.12.2019]; იხ. ასევე, *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 665, 669.

[497] PECL, <http://www.christiantakoff.com/wp-content/uploads/soft_law/pecl_komplett_EN_DE.pdf>, [14.12.2019].

პირობებში უზრუნველყოფს მესამე პირის ინტერესის დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირის მიერ ყოველთვის თანხმობის გამოხატვა სამართლებრივად არაპრაქტიკულია; მაგრამ მისი არარსებობის შემთხვევაში არ განსაზღვრავს მესამე პირის დაცვის სტანდარტს, რასაც შესაძლოა ხელშეკრულება ისახავდეს მიზნად; იმავდროულად არ ტოვებს შესაძლებლობას პატივსადები საფუძვლის არსებობისას მხარეებს მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა შეეძლოთ. რაც არაპირდაპირი გზით ამ რისკს შეპირების მიმღებს აკისრებს.

ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკაშიც მიჩნეულია, რომ მხარეთა ნების ავტონომიას უნდა ჰქონდეს გარკვეული საზღვრები, ამ კუთხით მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა აღარ შეიძლება, თუ მესამე პირი შემპირებელს ან შეპირების მიმღებს შეატყობინებს, რომ სურს მისთვის მინიჭებული უფლების გამოყენება.[498] მართალია, საკანონმდებლო დონეზე არც ქართულმა და არც გერმანულმა სამართალმა გაიზიარა მესამე პირის თანხმობის საჭიროება (ე.წ. აქცეპტის თეორია) მის მიერ უფლებით სარგებლობისათვის, აღნიშნულს არც ევროკავშირის სამართალი იზიარებს,[499] მაგრამ ეს არც კრძალავს თავისუფალი ნების პირობებში მესამე პირის თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობას.

დასახელებული აქტების ანალიზიდან გამომდინარე, ზოგადად რომ ითქვას, მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის საკითხთან მიმართებით ძირითადი აქცენტი იმაზეა, მესამე პირმა განაცხადა თუ არა თანხმობა უფლების მიღების შესახებ, ან მას წარმოეშვა თუ არა გონივრული ნდობა მისთვის გათვალისწინებული უფლებისადმი. თუ რა იგულისხმება უფლების მიღებაში ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე განმარტებული არ არის, მაგრამ ეს უნდა მოიაზრებდეს, მესამე პირის მიერ თანხმობის გამოხატვას იმის თაობაზე, რომ თანახმაა მისთვის მინიჭებული უფლებით ისარგებლოს.

იმის შეფასებისათვის, ხელშეკრულებაში სპეციალური შეთანხმების არარსებობისას მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა შესაძლებელია თუ არა მესამე პირის თანხმობის გარეშე, გადამწყვეტი არ უნდა იყოს მესამე პირმა განაცხადა თუ არა თანხმობა, მისთვის მინიჭებული უფლებით სარგებლობის შესახებ. მესამე

---

[498] *Lüttringhaus J.,* Vertragsfreiheit und ihre Materialisierung im Europäischen Binnenmarkt, Tübingen, 2018, 301; EuG Urt. v. 19.9.2012-verb. Rs. T-168/10 u.a. *(Kommission/SEMEA u.a.),* EU:T 2012:435 Rn. 144, მითითებულია იქვე.

[499] იქვე.

პირის მიერ უფლების მიღების თაობაზე ყოველთვის შეტყობინების განხორციელება ართულებს მესამე პირის სასარგებოდ დადებული ხელშეკრულების სტრუქტურას და თავის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვას. მესამე პირს თავისუფალი ნების პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლია გამოხატოს თანხმობა უფლების მიღების შესახებ, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მხარეებს სპეციალური შეთანხმების არარსებობისას, საპატიო საფუძვლის გარეშე მესამე პირის თანხმობის გარეშე აღარ უნდა შეეძლოთ მისი უფლების გაუქმება ან შეცვლა; მაგრამ ასეთი თანხმობის არარსებობა არ უნდა იქცეს მესამე პირის უფლების გაუქმების/შეცვლის უპირობო საფუძვლად. თუ მესამე პირს მისთვის მინიჭებული უფლებით სარგებლობის თაობაზე თანხმობა გამოხატული არ აქვს, მისი თანხმობის გარეშე მესამე პირის უფლების გაუქმება შესაძლებელია თუ არა, ეს უნდა დადგინდეს საქმის გარემოებების, ვალდებულების არსისა და ხელშეკრულების მიზნის საფუძველზე. მესამე პირის უფლების დაცვის სტანდარტის დადგენის მიზნისათვის კი გასაზიარებელია ხელშეკრულებით შეთანხმებული უფლებისადმი წარმოშობილი ნდობის გათვალისწინებაც.

ხელშეკრულებაში სათანადო დათქმის არარსებობისას, მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის საკითხის ხელშეკრულების განმარტების გზით დადგენა გამართლებულია, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების პრობლემატიკით, რაც ცხადყოფს, რომ ყოველთვის ხელშეკრულებით ვერ იქნება გათვალისწინებული მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა. მაგალითისთვის, უდავოა, რომ შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევსათვის დადებულ ხელშეკრულებაში სათანადო დათქმის არარსებობის შემთხვევაშიც კი, შეპირების მიმღებს თავის სიცოცხლის განმავლობაში შეუძლია თავისუფლად გამოიხმოს მესამე პირის უფლება.[500] ასევე, უდავოა ისიც, რომ შეპირების მიმღების გარდაცვალებით მესამე პირის უფლება აღარ ექვემდებარება გამოხმობას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დათქმული, რადგან შეპირების მიმღების მემკვიდრეებს არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ მესამე პირის მიერ უფლების შეძენას.[501] ამასთანავე, სამართლიანი არ იქნებოდა შეპირების მიმღების იმგვარი შეზღუდვა, რომ ხელშეკრულებაში სათანადო დათქმის არარსებობისას მხარეებს არც ერთ შემთხვევაში აღარ შეეძლოთ

---

[500] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 242; იხ. ასევე, *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 662.

[501] იხ. იქვე.

მესამე პირის უფლების გაუქმება ან მოდიფიცირება. თუმცა არც ის იქნება სამართლიანი, რომ მესამე პირის უფლების გაუქმება ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი. ამიტომ საჭიროა, როგორც ხელშეკრულების მხარეების, ასევე მესამე პირის ნება მისი უფლების გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში გარკვეულ ფარგლებში მოექცეს.

გაზიარებული უნდა იქნეს პოზიცია, რომლის მიხედვით, თუ არ არსებობს სახელშეკრულებო დათქმა მესამე პირის უფლების გაუქმების/შეცვლის შესახებ, მაშინ საეჭვოობისას, საკითხი მესამე პირის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და მხარეებს არ უნდა შეეძლოთ მესამე პირის უფლების გაუქმება/შეცვლა,[502] მესამე პირის თანხმობის გარეშე. საეჭვოობაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც აღნიშნული საკითხი ხელშეკრულებით მოწესრიგებული არ არის და არც ხელშეკრულების განმარტების გზით დგინდება, რომ მესამე პირის უფლება გაუქმებას ან შეცვლას ექვემდებარება.

ასევე გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მხარეთათვის თავიდანვე შეცნობადია, რომ მესამე პირს მის სასარგებლოდ გათვალისწინებული უფლების მიმართ ნდობა წარმოეშვა, ეს გარემოება საეჭვოობის შემთხვევაში მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის საწინააღმდეგოდ უნდა მოქმედებდეს.[503] მაგალითად, ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის §§881, 882 არ უთითებს აღნიშნულის შესახებ, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მესამე პირის მიერ გამოუხმობადი უფლების შეძენასთან მიმართებით ყურადღებაა გამახვილებული მესამე პირის დაცვის ღირს ნდობაზე, რომელიც შესრულების მიმართ წარმოეშობა.[504]

მაშასადამე, თუ მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის შესახებ სახეზე არ არის არც სახელშეკრულებო და არც კანონისმიერი საფუძვლები, მაშინ მესამე პირის უფლებაში ჩარევა ვერ განხორციელდება. ასეთ შემთხვევაში მესამე პირის უფლება რჩება ისეთ მდგომარეობაში, როგორც ეს ხელშეკრულებითაა განსაზღვრული და

---

[502] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 35, 2225; *Solomon D.,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann P., Köln, 2008, 661.

[503] *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003,157.

[504] *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 27.

მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა მხოლოდ მისივე თანხმობითაა შესაძლებელი.[505]

თუ მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის შესახებ მხარეებს ხელშეკრულებაში დათქმა არ განუხორციელებიათ, ეს შედეგად არ იწვევს იმას, რომ მხარეებს არ ჰქონდეთ უფლება ხელშეკრულების ბათილობის კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებზე მიუთითონ, განახორციელონ შეცილება ან კანონით დადგენილი სხვა უფლებები.[506] მართალია, ხელშეკრულების ბათილობა შედეგად გამოიწვევს მესამე პირის უფლების გაუქმებას, მაგრამ ამ შემთხვევაში საცილო ნების გამომვლენის დაცვის ღირსი ინტერესი უფრო მაღალია, ვიდრე მესამე პირის - ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების შენარჩუნების თაობაზე.

მესამე პირის მიერ შეძენილი უფლება, ძირითად შემთხვევაში, მაშინ არ ექვემდებარება გაუქმებას/შეცვლას, როდესაც ხელშეკრულება განსაკუთრებულ მიზნად ისახავს მესამე პირის ინტერესების გათვალისწინებას, მესამე პირის უზრუნველყოფას.[507]

შეთანხმებები მესამე პირის სასარგებლოდ გაუქმებადი/შეცვლადია ძირითადად კოლექტიურ ხელშეკრულებებში, საწარმოო ურთიერთობებში არსებულ შეთანხმებებში.[508] მესამე პირის უფლება, ხშირ შემთხვევაში, გაუქმებას შეცვლას ექვემდებარება ასევე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში,[509] ვიდრე დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ვიდრე სადაზღვევო მოწმობა დამზღვევის ხელთაა.

მაშასადამე, მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის სტაბილურობა დამოკიდებულია პროპორციულ ურთიერთობაში აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებაზე.[510] ვინაიდან სავალუტო ურთიერთობასა და პროპორციულ ურთიერთობას შორის მოქმედებს გამიჯვნის პრინციპი, ის საკითხი - შეპირების მიმღები სავალუტო ურთიერთობაში მესამე პირის წინაშე ნაკისრი

---

[505] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 73, 80.
[506] იქვე.
[507] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 245.
[508] იქვე, 246.
[509] იქვე.
[510] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 71, 79.

ვალდებულების გამო შებოჭილია თუ არა - პროპორციულ ურთიერთობაში მესამე პირის უფლების შეზღუდვის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს.[511]

მესამე პირის უფლების გაუქმების/შეცვლის საკითხზე მსჯელობისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მესამე პირის უფლების გაუქმება მხარეთა მიერ ხდება, თუ შეპირების მიმღებს შეუძლია მესამე პირის უფლება ცალმხრივად გააუქმოს/შეცვალოს.[512] მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მესამე პირის უფლების გაუქმება/შეცვლა შეპირების მიმღებს ცალმხრივად შეუძლია.[513] ამასთანავე, მესამე პირის უფლების ცალმხრივად გაუქმება უნდა განიმარტოს, როგორც შეპირების მიმღების მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა შემპირებლის მიმართ.[514] მოვალეს საეჭვოობის შემთხვევაში, ძირითადად, არ აქვს ინტერესი მესამე პირის უფლებამოსილების არსებობა/არარსებობის მიმართ და მისთვის მნიშვნელობა არ აქვს რომელი მიმართულებით შეცვლის თავისი ხელშეკრულების მხარე ვალდებულების შესრულებას.[515]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ მხარეებმა ხელშეკრულებაში დათქვეს მესამე პირის უფლებაში ჩარევის უფლებამოსილება, მაშინ მხოლოდ ეს შეთანხმება კმარა სამომავლოდ მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის ნამდვილობისათვის.[516] ასეთ პირობებში მესამე პირს რჩება მხოლოდ შანსი მტკიცე უფლებამოსილების ქონისა.[517] მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის ნამდვილობისათვის მოთხოვნილი ვერ იქნება, რომ ეს მესამე პირს შეცნობილი უნდა ჰქონდეს.[518] აღნიშნული პოზიცია იმითაა დასაბუთებული, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კონცეფცია ეხება

---

[511]იქვე; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 243; NJW 1975, 1360/1361. მითითებულია იქვე.

[512]გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დასახელებული შემთხვევები ტერმინოგოლიურად დიფერენცირებულია. მესამე პირის უფლების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე გაუქმებას/შეცვლას ეწოდება "Aufhebung", ხოლო, როდესაც შეპირების მიმღებს შეუძლია მესამე პირის უფლება ცალმხრივად გააუქმოს/შეცვალოს - "Widerruf". იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 247; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 71 ff, 79 ff.

[513] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 247, 248; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 75, 80; ZIP 2015, 63, მითითებულია იქვე.

[514]*Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 75, 80; იხ. ასევე, *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 249.

[515] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 249.

[516]*Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 72, 80; MDR 2012, 1357; BGHZ 185, 252, მითითებულია იქვე; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 247.

[517]*Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 72, 80.

[518]იქვე.

მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა ნების თანხვედრას და მესამე პირის მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის. ამიტომ გსკ-მ არ გაიზიარა სხვადასხვა მართლწესრიგის მიერ აღიარებული მესამე პირის მოქმედებისა თუ ცოდნის აუცილებლობა თავისი უფლებამოსილების წარმოშობის ან მისი შეზღუდვის საკითხში.[519] აღნიშნული გამართლებულიცაა რადგან, თუ ხელშეკრულებით მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის საკითხი მოწესრიგებულია და მითითებულია ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია, მაშინ მხარეთა ნების უგულებელყოფის ხარჯზე არ უნდა იქნეს დაცული მესამე პირის ინტერესების უპირატესობა. გასათვალისწინებელია, რომ მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების განხორციელების ინტერესი აქვს შეპირების მიმღებს, ამიტომ თუ ის ხელშეკრულების დადებისას ითვალისწინებს მესამე პირის უფლების გაუქმებას ან შეცვლას, ესე იგი, მისი ნება არ არის მიმართული მისთვის გამოუხმობადი უფლების მინიჭებისაკენ. შეპირების მიმღები მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ყოველგვარი რისკის მატარებელი არ უნდა იყოს, ვინაიდან ,,რისკსაც აქვს თავისი საზღვრები“[520].

სსკ მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის საკითხთან მიმართებით არ უგულებელყოფს მესამე პირის ინტერესის დაცვას იმ თვალსაზრისით, რომ უფლებით სარგებლობაზე მესამე პირის თანხმობის არარსებობის შემთხვევაშიც კი არის შანსი იმისა, ხელშეკრულების ობიექტური განმარტების შედეგად მესამე პირის უფლება არ დაექვემდებაროს გაუქმებას; მაგრამ მესამე პირის ინტერესის დაცვის უკეთესად უზრუნველყოფისა და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია მისი სრულყოფა. თუმცა იმ ფორმით, რომ ხელშეკრულების ყველა მონაწილის ინტერესებს შორის დაცული იქნეს ბალანსი. ამიტომ სრულად ვერ იქნება გაზიარებული ინგლისური სამართლით, ,,უნიდროას პრინციპებითა“ თუ ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული მოწესრიგება, რომელთა მიხედვით, მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის საკითხი მესამე პირის მიერ უფლების მიღებაზე თანხმობის

---

[519] იქვე.

[520] *ზოიძე გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 349.

გამოხატვაზე ან მის მიმართ წარმოშობილ ნდობაზეა დამოკიდებული, თუმცა ხელშეკრულებაში სპეციალური დათქმის არარსებობისას, მესამე პირის ინტერესის დაცვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მათგან გათვალისწინებული იქნეს რამდენიმე ასპექტი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სსკ-ში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს და იმავე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,1^1" ნაწილი:

1^1. სპეციალური დათქმის არარსებობისას მესამე პირის თანხმობის გარეშე მისი უფლების გაუქმება ან შეცვლა მხარეთა მიერ არ დაიშვება, თუ მესამე პირი შემპირებელს ან შეპირების მიმღებს შეატყობინებს, რომ სურს ამ უფლებით სარგებლობა, ან თუ მესამე პირს უკვე მიღებული აქვს შესრულება, ან მას წარმოეშვა გონივრული ნდობა მისთვის მინიჭებული უფლებისადმი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა ხდება პატივსადები საფუძვლით. დასახელებული პირობების არარსებობისას საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე.

მაგალითად, შეპირების მიმღებმა (,,ა"-მ) შემპირებელთან (,,ბ"-სთან) დადო ქირავნობის ხელშეკრულება მესამე პირის (,,გ"-ს) სასარგებლოდ, ექვსი წლის ვადით, იმისათვის, რომ ,,გ" მთელი სტუდენტობის განმავლობაში უზრუნველეყო საცხოვრებლით. შეპირების მიმღები შემპირებელს შეუთანხმდა, რომ სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ,,გ" მოითხოვდა ბინის გასაღების გადაცემას. ,,გ" სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ,,ა"-ს მიერ დაქირავებულ ბინაში. სამი წლის გასვლის შემდეგ ,,ა"-მ უბედური შემთხვევის შედეგად დაკარგა შრომის უნარი, რის გამოც აღარ შეეძლო დარჩენილი წლების მანძილზე გადაეხადა ბინის ქირა. ქირავნობის ხელშეკრულებაში არ ყოფილა განსაზღვრული, თუ რა შემთხვევაში შეეძლო შეპირების მიმღებს მესამე პირის უფლების გაუქმება. მართალია, მესამე პირი სარგებლობდა ბინით, ესე იგი, მის მიერ უფლებით სარგებლობაზე თანხმობა მის მოქმედებაში გამოხატულია; სახეზეა გონივრული ნდობაც, რომელიც მას ბინით სარგებლობის მიმართ დარჩენილი სამი წლის განმავლობაში გააჩნდა. არც ხელშეკრულებაში არსებობს სპეციალური დათქმა მისი უფლების გაუქმების

თაობაზე, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის პატივსადები საფუძველი, რის გამოც შეპირების მიმღებს მესამე პირის უფლების გაუქმება სურს. თუ რა ჩაითვლება პატივსადებ საფუძვლად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული ფაქტის შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს. პატივსადებ საფუძველზე მითითება მიზანშეწონილია იმისათვის, რომ არც მესამე პირის უფლების გაუქმება/შეცვლა მოხდეს ნებისმიერი საფუძვლით და არც შეპირების მიმღების ინტერესი იქნეს უგულებელყოფილი პატივსადები საფუძვლის არსებობისას. ამ შემთხვევაში უსამართლო ტვირთი იქნებოდა შეპირების მიმღებისათვის, რომ მას მესამე პირის სასარგებლოდ არსებული დათქმის გაუქმება მესამე პირის თანხმობის გარეშე არ შეეძლოს. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მხოლოდ მესამე პირის ინტერესების უპირატესობის პრინციპზე დაყრდნობით არ უნდა მოწესრიგდეს მისი უფლების გაუქმებისა თუ შეცვლის საკითხი. მაგრამ არც ისე, რომ მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა მთლიანად მხარეთა ნებაზე იყოს დამოკიდებული.

არც მესამე პირი უნდა იყოს შებოჭილი მის მიერ უფლებით სარგებლობისათვის თანხმობის გამოხატვით და უნდა რჩებოდეს შესაძლებლობა ხელშეკრულების განმარტების, მხარეთა და მესამე პირის ინტერესების დაცვის ობიექტური განმარტების შედეგად გადაწყდეს, რამდენადაა მესამე პირის უფლების გაუქმება შესაძლებელი მისი თანხმობის გარეშე.

კანონმდებელი სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის ინტერესებს სამართლიანად უნდა იცავდეს და ბრუნვის მონაწილე სახელშეკრულებო თავისუფლებამ ,,გვერდზე არ უნდა მოისროლოს".[521] მართალია, მესამე პირისათვის უფლების მინიჭება მხარეთა ნებიდან გამომდინარეობს,[522] მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის ბედს ნებისმიერ შემთხვევაში მხარეთა ნება განსაზღვრავდეს. რაკი მხარეები ასეთ ნებას ავლენენ, ეს ნება მათივე მბოჭველიც უნდა იყოს, მაგრამ გონივრულ ფარგლებში.

მაშასადამე, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტებისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მესამე პირის მიერ უფლების ,,უშუალოდ" შეძენა, უფლების ,,მაშინვე" შეძენა და უფლების საბოლოო ძალის მქონე შეძენა - მესამე პირის უფლების

---

[521] *ზოიძე გ.,* ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 297.

[522] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 225.

გაუქმების/შეცვლის უფლებამოსილება. ამიტომ თუ დადგინდება, რომ მესამე პირმა უფლება უშუალოდ უნდა შეიძინოს, ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ მესამე პირს ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების დადებისთანავე (ე.ი. ,,მაშინვე") წარმოეშობა, ვინაიდან მის მიერ უფლების განხორციელება შესაძლებელია გარკვეული წინაპირობების დადგომასთან იყოს დაკავშირებული. თუ დადგინდება, რომ მესამე პირმა უფლება მაშინვე უნდა შეიძინოს, არც აღნიშნულიდან გამომდინარეობს თავისთავად, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენა საბოლოო ძალის მქონეა, ვინაიდან მხარეებს შესაძლოა ჰქონდეთ უფლებამოსილება მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლისა, მაგრამ ასეთ დროს უნდა დადგინდეს საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა. ცხადია, მხარეთა მიზანი ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია სწორედ ის იყოს, რომ მესამე პირს ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლების განხორციელება ხელშეკრულების დადებისთანავე უნდა შეეძლოს. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების განმარტებისას თითოეული საკითხი ხელშეკრულების მიზანთან ურთიერთკავშირში უნდა იქნეს შეფასებული, ხოლო სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველსაყოფად მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტების მომწესრიგებელ ნორმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მესამე პირის დაცვის სტანდარტიც.

სამართლებრივი საფუძვლის სწორად გამოყენების, ასევე მესამე პირის ინტერესის დაცვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია აქვე აღინიშნოს, რომ მართალია, სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილით ცალკეა მოწესრიგებული მესამე პირის შეცვლის საკითხი, მაგრამ ეს მოწესრიგება ეხება მხოლოდ მოვალის თანხმობის არასავალდებულოობას შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის შეცვლისას, თუმცა არა თვით მესამე პირის თანხმობის არსებობა/არარსებობის საჭიროებას. მესამე პირის შეცვლის თანმდევი შედეგი კი თავისთავად არის უფლების გაუქმება იმ თავდაპირველად დასახელებული მესამე პირისა, რომელსაც ეს უფლება ჰქონდა მინიჭებული. ვინაიდან მხარეთა მიერ მესამე პირის უფლების გაუქმებისათვის მესამე პირის თანხმობა საჭიროა თუ არა მოწესრიგებულია იმავე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით, მესამე პირის უფლების გაუქმებაში[523] ფართო განმარტებით მესამე

[523]გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში მესამე პირის შეცვლის უფლებამოსილებას მესამე პირის ,,უფლების შეცვლაში" მოაიზრებენ, გსკ-ის §328 (2), იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter,

პირის შეცვლაც უნდა მოიაზრებოდეს. რადგან ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდაა დადებული, მესამე პირის შეცვლისათვის გარდა კონტრაჰენტის თანხმობისა, შეფასებული უნდა იქნეს ასევე, აღნიშნულისათვის მესამე პირის თანხმობა რამდენად საჭიროა. შესაბამისად, მესამე პირის შეცვლის საკითხიც ისევე უნდა იქნეს გადაწყვეტილი, როგორც ეს მესამე პირის უფლების გაუქმებასთან/შეცვლასთან მიმართებით იქნა დასაბუთებული.

რაც შეეხება მხარეთა უფლებამოსილებას მესამე პირის უფლების შეცვლის შესახებ სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, აქ უნდა მოიაზრებოდეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ერთი სახის მეორით შეცვლა, ან მესამე პირის მოთხოვნის მოცულობის შეცვლა. კერძოდ, თუ მესამე პირს ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება ჰქონდა, მხარეებმა შესაძლოა შეცვალონ ეს უფლება; მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ მიანიჭონ და მხოლოდ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრონ; ან მთლიანად ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ნაცვლად მხოლოდ მისი ნაწილის მოთხოვნის უფლება მიანიჭონ. მესამე პირის უფლების გაუქმება კი ნიშნავს მისთვის სარგებლის მიღების უფლების ჩამორთმევას.[524] ცხადია, ორივე დასახელებულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, აქვთ თუ არა მხარეებს ასეთი უფლება და მისი განხორციელებისათვის საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა.

სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული წესი კი ისეთი შემთხვევისათვის უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც შეპირების მიმღებს ხელშეკრულებაში დათქმული აქვს მესამე პირის ცალმხრივად შეცვლის უფლებამოსილება. რაც მოდევნო ქვეთავის განხილვის საგანია.

4. მესამე პირის შეცვლის წესი

მესამე პირის მონაწილეობამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში გაუმართლებლად არ უნდა დაარღვიოს მხარეთა შორის ინტერესთა ბალანსი მესამე

Tübingen, 1995, 247, სადაც მითითებულია, რომ ტერმინი ,,შეცვლა" (Änderung) უფრო ფართოა, ვინაიდან ის მოიცავს როგორც ხელშეკრულების შინაარსობრივ ცვლილებას; ასევე მესამე პირის უფლების გაუქმებას; ასევე მესამე პირის შეცვლას.

[524] იხ. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 226.

პირის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებისას, რათა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება ,,სახელშეკრულებო უსამართლობის“[525] საფუძველი არ გახდეს. ვინაიდან მესამე პირის შეცვლა უშუალოდაა დაკავშირებული შემპირებლის მიერ შესრულების შეცვლილი ადრესატის მიმართ განხორციელებასთან, კვლევის მიზნისათვის მიზანშეწონილია განხილული იქნეს მესამე პირის შეცვლის წესი.

იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მესამე პირის ვინაობის განსაზღვრა მხარეების, როგორც წესი კი, შეპირების მიმღების მიერ ხორციელდება, სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილი მხარეს, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, უფლებას ანიჭებს შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი სხვა პირით. ასეთ დროს იმავე მუხლის იმავე ნაწილის თანახმად, კონტრაჰენტის თანხმობას მნიშვნელობა არ აქვს.[526]

აქვე უნდა აღინიშნოს, თუ სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილში საუბარია, რომ იმ მხარემ, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, შეინარჩუნოს უფლება, შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, მიუხედავად კონტრაჰენტის თანხმობისა, გსკ-ში მითითებულია შეპირების მიმღების მიერ, შემპირებლის თანხმობის გარეშე ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირის შეცვლის უფლებაზე, მაშინ თუ შეპირების მიმღები იტოვებს ასეთ უფლებას.[527] ესე იგი, გსკ-ის 332-ე პარაგრაფის თანახმად, შეპირების მიმღები იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი შემპირებლის თანხმობის გარეშე შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი სხვა პირით, თუ ამის შესახებ ხელშეკრულებაში დათქმა აქვს განხორციელებული.[528] გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმადაც, მხარეთა

---

[525] *გელაშვილი ი.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 319, ველი 15, 58.

[526] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 227; იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის №ას-963-921-2013 განჩინება.

[527] *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), (რედ. *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ.*), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019, §332, 87.

[528] BGB, §332 Änderung durch Verfügung von Todes wegen bei Vorbehalt. Hat sich der Versprechensempfänger die Befugnis vorbehalten, ohne Zustimmung des Versprechenden an die Stelle des in dem Vertrag bezeichneten Dritten einen anderen zu setzen, so kann dies im Zweifel auch in einer Verfügung von Todes wegen geschehen.
<https://www.gesetze-im-internet.de/bgb/__332.html>, [20.01.2020]; იხ. ასევე, *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 1, 106.

შეთანხმების შესაბამისად, შეპირების მიმღებმა შესაძლებელია, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში განახორციელოს დათქმა, რომ შემპირებლის თანხმობის გარეშე, ე.ი. ცალმხრივად უფლება ჰქონდეს ხელშეკრულებაში დასახელებული მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით.[529] იქვე მითითებულია, რომ ასეთი დათქმა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებიდან ნათლად ჩანდეს, ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარეობდეს.[530]

ამ შემთხვევაში საკითხის ვერც ქართული და ვერც გერმანული მოწესრიგება ვერ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესთა ბალანსის სამართლიანად დაცვას. მართალია, გსკ-ის დასახელებული პარაგრაფი შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის ცალმხრივად შეცვლისთვის ითვალისწინებს მხარეთა შორის ამის თაობაზე დათქმის არსებობის საჭიროებას, ამიტომ სსკ-სთან შედარებით, გსკ იმ საკითხში უნდა შეეძლოს თუ არა საერთოდ შეპირების მიმღებს მესამე პირის ცალმხრივად შეცვლა, უფრო მეტად ითვალისწინებს მოვალის ნებას. მაგრამ შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის შეცვლისათვის მოვალის თანხმობის არსებობა არ მოითხოვება. ამიტომ მოვალის ინტერესი, იმის შესახებ სურს თუ არა მას თავდაპირველად შეთანხმებული მესამე პირის ნაცვლად, შეპირების მიმღების მიერ ახლად დასახელებული მესამე პირისათვის შესრულების განხორციელება, მაინც არ არის დაცული. მართალია, ისეთ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში განხორციელებულია დათქმა, რომ შეპირების მიმღებს უფლება ჰქონდეს შეცვალოს დასახელებული მესამე პირი სხვა პირით და ამავე დროს განსაზღვრულიცაა იმ მესამე პირის ვინაობა, რომელმაც შეიძლება შეცვალოს თავდაპირველი მესამე პირი, მოვალის ინტერესების ხელყოფა არ ხდება; რადგან ხელშეკრულებაში ასეთი დათქმის არსებობით მან ერთხელ უკვე გამოთქვა თანხმობა შეპირების მიმღების მიერ ამ უფლების განხორციელების დასაშვებობაზე. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელშეკრულების დადებიდან მესამე პირის შეცვლამდე პერიოდშიც შესაძლებელია წარმოიშვას რაიმე ისეთი გარემოება, რომელსაც მოვალის მიერ შეცვლილი მესამე პირის მიმართ ვალდებულების შესრულებაზე, უარის თქმის პატივსადები საფუძველი უკავშირდება. ასევე შესაძლებელია, ხელშეკრულებაში მხოლოდ ის იყოს მითითებული, რომ შეპირების

---

[529] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 1, 106; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §332, Rn. 1, 106; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 1, 2277.

[530] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 1, 2277.

მიმღებს ცალმხრივად ჰქონდეს დასახელებული მესამე პირის შეცვლის უფლება და ის მესამე პირი, რომლითაც უნდა შეიცვალოს თავდაპირველად დასახელებული მესამე პირი მითითებული არ იყოს. ასეთ შემთხვევაში, თუ შეპირების მიმღები შეცვლის მესამე პირს, გსკ-ის 332-ე პარაგრაფი მოვალის თანხმობის არსებობას არ ითვალისწინებს.

მესამე პირის შეცვლის უფლებამოსილების განხორციელებისათვის სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილი არაფერს უთითებს მხარეთა შორის შეთანხმების არსებობის საჭიროებაზე, არამედ პირდაპირ ადგენს, რომ მხარეს, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, კონტრაჰენტის თანხმობის მიუხედავად, უფლება აქვს შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი. ნორმის ასეთი შინაარსიდან გამომდინარეობს ხელშეკრულების მხოლოდ ერთი მხარის ინტერესის გათვალისწინების უპირატესობა, მეორე მხარის ინტერესის უგულებელყოფის ხარჯზე, რაც სახელშეკრულებო სამართლიანობის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

უნდა აღინიშნოს, როდესაც ხდება ხელშეკრულებაში თავდაპირველად დასახელებული მესამე პირის სხვა პირით შეცვლა, ეს არის ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილება (მაშინაც კი, როდესაც მესამე პირის შეცვლის უფლება შეთანხმებულია)[531], რომელიც ორმხრივი ხელშეკრულებიდან, მაშასადამე, ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც წესი, ორივე მხარის შეთანხმების შედეგად უნდა განხორციელდეს.

მართალია, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის სასარგებლოდ დათქმას შეპირების მიმღები ახორციელებს, შესაბამისად, მესამე პირის ვინაობის განსაზღვრაც მის მიერ ხდება, მაგრამ ხაზგასასმელი ისაა, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან მესამე პირის უფლების წარმოშობა მხოლოდ შემპირებელთან არსებული სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზეა შესაძლებელი.[532] ე.ი. შემპირებელი შეპირების მიმღებთან ხელშეკრულების დადებით ეთანხმება შეპირების მიმღების მიერ დასახელებული მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულების განხორციელებას. მაგრამ სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც შეპირების მიმღებმა

[531] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §332, Rn. 5, 208; Rn. 1, 206.
[532] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 1, 2277.

ხელშეკრულებაში უკვე დასახელებული მესამე პირი უნდა შეცვალოს სხვა პირით ისე, რომ არ გაითვალისწინოს შემპირებლის ნება. მაშინ როდესაც შემპირებელს რეალურად შესაძლოა გააჩნდეს პატივსადები მიზეზი, რის გამოც არ სურდეს შეპირების მიმღების მიერ დასახელებული მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულება. თუ რა შეიძლება იყოს პატივსადები საფუძველი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარის პატივსადები ინტერესის გათვალისწინება უცხო არ არის არც საქართველოს, არც გერმანიის სამოქალაქო კოდექსისათვის.

მოვალის პატივსადები ინტერესის გათვალისწინების საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმას, თუ რა არის ხელშეკრულების საგანი, რა სახის შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების შესაბამისად. მაგალითად, თუ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულია ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ნაკეთობის დამზადებას, აქ მოვალის პატივსადები ინტერესის გათვალისწინების ფარგლები მეტია; ვინაიდან მენარდეს შესაძლოა არ სურდეს ამ მომსახურების გაწევა, მესამე პირისათვის, რომელმაც მას, ვთქვათ, მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, მესამე პირმა შეპირების მიმღების გარდაცვალებისას ამ უკანასკნელის ანაბარზე განთავსებული თანხა უნდა მიიღოს შემპირებლისაგან. ასეთ დროს მოვალისაგან იმ გარემოებაზე მითითება, რომ მას პატივსადები ინტერესის გამო არ სურს შეპირების მიმღების მიერ განსაზღვრული მესამე პირისათვის თანხის გადარიცხვა, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა ინტერესთა ბალანსის დაცვის უზუნველსაყოფად, მიზანშეწონილია შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის შეცვლისათვის გათვალისწინებული იქნეს მოვალის პატივსადები ინტერესი, რისი არსებობაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს.

ამიტომ სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. მხარეს, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, უფლება აქვს შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, თუ კონტრაჰენტი პატივსადები ინტერესიდან გამომდინარე უარს არ ამბობს

თავდაპირველი მესამე პირის ნაცვლად დასახელებული სხვა მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე.

გსკ-ის 332-ე პარაგრაფი ეხება ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მესამე პირის დასახელება ან შეცვლა საეჭვოობის შემთხვევაში საანდერძო განკარგულების საფუძველზეცაა შესაძლებელი.[533] ე.ი. მესამე პირის დასახელება ან მისი შეცვლა შესაძლებელია იყოს ანდერძის შინაარსი.[534] კერძოდ, გსკ-ის 332-ე პარაგრაფის თანახმად, თუ შეპირების მიმღები იტოვებს უფლებას, შემპირებლის თანხმობის გარეშე შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი სხვა პირით, მაშინ საეჭვოობისას აღნიშნული შეიძლება მოხდეს ასევე საანდერძო განკარგულებაშიც.[535] სიტყვაში - საეჭვოობისას - იგულისხმება ის, რომ საანდერძო განკარგულების საფუძველზე ე.ი. არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, მესამე პირის განსაზღვრა მაშინაა შესაძლებელი, თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.[536]

ზოგადად, შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის ცვლილება ნამდვილი რომ გახდეს, შემპირებლის მიმართ უნდა იქნეს გაცხადებული, მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად[537] (იხ. სსკ-ის 51-ე და მომდევნო მუხლები); ამიტომ გსკ-ის 332-ე პარაგრაფით დადგენილი ხელშეკრულების განმარტების წესი გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში ამ პრინციპიდან გამონაკლისად განიხილება.[538]

მაშინაც კი, თუ მესამე პირის განსაზღვრა (ან საერთოდ მისი თავდაპირველი დასახელება) საანდერძო განკარგულების საფუძველზე ხდება, მესამე პირი

---

[533] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 2, 2278; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 1, Rn. 4, 107.

[534] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 4, 107; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 2, 2278.

[535] *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), (რედ. *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ.,*), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019, §332, 87.

[536] იხ. *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 2, 2278; BGH NJW 1993, 3133, 3134; VersR 1963, 917, 919; Hoffmann AcP 158 (1959/60), 178, 201; Heilmann VersR 1972, 997, 998, მითიებულია იქვე.

[537] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 2, 2278; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §332, Rn. 1, 206; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 1, 106-107.

[538] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 2, 2278, BGH NJW 1993, 3133, 3134; VersR 1963, 917, 919; Hoffmann AcP 158 (1959/60), 178, 201; Heilmann VersR 1972, 997, 998, მითითებულია იქვე; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 1, 106-107; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §332, Rn. 1, 106.

შემპირებლის მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლებას იძენს არა სამკვიდროდან, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან, ე.ი. ,,სიცოცხლის განმავლობაში დადებული ხელშეკრულებიდან".[539] ვინაიდან საანდერძო განკარგულებაში მესამე პირის დასახელება ხდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში არსებული დათქმის საფუძველზე,[540] ეს არის განხორციელება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეპირების მიმღების მიერ დათქმული უფლებისა, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში, საანდერძო განკარგულების ფორმით შეიძლება განხორციელდეს.[541]

იმის დადგენას მესამე პირი ხელშეკრულებიდან იძენს უფლებას, თუ სამკვიდროდან მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისა და მისი განხორციელებისათვის. მაგალითად, თუ მესამე პირს არ სურს შეძენილი უფლებით სარგებლობა, მაშინ მასზე უარი უნდა თქვას ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის მომწესრიგებელი ნორმის საფუძველზე (სსკ-ის 351-ე მუხლი) და არა მემკვიდრეობითსამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით (სსკ-ის 1434 და მომდევნო მუხლები).[542] მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარი განხილული იქნება ნაშრომის მომდევნო თავში.

თუ მესამე პირის განსაზღვრა ან მისი შეცვლა ხდება საანდერძო განკარგულების საფუძველზე, მაშინ მისი არანამდვილობის თუ ნების ნაკლის გამო, შეცილება ხორციელდება ანდერძის ბათილობის მიმართ მოქმედი წესების შესაბამისად.[543]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გსკ-ის 332-ე პარაგრაფი ისე განიმარტება, რომ საანდერძო განკარგულებით გარდა მესამე პირის შეცვლისა, მესამე პირის დასახელებაც შეიძლება განხორციელდეს, მაშინ, როდესაც მესამე პირის ვინაობა ხელშეკრულებით განსაზღვრული არ ყოფილა. [544]

---

[539]"Durch Rechtsgeschäft unter Lebenden", *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 5, 2278; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 6, 108.

[540] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §332, Rn. 6, 208.

[541] იქვე.

[542] იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 6, 108.

[543]*Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 5, 108; BGH NJW 1962, 958, 959, მითითებულია იქვე.

[544]*Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 4, 107; Rn. 6, 108. *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 6. Aufl., München, 2012, §332, Rn. 2, 2278.

მართალია, სსკ-ში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები საანდერძო განკარგულების საფუძველზე მესამე პირის დასახელების ან შეცვლის უფლებამოსილების განხორციელებას არ ითვალისწინებს, მაგრამ სახელშეკრულებო თავისუფლებიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ შეპირების მიმღები მესამე პირის შეცვლას ან მის დასახელებას საანდერძო განკარგულების საფუძველზე განახორციელებს. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ანდერძის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე საქმე ეხება კვლავ არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენას,[545] შესაბამისად, მოვალის მოსაზრების შესაძლო გაუთვალისწინებლობას მესამე პირის შერჩევისას. მაგრამ, რადგან ასეთი შემთხვევისას შეპირების მიმღები ცოცხალი აღარ იქნება ე.ი. მასა და მოვალეს შორის ვეღარ განხორციელდება შეთანხმების მოდიფიცირება (მაგალითად, მოვალისათვის არასასურველი (პატივსადები ინტერესით განპირობებული) მესამე პირის სხვა პირით შეცვლა, ან ვალდებულების თვით შეპირების მიმღების წინაშე შესრულება), რისკი იმისა, იქნება თუ არა მესამე პირი მოვალისათვის მისაღები, ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს; ის გარემოება, რომ მოვალეს შესაძლოა არ სურდეს შეპირების მიმღების მიერ ცალმხრივად განსაზღვრული მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულება, არ უნდა გახდეს მის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი. მაგრამ აღნიშნული პოზიცია რომ სამართლიანი იყოს, აქვე უნდა იქნეს დაკონკრეტებული, რომ მესამე პირის საანდერძო განკარგულების საფუძველზე განსაზღვრა იმ შემთხვევაში უნდა იყოს დასაშვები, თუ შეპირების მიმღები და შემპირებელი ხელშეკრულებით შეთანხმდებიან, რომ მესამე პირის შეცვლა, ან მისი დასახელება საანდერძო განკარგულების საფუძველზე განხორციელდება. სწორედ ასეთი დათქმის არსებობით უნდა იქნეს გამართლებული მოვალისათვის მესამე პირის არასასურველობის რისკის დაკისრება.

V. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლი მესამე პირს უფლებას ანიჭებს უარი თქვას ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაგრამ არ განსაზღვრავს ვის

[545] *ob. Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §332, Rn. 1, 107.

მიმართ უნდა გააკეთოს განცხადება მესამე პირმა უარის შესახებ; ვინ არის მესამე პირის უარის ადრესატი. შესაბამისად, არსებული მოწესრიგებით ბუნდოვანია, როდის ჩაითვლება მესამე პირის მიერ გამოვლენილი ნება ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესახებ ნამდვილად. აქვე უნდა იქნეს დაკონკრეტებული, რომ მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე ან შესრულების მიღებაზე არ გულისხმობს სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაზე უარს (ხელშეკრულებიდან გასვლას).

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურება ისიცაა, რომ მესამე პირის ნების გამოვლენა, გავლენას ახდენს შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე, იმ მხრივ, რომ მესამე პირის ნება შეძენილი უფლებით სარგებლობის ან შესრულების მიღების შესახებ ვალდებულების შესრულების ადრესატის ცვლილების ან საერთოდ შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების საფუძველი გახდეს.

მესამე პირი თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, უფლებას უმეტეს შემთხვევაში თავისი თანამონაწილეობის, თანხმობისა და ცოდნის გარეშე იძენს,[546] ან ხდება მხოლოდ შესრულების მიღების უფლებამოსილების მქონე პირი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მესამე პირს მისი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით ენიჭება უფლება.[547] მესამე პირი გამოიყენებს თუ არა ამ უფლებას მის სურვილზეა[548] დამოკიდებული.[549]

---

[546]იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 1, 109; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 1, online Kommentar; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 1, 568; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 1, 1723; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 1, 8, 210.

[547]იხ. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 227; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 1, 292; *ახვლედიანი ზ.,* ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999, 33; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 463; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 1, 109; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 1, 568; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 1, 1723; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 2, 210; *Zweigert K., Kötz H.,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neu bearb. Aufl., Tübingen, 1996, 457.

[548]მესამე პირს შესაძლოა არ ჰქონდეს შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, თუ სახეზეა საკლირინგო შეთანხმება, ე.წ. „კლირინგის იძულება“ (“Clearingzwang“), იხ. *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017, §333, Rn. 1, 1520; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §333, Rn. 1, 2317; *Dauner L., Preuß N.,* NK-BGB, 3. Aufl., Baden-Baden, 2016, §333, Rn. 2, 1275.

სწორედ კერძო ავტონომიის პრინციპიდან[550] გამომდინარე და იმავდროულად სამართლიანობის უზრუნველსაყოფადაა[551] გათვალისწინებული მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში (სსკ-ის 351-ე მუხლი) მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა. ვინაიდან პირს არ შეიძლება თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიენიჭოს უფლება.[552] ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე მესამე პირის მიერ უარის თქმა კი საკმარისად უზრუნველყოფს მესამე პირის ნების თავისუფლების დაცვას.[553] მესამე პირს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობას ანიჭებს გერმანული სამართალიც (გსკ §333).

გერმანულ დოქტრინაში არსებული მიდგომის შესაბამისად, ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის მომწესრიგებელი ნორმა (გსკ-ის §333) არ გამოიყენება ანგარიშსწორების სახელშეკრულებო ურთიერთობაში, კერძოდ, მიმდინარე ანგარიშზე[554] დანარიცხის[555] შემთხვევაში.[556] თუ რამდენად აქვს ანგარიშის მფლობელს დანარიცხზე უარის თქმის უფლება, განისაზღვრება მხოლოდ ანგარიშსწორების ხელშეკრულების მიხედვით.[557] დასახელებული მოსაზრება

---

[549] *ახვლედიანი ზ.,* ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999, 33; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 1, online Kommentar ; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 1, 1723; *Zweigert K., Kötz H.,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neu bearb. Aufl., Tübingen, 1996, 457; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 8.

[550] *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 27.

[551] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 2, 210.

[552] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 1, 1723; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 463; *Kaduk H., Canaris C.,* Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983, 306.

[553] *Lüttringhaus J.,* Vertragsfreiheit und ihre Materialisierung im Europäischen Binnenmarkt, Tübingen, 2018, 300; შეად. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 36, 19.

[554] იხ. *Садиков О.Н.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Части первой, Москва, 2006, 969, („საბანკო ანგარიშთან მიმართებით, მისი შინაარსისა და დანიშნულების გამო, არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების პირობები“.).

[555] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 1, 292.

[556] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §333, Rn. 1, 2317; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §333, Rn. 1, 572; შეად. *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §333, Rn. 5, 765.

[557] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §333, Rn. 1, 2317; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §333, Rn. 1, 572; იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 1, 292.

გაზიარებულია ასევე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.[558] აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ,,მიმდინარე ანგარიშის განკარგვის ცალკეული პირობები განისაზღვრება ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით".[559]

მესამე პირს უფლებაზე უარის თქმისათვის შესაძლოა მრავალი საფუძველი გააჩნდეს. მაგალითად, მესამე პირი შეძენილ უფლებაზე შესაძლოა უარს ამბობდეს საგადასახადო საფუძვლებიდან გამომდინარე,[560] ან მას უბრალოდ არ სურდეს კონკრეტული პიროვნებისაგან შესრულების მიღება და სხვა. მთავარი ისაა, რომ მესამე პირი არ არის ვალდებული განმარტოს უფლებაზე უარის თქმის საფუძველი,[561] რადგან ,,მოტივს, თუ რატომ ამბობს მესამე პირი უარს ამ უფლების გამოყენებაზე მნიშვნელობა არ აქვს".[562]

მართალია, მესამე პირს არ აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ იქნება თავისი უფლებამოსილება ხელშეკრულებაში ფორმულირებული, მაგრამ მას თავისუფლად შეუძლია გადაწყვიტოს საერთოდ მიიღებს თუ არა მის სასარგებლოდ შეპირებულ შესრულებას.[563]

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, სსკ-ის 351-ე მუხლი მიუთითებს მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმაზე, როდესაც მესამე პირი უფლებას იძენს კი საქმე ეხება დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მესამე პირს არ შეუძლია უარი თქვას შესრულების მიღებაზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ე.ი. იქ, სადაც მესამე პირი მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზეა უფლებამოსილი.

მთავარი ისაა, რომ როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით, ისე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში დგება

---

[558] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 1, 292.

[559] *გაბისონია ზ.,* საბანკო სამართალი, თბილისი, 2017, 174.

[560] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1161, 294. მაგალითად, თუ მესამე პირის მიერ თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან ქონების მიღებით, მესამე პირის ქონება გახდება დაბეგვრის ობიექტი, მესამე პირს შესაძლოა არ სურდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების მიღება.

[561] *ცერცვაძე ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 216.

[562] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 227, 228; *Dauner L., Preuß N.,* NK-BGB, Baden-Baden, 2016, §333, Rn. 2, 1275; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110.

[563] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 2, 210.

საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს მესამე პირის უარი ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე.[564] ამიტომ საჭიროა სსკ-ის 351-ე მუხლი იმ შემთხვევაზეც მიუთითებდეს, როდესაც მესამე პირი მხოლოდ შესრულების მიღებაზეა უფლებამოსილი და უარს ამბობს მასზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაციას მნიშვნელობა აქვს მესამე პირის უარის ადრესატისა თუ სხვა საკითხების განსაზღვრის მიზნით, ამიტომ სადაც მოწესრიგება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სახეების მიხედვით განსხვავებულია, წინამდებარე თავში დიფერენცირებული იქნება.

1. ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის პირობები

1.1. უარის თქმის საგანი

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაციიდან გამომდინარე, მესამე პირის უართან მიმართებით, ტერმინოლოგიური სიზუსტის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს: დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ითქმის, რომ მესამე პირი უარს ამბობს ,,ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე", ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში - ,,შესრულების მიღებაზე". ამ უკანასკნელ შემთხვევაში არასწორი იქნება იმისი თქმა, რომ მესამე პირი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე ამბობს უარს, ვინაიდან როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მესამე პირი ასეთი ხელშეკრულებიდან უფლებას არ იძენს, ის მხოლოდ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირია და შესაბამისად, რაც არ შეუძენია ის ვერც უარის ობიექტი იქნება.[565] აქვე უნდა ითქვას, რომ მართალია, მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილი უფლება, ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლებას გულისხმობს, მაგრამ თუკი შემპირებელი ვალდებულებას დათქმულ დროს ასრულებს, ამ უფლების რეალიზება აღარც ხდება საჭირო. მაგალითად, თუ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული

[564] LG Freiburg Urt. v. 1.7.1980 – 9 S 76/80, BeckRS 1980, 890; იხ. ასევე, *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 621 ff., 157-158, Rn. 1195, 302.
[565] LG Freiburg Urt. v. 1.7.1980 – 9 S 76/80, BeckRS 1980, 890.

ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მესამე პირს შემპირებლისაგან ავტომანქანის მოთხოვნის უფლება ჰქონდა მინიჭებული, იმავდროულად მხარეები შეთანხმდებიან, რომ შემპირებელს მესამე პირისათვის კონკრეტულ დღეს უნდა გადაეცეს ავტომანქანა, მესამე პირი კი უარს იტყვის მის მიღებაზე, ეს უარი იმავდროულად ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარია. აქედან გამომდინარე, მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარი შესაძლებელია შესრულების მიღებაზე უარითაც გამოიხატოს. მაგრამ ტერმინოლოგიური სიზუსტის დასაცავად, ამ თავში ხელშეკრულების სახეების მიხედვით გამოყენებული იქნება ,,უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე" და ,,უარი შესრულების მიღებაზე." ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სახის მიხედვით უნდა დადგინდეს, მესამე პირმა ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება შეიძინა, თუ მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების მიღების უფლებამოსილების მქონე პირი გახდა, შესაბამისად განისაზღვრება უარის თქმის საგანიც.

1.1.1. უარის თქმის საგანი დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში

სსკ-ის 351- ე მუხლი მიუთითებს, რომ მესამე პირს **შეძენილ უფლებაზე** შეუძლია უარის თქმა. ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს გსკ-ის 333-ე პარაგრაფიც.

ზოგადად, მესამე პირი უფლებას იძენს ხელშეკრულების დადებისთანავე, მაგრამ შესაძლებელია, რომ მისი შეძენა მოგვიანებით ან განსაზღვრული წინაპირობების არსებობისასაც განხორციელდეს.[566] თუ მესამე პირი უფლების შეძენამდე ამბობს უფლებაზე უარს, ეს ვერ ექცევა სსკ-ის 351-ე მუხლის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ქვეშ, რადგან ნორმის ფორმულირების მიხედვით (- ,,შეძენილ უფლებაზე"), უარის თქმა უფლების შეძენის შემდეგაა (უკვე შეძენილ უფლებაზე) შესაძლებელი.[567] ამიტომ სადავო იყო საკითხი, მესამე პირს უფლებაზე უარის თქმა

[566] იხ. ,,მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტი".

[567] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 2, 292; ანალოგიური მსჯელობა გსკ-ის §333-თან მიმართებით, იხ. *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 8, 212; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl.,

მხოლოდ უფლების შეძენის შემდეგ შეეძლო, თუ მის შეძენამდეც.[568] მაგრამ დღეს აღიარებული მოსაზრების მიხედვით, მესამე პირს უარის თქმა წინასწარ, ხელშეკრულების დადებამდეც[569] შეუძლია.[570] აღნიშნული პოზიცია სრულიად სწორადაა დასაბუთებული იმით, რომ რადგან ,,სამომავლო, განსაზღვრადი უფლების" განკარგვა დასაშვებია, უფლების შეძენაზე წინასწარი უარიც დასაშვებად უნდა იქნეს განხილული, იმ შედეგით, რომ მესამე პირის უფლებამოსილება ,,დასაწყისიდანვე არ წარმოიშობა"[571]. ამასთანავე, ერთ-ერთი ავტორი მიუთითებს, რომ ხელშეკრულების დადებამდე მესამე პირის მიერ უარის თქმის დასაშვებობა დასახელებული ნორმის ტელეოლოგიური განმარტებიდანაც გამომდინარეობს, რადგან ამ ნორმის მიზანი იმისი უზრუნველყოფაა, რომ მესამე პირს თავისი ნების საწინააღმდეგოდ არ მიენიჭოს უფლება.[572] აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელია, რადგან ნორმის დასახელებული მიზნის მიღწევა შესაძლებელია როგორც წინასწარი უარის, ისე უფლების შეძენის წარმოშობის მომენტის შემდგომი უარის პირობებში.

1.1.2. უარის თქმის საგანი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის შემთხვევას არ აწესრიგებს არც სსკ და არც გსკ. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, არ ნიშნავს, რომ ეს მესამე პირს ამ სახის ხელშეკრულებაში თავის სასარგებლოდ შეპირებული შესრულების მიღებაზე უარის თქმის უფლებას ართმევს. რადგან პრინციპი, რომ

Tübingen, 2012, Rn. 1201, 505; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 1724; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110.

[568] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223.

[569] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 463.

[570] იქვე; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 8, 212; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 3, 109, 110; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 3, online Kommentar; *Dauner L., Preuß N.,* NK-BGB, Baden-Baden, 2016, §333, Rn. 3, 1275; "antizipierte Zurückweisung", *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1185, 300.

[571] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223, ("...das Recht in der Person des Dritten von Anfang an nicht entsteht"); *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 8, 212; *Dauner L., Preuß N.,* NK-BGB, Baden-Baden, 2016, §333, Rn. 3, 1275.

[572] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 463.

,,არავის შეიძლება თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიენიჭოს სარგებელი“,[573] მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით, ისე ამ მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში.[574] დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, ამ სახის ხელშეკრულებაში მესამე პირის უარის საგანი თავის სასარგებლოდ გათვალისწინებული შესრულების მიღებაზე უარის თქმაა; ვინაიდან მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების უფლებამოსილება გააჩნია.

შესრულების მიღებაზე უარის თქმა კი მესამე პირს შეუძლია ნებისმიერ დროს, ასევე წინასწარაც.[575] თუმცა შესრულების მიღების შემდგომ უარის საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

1.2. უარის თქმის ფორმა

ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე მესამე პირის უარისათვის სსკ არ განსაზღვრავს ფორმას. ფორმას არც გსკ ითვალისწინებს.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მესამე პირის უარი ფორმათავისუფალია.[576] უფრო მეტიც, მესამე პირის დავალდებულება (,,იძულება“[577]) უარის თქმისათვის დაიცვას ფორმა მესამე პირის მავალდებულებელ ხელშეკრულებად კვალიფიცირდება, რაც მართლწესრიგის მიერ აღიარებული არ არის.[578] ამიტომ მიჩნეულია, რომ საჭირო არაა სპეციალური ფორმის დაცვა,[579]

---

[573] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 621, 157.
[574] იხ. იქვე.
[575] იქვე.
[576] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 2, online Kommentar ; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 5, 211; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 1724; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110, BGH WM 1973, 1289, 1290 მითითებულია იქვე; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1183, 299; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223; *Schulze R.,* Hk-BGB, 9. Aufl., Baden-Baden, 2017, §333, Rn. 2, 513.
[577] “Das Aufoktroyieren“.
[578] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1183, 299.
[579] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 5, 211.

მთავარია, მესამე პირის ქმედებიდან გამომდინარე ჩანდეს მისი უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე.[580]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთგან გამოთქმული ვარაუდი, რომ ,,თუ უფლების შეძენისათვის გათვალისწინებული იყო რაიმე ფორმის დაცვა, მაშინ ეს ფორმა დაცული უნდა იქნეს უარის თქმის შემთხვევაშიც"[581] არ უნდა იქნეს გაზიარებული იმ საფუძვლით, რომ მესამე პირი ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებაზე უარის თქმის უფლებამოსილებას ძირითადად იყენებს მაშინ, როდესაც მას ხელშეკრულების მიმართ ინტერესი არ გააჩნია. თუ მესამე პირს შესრულებისადმი ინტერესი არ აქვს, მისი დავალდებულება უარის თქმისათვის დაიცვას იგივე ფორმა, რომელიც უფლების შეძენისათვის იქნებოდა საჭირო (,,მაგ., მიწის ნაკვეთის შეძენისას"[582]) მესამე პირისათვის ზედმეტ ტვირთად უნდა იქნეს მიჩნეული და გაუმართლებელია; რადგან მესამე პირს თავისი ნებისაგან დამოუკიდებლად დაეკისრებოდა უარის თქმისათვის ფორმის დაცვის ვალდებულება იმ ხელშეკრულების გამო, რომლის მიმართაც აღმოჩნდება, რომ მას ინტერესი საერთოდ არ აქვს. გარდა ამისა, თუ მესამე პირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისადმი უინტერესო დამოკიდებულების გამო არ დაიცავდა უარის თქმისათვის სპეციალურ ფორმას, მისი უარი ფორმის დაუცველობის გამო ვერ ჩაითვლებოდა ნამდვილად. რაც გარდა მესამე პირისათვის ვალდებულების დაკისრებისა, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობასაც გაართულებდა იმ მხრივ, რომ იმ შედეგების წარმოშობა, რაც მესამე პირის უართანაა დაკავშირებული, რეალურად დამოკიდებული გახდებოდა მესამე პირის ნებაზე, დაიცავდა თუ არა ის უარის თქმისათვის გათვალისწინებულ ფორმას. აღნიშნულისაგან განსხვავებით, მესამე პირის მიერ უფლების შეძენასთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ ცალკეული შემთხვევისათვის ფორმის დაცვის მოთხოვნა მისთვის არაპროპორციული ტვირთის დაკისრება არ არის, რადგან თუ მას სურს ამ ხელშეკრულებიდან სარგებელი მიიღოს, აქ მისი ნებაც ჩანს და არც საამისოდ საჭირო ფორმის დაცვა იქნება მისთვის მიუღებელი. მაგრამ სხვა საკითხია, როდესაც

---

[580] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110, BGH WM 1973, 1289, 1290, მითითებულია იქვე; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223.

[581] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 228; შეად. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 2, 292.

[582] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 228.

მესამე პირს საერთოდ არ სურს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება და მას ავალდებულებენ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის შემთხვევაში დაიცვას სპეციალური ფორმა.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მესამე პირის უარი იყოს ფორმათავისუფალი.

ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის ფორმასთან მიმართებით დასახელებული წესები უნდა გავრცელდეს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაზეც.

1.3. უარის თქმის შესაძლებლობის ხანგრძლივობა

1.3.1. შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობის ხანგრძლივობა

მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმისთვის არც სსკ და არც გსკ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში არ განსაზღვრავს ვადას.[583]

მიჩნეულია, რომ მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა გრძელდება მანამდე, ვიდრე მესამე პირი ,,გამოხატული ფორმით ან კონკლუდენტური მოქმედებით"[584] ამ უფლებას მიიღებდეს.[585] მაშასადამე, ,,შეძენილი უფლების მიღებად" მიჩნეულია მესამე პირის ნებისმიერი ქმედება, საიდანაც უფლების შეძენაზე მისი თანხმობა გამომდინარეობს.[586] უარის თქმის

---

[583] იხ.*ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 228; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 3, 1724; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 2, 568-569; *Bettermann K.,* Verpflichtungsermächtigung und Vertrag zu Lasten Dritter, JZ, 1951, 323.

[584]*Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 3, 1724; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 12. Aufl., München, 2017, §333, Rn. 2, 676, RGZ 119, 1, 3 მითითებულია იქვე; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223.

[585]*Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 5, 110; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 2, 568-569; *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §333, Rn. 2, 1508; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 12. Aufl., München, 2017, §333, Rn. 2, 676; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 463; *Dauner L., Preuß N.,* NK-BGB, Baden-Baden, 2016, §333, Rn. 4, 1275.

[586]*Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §333, Rn. 2, 1508; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 5, 110.

უფლებაც წყდება სწორედ მესამე პირის მიერ უფლების მიღებით.[587] დასახელებული მოსაზრება გამართლებულია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მესამე პირი მხარეების მიერ ინფორმირებული არ არის უფლების შეძენაზე უარის თქმისათვის სათანადო ვადის არსებობის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,შეძენილი უფლების მიღება" ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მესამე პირის მხრიდან დამატებით საჭირო იყოს რაიმე მოქმედების განხორციელება მისი უფლების წარმოშობისათვის. მესამე პირის უფლება, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, წარმოიშობა შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის დადებული ხელშეკრულებიდან. მესამე პირი კი მხოლოდ წყვეტს მიიღოს თუ არ მიიღოს ეს უფლება. მაგრამ ზოგადი წესიდან გამომდინარე, აღნიშნული არც მესამე პირის თანხმობას საჭიროებს გარიგების ნამდვილობისთვის (გარდა სიცოცხლის/უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებისა). მაშასადამე, ,,შეძენილი უფლების მიღებაში" იგულისხმება ის, რომ მესამე პირი უარს არ ამბობს მხარეების მიერ მისთვის უკვე მინიჭებულ უფლებაზე.

გერმანულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიჩნეულია, რომ მესამე პირის თანხმობა ,,შეძენილი უფლების მიღებაზე" შედეგის თვალსაზრისით, რეალურად მხოლოდ ამ უფლებაზე უარის თქმის უფლების შეწყვეტას იწვევს.[588] მანამდე განვითარებული მოსაზრება[589], რომლის მიხედვით, მესამე პირი უფლების ,,მიღებით" შეძენილი უფლების საკითხს ,,განამტკიცებდა", სასამართლო პრაქტიკაში და ლიტერატურაში გამოირიცხა.[590] აღნიშნული შეიცვალა პოზიციით[591], რომლის მიხედვით, მესამე პირის განმარტება, რომ ის ეთანხმება ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებულ სარგებელს, ნიშნავს არა ,,დოგმატურად აზრს მოკლებულ უფლების შეძენის განმტკიცებას",[592] არამედ მის ცალმხრივ უარს, შეძენილ უფლებაზე უარის თქმის უფლებამოსილების გამოყენებაზე;[593] რადგან მიჩნეულია, რომ მესამე პირის

---

[587] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 3, 1724; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 12. Aufl., München, 2017, §333, Rn. 2, 676, RGZ 119, 1, 3, მითითებულია იქვე; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 463.

[588] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 464.

[589] "Hellwig", 261.

[590] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 464.

[591] "Dörner", 127.

[592] "eine dogmatische sinnlose Befestigung des Rechtserwerbs".

[593] იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223.

თანხმობა მისი სამართლებრივი პოზიციის გაძლიერებას არ იწვევს.[594] თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი მესამე პირის თანხმობას მის მიერ შეძენილი უფლებით სარგებლობაზე მნიშვნელობა ჰქონდეს, მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის სტაბილურობისათვის, ეს საკითხი უკვე განხილული იქნა, ამიტომ აქ მასზე ყურადღება აღარ იქნება გამახვილებული.

მართალია, კანონმდებლობით დადგენილი არ არის მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის ვადა, მაგრამ ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს მესამე პირისათვის მხარეების მიერ უფლების შეძენის შესახებ შეტყობინების მომენტიდან კონკრეტული ვადა,[595] რომლის განმავლობაშიც მესამე პირმა უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია უფლების მიღების შესახებ/უფლების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, იმ საკითხზე მესამე პირის დუმილი უნდა ჩაითვალოს თუ არა ხელშეკრულებით შეძენილი უფლების ,,მიღებაზე" თანხმობად, იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული[596] მოსაზრებები არსებობს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით, როცა მესამე პირს ეცნობება უფლების შეძენის შესახებ და მხარეების მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში მესამე პირი უარს არ იტყვის შეძენილ უფლებაზე, იგულისხმება, რომ ეს შეძენა შეესაბამება მის სურვილს და ითვლება მიღებად.[597] მაგრამ ის პოზიცია, რომ ასეთ შემთხვევაში მესამე პირის დუმილში კონკლუდენტური თანხმობა იგულისხმება,[598] სავსებით სწორად არ იქნა გაზიარებული იმ არგუმენტით, რომ მესამე პირის დუმილი, როგორც წესი, შეძენილ უფლებაზე უარის თქმის უფლებამოსილების გამოყენებაზე უარად (ე.ი. თანხმობად)

---

[594] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 464.

[595]იხ. *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, Rn.2, 2302; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 1724; *Dauner L., Preuß N.,* NK-BGB, Baden-Baden, 2016, §333, Rn. 4, 1275; შეად. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 225; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 3, 292.

[596]*Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 225; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 11, 213; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1165, 296; საწინააღმეგო მოსაზრება. იხ., *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 464, 465; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 5, 110.

[597] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 5, 110.

[598] "Dörner", 127.

არ უნდა იქნეს შეფასებული.[599] მესამე პირის დუმილი რომ აუცილებლად შეძენილი უფლების მიღებას არ გულისხმობს,[600] ავტორთა ნაწილის მიერ დასაბუთებულია იმ მოსაზრებით, რომ ხელშეკრულების განმარტების გზით (სსკ-ის მ. 350, გსკ-ის §328) შესაძლოა დადგინდეს მესამე პირის უმოქმედობის გამო მისი უფლების გაუქმების საკითხი.[601] მაგალითად, თუ მხარეთა შეთანხმებით კონკრეტულ ვადაში მესამე პირის უმოქმედობა მისი უფლების გაუქმების პირობადაა განსაზღვრული (სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი, გსკ-ის §328-ის მეორე ნაწილი), მესამე პირის უფლება გაუქმდება, თუ მესამე პირის მიერ ,,შეძენილი უფლების მიღება" ამ ვადაში არ განხორციელდება.[602] ამასთანავე, მითითებულია, რომ თუ მხარეები მესამე პირს შეატყობინებენ უფლების შეძენის შესახებ და განუსაზღვრავენ ვადას, უარის შესახებ განაცხადოს, მესამე პირის დუმილი სავალუტო ურთიერთობაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება მის მიერ ,,შეძენილი უფლების მიღებადაც" განიმარტოს.[603]

დასახელებული საკითხის მიმართ განსხვავებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ითვლება თუ არა მესამე პირის დუმილი ან კონკლუდენტური მოქმედება მის მიერ შეძენილი უფლების მიღებად, უნდა გადაწყდეს ნების გამოვლენის განმარტების საერთო წესების[604] მიხედვით; იმაზე მითითებით, რომ მართალია, ზოგადად მიჩნეულია, მხარეების წინასწარ შეთანხმების დასაშვებობა, მათ მიერ განსაზღვრულ სიტუაციაში დუმილი ჩაითვალოს თანხმობად,[605] მაგრამ ეს წესი ვერ გავრცელდება მესამე პირის დუმილის შემთხვევაზე. მესამე პირისათვის შეუტყობინებლად მხარეთა წინასწარი შეთანხმება მესამე პირის დუმილი ჩაითვალოს თანხმობად დაუშვებელია, რადგან ამით მესამე

---

[599] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 225; იხ. ასევე, *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1165, 296.

[600] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 224, 225; შეად. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 5, 110.

[601] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 11, 213; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 3, 1724.

[602] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 11, 213.

[603] იქვე.

[604] ,,დუმილისა და სხვა კონკლუდენტური მოქმედებების განმარტების" შესახებ იხ. *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 52, ველი 20 და მომდევნო, 309.

[605] *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 52, ველი 20, 309.

პირს ფაქტობრივად წაერთმევა მის სასარგებლოდ შეპირებულ შესრულებაზე უარის თქმის უფლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია მხარეებმა მესამე პირის მიერ უარის თქმის უფლების განხორციელებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრონ ვადა იმ პირობით, რომ მისი გასვლის შემდეგ მესამე პირისათვის შეუტყობინებლად, ამ უკანასკნელის მიერ უფლების შეძენაზე თანხმობა ავტომატურად მიღებულად ჩაითვალოს;[606] რადგან ამ გზით მესამე პირს დაეკისრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების ვალდებულება, რაც დაშვებული არ არის.[607] ამასთანავე, ,,ხელშეკრულების მონაწილეთა ნებაზე არ შეიძლება იყოს დამოკიდებული ის საკითხი, გამოიყენებს თუ არა მესამე პირი მისთვის მინიჭებულ უფლებას.“[608] აღნიშნულის დაშვება გამოიწვევს მესამე პირის ნების ავტონომიის დარღვევას.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მხარეებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მესამე პირის დუმილში შეძენილი უფლების მიღება იგულისხმება, თუ მესამე პირს შეატყობინებენ, რომ განსაზღვრულ ვადაში პასუხის მიუღებლობისას მისი დუმილი თანხმობად ჩაითვლება.[609] აღნიშნული არ უნდა შეფასდეს მესამე პირის მავალდებულებელ ხელშეკრულებად, ან მის იძულებად გააკეთოს განმარტება შეძენილი უფლების მიღება/არმიღების შესახებ.[610] მესამე პირმა რომ კონკრეტულ ვადაში გადაწყვიტოს სურს თუ არა შეძენილი უფლებით სარგებლობა, ეს არც მესამე პირისათვის მიუღებელ ტვირთად უნდა იქნეს განხილული.[611]

მხარეების მიერ მესამე პირისათვის ვადის განსაზღვრით იმის შესახებ, რომ მან გააკეთოს განმარტება ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესახებ, საქმე ეხება არა მესამე პირის იძულებას ასეთი განმარტების გაკეთების თაობაზე, არამედ უფრო მეტად იმას, რომ შემოიფარგლოს ის პერიოდი, რომლის

---

[606] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1187, 300.

[607] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1187, 300; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 11, 213; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 224, 225.

[608] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 217.

[609] შეად. *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 465.

[610] იხ.იქვე; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 224-225.

[611] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 465.

განმავლობაშიც მესამე პირმა უარი უნდა თქვას.[612] გარდა ამისა, უპირატესად მიჩნეულია, რომ ამით მცირდება მხარეთა გაურკვეველი მდგომარეობაც იმის თაობაზე, თუ რას გადაწყვეტს მესამე პირი შეძენილი უფლების საკითხზე.[613] ეს მოსაზრება გასაზიარებელია როგორც მხარეთა ინტერესების დაცვის, ასევე სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მესამე პირის მიერ ,,შეძენილი უფლების მიღება" გამორიცხავს მიღებულ უფლებაზე შემდგომში ცალმხრივად უარის თქმას.[614] იგივე მოქმედებს, თუ მესამე პირმა შეპირების მიმღებთან ივალდებულა მიეღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება, რადგან მასზე შემდეგ უარის თქმა შეთანხმების საწინააღმდეგო საქციელი იქნება.[615]

რაც შეეხება გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებს, აქ მესამე პირს უნდა შეეძლოს უარი თქვას შემდგომი შესრულებების მიღებაზე, მაშინაც კი, თუ მას მიღებული აქვს შესრულების ნაწილი.[616] აღნიშნული გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარეობს.

მაშასადამე, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მხარეებს არ აქვთ უფლება მესამე პირის მიერ შეძენილ უფლებაზე უარის თქმისათვის ხელშეკრულებით იმ პირობით განსაზღვრონ ვადა, რომ მესამე პირის შეტყობინების გარეშე ამ ვადის გასვლის შემდეგ მესამე პირის მიერ უფლება ავტომატურად ,,მიღებულად" ჩაითვალოს.[617] მხარეებს შეუძლიათ მესამე პირის მიერ უარის თქმისათვის ხელშეკრულებით მხოლოდ ისეთი შემთხვევისათვის გაითვალისწინონ ვადა, თუ მესამე პირს აცნობებენ მისთვის კონკრეტული უფლების მინიჭების შესახებ და შეტყობინების მომენტიდან განუსაზღვრავენ იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც მესამე პირმა თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს.

---

[612]იქვე.

[613]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 6, 211.

[614]*Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; იხ. ასევე *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213.

[615]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213, RGZ 119, 1, 4, მითითებულია იქვე.

[616]*რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 3, 293; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 3, 1724; იხ. ასევე *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §333, Rn. 2, 1508.

[617]*Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 5, 110.

1.3.2. შესრულების მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობის ხანგრძლივობა

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, მესამე პირმა შესრულების მიღებაზე თავისი პოზიცია ძირითადად მაშინვე უნდა გამოხატოს, როცა შემპირებელი ან შეპირების მიმღები შესრულების მიღებას შესთავაზებს; რადგან აქ მესამე პირი მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების უფლებამოსილების მქონე პირია და ამ სახის ხელშეკრულების პრაქტიკული შინაარსი, ძირითადად, მესამე პირისათვის ნივთის მიწოდებაში გამოიხატება.

მაგალითად, თუ შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, შემპირებელს მესამე პირთან მიაქვს ყვავილების თაიგული, მესამე პირმა შემპირებლის მიერ შესრულების მიღების შეთავაზების მომენტშივე უნდა დააფიქსიროს თავისი პასუხი სურს თუ არა ამ თაიგულის მიღება. თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მხარეებს არ შეეძლოთ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაშიც განსაზღვრონ ვადა - მესამე პირისათვის შეპირებული შესრულების შესახებ შეტყობინების მომენტიდან - მის მიერ შესრულების მიღება/არმიღების თაობაზე პასუხისათვის. მაგალითად, მესამე პირს აცნობონ რომ მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნდა მიაწოდონ გარკვეული ნივთი. ამასთანავე განუსაზღვრონ, რომ მან პასუხი იმის შესახებ, სურს თუ არა შესრულების მიღება უნდა შეატყობინოთ ერთი დღის ვადაში. დასახელებული მაგალითი არ ნიშნავს, რომ მესამე პირის თანხმობაზე დამოკიდებული ხდება გარიგების ნამდვილობა,[618] არამედ აქ საქმე ეხება მესამე პირის უფლებამოსილებას გადაწყვიტოს, სურს თუ არა მის სასარგებლოდ შეპირებული შესრულების მიღება. მესამე პირის დუმილი ან კონკლუდენტური მოქმედება ჩაითვლება თუ არა თანხმობად, ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც ,,უფლების შეძენის მიღებასთან“ მიმართებით ზემოთ იქნა მითითებული.

ხელშეკრულებაში განსაზღვრული მოწესრიგების არარსებობისას, შესრულების მიღებაზე უარის შესაძლებლობაც მანამდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე მესამე პირი შესრულებას მიიღებდეს. შესრულების მიღებით კი, ცხადია, შეწყდება მასზე უარის

[618]თანხმობაზე დამოკიდებული გარიგებების შესახებ იხ. *ზოიძე გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 267 და მომდევნო.

თქმის შესაძლებლობაც. თუმცა გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ისევე როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში,[619] მესამე პირს ამ სახის ხელშეკრულებაშიც (დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე) უნდა შეეძლოს უარი თქვას შემდგომი შესრულებების მიღებაზე, მაშინაც კი, თუ მას მიღებული აქვს შესრულების ნაწილი.

1.4. უარის სამართლებრივი ბუნება

მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე ნიშნავს ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას, ვინაიდან შეძენილი უფლება სწორედ ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლებაა.

გერმანულ დოქტრინაში თანამედროვე მოძღვრება ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე მესამე პირის უარის უფლებამოსილებას აღმჭურველ უფლებად აკვალიფიცირებს.[620] აღმჭურველი უფლება კი აქ იმას გულისხმობს, რომ მესამე პირის უარს აქვს უკუქცევითი ეფექტი და მისი უფლება წარმოშობის მომენტიდანვე გაუქმებულად ითვლება.[621] ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის შესახებ ნების გამოვლენის ადრესატის მიერ მიღების შემდეგ კი უარი გამოუხმობადია.[622]

განსხვავებით უფლების შეძენისაგან, რომელიც მესამე პირის განცხადების გარეშე ხორციელდება, შეძენილ უფლებაზე უარის თქმისათვის საჭიროა მესამე პირი

---

[619] იხ. *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 4, 2302; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 3, 1724; იხ. ასევე *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §333, Rn. 2, 1508.

[620] *Dauner L., Preuß N.,* NK-BGB, Baden-Baden, 2016, §333, Rn. 6, 1276; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 6, 211; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 222; შეად. *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1169, 296.

[621] იხ. *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 6, 211; BGH, Urteil vom 15. 10. 1998 - I ZR 111–96 (Frankfurt a.M.), NJW 1999, 1110, (1112).

[622] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 172; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §333, Rn. 1, 766; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 223; თეორიულად შესაძლებელია გამონაკლისი, მხარეებმა ხელშეკრულებაში გარკვევით დათქვან, რომ უარის თქმის უკან გამოხმობა დასაშვებია, *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, მითითებულია 90-ე სქოლიოში, 223.

ქმედუნარიანი იყოს.[623] შესაბამისად, თუ მესამე პირი არასრულწლოვანია, მას უარის თქმა შეუძლია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის პირობებში.[624]

ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის უფლება გადადის მემკვიდრეობით, თუ თვითონ მესამე პირისათვის გათვალისწინებული უფლების გადასვლა მემკვიდრეობის საფუძველზე შესაძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მესამე პირის მემკვიდრის უარი, რადგან ის განიხილება ,,მესამე პირად".[625]

მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე არის მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენა.[626] ხოლო ის საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს ნების გამოვლენის ადრესატი ქვემოთ იქნება განხილული.

რაც შეეხება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის უარს, რადგან აქ მესამე პირი მხოლოდ შესრულების მიღების უფლებამოსილების მქონეა, მისი უარი შესაძლებელია მხოლოდ შესრულების მიღებაზე უარის თქმაში გამოიხატოს. მართალია, არც ქართულ და არც გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში[627] ყურადღება არ არის გამახვილებული ამ სახის ხელშეკრულებაში მესამე პირის უარის სამართლებრივი ბუნების შესახებ, მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მესამე პირის უარი

---

[623] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 222; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110, BGH WM 1973, 1289, 1290, მითითებულია იქვე; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 10, 213.

[624] იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 2, 292; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 2, online Kommentar; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 5, 211; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 1724; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 222; *Dauner L., Preuß N.,* NK-BGB, Baden-Baden, 2016, §333, Rn. 6, 1276;

[625] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 12, 213.

[626] *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 133; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 222; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 1, 568; BGH, Urteil vom 15. 10. 1998 - I ZR 111–96 (Frankfurt a.M.), NJW 1999, 1110, (1112); *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 1724; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 5, 211; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 462; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 2, 292.

[627] ერთ-ერთგან მითითებულია, რომ შესრულების მიღებაზე უარის თქმა არის გარიგების მსგავსი მოქმედება და არა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, იხ. *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 7, 212; BGH, Urteil vom 15. 10. 1998 - I ZR 111–96 (Frankfurt a.M.), NJW 1999, 1110, (1112), მითითებულია იქვე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, ამ გადაწყვეტილების ანალიზი ცხადყოფს, რომ აქ რეალურად საქმე ეხება დაზიანებული ტვირთის მიღებაზე უარის თქმას და არა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შესრულების მიღებაზე უარის თქმას.

შესრულების მიღებაზე თავისი არსიდან გამომდინარე არის მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენა, ისევე როგორც ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმა, ვინაიდან მისი ნამდვილობისთვისაც[628] საჭიროა ადრესატის მიერ მისი მიღება.

2. მესამე პირის უარის ადრესატი

2.1. მესამე პირის უარის ადრესატი დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში

თუ ზოგადად ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთი მხარის მიერ გამოვლენილი ნების ადრესატად მეორე მხარე განიხილება, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში პრობლემური საკითხია მესამე პირის ნების გამოვლენის ადრესატის განსაზღვრა, მაშინ, როდესაც მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე.

მესამე პირის უარის ადრესატის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს მის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის დადგენისათვის. ვინაიდან მესამე პირის უარი უფლებაზე არის მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენა,[629] სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის გადამწყვეტია გამოვლენილი ნების მიღების სავალდებულოობა ადრესატის მიერ.[630] სსკ-ის 351-ე მუხლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მესამე პირის მიერ უარის შესახებ ნების გამოვლენა როგორც შემპირებლის (მოვალის), ისე შეპირების მიმღების მიმართ ნამდვილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, ეს ნორმა განსაზღვრავს მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, ისე რომ არაა

---

[628]მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შესახებ იხ., *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 244 და მომდევნო; *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 300-302; *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 51, ველი 1 და მომდევნო, 294.

[629]*Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 2, 568; იხ. ასევე, *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 1, 109; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 2, online Kommentar; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 1724; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 5, 211; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 462; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 222; BGH, Urteil vom 15. 10. 1998 - I ZR 111–96 (Frankfurt a.M.), NJW 1999, 1110, (1112); *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 228; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 2, 292.

[630]*კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 243; *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 51, ველი 1, 294; *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 170, 172.

დაკონკრეტებული [თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე...] ვინ არის ასეთი უარის ადრესატი. მაგრამ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით ,,უარის შესახებ განცხადება მესამე პირმა, როგორც წესი, უნდა გააკეთოს მოვალის მიმართ", რადგან სწორედ მოვალე ახორციელებს შესრულებას მის სასარგებლოდ.[631] აღნიშნული მსჯელობა გამართლებულია ვალდებულების შესრულების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, ვინაიდან ორმხრივ ხელშეკრულებაში, ჩვეულებრივ, კრედიტორის ნების გამოვლენის ადრესატი მოვალეა. მართალია, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებაც ორმხრივია, მაგრამ ამ უკანასკნელის თავისებურება, სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების ინტერესების სამართლიანად დაცვისა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მესამე პირის უარის ადრესატის განსაზღვრის განსხვავებულად მოწესრიგების საჭიროებას განაპირობებს, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სახეების მიხედვით.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც მიჩნეულია, რომ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის შესახებ მესამე პირის ნების გამოვლენის ადრესატი არის შემპირებელი.[632] ამიტომ ამ მოსაზრების ავტორები, შეპირების მიმღების მიმართ უარის თქმას/განცხადების გაკეთებას და არც მესამე პირის უარის შესახებ შეპირების მიმღებისათვის შეტყობინებას განიხილავენ საჭიროდ/აუცილებლად, ან საკმარისად.[633] მიუხედავად აღნიშნულისა, იმავე პოზიციის მომხრე ერთ-ერთი ავტორი მიიჩნევს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის უზრუნველსაყოფად,

---

[631] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, თბილისი, 228; იხ ასევე, *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 2, 292.

[632] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 20, 2290, §333, Rn. 2, 2318; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 2, online Kommentar; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 2, 568, BGH NJW 99, 1110/12, მითითებულია იქვე; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 11. Aufl., München, 2016, §333, Rn. 1, 669, BGHZ 140, 84, 92, მითითებულია იქვე.

[633] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110-111, ("Gegenüber dem Versprechensempfänger ist weder eine Zurückweisung noch eine Mitteilung davon erforderlich oder ausreichend"), აქვე მითითებულია, რომ მესამე პირის უარი, რომელიც მხოლოდ შეპირების მიმღებს მიუვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნამდვილი, თუ მას ეს უკანასკნელი მას, როგორც შემპირებლის წარმომადგენელი ისე იღებს, იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, სქოლიო 23, 111; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 5, 211, ("Eine Erklärung gegenüber dem Versprechensempfänger ist nicht ausreichend und nicht erforderlich"); იხ. ასევე, *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 1724; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 2, online Kommentar.

სავალუტო ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლებელია აუცილებელი იყოს მესამე პირის მიერ შეპირების მიმღების მიმართ უარის თქმა და შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე მისი ინფორმირება.[634]

შესაძლებელია ითქვას, რომ გერმანულ სამართალში არსებული პოზიცია, მესამე პირის უარის ადრესატად შემპირებლის განხილვის შესახებ იმითაა განპირობებული, რომ გსკ-ის §333 პირდაპირ განსაზღვრავს მესამე პირის მიერ უარის შემპირებლის მიმართ გაცხადებას. შესაბამისი მოწესრიგებაა ასახული დოქტრინაშიც. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ის საკითხი, თუ რატომაა აუცილებელი მესამე პირის მიერ უარის შემპირებლის მიმართ თქმა და რატომ მიიჩნევენ შეპირების მიმღების წინაშე ნათქვამ უარს დაუშვებლად,[635] გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დასაბუთებული არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მონოგრაფიული ნაშრომის ავტორი მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე, მართალია, მიუთითებს, რომ უარის თქმის შესახებ მესამე პირის ნების გამოვლენა ძირითადად შემპირებლისკენაა მიმართული,[636] მაგრამ იმავდროულად აბსოლუტურად დასაბუთებულად მიიჩნევს იმ პოზიციასაც, რომ მესამე პირს შეეძლოს სამართლებრივი ძალის მქონე უარი შეპირების მიმღების მიმართ განაცხადოს. ასევე აღნიშნავს, რომ გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს მესამე პირს უარი იმ მოთხოვნაზე, რომელიც ორივე მხარის შეთანხმებული მოქმედების შედეგად მიენიჭა, თავისი არჩევანისამებრ ერთ-ერთი მათგანის მიმართ განაცხადოს.[637] სხვა სამეცნიერო ნაშრომშიც ასევე დასაშვებადაა განხილული მესამე პირის მიერ უარის შესახებ ნების გამოვლენა შემპირებლის ან შეპირების მიმღების მიმართ.[638]

მართალია, ხელშეკრულების მხარეთა მიზანი მესამე პირის მიერ სარგებელის მიღებაა, მაგრამ სრულიად შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ ამ უკანასკნელს ინტერესი არ გააჩნდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისადმი. კანონმდებელი მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობას სწორედ იმიტომ ითვალისწინებს, რომ მესამე პირს შეეძლოს

---

[634] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 111.
[635] იხ. *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 2, online Kommentar.
[636] *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1181, 299.
[637] იქვე.
[638] *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 27.

თავისი სურვილისაგან დამოუკიდებლად მინიჭებულ უფლებაზე უარის თქმა. მაშასადამე, მესამე პირი ამ უფლების რეალიზებას ახორციელებს ძირითადად მაშინ, როდესაც მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისადმი ინტერესი არ გააჩნია. როდესაც მესამე პირს ხელშეკრულების მიმართ ინტერესი არ აქვს, საინტერესოა: რამდენად სწორია მისი დავალდებულება ასეთი უარი შემპირებლის წინაშე თქვას, იმ შემთხვევაში თუ მას, მაგალითად, მის სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მოთხოვნის უფლების შესახებ შეპირების მიმღები აწვდის ინფორმაციას და მესამე პირი მასვე ეუბნება უარს ამ უფლებით სარგებლობაზე; რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს მესამე პირის მიერ უარის შემპირებლის წინაშე თქმას ან რა საფუძვლით არ უნდა ჩაითვალოს შეპირების მიმღების წინაშე გაცხადებული უარი ნამდვილად?

მაგალითად, თუ შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, შემპირებელს მესამე პირთან მიაქვს კომპიუტერი, მესამე პირმა კი შემპირებელს უარი განუცხადა მის მიღებაზე, პრაქტიკული თვალსაზრისით, ცხადია, მოსახერხებელია, რომ ასეთი შემთხვევებისათვის მესამე პირის უარის ადრესატად განხილული იქნეს შემპირებელი.

მაგრამ ასევე სრულიად შესაძლებელია, მესამე პირს შეპირების მიმღებმა აცნობოს, რომ მის სასარგებლოდ დადო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც მას კონკრეტული მაღაზიისაგან კომპიუტერის მოთხოვნის უფლება გააჩნია. მესამე პირმა კი შეპირების მიმღებს განუცხადოს, რომ არ სურს ამ უფლებით სარგებლობა. თუ ასეთ შემთხვევაში მესამე პირის უარის ადრესატად განისაზღვრება შეპირების მიმღები, ეს უკანასკნელი იქნება ის პირი, ვინც შემპირებელს მესამე პირის ასეთი უარის შესახებ უნდა აცნობოს. მართალია, ამ დასახელებულ მაგალითში მესამე პირისათვის უფრო პრაქტიკული იქნებოდა უარის თქმა შეპირების მიმღების მიმართ შეეძლოს, მაგრამ ანგარიშგასაწევი ხდება შემპირებლის ინტერესი - იცოდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილმა პირმა ნამდვილად თქვა თუ არა უარი, რათა მომავალში მესამე პირისაგან მოთხოვნის წაყენების რისკის წინაშე არ აღმოჩნდეს.

მიზანშეწონილია გაზიარებული იქნეს გსკ-ით განსაზღვრული მოწესრიგება და დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის უარის ადრესატად განხილული იქნეს შემპირებელი.

თავდაპირველად ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმაზე, თუ რა სამართლებრივი პრობლემა შესაძლოა წარმოშვას ამ სახის ხელშეკრულებაში მესამე პირის უარის ადრესატად შეპირების მიმღების განსაზღვრამ.

როდესაც მესამე პირი შემპირებლის წინაშე არ იტყვის უარს, შემპირებელი შესაძლებელია აღმოჩნდეს რთულ მდგომარეობაში, თუ ხელშეკრულების საფუძველზე მესამე პირის უფლება გამოუხმობადია და, მაგალითად, მესამე პირი განუცხადებს შემპირებელს, რომ მას უარი არ უთქვამს შეძენილ უფლებაზე და წაუყენებს მოთხოვნას ვალდებულების შესრულების შესახებ. რადგან, როგორც წესი, მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ინტერესი შეპირების მიმღებს აქვს, ხელშეკრულებით შესაძლებელია დათქმული იყოს მესამე პირისათვის მინიჭებული უფლების სწორედ შეპირების მიმღების მიერ ცალმხრივად გაუქმების უფლებამოსილება. მაგალითად, შეპირების მიმღებმა შესაძლოა შემპირებელს განუცხადოს, მესამე პირის გამოუხმობად უფლებას იმის გამო აუქმებს, რომ მესამე პირმა უარი თქვა შეძენილ უფლებაზე, სინამდვილეში კი მესამე პირს ასეთი უარი ნათქვამი არ ჰქონდეს. ისიც შესაძლებელია, მესამე პირმა უარყოს, რომ უარი ჰქონდა გაცხადებული. ასეთი შემთხვევა თეორიულად სრულიად დასაშვებია, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირის უარი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ფორმათავისუფალია. ე.ი. შესაძლებელია არ არსებობდეს წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მესამე პირის მიერ უარის თქმას. ამიტომ მესამე პირის უარის ადრესატად შემპირებლის განსაზღვრა შეპირების მიმღებსაც უმარტივებს მტკიცების ტვირთს იმის შესახებ, რომ მესამე პირმა ნამდვილად უარი თქვა შეძენილ უფლებაზე.

მართალია, მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ინტერესი შეპირების მიმღებს აქვს და მისი ინიციატივით იდება ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, რის გამოც შესაძლებელია რთული წარმოსადგენი იყოს, რომ შემდგომში შეპირების მიმღებმავე მოისურვოს მესამე პირის უფლების გაუქმება; თუმცა როდესაც დასაშვებია, რომ ხელშეკრულებით დათქმული იყოს შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის უფლების ცალმხრივად გაუქმების უფლება, ცხადია, აღნიშნული არც გამორიცხულია, მით უფრო, მესამე პირის დამცავი მექანიზმის არარსებობის პირობებში.

გარდა ამისა, დაცვას საჭიროებს შემპირებლის ინტერესიც. რადგან ის ხელშეკრულებას დებს შეპირების მიმღებთან, რომლითაც მხარეები მესამე პირს შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას ანიჭებენ, ცხადია, შემპირებელი კისრულობს ვალდებულების მესამე პირის წინაშე შესრულებას, შესაბამისად დგება მესამე პირის მიერ მოთხოვნის წაყენების რისკის წინაშე. აქედან გამომდინარე, შემპირებელმა ზუსტად უნდა იცოდეს მესამე პირმა ნამდვილად თქვა თუ არა უარი შეძენილ უფლებაზე. მართალია, აღნიშნული შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს ასევე მესამე პირის წერილობითი უარის არსებობის პირობებშიც, მაგრამ მესამე პირისათვის ვალდებულების დაკისრება, უარი აუცილებლად წერილობით განაცხადოს უფრო ართულებს სამოქალაქო ბრუნვას, ვიდრე ის, რომ მან უარი შემპირებლის მიმართ უბრალოდ თქვას, წერილობითი ვალდებულების არსებობის გარეშე. ამასთანავე, წინამდებარე ნაშრომში დასაბუთებული იქნა მესამე პირის უარის ფორმის თავისუფლების მიზანშეწონილობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი მესამე პირს არ ექნება ინტერესი ხელშეკრულებით შეძენილი უფლების მიმართ, რამდენად იქნებოდა შესაძლებელი მისგან ყველა შემთხვევისათვის წერილობითი პასუხის მიღება. ცხადია, აღნიშნული მსჯელობა არ გამორიცხავს მესამე პირის ან შეპირების მიმღების უფლებას წერილობითი პასუხი წარმოადგინონ იმის შესახებ, რომ მესამე პირი შემპირებლის მიმართ უარს ამბობს შეძენილ უფლებაზე.

მესამე პირის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნულის მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს შეპირების მიმღებს, შემპირებელს ან მესამე პირს, იმის მიხედვით, რომელი მათგანიც მიუთითებს მესამე პირის უარზე.

მესამე პირის უარის ადრესატად შეპირების მიმღების განხილვამ პრობლემა შესაძლოა წარმოშვას ასევე შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში, რადგან თეორიულად შესაძლებელია, რომ მესამე პირმა უარი განაცხადოს შეპირების მიმღების წინაშე, ეს უკანასკნელი კი ისე გარდაიცვალოს, ვერ მოასწროს შემპირებლის ინფორმირება.

მესამე პირის უარის ადრესატად შემპირებლის განსაზღვრით, გარდა შემპირებლის ინტერესის დაცვისა, ასევე უზრუნველყოფილია მესამე პირის ინტერესის დაცვაც. მესამე პირის უარის ადრესატის განსაზღვრაზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს მესამე პირის სამართლებრივ პოზიციას

ხელშეკრულებაში იმ თვალსაზრისით, გამოხმობადია თუ გამოუხმობადი მესამე პირის უფლება. როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გააჩნდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სახის ხელშეკრულებაში მესამე პირის უფლება უპირობოდ გამოუხმობადია. მესამე პირის პოზიცია იქ უნდა იყოს მყარი, სადაც მისი უფლება გამოუხმობადია, ამიტომ სწორედ მესამე პირის დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფადაცაა მნიშვნელოვანი მისი უარის ადრესატად შემპირებლის განხილვა. მაგრამ, ზოგადად, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში იქნება იქ მესამე პირის გამოუხმობადი თუ გამოხმობადი უფლება გათვალისწინებული, მესამე პირის ადრესატად შემპირებლის განსაზღვრა იმიტომაა მიზანშეწონილი, რომ გარდა მესამე პირისა, შემპირებლის ინტერესიც სათანადოდ იქნეს დაცული.

მესამე პირის უარის ადრესატად შემპირებლის განსაზღვრასთან მიმართებით შესაძლებელია წარმოიშვას საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ მესამე პირის დავალდებულება უარი შემპირებლის წინაშე განაცხადოს გაუმართლებელია, ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მას საერთოდ არ სურს მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან შეძენილი უფლებით სარგებლობა და ეს პოზიცია შეპირების მიმღებთან უკვე დააფიქსირა; რომ თუ მესამე პირს ხელშეკრულებისადმი ინტერესი არ აქვს, მისი უარის ნამდვილობა დამოკიდებული არ უნდა გახდეს იმაზე, მან უარი უშუალოდ შემპირებლის წინაშე თქვა თუ არა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუკი მესამე პირის უარის ადრესატად განხილული იქნება მხოლოდ შემპირებელი, ამით მესამე პირს არაპირდაპირ, თავისთავად, დაეკისრება უარის უშუალოდ შემპირებლის წინაშე თქმის ვალდებულება; შესაბამისად, შეპირების მიმღების მიმართ ნათქვამი უარი არ ჩაითვლება ნამდვილად, ვინაიდან ის სათანადო ადრესატი არ იქნება. თუ მესამე პირის უარი არ ჩაითვლება ნამდვილად, სამართლებრივად, ცხადია, მოთხოვნის უფლების მქონე პირად კვლავ მესამე პირი დარჩება. საკითხის ამგვარმა მოწესრიგებამ შესაძლოა ის საფრთხეც წარმოშვას, რომ მესამე პირი რეალურად უარს კი იტყვის ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაგრამ თუ თავისი გულგრილი დამოკიდებულებით, ხელშეკრულების მიმართ უინტერესობით, არ იქნება თანახმა, რომ საკუთარი უარი გარდა შეპირების მიმღებისა, უშუალოდ

შემპირებლის წინაშეც დააფიქსიროს, შეპირების მიმღების უფლება - მესამე პირის უარის შემთხვევაში, ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებით - მაგალითად, მესამე პირის სხვა პირით შეცვლის შესახებ, თავის სასარგებლოდ შესრულების მოთხოვნის შესახებ და ა.შ. დამოკიდებული გახდეს მესამე პირის ნებაზე, კერძოდ, იმ გარემოებაზე, იტყვის თუ არა ის უარს შემპირებლის მიმართ; ვინაიდან შეპირების მიმღების დასახელებული უფლებები იმ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ მესამე პირი უარს იტყვის შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე. უარი კი, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა, ნამდვილად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ის ადრესატს მიუვა. თუკი შეპირების მიმღები გამოირიცხება მესამე პირის უარის ადრესატთა წრიდან, მაშინ ცხადია, მის მიმართ ნათქვამი უარი არ ჩაითვლება როგორც სათანადო ადრესატის მიერ ნების გამოვლენის მიღებად, ხოლო მესამე პირის ნების გამოვლენა - ნამდვილად. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა საკითხის სამართლიან გადაწყვეტად მიჩნეულიყო ის, რომ მესამე პირს შეძლებოდა უარი თავისი სურვილისამებრ შემპირებლის ან შეპირების მიმღების ან ორივე მათგანის წინაშე განეცხადებინა; შესაბამისად, მესამე პირის გამოვლენილი ნება ნამდვილად ჩათვლილიყო იმ შემთხვევაშიც, თუ ის უარს შემპირებლის წინაშე იტყოდა და იმ შემთხვევაშიც, თუ უარს შეპირების მიმღების წინაშე განაცხადებდა. შეტყობინების ვალდებულება კი ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ იმის შესახებ, რომ მესამე პირმა უარი თქვა მოთხოვნის შესახებ, დაკისრებოდა თავად იმ მხარეს, რომელთანაც მესამე პირმა უკვე თქვა უარი უფლების შესახებ.

მართალია, მესამე პირის უარის ადრესატად შემპირებლის განხილვამ შესაძლოა შეპირების მიმღებთან მიმართებით წარმოშვას აღნიშნული სირთულეებიც, მაგრამ შეპირების მიმღების ინტერესის დაცვაზე მეტი დაცვის ღირსი ინტერესი ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს შემპირებელს, რომელიც დაცული უნდა იქნეს მესამე პირის მიერ მოთხოვნის წარდგენის რისკისაგან; ასევე - იმ მესამე პირს, რომელსაც შეპირების მიმღებმა თავისივე ნებით მიანიჭა გამოუხმობადი უფლება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, სადაც მესამე პირის უფლება გამოხმობადია, თუ მესამე პირი არ იქნება თანახმა უარი შემპირებლის მიმართ თქვას, ეს შეპირების მიმღებთან მიმართებით არ წარმოშობს დასახელებულ პრობლემას იმ მხრივ, რომ მას შეუძლია შეცვალოს მესამე პირი სხვა პირით, საამისოდ გათვალისწინებულ პირობებში.

შესაძლოა ის აზრიც გამოითქვას, რომ მესამე პირისათვის ზედმეტი ვალდებულების დაკისრებაა მისი შეზღუდვა უარის ადრესატში; მაგრამ მოცემულ შემთხვევაში უნდა მოხდეს იმის შედარება, მესამე პირისათვის უფრო დიდი ტვირთია შეძენილ უფლებაზე შემპირებლის მიმართ უარის თქმა, თუ ის უფრო დიდი სიკეთეა, მისი სამართლებრივი პოზიცია ხელშეკრულებაში იყოს მყარი და დაცული იქნეს მისი უფლება შეპირების მიმღების მიერ თვითნებურად გაუქმების შესაძლო რისკისაგან. მართალია, ზემოთ მითითებულ მსჯელობაში შემუშვებული იქნა მესამე პირის დაცვის სტანდარტი შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის შეცვლის შემთხვევისათვის, მაგრამ მესამე პირის შეზღუდვა უარის ადრესატით მესამე პირის უფლების დამატებით დამცავ მექანიზმადაც შეიძლება იქნეს განხილული.

ამრიგად, იმის თავიდან ასაცილებლად, რომ მესამე პირის გამოუხმობადი უფლების გაუქმება შეპირების მიმღების მიერ რეალურად მესამე პირის ნების გარეშე არ მოხდეს, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემპირებელი დაცული იქნეს მომავალში მესამე პირის მიერ მოთხოვნის წარდგენის რისკისაგან, მიზანშეწონილია დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეძენილ უფლებაზე მესამე პირის უარის ადრესატად განხილული იქნეს შემპირებელი; ხოლო ის საკითხი, საჭიროა თუ არა მესამე პირის უარის შესახებ შემპირებლის მიერ შეპირების მიმღების ინფორმირება, მომდევნო ქვეთავში იქნება განხილული.

2.2. მესამე პირის უარის ადრესატი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში

მესამე პირის უარის ადრესატი განსხვავებულად უნდა განისაზღვროს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სახეების მიხედვით. თუ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში დასაბუთებული იქნა მესამე პირის უარის ადრესატად შემპირებლის განსაზღვრის მიზანშეწონილობა, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის უარის კონკრეტული ადრესატით შებოჭვის საფუძველი არ არსებობს; იქიდან გამომდინარე, რომ ამ სახის ხელშეკრულებაში მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება

არ გააჩნია და შესაბამისად, შემპირებლის მიმართ მესამე პირისაგან არც მოთხოვნის წარდგენის სამართლებრივი საფუძველი არსებობს. არც მესამე პირის უფლებამოსილება იქნება იმ გზით ხელყოფილი, თუ შეპირების მიმღები გადაწყვეტს, რომ თავდაპირველად დასახელებული მესამე პირის ნაცვლად სხვა მესამე პირისათვის განხორციელდეს შესრულება. რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის უფლებამოსილება ისედაც ყოველთვის გამოხმობადია.

ამ სახის ხელშეკრულების თავისებურება განაპირობებს, რომ მესამე პირის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმა ძირითადად განხორციელდება შემპირებლის მიმართ, ვინაიდან შემპირებელია ის პირი, ვინც შესრულების მიღება უნდა შესთავაზოს მესამე პირს და მოსალოდნელია, რომ მესამე პირი მასთანვე დააფიქსირებს პოზიციას თუ არ სურს შესრულების მიღება. თუმცა, თუ შეპირების მიმღები აცნობებს მესამე პირს, რომ მის მიმართ შემპირებლის მიერ შესრულება უნდა განხორციელდეს, ხოლო მესამე პირი შეპირების მიმღებს განუცხადებს, რომ არ სურს შესრულების მიღება, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება არ არის ნამდვილი. ასეთ დროს მესამე პირი არ უნდა იქნეს დავალდებულებული, რომ მან უარი დამატებით შემპირებლის მიმართაც უნდა განაცხადოს.

ამრიგად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შესრულების მიღებაზე უარის შესახებ მესამე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის განმსაზღვრელი არ უნდა იყოს ხელშეკრულების რომელ მხარესთან თქვა მან უარი. მთავარია, რომ მესამე პირის ნება უარის შესახებ რაიმე ფორმით გამოხატული იყოს ან შემპირებლის, ან შეპირების მიმღების წინაშე. მაშასადამე, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის უარის ადრესატად განხილული უნდა იქნეს შემპირებელი ან შეპირების მიმღები, იმის მიხედვით თუ რომელი მათგანის მიმართ განაცხადებს მესამე პირი უარს. ამ სახის ხელშეკრულებაში მესამე პირის უარის ადრესატზე მსჯელობა იმიტომაა საჭირო, რომ მესამე პირის უარი შესრულების მიღებაზე, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, არის ასევე მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა.

ვინაიდან დოქტრინაში ცალსახად აღიარებულია, რომ მესამე პირის უარი ხელშეკრულებიდან შეძენილ უფლებაზე არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, ასევე დასაბუთებული იქნა, რომ მიღებასავლებულო ნების გამოვლენაა მესამე პირის უარი შესრულების მიღებაზეც, სსკ-ის 351-ე მუხლი კი არ განსაზღვრავს მესამე პირის უარის ადრესატს, ხოლო ის საკითხი ,,მოითხოვს თუ არა ნების გამოვლენა მეორე მხარის მიერ მის მიღებას, კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს",[639] მესამე პირის ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგის დადგომის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე იყოს მოწესრიგებული, თუ ვის მიმართ უნდა განაცხადოს მესამე პირმა უარი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სსკ-ის 351-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და დაემატოს შემდეგი ნაწილები:

მუხლი 351. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე

1. თუ მესამე პირი უარს ამბობს დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მან ასეთი უარის შესახებ უნდა განაცხადოს შემპირებლის მიმართ.

2. თუ მესამე პირი უარს ამბობს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზე, მან ასეთი უარის შესახებ უნდა განაცხადოს შემპირებლის ან/და შეპირების მიმღების მიმართ.

3. შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის შესახებ შემპირებლისა და შეპირების მიმღების მიერ ურთიერთშეტყობინების ვალდებულება

შემპირებლისა და შეპირების მიმღების მიერ, შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის შესახებ, ურთიერთშეტყობინების ვალდებულების აუცილებლობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ასეთი შეტყობინების არარსებობისას ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია უგულებელყოფილი იქნეს მხარეთა

[639] *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 51, ველი 3, 295.

ინტერესი. აქედან გამომდინარეც არ უნდა იქნეს გაზიარებული ის პოზიცია,[640] რომელიც შეპირების მიმღების ინფორმირებას მესამე პირის უარის შესახებ საჭიროდ არ მიიჩნევს. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ღირსი ინტერესი სწორედ შეპირების მიმღებს აქვს. ვინაიდან შეპირების მიმღებია ის მხარე, რომელიც მესამე პირის სასარგებლოდ შესრულებისათვის დებს ხელშეკრულებას შემპირებელთან. ამიტომ შეპირების მიმღების გამორიცხვამ ამ პროცესიდან და მესამე პირის უარის შესახებ მისთვის მინიმუმ ინფორმაციის მიუწოდებლობამ, შესაძლოა ზიანი მიაყენოს მის ინტერესს.

მაგალითად, სრულიად შესაძლებელია შემპირებელი არ აღმოჩნდეს კეთილსინდისიერი და მან თავისუფალი ნების პირობებში შეპირების მიმღებს არც კი შეატყობინოს/ან დროულად არ შეატყობინოს, რომ მესამე პირმა უარი თქვა ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე, მით უფრო იმ ფონზე, რომ სამოქალაქო ბრუნვა მისი მონაწილის მხრიდან ყოველთვის დგას არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკის წინაშე. ამიტომ მნიშვნელოვანია მესამე პირის უარის შესახებ ხელშეკრულების იმ მხარის მიერ, რომლის წინაშეც უარის შესახებ განცხადება გაკეთდა, დაუყოვნებლივ ეცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს, რათა მას დროულად შეეძლოს მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინება. მაგალითად: შემპირებელმა უნდა იცოდეს ვინაა თავისი ვალდებულების შესრულების ადრესატი; როგორ მოიქცეს მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში; დაიწყოს თუ არა ნივთის ტრანსპორტირების განხორციელება მესამე პირის მისამართით და სხვა.

შეპირების მიმღებთან მიმართებით კი გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მესამე პირის სასარგებლოდ დათქმას შეპირების მიმღები ახორციელებს. შესაბამისად, მასვე აქვს მესამე პირისათვის შესრულების ინტერესი, ხოლო მის მიერ უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეპირების მიმღებმა სახელშეკრულებო შეთანხმების შესაბამისად უნდა

[640] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110-111; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 2, 1724; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 2, online Kommentar; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 5, 211.

მიიღოს გადაწყვეტილება, მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით, მოითხოვოს ვალდებულების თავის სასარგებლოდ შესრულება თუ სხვა.

მესამე პირის უარის შემთხვევაში არც სსკ და არც გსკ ითვალისწინებს მხარეების მიერ ურთიერთშეტყობინების ვალდებულებას, უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მესამე პირის უარის შესახებ შეპირების მიმღების ინფორმირებაც კი არ არის საჭირო.[641] ასეთი მოწესრიგების არსებობა შესაბამისად განაპირობებს იმას, რომ დადგენილი არ არის რაიმე ვადა, რომლის განმავლობაშიც მხარეებს ურთიერთშეტყობინების ვალდებულება დაეკისრებოდათ. ცხადია, აღნიშნული მხარეებს უფლებას არ ართმევთ ამისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრონ ვადა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ისინი არ ითვალისწინებენ სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელ ყველა საკითხს, რის გამოც საჭირო ხდება მათი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწესრიგება. ამიტომ შემპირებლისა და შეპირების მიმღების ინტერესების სამართლიანად დაცვის, ასევე სახელშეკრულებო წესრიგის უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს მესამე პირის უარის შესახებ მხარეების მიერ ერთმანეთის შეტყობინების ვალდებულება. აღნიშნულზე მითითება მნიშვნელოვანია ასევე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შესრულების მიღების ვადის გადაცილების საკითხზე მსჯელობისათვის, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

ვინაიდან მესამე პირის უარს უკავშირდება მთელი რიგი სამართლებრივი შედეგები, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაცვის მიზნისათვის, შეტყობინება არ უნდა განხორციელდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივ პერიოდში. ამიტომ გონივრული იქნება, მესამე პირის უარის შესახებ ერთი მხარის მიერ მეორე მხარეს ეცნობოს ,,ბრალეული დაყოვნების გარეშე“[642] ე.ი. დაუყოვნებლივ.

ამასთანავე, მხარეების მიერ ურთიერთშეტყობინების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ორივე სახესთან მიმართებით, ვინაიდან მესამე პირის მიერ როგორც ხელშეკრულებით

---

[641] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 6, 110-111.

[642] იხ. *რუსიაშვილი გ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 358, ველი 4, 333; მითითებაა იქვე, გსკ-ის §121 (1)-ზე, (…,,ohne schuldhaftes Zögern (unverzüglich)“…) BGB, <https://www.gesetze-im-internet.de/bgb/__121.html>, [04.01.2020].

შეძენილ უფლებაზე, ასევე შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში დგება საკითხი, თუ როგორ უნდა წარიმართოს ვალდებულებითი ურთიერთობა.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სსკ-ის 351-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის (მე-5) ნაწილი: **ის მხარე, რომელთანაც მესამე პირმა უარი თქვა ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე, მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს.**

მხარეებისათვის ურთიერთშეტყობინების ვალდებულების დაკისრება შეამცირებს როგორც მათი მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკს, ასევე თითოეულ მათგანს შესაძლებლობას მისცემს დროულად მიიღოს სათანადო ზომები, რაც თავის მხრივ, ასევე უზრუნველყოფს ზედმეტი ხარჯების წარმოშობის თავიდან აცილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე მხარის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შემპირებელმა და შეპირების მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ. მათ მიერ ურთიერთშეტყობინების ვალდებულების დარღვევა კი შესაძლებელია აისახოს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგებზე.

4. მესამე პირის მიერ შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარის თქმის გამო წარმოშობილი ვადის გადაცილების შედეგების რისკის განაწილება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების (სსკ-ის 390-ე - 393-ე მუხლები) ,,უარყოფითი სამართლებრივი შედეგების რისკის“[643] განსხვავებულად განაწილების საჭიროებას განაპირობებს[644] შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის, რადგან ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესრულება გათვალისწინებულია მესამე პირისათვის და შესაძლოა, სწორედ შესრულების მიღებაზე/შეძენილ უფლებაზე მესამე პირის უარის გამო მოხდეს შესრულების მიღების ვადის გადაცილება.

---

[643] *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 359.

[644] კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგების შესახებ, იხ. *ვაშაკიძე გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 393, 578; *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 359.

ვინაიდან საკითხის მოწესრიგება ისე იქნა დასაბუთებული, რომ მესამე პირის უარის შესახებ ურთიერთშეტყობინების ვალდებულება დაეკისრათ მხარეებს, მიზანშეწონილია ასევე განისაზღვროს, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მხარეთა მიერ ურთიერთშეტყობინების ვალდებულების დარღვევამ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებით გამოწვეულ შედეგებზე.

მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე შესაძლებელია სწორედ შეთავაზებული შესრულების მიღებაზე მის უარში გამოიხატოს. ამიტომ როდესაც მესამე პირი უარს ამბობს მისთვის შეთავაზებული შესრულების მიღებაზე, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მესამე პირი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე საერთოდ ამბობს უარს (სსკ-ის 351-ე მუხლი), თუ უბრალოდ შეთავაზებული შესრულების მიღებას აყოვნებს (სსკ-ის 390-ე მუხლი).

თუ მესამე პირი მხოლოდ შემპირებლის მიერ შეთავაზებული შესრულების მიღებას აყოვნებს და უარს არ ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაშინ ჩვეულებრივ დადგება მესამე პირის მიერ ვადის გადაცილების საკითხი და ვადის გადაცილების უარყოფითი შედეგების რისკიც მასვე დაეკისრება,[645] რადგან მესამე პირი ასეთ დროს არის შეთავაზებული შესრულების ,,კრედიტორი",[646] სწორედ მესამე პირია ის, ვის მიმართაც შემპირებელმა შესრულება უნდა განახორციელოს.[647]

თუ მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე შესრულების მიღებაზე უარით გამოიხატება, არ დადგება მესამე პირის მიერ ვადის გადაცილების საკითხი.[648] თუმცა იმით, რომ მესამე პირის მიერ არ ხდება ვადის გადაცილება, ცხადია, არ გამოირიცხება ზოგადად შესრულების მიღებაზე უარის თქმის გამო მიღების ვადის გადაცილების შედეგების დადგომის შესაძლებლობა.

მესამე პირის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმის გამო ვადის გადაცილების საკითხი შესაძლებელია წარმოიშვას ასევე, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში.[649]

---

[645] *Lange H.,* Die Auswirkung von Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter im Rechtsbereich des Dritten, NJW, 18. Jahrg., - 1. Halbb., 1965, Heft 15, 660; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2009, §328, Rn. 82, 78 და §334, Rn. 19, 223, 224.

[646] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 7, 212.

[647] იქვე; *Staudinger J., Feldmann C.,* BGB, Buch 2, Berlin, 2014, §293, Rn. 6, 986, 987.

[648] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 7, 212, BGH NJW 1999, 1110, 112, მითითებულია იქვე; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2009, §334, Rn. 19, 217; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 8, 111, 112.

[649] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 544.

მართალია, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია, მაგრამ მას აქვს შესრულების მიღების უფლებამოსილება; ვადის გადაცილება კი შესაძლებელია სწორედ მესამე პირის მიერ შესრულების მიღებაზე უარის გამო წარმოიშვას. ამ სახის ხელშეკრულებაშიც შესაძლებელია მესამე პირს დაეკისროს შესრულების მიღების ვადის გადაცილების შედეგების რისკი, იმ შემთხვევაში, როდესაც შეპირების მიმღები მესამე პირის სასარგებლოდ იმის გამო დებს ხელშეკრულებას, რომ მან სავალუტო ურთიერთობაში მესამე პირის წინაშე არსებული ვალდებულება ამ ხელშეკრულების (პროპორციული ურთიერთობის) საფუძველზე შეასრულოს. ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს.

მართალია, უშუალოდ შეპირების მიმღების მიერ არ მოხდება ვადის გადაცილება, ვინაიდან შესრულება გამიზნულია მესამე პირისათვის და მისი უარი იწვევს შესრულების მიღების დაყოვნებას, მაგრამ ისმის კითხვა, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, შეთავაზებული შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის გამო წარმოშობილ ვადის გადაცილების შედეგებზე? თვით მესამე პირის მხრიდან შესრულების მიღების ვადის გადაცილებაზე ვერ იქნება საუბარი,[650] ვინაიდან, თუ მესამე პირი საერთოდ უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე, მას ვერც პასუხისმგებლობა დაეკისრება შესრულების მიუღებლობის გამო. მესამე პირის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში კი, შესაძლებელია, ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოიშვას ზედმეტი ხარჯები, ნივთი შემთხვევით გაფუჭდეს ან დაიღუპოს, ხოლო ფულადი ვალდებულებისას შესაფასებელი გახდეს კრედიტორის მიერ პროცენტის მოთხოვნის საკითხი. კერძოდ, სსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი ვადის გადაცილებისას მისი ბრალის მიუხედავად: ა) ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები; ბ) მას ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი; გ) მას აღარა აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება.

[650] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 2, 109; Rn. 8, 111, 122.

თუმცა ასეთ დროს, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, იმის განსასაზღვრად, შეპირების მიმღები უნდა იყოს ამ სახელშეკრულებო რისკის მატარებელი თუ შემპირებელი (მოვალე), მნიშვნელოვანია დადგინდეს: მესამე პირმა უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე შემპირებლის წინაშე თქვა, თუ შემპირების მიმღების და შემპირებელმა დაუყოვნებლივ შეატყობინა თუ არა შეპირების მიმღებს მესამე პირის უარის შესახებ.

თუ მესამე პირმა შესრულების მიღებაზე უარი შეპირების მიმღებთან განაცხადა სსკ-ის 393-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შედეგების რისკის მატარებელი უნდა იყოს შეპირების მიმღები, ვინაიდან მას იმთავითვე შეეძლო მიეღო სათანადო ზომები, ან შემპირებლისათვის მიეცა შესაბამისი მითითებები. მაგრამ განსხვავებულად უნდა მოწესრიგდეს საკითხი, თუ შესრულების მიღების ვადის გადაცილება გამოწვეულია იმით, რომ მესამე პირმა ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარი მხოლოდ შემპირებლის წინაშე თქვა, ამ უკანასკნელმა კი აღნიშნული შეპირების მიმღებს დაუყოვნებლივ (ე.ი. ბრალეული დაყოვნების გარეშე) არ შეატყობინა. ასეთ დროს უსამართლო იქნებოდა შეპირების მიმღებისათვის ,,ვადის გადაცილების უარყოფითი სამართლებრივი შედეგების რისკის“[651] დაკისრება, ამიტომ გაუმართლებელია შემპირებლის არაკეთილსინდისიერი ქმედების პირობებში, კრედიტორი მისი ბრალის მიუხედავად პასუხისმგებელი იყოს სსკ-ის 393-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებზე. ვინაიდან შეპირების მიმღების მითითებების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია არ წარმოშობილიყო ნივთის შენახვის ზედმეტი ხარჯები, ან თავიდან ყოფილიყო აცილებული მისი შემთხვევით დაღუპვა ან გაფუჭება და სხვა. ამიტომ, თუ შემპირებელი ბრალეული დაყოვნების გარეშე არაფერს მოიმოქმედებს შეპირების მიმღების ინფორმირებისათვის, შეპირების მიმღების ნაცვლად ვადის გადაცილების უარყოფითი სამართლებრივი შედეგების რისკი, მიზანშეწონილია შემპირებელს დაეკისროს.

იქ, სადაც შემპირებლის ბრალი გამორიცხულია, მას არც პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მითითება იმაზე, რომ შემპირებელმა

[651] *ზოიძე გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 359.

ბრალეულად არ უნდა დააყოვნოს შეპირების მიმღების ინფორმირება. რაც ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს.

აღნიშნული შეტყობინების ვალდებულების დაკისრება შემპირებლისათვის არ უნდა ჩაითვალოს უთანასწორო სახელშეკრულებო ტვირთად, რადგან ,,მიღების ვადის გადაცილებამ არ შეიძლება შემპირებელი აქციოს არაკეთილსინდისიერ მხარედ. ,,კეთილსინდისიერი მოქმედება სავალდებულოა ვალდებულებითი ურთიერთობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერი მხარისათვის".[652]

შეპირების მიმღებთან მიმართებით გასათვალისწინებელია, როდესაც ის შემპირებელთან მესამე პირის სასარგებლოდ დებს ხელშეკრულებას ისე, რომ მესამე პირის თანხმობა გამოხატული არ არის, მან იმთავითვე შეიძლება გააცნობიეროს რისკი, რომ მესამე პირმა შესაძლებელია არ მიიღოს შესრულება, რამაც შეიძლება შესრულების მიღების ვადის გადაცილების საკითხი და მასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები წარმოშვას. ამიტომ, როდესაც შემპირებელი ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს, შესრულების მიღების ვადის გადაცილებას კი მის მიღებაზე შესრულების ადრესატის უარი განაპირობებს, ,,ვადის გადაცილების უარყოფითი სამართლებრივი შედეგების"[653] რისკი ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაშიც შეპირების მიმღებს უნდა დაეკისროს.

საკითხის სხვაგვარი მოწესრიგება უსამართლო იქნებოდა შემპირებელთან მიმართებით, რაც თავის მხრივ, შეამცირებდა მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების შემთხვევას; ვინაიდან, თუ შემპირებელი დათქმულ დროში კეთილსინდისიერად შეასრულებდა ვალდებულებას, მაგრამ შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის გამო წარმოშობილი შესრულების მიღების ვადის გადაცილების უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობა მაინც შემპირებელს დაეკისრებოდა, ნაკლებად სავარაუდოა, შემპირებელი შეპირების მიმღებს მესამე პირის სასარგებლოდ შესრულებას დასთანხმდეს.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სსკ-ის 351-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 ნაწილი:

---

[652]იქვე, 362.
[653] იქვე, 359.

6. თუ მესამე პირი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარს განაცხადებს შემპირებლის მიმართ, მაშინ ამ კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შედეგების რისკი დაეკისრება:

ა) შეპირების მიმღებს, თუ ამ უკანასკნელს მესამე პირის უარის შესახებ შემპირებელი დაუყოვნებლივ (ე.ი. ბრალეული დაყოვნების გარეშე) შეატყობინებს, ან თუ შემპირებელი დაამტკიცებს, რომ მისი ძალისხმევის მიუხედავად, ან კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეპირების მიმღების დაუყოვნებლივ ინფორმირება შეუძლებელი იყო.

ბ) შემპირებელს, შეპირების მიმღების მიმართ დაუყოვნებლივ შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეტყობინების დაყოვნება შემპირებლის ბრალით არ არის გამოწვეული.

იმავდროულად საჭიროა, სსკ-ის 393-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შემადგენლობა: **ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შედეგების რისკი კრედიტორის ნაცვლად დაეკისრება მოვალეს ამ კოდექსის 351-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევაში.**

მაშასადამე, თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე, იმის განსასაზღვრად შეპირების მიმღებს უნდა დაეკისროს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგები (სსკ-ის 393-ე მუხლი) თუ შემპირებელს, უნდა დადგინდეს, თუ ვის განუცხადა მესამე პირმა ასეთი უარი. მესამე პირის მიერ შეპირების მიმღების მიმართ უარის თქმის შემთხვევაში, ვადის გადაცილების შედეგებზე პასუხისმგებელი იქნება თავად შეპირების მიმღები, ხოლო, თუ მესამე პირი მხოლოდ შემპირებლის მიმართ განაცხადებს უარს, მაშინ შემპირებლის მიერ აღნიშნულის თაობაზე შეპირების მიმღების დაუყოვნებლივ ინფორმირების შემთხვევაში, ასეთი შედეგების რისკი კვლავ შეპირების მიმღებს დაეკისრება, მაგრამ შემპირებლის მიერ შეპირების მიმღების შეტყობინების ბრალეული დაყოვნების შემთხვევაში, ეს რისკი სამართლიანი იქნება შემპირებელს დაეკისროს.

5. მესამე პირის უარის სამართლებრივი შედეგი

სსკ-ის 351-ე მუხლი გარდა იმისა, რომ შეპირების მიმღებს თვითონ შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, კონკრეტულად არ განსაზღვრავს, თუ რა

შედეგი შეიძლება დადგეს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე მესამე პირის უარის შემთხვევაში. მაგრამ ნორმაში არსებული მითითება, რომ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან შეიძლება სხვა რამ გამომდინარეობდეს, ხელშეკრულების განმარტების საშუალებას ტოვებს. რაც ქვემოთ იქნება განხილული.

ვინაიდან სსკ-ის 351-ე მუხლი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე მესამე პირის უარის საკითხს აწესრიგებს, მესამე პირის უარის არსის წარმოსაჩენად, მნიშვნელოვანია ნორმა მიუთითებდეს, თუ რა გავლენას ახდენს მესამე პირის უარი თვით მესამე პირის უფლებაზე. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირის უფლება, ძირითადად, წარმოშობილად ითვლება ხელშეკრულების დადებისთანავე.[654] ამ კუთხით გასაზიარებელია საკითხის მიმართ გერმანიისა და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსების მიდგომა, ასევე ,,ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებით" განსაზღვრული მოწესრიგება. კერძოდ, გსკ-ის 333-ე პარაგრაფის[655] და ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის 882-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის[656] მიხედვით, თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, ითვლება, რომ ეს უფლება არ ყოფილა შეძენილი. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 6:110-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმადაც ითვლება, რომ ეს უფლება მესამე პირის მიერ არასოდეს ყოფილა შეძენილი.[657] ,,ხელშეკრულებების (მესამე პირის უფლებების) შესახებ" ინგლისის 1999 წლის აქტით[658] აღნიშნული გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ნების ავტონომიიდან გამომდინარე, ინგლისურ დოქტრინაშიც მიიჩნევა, რომ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე მესამე პირის უარის შემთხვევაში, მის მიერ ეს უფლება შეძენილად არ ითვლება.[659]

მაშასადამე, მესამე პირის მიერ შეძენილი უფლების გაუქმებისათვის ხელშეკრულების მხარეების მიერ დამატებითი მოქმედების განხორციელება კი არ

---

[654] მაგრამ შესაძლოა მისი წარმოშობა გარკვეულ წინაპირობებზეც იყოს დამოკიდებული.

[655](..."so gilt das Recht als nicht erworben."), <https://www.gesetze-im-internet.de/bgb/>, [16.12.2019]

[656](... "so gilt das Recht als nicht erworben."), <https://www.jusline.at/gesetz/abgb>, [16.12.2019]; იხ. ასევე, *Kraus M.,* Die Versicherung für fremde Rechnung, Diss., Wien, 2017, 27.

[657]PELC Art. 6:110 (2) Weist der Dritte das Recht, Erfüllung zu verlangen, zurück, so gilt das Recht als von ihm nie erworben, <http://www.christiantakoff.com/wpcontent/uploads/soft_law/pecl_komplett_EN_DE.pdf>, [14.12.2019].

[658]The Contracts (Rights of Third Parties) Act 1999, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1999/31/contents>, [16.12.2019].

[659]*Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 154.

არის საჭირო, არამედ მესამე პირის უარს აქვს ,,უკუქცევითი ძალა“[660] და ითვლება ისე, როგორც მესამე პირი არასოდეს ყოფილიყოს შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე.[661] ამიტომ ეს უფლება მესამე პირის სამკვიდრო ქონებაშიც არ ხვდება.[662]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სსკ-ის 351-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი:

3. თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაშინ ითვლება, რომ ეს უფლება მესამე პირის მიერ არ ყოფილა შეძენილი.

თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილი უფლების განხორციელებაზე, სსკ-ის 351-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.[663] შეპირების მიმღების (კრედიტორის) მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნაში ამ შემთხვევაში იგულისხმება, საკუთარი თავის სასარგებლოდ მოთხოვნის უფლება.[664] ამიტომ აღნიშნულ ნორმაში მეტი სიცხადისათვის მიზანშეწონილია მითითებული იქნეს, რომ ასეთ შემთხვევაში შეპირების მიმღებს შეუძლია ,,თავის სასარგებლოდ“[665] მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. მაგრამ კრედიტორი ვერ მოითხოვს ვალდებულების შესრულებას თავის სასარგებლოდ, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ გამომდინარეობს. მაგალითად, ხელშეკრულებით შესაძლებელია განსაზღვრული იყოს, რომ მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შეპირებულ შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მესამე პირი უნდა შეიცვალოს სხვა პირით,

---

[660] "Rückwirkung", ე.წ. "ex tunc", იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 1, 109; Rn. 8, 111; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 462; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 1158, 294; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 221; *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 154.

[661] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 1, 109; Rn. 8, 111; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 3, 569; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 4, 1724; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - Teil I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 261; *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 8; იხ. ასევე, *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1201 505; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 4, 293.

[662] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §333, Rn. 7, online Kommentar; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 13, 213-214.

[663] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 227, 228.

[664] *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 90; იხ. ასევე, *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 12, 114.

[665] *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 90.

ან სხვა. ხელშეკრულებით აღნიშნული განსაზღვრული რომც არ იყოს, იმის დასადგენად, აქვს თუ არა შეპირების მიმღებს ვალდებულების საკუთარი თავის სასარგებლოდ მოთხოვნის უფლება, ყურადღება უნდა მიექცეს თვით ვალდებულების არსს,[666] საიდანაც შესაძლოა გამომდინარეობდეს, რომ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შეპირების მიმღების მხრიდან შეუძლებელია, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების გამოყენება თავისი არსიდან გამომდინარე მხოლოდ მესამე პირის მიერ იყოს შესაძლებელი.

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, როდესაც მესამე პირი ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებულ უფლებაზე უარს აცხადებს, ხდება ამ ხელშეკრულების ტრანსფორმაცია მესამე პირის უფლების გარეშე ხელშეკრულებად.[667] მაგრამ აღნიშნული პირდაპირ არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 430-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კრედიტორს შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს, სხვა სამართლებრივ აქტს, ან ხელშეკრულებას.[668]

მართალია, სსკ-ის 351-ე მუხლი მესამე პირის მიერ მხოლოდ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის საკითხზე მიუთითებს, იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მსჯელობაც ეხება მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შედეგებს, მაგრამ როგორც აღინიშნა, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაც ახდენს გავლენას შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის არსებულ შეთანხმებაზე, ვინაიდან ამ დროსაც საჭირო ხდება დადგინდეს, თუ როგორ უნდა წარიმართოს მხარეებს შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა. ამიტომ მესამე პირის მიერ შესრულების მიღებაზე უარის შემთხვევაში იგივენაირად უნდა გადაწყდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების ბედი, როგორც ეს შეძენილ უფლებაზე უარის შემთხვევაშია შესაძლებელი.

---

[666]იხ. *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 228, 229.

[667]*Абовой Т.Е, Богуславского М.М., Кабалкина А. Ю., Листицина-Светланова А.Г.,* Постатейный комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, Москва, 2018, 369.

[668]http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_5142/629356cc68c0bf9ac272d206afbb0a14efcf0810/>, [18.12.2019].

მესამე პირის უარის თქმის შემთხვევისთვის მხარეებს შესაძლებელია ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ჰქონდეთ, მესამე პირის უარის მიუხედავად უნდა გაგრძელდეს თუ არა, ან რა სახით უნდა გაგრძელდეს მათ შორის არსებული პროპორციული ურთიერთობა.[669] მაგრამ ,,განსაზღვრული მოწესრიგების არარსებობისას სამართლებრივი შედეგი უნდა დადგინდეს ხელშეკრულების (შევსებითი) განმარტების გზით, სამართლებრივი ურთიერთობის მიზნისა და შინაარსის გათვალისწინებით".[670] მაშასადამე, ის საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს მესამე პირის უარი შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე (პროპორციული ურთიერთობა) ხელშეკრულების განმარტების მეშვეობით უნდა შეფასდეს.[671] აღნიშნული საჭიროცაა, რადგან მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე ან შესრულების მიღებაზე ავტომატურად არ იწვევს შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებას.

საეჭვოობისას (ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების განმარტების გზითაც ვერ დგინდება საბოლოო შედეგი) გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მესამე პირის მიერ უარის თქმის შემდეგ შეპირების მიმღები უფლებამოსილია შესრულება მოითხოვოს თავის სასარგებლოდ,[672] ან განსაზღვროს სხვა მესამე პირი.[673] აღნიშნული იმ შემთხვევაშია გასათვალისწინებელი, როდესაც შემპირებელს თავდაპირველად დასახელებული მესამე პირის მიმართ შესრულებისადმი საკუთარი ინტერესი არ აქვს ან/და თვითონ შეპირების მიმღებს აქვს შესრულებისადმი ინტერესი.[674] ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ვალდებულების არსს. მაგრამ, საინტერესოა, როგორ უნდა მოწესრიგდეს საკითხი, თუ შემპირებელს თავდაპირველად განსაზღვრული მესამე პირის მიმართ შესრულებისადმი ჰქონდა განსაკუთრებული ინტერესი.[675] ამ შემთხვევაშიც შესაძლოა შემპირებელი ვალდებული იყოს განახორციელოს

---

[669] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 466.

[670]იქვე.

[671]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 14, 214; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 225; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 9, 112.

[672] გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვალდებულების არსიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შეპირების მიმღების მხრიდან შეუძლებელია.

[673] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 225; იხ. ასევე *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 467; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 14, 214.

[674] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 225.

[675] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 467.

შესრულება შეპირების მიმღების მოთხოვნის შესაბამისად, ამ უკანასკნელის მიერ დასახელებული მესამე პირის სასარგებლოდ.[676] შემპირებლისათვის უპირობო შესაძლებლობის მიცემა, უარი თქვას შეპირების მიმღების მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიმართ შესრულებაზე, გამოიწვევდა იმას, რომ ხელშეკრულების შესრულება საერთოდ აღარ იქნებოდა შესაძლებელი.[677] ამიტომ მიჩნეულია, რომ ასეთ შემთხვევაში შემპირებელმა კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით უნდა შეასრულოს ვალდებულება შეცვლილი ადრესატის მიმართ.[678] ვინაიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს შეპირების მიმღების ინტერესს იმ შესრულებისადმი, რომლის განხორციელებასაც იგი ისახავდა მიზნად ხელშეკრულების დადებით.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც შემპირებელს აქვს პატივსადები საფუძველი, რის გამოც არ სურს თავდაპირველად დასახელებული მესამე პირის ნაცვლად ვალდებულების შესრულება შეპირების მიმღების მიერ ცალმხრივად განსაზღვრული სხვა მესამე პირის წინაშე, შემპირებელი არ უნდა იქნეს დავალდებულებული განახორციელოს შესრულება შეცვლილი ადრესატის მიმართ. ასეთ შემთხვევაში შეპირების მიმღებმა ან შემპირებელთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს მესამე პირი, ან თავის სასარგებლოდ მოითხოვოს შესრულება, თუ ვალდებულების არსიდან გამომდინარე აღნიშნული შესაძლებელია. კიდევ ამ არგუმენტის გამო არ უნდა იქნეს გაზიარებული პოზიცია, შეპირების მიმღების უფლებამოსილების შესახებ, - შემპირებელთან შეთანხმების გარეშე, ცალმხრივად განსაზღვროს სხვა მესამე პირი.[679] ვინაიდან ეს თავისი არსით არის მესამე პირის ცვლილება, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შეპირების მიმღების მიერ, შემპირებელთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს.

ხელშეკრულებაში სათანადო დათქმის არარსებობისას, ასევე დასაშვებად განიხილება, რომ ხელშეკრულების მხარეები მესამე პირის მიერ უარის თქმის შემდეგაც შეთანხმდნენ შესრულების შეპირების მიმღების, ან სხვა მესამე პირის მიმართ განხორციელებაზე.[680] ასეთი შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დასაშვებია, თუ შემპირებლისათვის მნიშვნელობა არ აქვს ვის მიმართ

---

[676] იხ. იქვე.
[677] იქვე.
[678] იქვე, 468.
[679]შეად. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 12, 114.
[680] იქვე.

განახორციელებს შესრულებას, ვინაიდან მისი ინტერესი, როგორც წესი, საპასუხო შესრულების მიღებაა (და არა შესრულების ადრესატის ვინაობა). ამასთანავე, შეცვლილი ადრესატის მიმართ შესრულება შემპირებლისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანი არ უნდა იყოს.[681] ასეთ შემთხვევაში დამატებითი ხარჯების ანაზღაურება უნდა დაეკისროს შეპირების მიმღებს. მხარეებისათვის შესაძლებლობის მიცემა, მოგვიანებითაც შეთანხმდნენ შესრულების ადრესატის ცვლილებაზე მნიშვნელოვანია ასევე ,,ხელშეკრულების შესრულების პრინციპის"[682] დასაცავად, ვინაიდან შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის შემთხვევაში მხარეები უნდა ეცადონ, რომ ხელშეკრულება შეცვლილი ადრესატით, თუმცა შესრულდეს, თუ ეს ვალდებულების არსს არ ეწინააღმდეგება.

თუ მესამე პირი შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარით არღვევს სავალუტო ურთიერთობაში შეპირების მიმღების მიმართ არსებულ ვალდებულებას (მაგ., წინასწარი თანხმობა შესრულების მიღებაზე), მას შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, როდესაც მაგალითად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება შესაძლებელს ხდიდა, სავალუტო ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულება შეპირების მიმღებს ნაკლებ ფასად განეხორციელებინა.[683] ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს.

გარდა დასახელებული შემთხვევებისა, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს დათქმას იმის შესახებ, ან განმარტებული იქნეს ისე, რომ მესამე პირის უარი გარიგების გაუქმების პირობის დადგომად იქნეს მიჩნეული (იხ. სსკ-ის 97-ე მუხლი),[684] ისეთი შემთხვევისთვის, თუ, მაგალითად: მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე და თვით შეპირების მიმღებს ინტერესი არ გააჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებაზე; ან ვალდებულების არსიდან გამომდინარე

---

[681] იქვე.

[682]"Pacta Sunt Servanda", აღნიშნული პრინციპის შესახებ იხ. *ვაშაკიძე გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, ველი 15 და მომდევნო, 8; *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014, 13 და მომდევნო.

[683] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 15, 115.

[684] იხ. იქვე, Rn.11, 113.

შეუძლებელია ვალდებულების შესრულება შეპირების მიმღების სასარგებლოდ და არც სხვა მესამე პირისათვის სურს ამ შესრულების განხორციელება.[685]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სსკ-ის 351-ე მუხლი განსაზღვრავდეს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის შემთხვევაში, თუ რა კუთხით არის შესაძლებელი ვალდებულებითი ურთიერთობის გაგრძელება, მიზანშეწონილია სსკ-ის 351-ე მუხლს ასევე დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი:

4. ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის შემთხვევაში შეპირების მიმღებს შეუძლია თავის სასარგებლოდ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ან ამ კოდექსის 350-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესით მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილზე მითითება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ წინამდებარე ნაშრომში ამ მუხლის მეორე ნაწილით იქნა შეთავაზებული კონტრაჰენტის პატივსადები ინტერესის გათვალისწინება შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის შეცვლის განხორციელებისას.

გერმანულ დოქტრინაში უპირატესად აღიარებულია, რომ, თუ შესრულების განხორციელება სხვა მესამე პირის მიმართ შეუძლებელია და არც თვითონ შეპირების მიმღებს აქვს ინტერესი შესრულების მიმართ, დგება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევა.[686] შესაბამისად, საკითხი გსკ-ის 275-ე პარაგრაფით და იმავე კოდექსის 326-ე პარაგრაფის პირველი ნაწილით წესრიგდება.[687] თუმცა დასაშვებადაა მიჩნეული, რომ ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე შესაძლოა საჭირო გახდეს გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის გამოყენებაც.[688] ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სახესთან მიმართებით გაზიარებული უნდა იქნეს ის პოზიცია, რომლის მიხედვით, ამ შემთხვევაში საქმე ეხება

---

[685] იქვე; იხ. ასევე, *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 6, 212.

[686]იხ. *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 14, 214; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 4, 1724; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 9, 112; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 3, 569.

[687]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §333, Rn. 14, 214; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 3, 569; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 4, 1724.

[688] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 3, 569; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 4, 1724.

,,შესრულების ობიექტურ შეუძლებლობას“,[689] რომელიც გსკ-ის 275 (1) პარაგრაფითაა მოწესრიგებული.[690] რადგან ასეთ დროს შესრულების შეუძლებლობას იწვევს მესამე პირის უარი და რაიმე სხვა გარემოებას არ ეხება საქმე,[691] შესრულების განხორციელება შეუძლებელი იქნება ნებისმიერი პირისათვის[692] (შესრულების ობიექტური შეუძლებლობა). კერძოდ, გსკ-ის 275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, შესრულების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება, რამდენადაც იგი მოვალისათვის ან ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია.[693] დასახელებულ შემთხვევაში გსკ-ის 275-ე პარაგრაფისა და 326-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის[694] პირდაპირ გამოყენებაზე გამოთქმულია კრიტიკაც, რადგან ამ პოზიციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ასეთ შემთხვევაში ამ ნორმების გამოყენება მხოლოდ ანალოგიითაა შესაძლებელი.[695] უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება სავსებით დასაბუთებულია, ვინაიდან, რომ არა მესამე პირის უარი, სხვა მესამე პირის არარსებობა/ინტერესის არქონა შესრულებისადმი, რომლის მიმართაც თავდაპირველად დასახელებული მესამე პირის ნაცვლად შესრულდებოდა ვალდებულება, ან თვით შეპირების მიმღების უინტერესობა შესრულებისადმი, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომაც აქ შესრულების შეუძლებლობის კლასიკურ შემთხვევას არ ეხება საქმე.

საბოლოო ჯამში, მესამე პირის უარის სამართლებრივ შედეგთან მიმართებით საკითხის გსკ-ის 275-ე (1) და 326 (1) პარაგრაფების საფუძველზე მოწესრიგების შედეგად დგინდება, რომ შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში (გსკ-ის § 275), გსკ-ის 326-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოირიცხება საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება. ე.ი. თუ მოვალე გათავისუფლდება

---

[689] იხ. *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 468; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 9, 112.

[690] *Brox H., Walker W.,* Allgemeines Sculdrecht, 39. Aufl., 2015, München, 223.

[691] შესრულების შეუძლებლობის სახეებზე იხ. *ზოიძე თ.,* ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა, №2, 2019, 147 და მომდევნო; *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, 223 ff.

[692] *Brox H., Walker W.,* Allgemeines Sculdrecht, 39. Aufl., 2015, München, 223.

[693] *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), (რედ. ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ.),გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019, §275, 60.

[694] §324 Abs 1 aF BGB = jetzt §326 Abs 1 BGB, მითითებულია, *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 9, სქოლიო 47, 113.

[695]“(nur hier §275 Abs 1 analog)“, *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn. 11, 113, აქვე სქოლიო 57; §324 Abs 1 (aF) BGB (analog), (jetzt §326 Abs 1 BGB), *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 352.

ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან, მას აღარც საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება ექნება კრედიტორისაგან. კერძოდ, გსკ-ის 326 პარაგრაფის პირველი ნაწილის[696] შესაბამისად, ,,თუ მოვალეს §275 პირველი - მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ გამოირიცხება საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებაც; ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება §441-ის მე-3 ნაწილი. პირველი წინადადება არ მოქმედებს, თუ მოვალეს ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო §275 პირველი - მე-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე.“.

ვინაიდან ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე დასაშვებადაა მიჩნეული გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის გამოყენებაც,[697] ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, მოვალე შესაძლოა ინარჩუნებდეს კიდეც საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებას. კერძოდ, გსკ-ის 326-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის[698] შესაბამისად, ,,თუ კრედიტორი იმ გარემოებისათვის, რომლის საფუძველზეც მოვალეს §275-ის პირველი - მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მხოლოდ ის ან უმეტესწილად თავად არის პასუხისმგებელი ან/და თუ ის გარემოება, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, შეიქმნა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს, მაშინ მოვალე ინარჩუნებს საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებას. თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ თანხის მის ანგარიშში ჩათვლა, რომელსაც იგი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების შედეგად ზოგავს ან საკუთარი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ან/და ბოროტი განზრახვით არ იძენს.“.

როდესაც მესამე პირის უარის გამო შემპირებელი აღარ არის ვალდებული განახორციელოს შესრულება, საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს საპირისპირო ვალდებულების შესრულების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიულ

---

[696] *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), (რედ. *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ.*), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019, §326 (1), 85.

[697] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 76. Aufl., München, 2017, §333, Rn. 3, 569; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §333, Rn. 4, 1724.

[698] *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), (რედ. *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ.*), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019, §326 (2), 85.

ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.[699] გაზიარებული უნდა იქნეს ის მოსაზრება, რომლის მიხედვით, საპასუხო შესრულების ბედი უნდა განისაზღვროს სსკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,[700] რომლის თანახმად, თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას. ამ თვალსაზრისით ასევე გასაზიარებელია მოსაზრება, რომ შეპირების მიმღების თავისი საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება ნიშნავს რისკის გადატანას მოვალეზე, რაც არ არის გამართლებული.[701] ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ითქვას, რომ საქმე ეხება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ რისკს, რომელსაც უნდა ატარებდეს ის სუბიექტი, რომელიც დათქმას მესამე პირისათვის ახორციელებს.[702]

VI. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლები მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას, მხარეთა მიერ სხვა სახის შესაგებლის წარდგენისას

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურება განაპირობებს განსხვავებულად იქნეს მოწესრიგებული მხარეთა მიერ ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი უფლებების განხორციელებისა და სხვა სახის შესაგებლის წარდგენის საკითხი. რადგან ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში სამი პირი მონაწილეობს, ისმის საკითხი, თუ ვის (შეპირების მიმღების თუ მესამე პირის) მიმართ აქვს მოვალეს საკუთარი შესაგებლისა თუ მოთხოვნის წარდგენის უფლება და თუ ვინ (მესამე პირმა თუ შეპირების მიმღებმა) უნდა განახორციელოს კრედიტორის უფლებები.[703] აღნიშნული მნიშვნელოვანია

---

[699]იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §333, Rn.10, 113; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 351, 352; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 4, 293.

[700]*რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 4, 293.

[701]*Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 351, 352.

[702]*ცერცვაძე ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 217.

[703]იხ. *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 13, 235; *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 101.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში; ვინაიდან ასეთი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირს კრედიტორის უფლებები არც ენიჭება, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, შეპირების მიმღების მიერ უფლების განხორციელებისას მიზანშეწონილია მესამე პირის ნების გათვალისწინებაც, ამიტომ სადაც აღნიშნული საჭიროა, სპეციალური ყურადღება იქნება გამახვილებული წინამდებარე თავში.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მესამე პირი ხელშეკრულების შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების შეძენით ხდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების სუბიექტი - კრედიტორი.[704] მაგრამ ის ხდება არა იმ სრული უფლებამოსილების მქონე, რაც კრედიტორს, როგორც ხელშეკრულების მხარეს აქვს, არამედ მესამე პირი მხოლოდ ცალკეული მოთხოვნის უფლების კრედიტორია,[705] ისე, რომ კრედიტორის უფლებამოსილებები განაწილებულია,[706] მესამე პირსა და შეპირების მიმღებს შორის. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს, თუ რა წესით უნდა განხორციელდეს კონკრეტული უფლება ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

1. ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი უფლებებისა და სხვა სამართლებრივ საფუძველზე წარმოშობილი შესაგებლის განხორციელება პროპორციულ ურთიერთობაში

1.1. შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას მეორეული მოთხოვნის უფლებების განაწილება შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის

შემპირებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად დგას საკითხი, თუ ვის აქვს მეორეული[707]

---

[704]ვალდებულების სუბიექტების შესახებ იხ. *მესხიშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 361, ველი 4.

[705]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 1, 217.

[706] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 8; *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017, §328, Rn. 8, 1502; მაგალითად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში უფლებამოსილებები განაწილებულია დამქირავებელსა და მოსარგებლეს შორის, იხ. *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 817.

[707]ორთოგრაფიულად სწორი ფორმაა ,,მეორეული" და არა ,,მეორადი", იხ. *თოფურია ვ., გიგინეიშვილი ი.,* ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შევსებული გამოცემა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 1998,

მოთხოვნის განხორციელების უფლება, შეპირების მიმღებს თუ მესამე პირს, თუ მხოლოდ ორივეს ერთად.[708] გერმანულ დოქტრინაში როგორც ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე, ისე მის შემდგომ საკამათოა საკითხი იმის შესახებ, შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას, მესამე პირი უნდა სარგებლობდეს თუ არა ხელშეკრულებიდან გასვლის, ზიანის ანაზღაურების, დამატებითი შესრულებისა თუ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებით,[709] (მაგ.: სსკ-ის 352; 394; 491; 492; 494; 642; 643; 644; 645 მუხლები; გსკ-ის §§ 281; 323; 437; 634), მესამე პირს უნდა ჰქონდეს თუ არა ,,მოთხოვნათა შორის არჩევანის თავისუფლება",[710] როგორიცაა, მაგალითად, ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება,[711] არჩევანი ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირებას შორის.[712] რადგან აქ საქმე მესამე პირისა და შეპირების მიმღების ინტერესებს თანაბრად ეხება, პასუხის გაცემა ადვილი არ არის.[713] გარდა ამისა, სირთულეს წარმოშობს ისიც, რომ როგორც სსკ-ში, ასევე გსკ-ში ვალდებულების დარღვევის მომწესრიგებელი ნორმები ეხება არა უშუალოდ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას, არამედ ორმხრივი ხელშეკრულების

341; იხ. ასევე, *თვალთვაძე დ., გაფრინდაშვილი ნ., გოგოლაშვილი გ.,* (რედ.), *იმნაიშვილი ვ.,* (რედ.), ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, მესამე შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2016, 57. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იქნება მისი სწორი ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებულია ტერმინი ,,მეორადი მოთხოვნები".
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი ,,მეორეული" მოთხოვნებია ასევე ძირითადად გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში, იხ. *ჭანტურია ლ.,* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, შემდეგი გვერდები: 9; 21; 80; 82; 88; 237; 277; 278; 359; 368 და ა.შ.

[708] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 339; *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 101 ff.; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 9; *Hadding W.,* Schuldverhältnis und Synallagma beim Vertrag zu Rechten Dritter, FS für Joachim Gernhuber, Tübingen, 1993, 156-157.

[709] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 10, 233-234; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1211, 509.

[710] *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 492, ველი 7; ,,მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის" შესახებ იხ. *ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 32 და მომდევნო.

[711] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 223.

[712] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 10, 234; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 513 ff.; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 817.

[713] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 223; *Papanikolaou P.,* Schlechterfüllung beim Vertrag zugunsten Dritter, Berlin, 1997, 34.

კლასიკურ შემთხვევას.[714] გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აქცენტი იმაზეა, მესამე პირი უნდა სარგებლობდეს თუ არა ისეთი მეორეული უფლებებით, რომლებიც ხელშეკრულების შენარჩუნებაზე ახდენს გავლენას.[715] ამიტომ გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, მესამე პირს შეუძლია ისარგებლოს ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი ისეთი უფლებებით, რომელთა განხორციელებაც ხელშეკრულებაზე ან შეპირების მიმღების მდგომარეობაზე გავლენას არ მოახდენს.[716] ეს პოზიცია დასაბუთებულია იმით, რომ რადგან მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე, მას არ შეუძლია განახორციელოს ისეთი უფლებები, რომლებიც პროპორციული ურთიერთობის გარდაქმნას/შეცვლას გამოიწვევს.[717]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაზიარებულია გერმანულ დოქტრინაში არსებული მიდგომა, რომლის მიხედვით, მეორეული მოთხოვნები, რომლებიც მხარის სტატუსს გარდაქმნიან, მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს აქვს.[718]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხელმისაწვდომი[719] გადაწყვეტილებების ანალიზი მოწმობს, რომ მესამე პირის მიერ მეორეული უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა მწირია.[720]

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მესამე პირს შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის არსებული

---

[714]იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 41, 22; *Bischof F., Luise R.,* Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, ZJS, 5/2018, 422, <www.zjs-online.com>, [16.01.2020].

[715] იხ., *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 4., überarb. Aufl., Stuttgart, 2017, Rn. 1195 ff., 367.

[716] *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 79, 81.

[717]*Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §328, Rn. 11, 567.

[718]*რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 28, 277; (მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში მიჩნეულია, რომ დაზღვეული მესამე პირი ვერ სარგებლობს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის უფლებებით, რადგან ისინი რჩება დამზღვევს), იხ. "OLG Hamm r+s 1986, 317 miTiTebulia: Dageförde, in: Langheid/Wandt M., Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, §43, Rn. 1", მითითებულია: *მოწონელიძე ნ.,* სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, დის., თბილისი, 2015, 58.

[719]შესწავლილი იქნა მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე (<prg.supremecourt.ge>) არსებული გადაწყვეტილებები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2001 წლიდან 2020 წლის იანვრამდე.

[720]იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 16 აპრილის №3გ-ად-537-კ-02 გადაწყვეტილება, სადაც მითითებულია, რომ მესამე პირს, როგორც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.

სახელშეკრულებო ურთიერთობიდან ენიჭება მხოლოდ შესრულების მოთხოვნის უფლება, რაც მას ხელშეკრულების მხარედ არ აქცევს.[721] ამ მოსაზრების მიხედვით, მესამე პირს, მართალია, შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს,[722] მაგრამ ის ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებიდან გასვლის და ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებით, რაც დასაბუთებულია იმ არგუმენტით, რომ რადგან მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე, ის ამ თვალსაზრისით, გავლენას ვერ მოახდენს ვალდებულებით ურთიერთობაზე.[723] საერთო ჯამში, სახელშეკრულებო ურთიერთობაზე გავლენის მოხდენის კუთხით, მესამე პირის მიერ ისეთი აღმჭურველი უფლებებით სარგებლობა, როგორიცაა: შეცილება; ხელშეკრულებიდან გასვლა; ფასის შემცირება, გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში საკამათოა.[724] თუმცა სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მწირია.[725]

ავსტრიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა ერთგვაროვანი არ არის, თუმცა უმრავლესი გადაწყვეტილების მიხედვით, აღმჭურველი უფლებების განხორციელების უფლება აქვს შეპირების მიმღებს;[726] იმ დასაბუთებით, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის, სახელშეკრულებო ურთიერთობის გარდაქმნის, შეცილების უფლება აქვთ მხოლოდ ხელშეკრულების (პროპორციული ურთიერთობის) მხარეებს.[727]

აღმჭურველი უფლების[728] განხორციელებით პროპორციული ურთიერთობა, როგორც ვალდებულებითი ურთიერთობა, ნაწილობრივ ან მთლიანად სრულდება.

---

[721](“Abgespaltenes Forderungsrecht“), BGH, Beschluß vom 10-02-1993 - XII ZB 80/88 (Kobelnz), NJW-RR 1993, 770 (771); BGH, Urteil vom 22. 9. 2005 - III ZR 295/04 (OLG Schleswig), NJW 2005, 3778; BGH, Urteil vom 8. 2. 2006 - IV ZR 205/04 (OLG Celle), NJW 2006, 1434 (1437); BGH, Urteil vom 30. 5. 2003 - V ZR 216/02 (OLG München), NJW-RR 2003, 1355 (1357); BGH, Urteil vom 9. 4. 1970 - KZR 7/69 (Düsseldorf), NJW 1970, 2157; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 11, 234; იხ ასევე, *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 77. Aufl., München, 2018, §328, Rn. 5, 561.

[722] იხ. BGH, Urteil vom 17.01.1985 - VII ZR 63/84 (Frankfurt), NJW 1985, 1457.

[723]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 11, 234.

[724] იხ. BGH, Urteil vom 19. 11. 1971 - V ZR 103/69, NJW 1972, 152, (154).

[725] *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 103; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 10, 234.

[726] იხ. *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 103-105.

[727] *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 103-104.

[728],,აღმჭურველი უფლებები უფლებამოსილ პირს აძლევენ შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს სამართლებრივ ურთიერთობაზე მეორე მხარის დაუკითხავად და, მისი თანხმობის გარეშე, შეწყვიტოს ან შეცვალოს ეს ურთიერთობა“, *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 101; იხ., ასევე, *გაჩიაშვილი ვ.,* დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და

რაც შედეგად იწვევს იმას, რომ მესამე პირი შემპირებლის მიმართ თავისი მოთხოვნის უფლებას კარგავს, რადგან მესამე პირის მოთხოვნის არსებობა დამოკიდებულია პროპორციულ ურთიერთობაზე.[729] აქედან გამომდინარე, აღმჭურველი უფლებების განხორციელების საკითხი დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მესამე პირის უფლებაზე არაპირდაპირი ზემოქმედების თვალსაზრისით და შესაბამისად, მესამე პირის ნების გამოვლენის მოქმედების ფარგლების დადგენის მიზნით. თუ მეორეული უფლების განხორციელებით მესამე პირის უფლება გაუქმდება, ცხადია, მესამე პირს ამ მომენტიდან მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა აღარ ექნება. თუ რა სახის მეორეული უფლებებით უნდა სარგებლობდეს მესამე პირი, მნიშვნელოვანია მოთხოვნის წარდგენაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის მიზნითაც, რათა დადგინდეს შემპირებლი ვალდებულია თუ არა შესრულება განახორციელოს მესამე პირის მოთხოვნის შესაბამისად.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ,,ჰეტეროგენური“[730] ბუნებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნეს მესამე პირისათვის უფლებამოსილების მინიჭების საკითხი, რაც სავალუტო ურთიერთობასთან იმ თვალსაზრისითაა დაკავშირებული, რომ თუ შეპირების მიმღებს მესამე პირის წინაშე ვალდებულება აკისრია, შემპირებლის მიერ მესამე პირის მიმართ განხორციელებული შესრულებით, შეპირების მიმღები თავისი ვალდებულების შესრულებას ისახავს მიზნად.[731] შესაბამისად, ,,ვალდებულების დარღვევა შემპირებლის მხრიდან იმავდროულად იწვევს სავალუტო ურთიერთობაშიც ვალდებულების დარღვევას იმ მხრივ, რომ შეპირების მიმღები დგება მესამე პირის მხრიდან მოთხოვნის წარდგენის საფრთხის წინაშე.“[732] მაგრამ აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სავალუტო ურთიერთობაში შემპირებლის მიერ ხდება ვალდებულების დარღვევა; შემპირებელი სავალუტო ურთიერთობისაგან დამოუკიდებელია; არამედ შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევა,

---

ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2008, სქოლიო 149, 186.

[729] *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 101.

[730] “Heterogenität“.

[731] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 341.

[732] იქვე, *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017, §328, Rn. 8, 1502.

შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე აისახება.

შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევამ იგივენაირადაა შესაძლო გავლენა მოახდინოს შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაშიც,[733] რადგან ის საკითხი, რომ მესამე პირს ამ სახის ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნა არ გააჩნია, განსაზღვრავს მხოლოდ მესამე პირის უფლებრივ მდგომარეობას უშუალოდ მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში და გავლენას არ ახდენს სავალუტო ურთიერთობაში მესამე პირის უფლებრივ მდგომარეობაზე. სავალუტო ურთიერთობაში თუ რა უფლებრივი მდგომარეობა აქვს მესამე პირს, მხოლოდ ამ ურთიერთობის მოწესრიგების საგანია და ეს დამოკიდებული არაა იმაზე, მესამე პირს პროპორციულ ურთიერთობაში დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გააჩნია თუ არა. მესამე პირი სავალუტო ურთიერთობაში შესაძლებელია შეპირების მიმღების კრედიტორიც იყოს.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სახეების დიფერენცირება ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იმ დატვირთვას იძენს, რათა განისაზღვროს თუ რა უფლებები უნდა ჰქონდეს მესამე პირს შემპირებელთან მიმართებით. პრობლემური კრედიტორის უფლებების განაწილებისათვის არის სწორედ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, სადაც მესამე პირის, როგორც შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტის სტატუსი, მესამე პირსა და შეპირების მიმღებს შორის კრედიტორის უფლებებით სარგებლობაში ზღვრის გავლებას საჭიროებს.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეების მიერ ვალდებულების დარღვევისას თავდაპირველად უნდა დადგინდეს, თუ ვის მიერ და რომელ ურთიერთობაში ხდება ვალდებულების დარღვევა. შესაბამისად განისაზღვრება თითოეული პირის უფლებამოსილების ფარგლებიც. კერძოდ, განსხვავებულია ამ ხელშეკრულების მონაწილეთა უფლება-მოვალეობები იმის მიხედვით, ვალდებულების დარღვევა ხდება პროპორციულ, სავალუტო თუ

[733] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 341.

შესრულების ურთიერთობაში. განსაკუთრებით პრობლემურია პროპორციულ ურთიერთობაში შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა. რაც განპირობებულია იმით, რომ მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე. ვალდებულების დარღვევისაგან წარმოშობილი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა კი, როგორც წესი, ხელშეკრულების მხარეებს აქვთ.

დასახელებულ საკითხთან მიმართებით არსებული განსხვავებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლები თითოეულ მეორეულ მოთხოვნასთან მიმართებით იქნეს განხილული, ვინაიდან უნდა სარგებლობდეს თუ არა მესამე პირი კონკრეტული მოთხოვნის განხორციელების უფლებით, ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივ პოზიციასთან ერთად, თვით უფლების შინაარსზეცაა დამოკიდებული.

1.1.1. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების წესი

,,ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა".[734] მაგრამ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განსხვავებული მოწესრიგებაა საჭირო. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შესრულებისადმი გარდა ხელშეკრულების მხარის - შეპირების მიმღების ინტერესისა, სახეზეა ინტერესი მესამე პირისაც, რომლის მიმართაც ვალდებულება უნდა შესრულდეს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ აქ საქმე ეხება შესრულების მიმართ ,,ორმაგ ინტერესს". სწორედ აღნიშნული წარმოშობს სირთულეს იმ საკითხის გადაწყვეტისათვის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებიდან გასვლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ნება, ჩვეულებრივ, ხელშეკრულების მხარის მიმართ უნდა იქნეს გამოვლენილი [735] (და არა მესამე პირის მიმართ).

---

[734] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 231.
[735] *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 3/III 1, 480.

იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენაა,[736] შემპირებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევისას, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა არაპირდაპირი გზით გამოიწვევს მესამე პირისათვის ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლების გაუქმებას; ან, თუ მესამე პირი მხოლოდ შესრულების მიღების უფლებამოსილების მქონეა და მან მიიღო შესრულება, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, შესაძლოა, მესამე პირს სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოეთხოვოს მიღებული საგნის მოვალისათვის დაბრუნება; ვინაიდან ,,მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევაში მხარის მიერ ერთ-ერთი მოთხოვნის შერჩევისა და მისი განხორციელების შემდეგ ქარწყლდება ის მოთხოვნები, რომლებიც უფლებამოსილმა პირმა არ აირჩია.“[737] ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მესამე პირთა უფლებების დაცვას, რომელთაც შეიძლება შეეხოთ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები.[738] აღნიშნული უყურადღებოდ არ ტოვებს ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესებს, მაგრამ ხაზს უსვამს იმას, რომ ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებამ არ უნდა ხელყოს მესამე პირის უფლებები. მით უფრო ანგარიშგასაწევია უფლებები იმ მესამე პირისა, რომელსაც ხელშეკრულების შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გააჩნია. თუმცა აღნიშნული არ უნდა განხორციელდეს მხარეთა ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი ისე მოწესრიგდეს, რომ დაცული იქნეს ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა შორის ინტერესთა ბალანსი.

---

[736] *ბაჩიაშვილი ვ.,* დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2008, 179.

[737] *ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 33; ხელშეკრულებიდან გასვლის დროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებისა და უკვე შესრულებულის უკან დაბრუნების ვალდებულების შესახებ იხ. ასევე *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 231-232.

[738] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 232.

1.1.1.1.შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მესამე პირის თანხმობის საჭიროება

იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებით საკამათოა მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების საკითხი.[739]

პრობლემას წარმოშობს ის, რომ ამ უფლებების განხორციელება თვით ვალდებულებითი ურთიერთობის - პროპორციული ურთიერთობის ბედს განსაზღვრავს, რადგან ამ გზით სახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულდება. ამიტომ ისმის საკითხი, მესამე პირს უნდა მიენიჭოს თუ არა ისეთი მყარი უფლება, რომ მისი ნების საფუძველზე პროპორციული ურთიერთობაც კი დასრულდეს.[740]

უფრო კონკრეტულად, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში იმ საკითხთან მიმართებით, უნდა სარგებლობდეს თუ არა მესამე პირი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები. უპირატესად მიჩნეულია, რომ მესამე პირსაც შეუძლია გამოიყენოს ის მეორეული უფლებები, რომლებიც მის ინტერესს ეხება. მაგრამ ავტორთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, მესამე პირი ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, რადგან ის არ არის ხელშეკრულების მხარე.[741] ვინაიდან მესამე პირი ხელშეკრულების დადებით არ იკავებს ხელშეკრულების მხარის ადგილს, არამედ იძენს მხოლოდ ცალმხრივი მოთხოვნის უფლებას,[742] მიიჩნევენ, რომ მესამე პირი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში შეპირების მიმღების უფლებებში ჩაერეოდა როგორც ხელშეკრულების მხარე.[743] თუმცა იმავე ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ მესამე პირმა შეიძლება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით ისარგებლოს,

---

[739] იხ., *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 4., überarb. Aufl., Stuttgart, 2017, Rn. 1195 ff., 367.

[740] იქვე, Rn. 1195, 367.

[741] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 345; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 77. Aufl., München, 2018, §328, Rn. 5, 561; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 223; *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 102 ff.; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 3/III 1, 480; *Bischof F., Luise R.,* Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, ZJS, 5/2018, 426, <www.zjs-online.com>, [16.01.2020]; *Brieskorn K.,* Vertragshaftung und responsabilité contractuelle, Diss., Tübingen, 2010, 105.

[742] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 20, 1700; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 77. Aufl., München, 2018, §328, Rn. 5, 56, BGH NJW 05, 3778, 06, 1434/37, მითითებულია იქვე.

[743] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 20, 1700, OLG Köln NJW-RR 1997, 542; Plandt rn.5 Staudinger rn. 81. aA BGHZ 93 271, 277 = NJW 1985, 1457, მითითებულია იქვე; *Brieskorn K.,* Vertragshaftung und responsabilité contractuelle, Diss., Tübingen, 2010, 105.

თუ ამის შესახებ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდებიან.[744] საწინააღმდეგო მოსაზრების ავტორები კი მიიჩნევენ, რომ მესამე პირი, როგორც შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე, მეორეული მოთხოვნის უფლებებით და ამ გზით ცალკეულ მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლებითაც უნდა სარგებლობდეს.[745] ზოგიერთი ავტორი კი შეპირების მიმღების მიერ მეორეული უფლებების, მათ შორის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას მესამე პირის თანხმობაზე დამოკიდებულს ხდის.[746] ამ პოზიციის მიხედვით, ,,წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირს შესაძლოა ჩამორთმეოდა თავისი მოთხოვნის უფლება.“[747] სხვა ავტორების მიერ კი მიჩნეულია, რომ შეპირების მიმღების მიერ აღმჭურველი მეორეული უფლებების განხორციელებისათვის მესამე პირის თანხმობა საჭირო არ არის.[748]

იმ საკითხზე მსჯელობისათვის უნდა ჰქონდეს თუ არა მესამე პირს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, მნიშვნელოვანია კვლავ ყურადღების გამახვილება თვით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსზე. მართალია, მესამე პირი, ცალკეულ შემთხვევაში, შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას იძენს, მაგრამ ამით მესამე პირი არ ხდება ხელშეკრულების მხარე. მესამე პირი ყოველთვის რჩება მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილედ, მიუხედავად იმისა, მას მხარეები ხელშეკრულებით დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას ანიჭებენ, თუ მხოლოდ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრავენ. ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება განაპირობებს, რომ მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობაზე პასუხი უარყოფითად იქნეს გაცემული.

---

[744]იხ. *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 77. Aufl., München, 2018, §328, Rn. 5, 561; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 345; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §328, Rn. 20, 1700; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 13, 235.

[745]*Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §335, Rn. 19, 2312; იხ., *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 106; *Saar Ch.,* Grenzen des ,,vertraglichen Drittschutzes“-BGH, NJW 1996, 2927, JUS 2000, Heft 3, 220; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 12, 234.

[746] იხ. *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 223; *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 18, 236; *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 104; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 661; საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 520 ff.

[747]იხ. *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §328, ველი 18, 236.

[748]*Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 IV 5, 501ff.; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 520 ff; *Bischof F., Luise R.,* Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, ZJS, 5/2018, 424, <www.zjs-online.com>, [16.01.2020].

ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიერ, შესაბამისად, მესამე პირი ვერ გავა იმ ხელშეკრულებიდან, რომლის მხარეც არ არის. ამიტომ, ვერ იქნება გაზიარებული გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომ მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობის საკითხი შესაძლებელია დადგინდეს ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე,[749] რადგან მხარეებს სახელშეკრულებო შეთანხმებით არ შეუძლიათ შეცვალონ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ბუნება, რომლის მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ხელშეკრულების მხარემ.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა უმრავლესობა დასაშვებად მიიჩნევს, მესამე პირს მხარეებმა ხელშეკრულებით მიანიჭონ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ეს ისე მაინც არ არის გაგებული, რომ, თითქოს შესრულების უკუქცევა მესამე პირსა და მოვალეს შორის ხდებოდეს; არამედ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ხორციელდება შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის პროპორციულ ურთიერთობაში.[750] უკუმოთხოვნაზე უფლებამოსილი შესაბამისად არის მხოლოდ შეპირების მიმღები და არა მესამე პირი.[751] მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ იმ ავტორთა მოსაზრების მიხედვითაც კი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მხარეებს შეუძლიათ სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე მიანიჭონ მესამე პირს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, მესამე პირი ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების იმ კლასიკური შემთხვევით, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული, რადგან მათი პოზიციიდან გამომდინარეობს, რომ მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხოლოდ მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე ნების გამოვლენაში გამოიხატება. ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები უნდა დადგეს მხარეთა მიერ.

მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობის საკითხზე უარყოფითი პასუხი განსაკუთრებით მაშინ უნდა იქნეს გაცემული, როდესაც მესამე პირისათვის მხოლოდ ძირითადი ვალდებულების ნაწილი იყო

---

[749] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 345 ("Ausdrücklich oder stillschweigend"); *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 77. Aufl., München, 2018, §328, Rn. 5, 561.

[750] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 346.

[751] იქვე.

გათვალისწინებული.[752] ყურადღებაა გასამახვილებელი იმაზე, რომ სამოქალაქო კოდექსით ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის უფლება გათვალისწინებული არ არის,[753] ,,კანონი უშვებს ხელშეკრულებიდან მხოლოდ მთლიანად გასვლას".[754] ამიტომ, ასეთ დროს შეპირების მიმღების ინტერესი დაუსაბუთებლად რომ არ იქნეს ხელყოფილი, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების ბედი მესამე პირმა არ უნდა გადაწყვიტოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მესამე პირს არ უნდა მიენიჭოს ხელშეკრულებიდან გასვლით სარგებლობის უფლება, ეს უფლება შესაძლებელია განხორციელდეს შეპირების მიმღების მიერ.

მართალია, მესამე პირს არ უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, მაგრამ, რადგან შესრულება ხორციელდება მესამე პირის მიმართ და სწორედ მესამე პირია შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე და შესრულების მიმღებიც, მესამე პირს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას უნდა მიეცეს ხელშეკრულებიდან გასვლის ინიცირების უფლება. რაც იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მესამე პირს შეეძლოს შეპირების მიმღებთან წამოაყენოს წინადადება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. მაგრამ ეს არ ნიშნავს მესამე პირის მიერ შეპირების მიმღების დავალდებულებას ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. ის საკითხი, მესამე პირის მიმართ ვალდებულების დარღვევისას, შეპირების მიმღები გავა თუ არა ხელშეკრულებიდან, შეპირების მიმღების გადასაწყვეტი უნდა იყოს, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა უნდა საჭიროებდეს მესამე პირის თანხმობას. აღნიშნული მომდევნო ქვეთავში იქნება დასაბუთებული.

თუ მესამე პირი ინფორმირებული იყო ხელშეკრულების შესრულების პირობების შესახებ, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას მესამე პირი ვალდებული უნდა იყოს აცნობოს შეპირების მიმღებს აღნიშნულის თაობაზე.

პროპორციულ ურთიერთობაში შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას, გარდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე სუბიექტის

---

[752] იხ. იქვე, 345, სქოლიო 725.

[753] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 232; *Oechsler J.,* Vertragliche Schuldverhältnisse, 2., neu bearb. Aufl., Tübingen, 2017, Rn. 234, 184.

[754] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 233; იხ. ასევე, *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 169.

განსაზღვრისა, ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა წესით უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებიდან გასვლა შეპირების მიმღების მიერ, კერძოდ, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭირო უნდა იყოს თუ არა მესამე პირის თანხმობა.

იმის შეფასებისათვის, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს თუ არა მესამე პირის ნება, ე.ი. შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა, თავდაპირველად ყურადღება უნდა მიექცეს თვით მესამე პირის სამართლებრივ პოზიციას მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, კერძოდ, იმ საკითხს მესამე პირის უფლება/უფლებამოსილება გამოხმობადია თუ გამოუხმობადი. ესე იგი, ექვემდებარება თუ არა მხარეთა მიერ გაუქმებას მესამე პირის თანხმობის გარეშე. როგორც უკვე აღინიშნა, მესამე პირის მიერ შესრულების მიღების უფლებამოსილების გაუქმება ყოველთვის შეუძლიათ მხარეებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში კი გამოხმობადია თუ არა მესამე პირის უფლება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული სახელშეკრულებო შეთანხმებიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს.

ზემოთ აღნიშნული დასაბუთების შესაბამისად, ვინაიდან შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა გავლენას მოახდენს მესამე პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, მესამე პირის ინტერესები რომ არ იქნეს ხელყოფილი, ამისთვისაა საჭირო, ცალკეულ შემთხვევაში, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მესამე პირის თანხმობის არსებობა.

თუ მესამე პირმა თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან გამოუხმობადი უფლება შეიძინა, ხელშეკრულების მხარეებმა მისი ეს უფლება ვეღარ უნდა გააუქმონ მესამე პირის თანხმობის გარეშე, ამიტომ მესამე პირის დაცვისათვის მოთხოვნილი უნდა იქნეს შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მესამე პირის თანხმობა. სხვა შემთხვევაში ამ უფლებების

განხორციელება გამოიწვევს დაკარგვას მესამე პირის იმ უფლებისა, რომელიც სინამდვილეში გაუქმებას არ ექვემდებარებოდა.[755]

აქედან გამომდინარე, გასაზიარებელია ის პოზიცია, რომლის მიხედვით, თუ **მესამე პირი იძენს გამოუხმობად უფლებას, ეს უფლება მეორეული უფლებების განხორციელების შედეგად შეპირების მიმღებმა შეიძლება მხოლოდ მაშინ ჩამოართვას მესამე პირს, თუ მესამე პირი თანახმა იქნება თავისი სამართლებრივი პოზიციის ხელყოფა განხორციელდეს.**[756]

მთავარი არგუმენტი ამ შეხედულებისათვის ის არის, რომ მესამე პირის გამოუხმობადი უფლება აღარ შეიძლება შემდგომში შეპირების მიმღებმა ცალმხრივად ხელყოს, რადგან ეს იქნებოდა მესამე პირის სამართლებრივ პოზიციაში დაუშვებელი ჩარევა.[757]

ამასთანავე, შეპირების მიმღები და მესამე პირი თავიანთ უფლებამოსილებაში შეზღუდულნი არიან იმ მხრივ, რომ, თუ მაგალითად, უკვე განხორციელდა შესრულება, ვერ იქნება მოთხოვნილი ხელშეკრულებიდან გასვლა ან - პირიქით.[758] შეპირების მიმღები მაშინაცაა შეზღუდული მეორეული მოთხოვნის განხორციელების უფლებით, თუ მესამე პირის მიმართ უკვე შეასრულა შემპირებელმა ვალდებულება.[759]

მაშასადამე, მესამე პირის თანხმობა შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭიროა მაშინ, როდესაც მესამე პირის უფლება გამოხმობას არ ექვემდებარება. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც მესამე პირის უფლება/უფლებამოსილება ექვემდებარება გაუქმებას, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭირო უნდა იყოს თუ არა მესამე პირის

---

[755] *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 4., überarb. Aufl., Stuttgart, 2017, Rn. 1197, 367-368.

[756] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 6, 565; *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 4., überarb. Aufl., Stuttgart, 2017, Rn. 1197, 367; *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 106; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §335, Rn. 19, 776; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 14, 235-236; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 302; *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017, §328, Rn. 8, 1502; იხ. ასევე, *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 661, 662, ამ უკანასკნელ სტატიაში საუბარია იმაზე, რომ როდესაც მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას იძენს, შეპირების მიმღებს მისი თანხმობის გარეშე არ უნდა შეეძლოს ხეშეკრულებიდან გასვლა და ყურადღება არ არის გამახვილებული იმაზე მესამე პირის უფლება გამოხმობადია თუ გამოუხმობადი.

[757] *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 106; იხ. ასევე, *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017, §328, Rn. 6, 1502.

[758] იხ. *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 345.

[759] იქვე.

თანხმობა, განმსაზღვრელი უნდა იყოს არა მხოლოდ ეს საკითხი, არამედ ასევე ვალდებულებითი ურთიერთობის ეტაპიც, კერძოდ ის, უკვე განახორციელა თუ არა მოვალემ შესრულება მესამე პირის მიმართ. თუ მესამე პირს უკვე მიღებული აქვს შესრულება, იმ შემთხვევაშიც კი, მისი უფლება/უფლებამოსილება გაუქმებას რომ ექვემდებარებოდეს, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭირო უნდა იყოს მესამე პირის თანხმობა. აქ მოიაზრება, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით, ასევე ასეთი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება.

თუ თვით მესამე პირი წამოაყენებს ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხს, ასეთ დროს შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისას საჭირო აღარ იქნება მესამე პირის თანხმობა, რადგან ამ შემთხვევაში მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის ინიცირება გაუთანაბრდება მასზე თანხმობას.

ერთ-ერთი გერმანელი მეცნიერის მონოგრაფიულ ნაშრომშიც მიჩნეულია, რომ შეპირების მიმღებმა შესაძლებელია ისარგებლოს მეორეული უფლებებით, თუ მესამე პირი თანახმა იქნება დააბრუნოს შესრულების საგანი. მესამე პირის დავალდებულება ამისათვის, როგორც წესი, არ ხდება.[760]

თუ მესამე პირი ეთანხმება ხელშეკრულებიდან გასვლას შემპირებლისაგან საპასუხო შესრულების დაბრუნების მოთხოვნის უფლება ექნება შეპირების მიმღებს; ხოლო შემპირებლის მიმართ შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულება ექნება მესამე პირს. რადგან უკან დაბრუნების ვალდებულება აქვს იმ პირს, ვინც შესრულება მიიღო.[761] თუ მესამე პირი დაარღვევს უკან დაბრუნების ვალდებულებას, მას დაეკისრება ამით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.[762] შესრულების უკუქცევაც პროპორციულ ურთიერთობაში განხორციელდება.

შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მესამე პირის თანხმობით შეზღუდვა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ, თითქოს მესამე პირი უფრო მაღალი დაცვის სტანდარტით სარგებლობს, ვიდრე შეპირების მიმღები, არამედ აღნიშნული ემსახურება ხელშეკრულების მონაწილთა შორის ინტერესთა

---

[760] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 345; შეად. *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 659.

[761] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 14, 236; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 821; შეად. *Bischof F., Luise R.,* Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, ZJS, 5/2018, 424, <www.zjs-online.com>, [16.01.2020].

[762] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 821.

ბალანსის შენარჩუნებას, იმავდროულად მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო სამართლიანობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მართალია, შეპირების მიმღები ანიჭებს მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლებასა თუ შესრულების მიღების უფლებამოსილებას, მაგრამ თუ შეპირების მიმღების ნების თავისუფლება გარკვეულ ჩარჩოებში არ მოექცევა და მას ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლება მესამე პირისათვის მინიჭებული უფლების/უფლებამოსილების გაუქმება, ამან გარდა ბრუნვის სტაბილურობისათვის საფრთხის შექმნისა, შესაძლოა მნიშვნელოვნად ხელყოს მესამე პირის ინტერესიც, რომელიც მას განხორციელებული შესრულების მიმართ წარმოეშვა. ამიტომ გამართლებული იქნება, შეპირების მიმღების რისკის სფეროს მიეკუთვნებოდეს, თუ ის ცალკეულ შემთხვევაში მესამე პირის თანხმობის გარეშე ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით.

შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მესამე პირის თანხმობის საჭიროებამ პრაქტიკაში შესაძლოა წარმოშვას ისეთი შემთხვევაც, რომ შემპირებელმა მესამე პირის მიმართ შესრულება არაჯეროვნად განახორციელოს, რის გამოც კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, შეპირების მიმღებს სურდეს ხელშეკრულებიდან გასვლა,[763] მაგრამ მესამე პირი არ დაეთანხმოს შეპირების მიმღებს ხელშეკრულებიდან გასვლაზე, რადგან ნაკლიანი შესრულების მიუხედავად, არ სურდეს უკან დააბრუნოს მიღებული საგანი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მსჯელობას თეორიული მნიშვნელობა უფრო მეტი აქვს, ვიდრე პრაქტიკული, რადგან იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნაკლებად სავარაუდოა, მესამე პირი არ იყოს თანახმა, უკან დააბრუნოს ნივთი, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები ღირებულების ან ხარისხის აღმოჩნდა და მიიღოს უკეთესი ნივთი. მაგრამ პრაქტიკულად ისიც დასაშვებია, რომ მოვალის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, შეპირების მიმღებს აღარც ჰქონდეს სურვილი მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების და ნივთის ნაკლის გამო სურდეს ხელშეკრულებიდან გასვლა, მაგალითად, სსკ-ის 491-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისიწინებული პირობების არსებობისას. სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემთხვევაში კი (თუ სავალუტო

[763]ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლების შესახებ იხ. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 236 და მომდევნო; იხ. ასევე, *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 363, 364.

ურთიერთობა სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს) შეპირების მიმღები არ არის ვალდებული მესამე პირის სასარგებლოდ დადოს ახალი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც მესამე პირის მიმართ შესრულება კვლავ განხორციელდებოდა. ამიტომ მესამე პირი შესაძლოა დადგეს საფრთხის წინაშე, რომ შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის და მის მიერ მიღებული შესრულების დაბრუნების შემთხვევაში, მის მიმართ ახალი შესრულება აღარ განხორციელდება. სწორედ ესეც შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ მესამე პირი არ იყოს თანახმა, ხელშეკრულებიდან გასვლის გზით შეპირების მიმღებმა გავლენა მოახდინოს მის სამართლებრივ პოზიციაზე.

თუ მაგალითად, შემპირებელი მესამე პირის მიმართ ახორციელებს იმაზე ნაკლები ღირებულების მქონე ნივთის მიწოდებას, ვიდრე ეს შეპირების მიმღებთან შეთანხმებით იყო განსაზღვრული, ამასთანავე, შეპირების მიმღების მიერ ნივთის შესაცვლელად (დამატებითი შესრულებისათვის) შემპირებლისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, ერთმანეთს უპირისპირდება მესამე პირის ინტერესი შეინარჩუნოს მიღებული შესრულება და შეპირების მიმღების ინტერესი, ხელშეკრულებიდან გასვლის გზით, ორმხრივი რესტიტუციის საფუძველზე დაებრუნებინა მოვალისაგან გადახდილი თანხა. მესამე პირის უფლება გამოხმობად უფლებათა რიცხვს რომც განეკუთვნებოდეს, ვინაიდან მას უკვე მიღებული აქვს შესრულება, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭირო უნდა იყოს მესამე პირის თანხმობა, რადგან ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი ხდება მესამე პირის ინტერესი და ნდობა შესრულებისადმი, ამიტომ არაჯეროვანი შესრულების რისკის მატარებელი ასეთ დროს შეპირების მიმღები უნდა იყოს. მაგრამ ამ რისკის დაკისრება შეიძლება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდეს, რომ შეპირების მიმღებმა ვერ შეძლოს ხელშეკრულებიდან გასვლა მესამე პირის თანხმობის გარეშე. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეპირების მიმღებს არ უნდა შეეძლოს მოვალისაგან მოითხოვოს დაბრუნება იმ ფასთაშორისი სხვაობისა,[764] რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნისათვის გადახდილ ღირებულებასა და რეალურად განხორციელებულ შესრულებას შორისაა.

[764]შემცირებული ფასის გამოთვლის შესახებ იხ., *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 492, ველი 12.

ვინაიდან დასახელებულ მაგალითში საქმე ეხება ნივთის ნაკლს, შეპირების მიმღებს (მყიდველს), ნორმალურ შემთხვევაში, სსკ-ის 491-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეეძლო მოეთხოვა ხელშეკრულებიდან გასვლა.[765] მაგრამ რადგან მესამე პირი დაინტერესებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებით და სურს ხელშეკრულების შენარჩუნება,[766] საჭირო ხდება ისეთი სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება, რომელიც ხელშეკრულების ძალაში დატოვებასაც უზრუნველყოფს და მყიდველის ინტერესის დაცვასაც.

ამ პირობებში შეპირების მიმღების სამართლებრივი დაცვის საშუალებად შესაძლებელია განხილული იქნეს ფასის შემცირების მოთხოვნა, სსკ-ის 492-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ,,ხელშეკრულებიდან გასვლის[767] ალტერნატიული მოთხოვნაა"[768] და ხელშეკრულების შენარჩუნებას ისახავს მიზნად,[769] ან/და შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურება, სსკ-ის 494-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ასევე ხელშეკრულების შენარჩუნების მიმართ დაინტერესების შემთხვევაში გამოიყენება.[770]

---

[765],,მუხლში გამოყენებული ტერმინი - ხელშეკრულების მოშლა - არაზუსტია და ხელშეკრულებიდან გასვლად უნდა განიმარტოს", იხ. *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 491, ველი 5; ,,ტერმინოლოგიურ უზუსტობასთან დაკავშირებით" იხ. ასევე იქვე, სქოლიო 4; იხ. ასევე, *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014, სქოლიო 913, 187.

[766] იხ. *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 492, ველი 1.

[767](სსკ-ის 492-ე მუხლში ,,მოხსენიებულ ხელშეკრულების მოშლაში ხელშეკრულებიდან გასვლა უნდა მოიაზრებოდეს"), *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014, 185; (სსკ-ის 492-ე მუხლში ,,ხელშეკრულებიდან გასვლა იგულისხმება"), *მაჭარაძე მ.,* ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა - განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2008, 158.

[768] იხ. *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 492, ველი 1; 3; *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 28.03.2016, მუხლი 490, ველი 47; *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014,185; *Brox H., Walker W.,* Besonderes Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §4, Rn.77, 78.

[769] *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 492, ველი 1; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის № ას-584-891-09 გადაწყვეტილება.

[770] იხ. *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 494, ველი 8, 15.

1.1.1.2. შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა მესამე პირის თანხმობის გარეშე

იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირის უფლება/უფლებამოსილება გამოხმობადია და შესრულება ჯერ არ მიუღია მესამე პირს, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭირო არ უნდა იყოს მესამე პირის თანხმობა. ამ პოზიციისთვის არგუმენტი ისაა, რომ, როდესაც მესამე პირის უფლება/უფლებამოსილება გამოხმობადია მისი გამოხმობა ისედაც შეუძლიათ მხარეებს. ამიტომ გამოხმობის გზით განხორციელდება მისი უფლების/უფლებამოსილების დაკარგვა თუ ხელშეკრულებიდან გასვლის გზით, მესამე პირისათვის სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით გადამწყვეტი არ უნდა იყოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ მესამე პირის მიმართ შესრულება ჯერ არ განხორციელებულა, ვერც მიღებული შესრულების შენარჩუნების ინტერესზე იქნება საუბარი.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მესამე პირის თანხმობით შეზღუდვისათვის არგუმენტი ისაა, რომ შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლით არ მოხდეს მესამე პირის უფლების გაუქმება. რადგან დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ხელშეკრულებაში მესამე პირს ასეთი უფლება არ აქვს, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა გავლენას ვერ მოახდენს მის უფლებრივ მდგომარეობაზე. თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მესამე პირისაგან შეიძლება მოთხოვნილი იქნეს მიღებული შესრულების დაბრუნება. ამიტომ შესაძლებელია წარმოიშვას მოსაზრება, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, შეპირების მიმღებს არ უნდა დაეკარგოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ესე იგი, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა არც იმ შემთხვევაში გახდეს მესამე პირის თანხმობაზე დამოკიდებული როცა მესამე პირმა შესრულება უკვე მიიღო. მაგრამ რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მესამე პირის დავალდებულება არ უნდა მოხდეს უკან დააბრუნოს მიღებული შესრულება, ამ პოზიციის მომხრეთათვის საკითხის ალტერნატიულ მოწესრიგებად შესაძლოა განხილული იქნეს ის, რომ შეპირების მიმღებს კი შეეძლოს ხელშეკრულებიდან გასვლა, მაგრამ თუ მესამე პირი უარზეა დააბრუნოს მიღებული შესრულება, მისი უარი განისაზღვროს ისეთ შემთხვევად, როდესაც ნატურით დაბრუნების ნაცვლად

მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება. ვინაიდან ასეთი საფუძველი სსკ-ის 352-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული არ არის, ამ პოზიციის გაზიარების შემთხვევაში, საჭირო იქნება სსკ-ის 352-ე მუხლის მეორე ნაწილს დაემატოს დასახელებული შინაარსის შემადგენლობა. მაგრამ ამ პოზიციის სასარგებლოდ მსჯელობის განვითარებას აფერხებს ის, რომ შეპირების მიმღებისათვის, დიდი ალბათობით, არაგონივრული იქნებოდა ხელშეკრულებიდან გასვლა, თუკი მესამე პირმა მაინც არ უნდა დააბრუნოს მიღებული საგანი და მის სანაცვლოდ შეპირების მიმღებს ფულადი ანაზღაურების გადახდა მოუწევს.

სახელშეკრულებო ურთიერთობაში ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისაგან სამოქალაქო ბრუნვა დაზღვეული არ არის. შემპირებლის მხრიდან ვალდებულების დარღვისაგან ვერც მესამე პირი იქნება დაცული. მაგრამ, თუ მეორეული მოთხოვნის უფლების განხორციელება შემპირებელის მიერ არაპირდაპირი გზით მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობის გაუქმებას გამოიწვევს მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, ამისი პრევენცია, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა გახდეს ის, რომ შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება მესამე პირის თანხმობას საჭიროებდეს.[771] ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ინტერესი: შეპირების მიმღების, როგორც ხელშეკრულების მხარის - მეორეული მოთხოვნის განხორციელების გზით განსაზღვროს სახელშეკრულებო ურთიერთობის ბედი და მესამე პირის - შეინარჩუნოს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული მოთხოვნის უფლება. სადაც ,,სახელშეკრულებო სამართლიანობის“[772] უზრუნველსაყოფად ურთიერთობა ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ მესამე პირისათვის ერთხელ უკვე მინიჭებული უფლების/უფლებამოსილების დაუსაბუთებელი ჩამორთმევა არ მოხდეს. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ სახელშეკრულებო სამართლის მიზანი სახელშეკრულებო სამართლიანობაა.[773] ამისთვისაა საჭირო, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისას, ამ ხელშეკრულებაში

---

[771] შეად. *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 IV 5, 501.

[772]სახელშეკრულებო სამართლიანობის შესახებ იხ. *ქერაშვილი ს.,* ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე, დის. თბილისი, 2018, 66 და მომდევნო; *ჯორბენაძე ს.,* სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, დის., თბილისი, 2016, 86 და მომდევნო.

[773]*ქერაშვილი ს.,* ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე, დის. თბილისი, 2018, 66.

მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობის, ასევე ვალდებულების შესრულების მომენტის გათვალისწინება.

მართალია, მესამე პირი ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, მაგრამ მესამე პირის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების სამართლიანად დაცვისა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, ცალკეულ შემთხვევაში, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მესამე პირის თანხმობით შეზღუდვა. კერძოდ, შემპირებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევისას შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭიროა მესამე პირის თანხმობა იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირის უფლება გამოუხმობადია; ასევე მაშინ, როდესაც მესამე პირის უფლება/უფლებამოსილება გამოხმობადია, მაგრამ მესამე პირმა უკვე მიიღო შესრულება, - როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით, ასევე ასეთი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში. თუ მესამე პირის უფლება/უფლებამოსილება გამოხმობადია და მესამე პირის მიმართ შესრულება ჯერ არ განხორციელებულა, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭირო არ არის მესამე პირის თანხმობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლს[774] დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2[1] ნაწილი:

2[1]. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭიროა მესამე პირის თანხმობა, თუ მესამე პირის უფლება გამოხმობას არ ექვემდებარება ან თუ მესამე პირმა უკვე მიიღო შესრულება.

1.1.2. ხელშეკრულების მოშლის უფლება

მესამე პირის მიერ მიღებული შესრულების შენარჩუნების თვალსაზრისით, ხელშეკრულების მოშლა გავლენას არ მოახდენს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე, რადგან აქ მესამე

[774]რადგან სსკ-ის ,,405-ე მუხლი ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის წესს და სავალდებულო წინაპირობებს", იხ. *ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 504.

პირი მხოლოდ შესრულების მიმღებია, ხელშეკრულების მოშლის დროს კი, ხელშეკრულებიდან გასვლისაგან განსხვავებით, მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება არ ხდება[775] ყოველთვის ერთდროულად. ამიტომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ამ სახის ხელშეკრულებაში შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულების მოშლისათვის მესამე პირის თანხმობის საჭიროება არ არსებობს. მართალია, ხელშეკრულების მოშლამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მესამე პირის მიმართ სამომავლო ვალდებულების შესრულებაზე, მაგრამ რადგან მესამე პირს შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ გააჩნია, შესაბამისად, მისი უფლებამოსილების გაუქმება ისედაც შესაძლებელია, მისი ნება ვერ გახდება შეპირების მიმღების მბოჭველი.

ხელშეკრულების მოშლის საკითხი უფრო მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, ვინაიდან ხელშეკრულების მოშლა მესამე პირის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას გამოიწვევს. შესაბამისად, მესამე პირიც დაკარგავს შესრულების მოთხოვნის უფლებას.

იმის გადასაწყვეტად, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულების მოშლისათვის საჭირო უნდა იყოს თუ არა მესამე პირის თანხმობა, ამ შემთხვევაშიც, ყურადღება უნდა მიექცეს მესამე პირის სამართლებრივ პოზიციას ხელშეკრულებაში. შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულების მოშლა არ უნდა გახდეს მესამე პირის თანხმობაზე დამოკიდებული, თუ მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გამოხმობადია. მესამე პირის თანხმობა მაშინ უნდა იყოს საჭირო, თუ მისი უფლება გამოუხმობადია.

რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლის უფლების მქონე პირს, ეს უფლება უნდა ჰქონდეს შეპირების მიმღებს, როგორც ხელშეკრულების მხარეს.[776] გავრცელებული მოსაზრების შესაბამისადაც, ხელშეკრულების მოშლის უფლებით უნდა

---

[775] იხ. *ვაშაკიძე გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 399, ველი 10, 628, მუხლი 405, ველი 10 და მომდევნო, 660; *რუსიაშვილი გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 352, ველი 2, 296; *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014, 227, 264; *ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 517; *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 230.

[776] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 20, 2290; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 6, 565; იხ. ასევე, *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 663.

სარგებლობდეს შეპირების მიმღები და არა მესამე პირი.[777] მაგრამ გაზიარებული უნდა იქნეს პოზიცია, რომლის მიხედვით, მესამე პირს იმ შემთხვევაში უნდა შეეძლოს ხელშეკრულების მოშლის უფლების განხორციელება, თუ ეს დადგინდება ხელშეკრულების განმარტების გზით, ე.ი. თუ მხარეები ამის შესახებ ხელშეკრულებით შეთანხმებულნი არიან.[778]

მართალია, ზემოთმითითებულ მსჯელობაში არ იქნა გაზიარებული, რომ მესამე პირისათვის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მინიჭება სახელშეკრულებო შეთანხმებითაა შესაძლებელი, მაგრამ აღნიშნული დასაბუთებულია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე და არ გულისხმობს, რომ ხელშეკრულებით მესამე პირისათვის ზოგადად მეორეული მოთხოვნის უფლების მინიჭებაა დაუშვებელი. ამიტომ ხელშეკრულების მოშლის ნება მესამე პირის მიერაც შეიძლება იქნეს გამოვლენილი, თუ შეპირების მიმღები თანახმაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირისათვის ინტერესი დაკარგა ამ ხელშეკრულებამ.

ქირავნობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარის გარდა, ხელშეკრულების მოშლის შესახებ აუცილებელია იმავდროულად ეცნობოს მესამე პირსაც, მისი ინტერესი რომ არ იქნეს ხელყოფილი.

1.1.3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

1.1.3.1. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

,,თანამედროვე დოქტრინაში ერთმანეთისაგან იმიჯნება შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და ე.წ. ჩვეულებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა“,[779] ასევე ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის

---

[777] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 818.

[778] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 345; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 6, 565.

[779] *ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 60; იხ. ასევე, *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 134.

ანაზღაურების მოთხოვნები.[780] ამიტომ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე იქნება განხილული.

მესამე პირს უნდა ჰქონდეს თუ არა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, იურიდიულ დოქტრინაში ერთ-ერთი რთულად გადასაწყვეტი საკითხია, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მსგავსად. რაც განაპირობებს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებების არსებობას. ავტორთა ერთი ნაწილის მიერ მიჩნეულია, რომ მეორეული უფლება, როგორიცაა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მესამე პირს არ შეუძლია განახორციელოს.[781] მაგრამ იმავე ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ შესაძლოა მესამე პირს ხელშეკრულებით მიენიჭოს ამგვარი უფლება.[782] ეს უკანასკნელი პოზიცია გაზიარებული უნდა იქნეს, რადგან გასათვალისწინებელია შეპირების მიმღების ინტერესი. მართალია, მესამე პირს ენიჭება შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება, მაგრამ საინტერესოა, რამდენადაა მხარეთა ნება ისიც, რომ მესამე პირის უფლებამოსილება იმდენად ფართო იყოს, მან დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობის ბედი.

ამიტომ არ უნდა იქნეს გაზიარებული საწინააღმდეგო პოზიცია, რომლის მიხედვით მესამე პირი, როგორც შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე, მეორეული მოთხოვნების, მათ შორის, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებითაც უნდა სარგებლობდეს.[783]

მართალია, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელებისას, შესრულების მოთხოვნის უფლება გარდაიქმნება ზიანის

---

[780] *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 494, ველი 7.

[781] *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §328, Rn. 11, 567; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 79, 81; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 6, 565; იხ. ასევე, *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 16. Aufl., Düsseldorf, 2018, Rn. 16, 419; *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 11.

[782] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 6, 565; *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 79, 81.

[783] *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §335, Rn. 15, 19, 776; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 20, 2289-90; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §328, Rn. 16, 556; *Brömmelmeyer Ch.,* Schuldrecht, AT, München, 2014, Rn. 18, 273; *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017, §328, Rn. 8, 1502; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 16 აპრილის №3გ-ად-537-კ-02 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 19 ივნისის №3გ-ად-44-კ-03 გადაწყვეტილება.

ანაზღაურების მოთხოვნის უფლებად,[784] მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ შესრულების მოთხოვნის უფლება არის პირველადი, ხოლო შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მეორეული უფლებაა.[785] უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაშიც კი, არის ,,პირველადი მოთხოვნის კრედიტორი"[786], ამიტომ გამართლებული იქნება, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელება იმ შემთხვევაში შეეძლოს, თუ ეს გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებით, ან თუ შეპირების მიმღები შემდგომში თანახმა[787] იქნება. შეპირების მიმღების თანხმობის არსებობა საკმარისად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან თუ მოვალე არღვევს ვალდებულებას, მისთვის მნიშვნელობის მქონე არ უნდა იყოს შეპირების მიმღები წარუდგენს ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილ მოთხოვნის უფლებას თუ მესამე პირი. მთავარია, შემპირებლისათვის შეცნობადი[788] იყოს ვინაა მის მიმართ მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი.

რაც შეეხება შეპირების მიმღების მიერ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების განხორციელების წესს, გასაზიარებელია პოზიცია,[789] რომლის მიხედვით, თუ მესამე პირის უფლება არ ექვემდებარება გამოხმობას, შეპირების მიმღებს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელება მესამე პირის თანხმობით უნდა შეეძლოს. დასახელებული მეორეული უფლების შინაარსიდან გამომდინარე, ყურადღებაა გასამახვილებელი იმაზე, რომ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა გამორიცხულია, როგორც კი

---

[784] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §281, Rn. 3, 1151.

[785] იხ. *ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 58.

[786] "Gläubiger der primären Forderung", *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 41, 22; "...einen primären Leistungsanspruch", *Petersen J.,* Der Dritte im Allgemeinen Schuldrecht, Jura, 2014(6), 581; *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003,163.

[787] იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 30, 278.

[788] *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 108.

[789] *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §328, Rn. 11, 567; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 6, 565; იხ. ასევე, *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 16., neu bearb. Aufl., Düsseldorf, 2018, Rn. 16, 420; შეად. *Staudinger J., Klumpp S.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §328, Rn. 80, 82.

კრედიტორი მოითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას.[790] მაშასადამე, მესამე პირი დაკარგავს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებულ შესრულების მოთხოვნის უფლებას.[791]

როდესაც შეპირების მიმღები მესამე პირს ხელშეკრულებით გამოუხმობად უფლებას ანიჭებს, ამ გზით მისი ნების გამოვლენა იქითკენაა მიმართული, რომ მესამე პირის უფლებრივ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა აღარ იყოს შესაძლებელი, ასეთივე იქნება მესამე პირის მოლოდინიც. მართალია, გამოთქმულია ის მოსაზრებაც, რომ მესამე პირი დაცულია მის უფლებაში მხარეთა მიერ თვითნებური ჩარევისაგან, მაგრამ არა ვალდებულების დარღვევით წარმოშობილი მისი უფლების ხელყოფისაგან,[792] მაგრამ აღნიშნული წარმოშობს მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის არასტაბილურობის საფრთხეს. ამიტომ, თუ მესამე პირს მიენიჭება გამოუხმობადი უფლება, გამართლებული იქნება, მისი ჩამორთმევა მესამე პირის თანხმობის გარეშე აღარ იყოს შესაძლებელი, არც მეორეული უფლების განხორციელების შედეგად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროპორციული ურთიერთობა შესაძლებელია ემსახურებოდეს სავალუტო ურთიერთობაში არსებული ვალდებულების შესრულებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეპირების მიმღებმა შესაძლოა, სავალუტო ურთიერთობაში არსებული შეთანხმების გამო მიანიჭოს მესამე პირს პროპორციულ ურთიერთობაში გამოუხმობადი უფლება. ამიტომ პროპორციულ ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევის შედეგად, მესამე პირმა შესაძლებელია შეუსრულებელი ვალდებულების გამო სავალუტო ურთიერთობაში წარუდგინოს მოთხოვნა შეპირების მიმღებს. ამ კუთხითაც უმჯობესია, მესამე პირის ინტერესი მეორეული უფლების განხორციელების ეტაპზევე იქნეს გათვალისწინებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული სავალუტო ურთიერთობაში შეპირების მიმღების მიმართ მოთხოვნის წარდგენა. მართალია, გამოთქმულია ის მოსაზრებაც, რომ სავალუტო ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულების გამო ამ ურთიერთობის დაკავშირება პროპორციულ ურთიერთობასთან დაუშვებელია, რადგან ისინი

---

[790] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §281, Rn. 50, 1161; იხ. ასევე *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 494, ველი 9.

[791] იხ. *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 101.

[792] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 522; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 IV 5, 501; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 340; *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 106.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია,[793] მაგრამ საწინააღმდეგო მოწესრიგებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს დავების სიმრავლეს, იმ კუთხით რომ, თუ შეპირების მიმღებმა მესამე პირის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დადო ხელშეკრულება, მაგრამ პროპორციულ ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევის გამო მესამე პირის წინაშე შესრულების მიზანი ვერ იქნა მიღწეული, შეპირების მიმღების მიერ მეორეული უფლებაც მესამე პირის ნების გათვალისწინების გარეშე განხორციელდება, მესამე პირი, დიდი ალბათობით, შეპირების მიმღებს, როგორც თავის მოვალეს, სავალუტო ურთიერთობაში წარუდგენს მოთხოვნას. ე.ი. პროპორციულ ურთიერთობაში შეპირების მიმღების მიერ განხორციელდება მოთხოვნის უფლება შემპირებლის მიმართ, ხოლო სავალუტო ურთიერთობაში - მესამე პირის მიერ შეპირების მიმღების მიმართ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეს შეპირების მიმღებს. მესამე პირს იმ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს ამ უფლების განხორციელება, თუ მას ასეთი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე აქვს მინიჭებული, ან თუ შეპირების მიმღები იქნება თანახმა. თუმცა შეპირების მიმღების მიერ ამ უფლების განხორციელებისათვის საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა, გადამწყვეტია მესამე პირის სამართლებრივი პოზიცია. კერძოდ, თუ მესამე პირის უფლება გამოუხმობადია, შეპირების მიმღებს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მესამე პირის თანხმობის პირობებში უნდა შეეძლოს, ხოლო თუ მესამე პირის უფლება გამოხმობადია, მაშინ მისი თანხმობა საჭირო არ არის.

1.1.3.2. შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურებისა და ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი უფლება, რომელიც ეხება საერთო ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის, ასევე ვადის გადაცილებით დამდგარი ზიანის ანაზღაურებას, შესაძლებელია განახორციელოს როგორც

[793] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 521.

შეპირების მიმღებმა, ისე მესამე პირმა, იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს ადგება ზიანი.[794] აღნიშნული ლოგიკურიცაა, ვინაიდან, თუ ზიანი უშუალოდ არ მიადგება შეპირების მიმღებს და მესამე პირს, ორივე მათგანისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება გამოიწვევდა მოვალის პასუხისმგებლობის გაორმაგებას.[795] მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში კი უფლებებისა და მოვალეობების ,,გაორმაგება"[796] კი არ ხდება, არამედ კრედიტორის მხარეზე არსებული უფლებამოსილებები ნაწილდება სხვადასხვა პირებზე (შეპირების მიმღებსა და მესამე პირზე).[797] მაგალითად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში, თუ გამქირავებელი მოშლის ხელშეკრულებას, მოსარგებლეს კი ბინიდან გადასვლის ხარჯების სახით წარმოეშობა ზიანი, ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მისი მოთხოვნის უფლება ექნება მესამე პირს და არა დამქირავებელს (შეპირების მიმღებს), რადგან მას ზიანი არ მისდგომია.[798]

იმ შემთხვევაში, თუ შეპირების მიმღები საწინააღმდეგო პოზიციას არ გამოხატავს, შეპირების მიმღების ინტერესი ან მის მიერ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება არ შეიზღუდება იმით, თუ მესამე პირსაც მიენიჭება უფლება პირდაპირ შემპირებლისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.[799] შესაბამისად, მესამე პირს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შეუძლია გადაწყვიტოს შეპირების მიმღების ნაცვლად პირდაპირ შემპირებელს წაუყენოს მოთხოვნა.[800] ასევე არაა გამორიცხული, რომ შეპირების მიმღებმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მესამე პირთან ერთად განახორციელოს. [801]

---

[794] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 342; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 818; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1211, 508, 509.
Reinken A., Der heutige Stand der privity of contract im englischen Common Law, Diss., Hall in Tirol, 1998, 49-50, (ინგლისის სასამართლოები "Privity of Contract"-ის პრინციპიდან გამომდინარე უარყოფდნენ მესამე პირის მიერ სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. იხ. საქმე Donoghue v. Stevenson).
[795] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 818.
[796] "Doppelberechtigung", "Vervielfältigung".
[797] *ob. Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 818, *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 344.
[798] იხ. *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 818.
[799] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 342.
[800] იქვე.
[801] იქვე.

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას, როგორც წესი, მხოლოდ ხელშეკრულების მხარეა უფლებამოსილი მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში მიჩნეულია, რომ გამონაკლისის სახით, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ვალდებულების დარღვევისას, მესამე პირს აქვს საკუთარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.[802]

მესამე პირს შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას რომ ანიჭებენ,[803] გამართლებულია, ვინაიდან მესამე პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პროპორციულ ურთიერთობაზე (ე.ი. მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე) კი არ ახდენს გავლენას, არამედ ის შეიძლება განხორციელდეს პირველადი შესრულების მოთხოვნასთან ერთად.[804] ამიტომ მესამე პირი, როგორც პირველადი მოთხოვნის უფლების მქონე, განხილული უნდა იქნეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირად. მაშასადამე, მას უნდა შეეძლოს მოითხოვოს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის მ.394 I); ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის მ. 404); ასევე ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების დარღვევისა (სსკ-ის მ. 317 (1), (2) და გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისათავის (სსკ-ის მ. 316 (2).

,,იმას, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს როგორც შეპირების მიმღებს, ისე მესამე პირს, იმ პირობით, რომ ზიანი უშუალოდ განმცხადებელს უნდა ადგებოდეს, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკაც

---

[802]BGH, Urteil vom 15. 1. 1974 - X ZR 36/71 (München), NJW 1974, 502; BGH, Urteil vom 26. 5. 2010 - Xa ZR 124/09 (LG Frankfurt a.M.), BGH NJW 2010, 2950, (2951); BGH, Urteil vom 17.01.1985 - VII ZR 63/84 (Frankfurt), NJW 1985, 1457 (უკანასკნელ გადაწყვეტილებაში მესამე პირს მიენიჭა ზიანის ანაზღაურების მოთოვნის უფლება დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებული გადაყვანის ხელშეკრულების დარღვევის გამო §325 I aF. BGB).

[803]*Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 10; Bamberger H., Janoschek Ch., BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 20, 2289-90; იხ. ასევე, *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 663; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 817; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 523; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 223.

[804]*Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 10; *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, მუხლი 494, ველი 15.

ადასტურებს“.[805] ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში, რომლებიც ეხებოდა საზაფხულო აგარაკის ქირავნობის[806] თუ ჩარტერის[807] ხელშეკრულებებს მიუთითა, რომ მესამე პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს.[808] მეორე მხრივ, გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ სხვა გადაწყვეტილებებში, რომლებიც ეხებოდა მესამე პირის სასარგებლოდ საწარმოს შეძენის,[809] სამედიცინო მომსახურების[810] ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ დავებს, შეპირების მიმღებსაც მიანიჭა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.[811]

რაც შეეხება მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ვადას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტების შესაბამისად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს კონკრეტული შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში.[812] ხოლო შესრულების ვადის გადაცილების გამო წარმოშობილ ზიანთან დაკავშირებით, გერმანიის უზნაესმა ფედერალურმა სასამართლომ ბოლო პერიოდის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშიც[813] განმარტა, რომ მესამე პირს თავის სასარგებლოდ დადებულ გადაყვანის ხელშეკრულებაში შეუძლია განახორციელოს არა მხოლოდ პირველადი მოთხოვნა ე.ი. შესრულება, არამედ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც.[814]

---

[805] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 342-343.

[806] BGH 12.5. 1980=NJW 1980, 1947/1948, მითითებულია: იქვე, სქოლიო 710, 343.

[807] BGH 17.1.1985=BGHZ 93, 271/272ff., მითითებულია: იქვე, სქოლიო 712, 343.

[808] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 343.

[809] BGH, WM 1972, 486, მითითებულია: იქვე.

[810] BGHZ 86, 240/253, მითითებულია: იქვე, 344.

[811] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 344.

[812] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-670-636-2015, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი _ 2015 წელი), თბილისი, 2017, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-samoqalaqo.pdf>, [23.01.2020].

[813] BGH NJW 2010, 2950 (2951), მითითებულია: *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 10.

[814] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 10; “Dieses Forderungsrecht besteht grundsätzlich nicht nur hinsichtlich der Primärleistung, sondern auch für Sekundäransprüche, insbesondere Schadensersatzansprüche“, BGH, Urteil vom 26. 5. 2010 - Xa ZR 124/09 (LG Frankfurt a.M.), BGH NJW 2010, 2950, (2951); იხ.ასევე, BGH, Urteil vom 15. 1. 1974 - X ZR 36/71 (München), NJW 1974, 502; იხ. ასევე, *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 663.

რაც შეეხება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რადგან მას შესრულების მოთხოვნის დამოუკიდებელი უფლება არ გააჩნია, არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნება. მაგრამ გასაზიარებელია იურიდიულ ლიტარატურაში არსებული მოსაზრება, რომლის მიხედვით, მესამე პირს შეიძლება მაშინ მიენიჭოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ აღნიშნულის შესახებ შემპირებელი და შეპირების მიმღები შეთანხმებულნი არიან.[815]

1.1.4. ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება

ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელება ხელშეკრულებაში მესამე პირის უფლებრივ მდგომარეობაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან ამ მეორეული უფლების შინაარსიდან გამომდინარე მისი რეალიზება არ გამოიწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას. პირიქით, როგორც უკვე აღინიშნა, ფასის შემცირება ხელშეკრულების შენარჩუნებისადმი ინტერესის შემთხვევაში გამოიყენება.[816] მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მესამე პირის ინტერესი მის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულების ღირებულების მიმართ ვერ გამოიკვეთება, რადგან მოვალის მიმართ საპასუხო შესრულებას ახორციელებს შეპირების მიმღები და არა მესამე პირი. შესაბამისად, მესამე პირი არ განსაზღვრავს შეპირების მიმღების მიერ განსახორციელებელი საპასუხო შესრულების ღირებულებას.[817] ცხადია, მესამე პირი არ არის ვალდებული დაიტოვოს ნაკლიანი ნივთი, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ შეპირების მიმღებმა სავალუტო ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დადო შემპირებელთან ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ და ნივთის ხარისხი არ არის შეთანხმებულთან შესაბამისობაში, მაგრამ თუ მესამე პირს სურს მიღებული საგნის

---

[815] *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, 173.

[816] *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 492, ველი 1; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის № ას-584-891-09 გადაწყვეტილება.

[817] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 59, 30.

შენარჩუნება, ფასის შემცირების მოთხოვნისათვის სათანადო წინაპირობების[818] არსებობისას, შეპირების მიმღებს უნდა შეეძლოს ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება მესამე პირის თანხმობის გარეშე განახორციელოს,[819] მიუხედავად იმისა, მესამე პირის უფლება გამოუხმობადია, თუ გამოხმობადი. ამიტომ უპირობოდ ვერ იქნება გაზიარებული გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომ თუ მესამე პირის უფლება გამოუხმობადია, ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელება შეპირების მიმღებს მესამე პირის თანხმობით უნდა შეეძლოს.[820] ვინაიდან, როგორც აღინიშნა, ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელება მესამე პირის უფლების ხელყოფას არ გამოიწვევს. დასახელებულ შემთხვევაში შეპირების მიმღების შებოჭვა მესამე პირის თანხმობით კი, შეპირების მიმღების, როგორც საპასუხო შესრულების განმახორციელებელი პირის ინტერესებს დაუსაბუთებლად შეზღუდავს.

ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმ საკითხზეც, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება ,,ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატიული მოთხოვნაა"[821] ამიტომ, თუ შეპირების მიმღების მიერ ალტერნატიულ მოთხოვნებს შორის არჩევანი უნდა განხორციელდეს, ამ შემთხვევაში ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივი პოზიციის გათვალისწინებით შესაძლებელია საჭირო იყოს მისი თანხმობა. აღნიშნული საკითხი წინამდებარე ნაშრომის შესაბამის ქვეთავში[822] ცალკეა განხილული და შესაბამისად უნდა იქნეს მოწესრიგებული.

რაც შეეხება უშუალოდ მესამე პირის მიერ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებით სარგებლობას, მას არ ექნება უფლება მოითხოვოს ფასის შემცირება, რადგან აქაც ვერ იკვეთება მესამე პირის ინტერესი ამ მოთხოვნის განხორციელებისადმი.[823]

---

[818] იხ. *ჩაჩავა ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 30.03.2016, მუხლი 492, ველი 10, 16.

[819] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 59, 30; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 662.

[820] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 15, 236.

[821] *ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 66.

[822] იხ. წინამდებარე ნაშრომში ,,ალტერნატიულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება".

[823] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 346; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 22, 239, Rn. 16, 236-237.

ამრიგად, გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში აღიარებული მიდგომა, რომლის მიხედვით, შეპირების მიმღების მიერ აღმჭურველი უფლებების განხორციელებისათვის საჭირო უნდა იყოს თუ არა მესამე პირის თანხმობა, იმის მიხედვით წყდება, მესამე პირის უფლება გამოხმობადია თუ გამოუხმობადი,[824] ვერ იქნება ,,უნივერსალური ფორმულა" მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეპირების მიმღების მიერ ამ უფლებების განხორციელების წესისათვის, ვინაიდან ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივ პოზიციასთან ერთად განმსაზღვრელია ასევე იმ კონკრეტული უფლების სამართლებრივი ბუნება, რომელიც უნდა განხორციელდეს.

1.1.5. დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება

შემპირებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იურიდიულ დოქტრინაში ასევე საკამათოა, მესამე პირს უნდა ჰქონდეს თუ არა დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება.[825] მართალია, დამატებითი შესრულების მოთხოვნა მეორეული უფლებაა,[826] მესამე პირი კი ,,პირველადი მოთხოვნის კრედიტორია",[827] მაგრამ შესრულების მოთხოვნის უფლება თვით შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედებისაგან განყენებულად არ უნდა იქნეს გაგებული. გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი შესრულების მოთხოვნა ,,მოდიფიცირებული შესრულების მოთხოვნის უფლებაა".[828] მას ,,თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების გაგრძელებადაც" კი მიიჩნევენ.[829] ვინაიდან დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს მინიჭებული, დამატებითი შესრულება კი არის დამატებითი

---

[824] *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 77. Aufl., München, 2018, §328, Rn. 6, 561; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 661.

[825] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 10, 233-234.

[826] *ბაჩიაშვილი ვ.,* დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2008, 168.

[827] "Gläubiger der primären Forderung", *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 41, 22.

[828] *Brömmelmeyer Ch.,* Schuldrecht, AT, München, 2014, Rn. 18, 273; *ბაჩიაშვილი ვ.,* დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2008, 175.

[829] იხ. *ბაჩიაშვილი ვ.,* დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2008, 174, 171.

შესაძლებლობა მოვალისათვის, რომ შეასრულოს ხელშეკრულება,[830] დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს, უნდა ჰქონდეს დამატებითი შესრულების, როგორც ,,უპირატესად გამოსაყენებელი მეორეული მოთხოვნის უფლება"[831] და ამ უფლების განხორციელებისათვის საჭირო არ უნდა იყოს შეპირების მიმღების თანხმობა. ვინაიდან შეპირების მიმღები მესამე პირის სასარგებლოდ დებს ხელშეკრულებას, მისი მიზანი, როგორც ზოგადად ხელშეკრულების მხარის, არის მესამე პირის მიერ შესრულების მიღება და არა მეორეული მოთხოვნის რეალიზება.[832] დამატებითი შესრულება კი უზრუნველყოფს კრედიტორის თავდაპირველი შესრულების ინტერესის რეალიზებას.[833] რადგან დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირს აქვს ძირითადი შესრულების მოთხოვნის უფლება, მას ყველა შემთხვევაში უნდა შეეძლოს განახორციელოს ის უფლებები, რომლებიც შესრულების ინტერესის რეალიზებას ემსახურება.[834] აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ როგორც მესამე პირი, ისე შეპირების მიმღები უფლებამოსილია დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვროს დამატებითი ვადა,[835] რომელიც ხელშეკრულების ,,გადარჩენას" ისახავს მიზნად.[836] მაშასადამე, შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს უნდა შეეძლოს ხელშეკრულების შენარჩუნების მიზნით განახორციელოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება.

მესამე პირს, როგორც შესრულების მოთხოვნის უფლების მქონეს, ასევე შეუძლია განსაზღვროს შესრულების დრო.[837]

---

[830]იხ. *ძლიერიშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 31.05.2016, მუხლი 642, ველი 1.

[831]*ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 57; *ძლიერიშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 31.05.2016, მუხლი 642, ველი 3.

[832]იხ. *ძლიერიშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 31.05.2016, მუხლი 642, ველი 1.

[833]*ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014, 186; *ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 59.

[834] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 523; იხ. ასევე, *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 116.

[835]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 13, 235; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §335, Rn. 14, 775; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §328, Rn. 16, 556.

[836]*ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 59; იხ. ასევე, *ძლიერიშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 31.05.2016, მუხლი 642, ველი 1; *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 166.

[837] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2223.

მესამე პირს ასევე უფლება აქვს მოვალეს ვადის გადაცილებისას წარუდგინოს გაფრთხილება.[838] ამ შემთხვევაშიც შეპირების მიმღების თანხმობა საჭირო არ უნდა იყოს, ვინაიდან ეს გავლენას არ ახდენს პროპორციულ ურთიერთობაზე, არამედ ზრდის სამართლებრივ შესაძლებლობას იმისათვის, რომ ვალდებულება შესრულდეს.[839]

მესამე პირის მიერ დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლების განხორციელებისათვის იმიტომ არ არის საჭირო შეპირების მიმღების თანხმობა, რომ დამატებითი შესრულება სხვა მეორეული უფლებებისაგან განსხვავებით, სახელშეკრულებო ურთიერთობის გარდაქმნას ან ცვლილებას კი არ იწვევს, არამედ ემსახურება ხელშეკრულების თავდაპირველი მიზნის შესრულებას. შეპირების მიმღების მიერ ამ უფლების განხორციელებისათვის მესამე პირის თანხმობის არსებობა კი იმიტომ არ უნდა იქნეს მოთხოვნილი, რომ ეს გავლენას არ მოახდენს მესამე პირის სამართლებრივ პოზიციაზე, პირიქით, მისთვის გათვალისწინებული შესრულების უზრუნველსაყოფად განხორციელდება.

1.1.6. ალტერნატიულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ასევე, მესამე პირი უნდა სარგებლობდეს თუ არა მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლებით.[840]

მეორეულ ,,მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელება იწვევს ალტერნატიულ კონკურენციაში მყოფ სხვა დანარჩენ მოთხოვნათა გაქარწყლებას".[841] შესაბამისად, ვალდებულების დარღვევისას სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნებისა თუ დასრულების საკითხი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელი მეორეული მოთხოვნა განხორციელდება. რაც, ცხადია, გავლენას მოახდენს მესამე პირისათვის გათვალისწინებული შესრულების საკითხზეც.

---

[838] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 10.

[839] იქვე.

[840] იხ. *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 10, Rn. 12, 234.

[841] *ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 64; მეორეულ მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის შესახებ იხ. იქვე, 61 და მომდევნო.

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ორმხრივ ურთიერთმავალდებულებელ ხელშეკრულებაში მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება უნდა ეკუთვნოდეს შეპირების მიმღებს,[842] რადგან ის იმავდროულად არის საპასუხო შესრულების მოვალე,[843] უფლების არჩევა კი წყვეტს ურთიერთსაპასუხო ვალდებულების არსებობის საკითხს.[844] ამიტომ ამ ავტორის მიერ მიჩნეულია, რომ ისეთი უფლება, რომელიც საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე ახდენს გავლენას, შეპირების მიმღებმა უნდა განახორციელოს.[845] ამ მოსაზრების თანახმად, პოზიცია, რომელიც მესამე პირს ანიჭებს მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლებას, უგულებელყოფს შეპირების მიმღების ინტერესს საპასუხო შესრულების შესახებ.[846] ამიტომ აღნიშნული მოსაზრების ავტორის მიერ მიჩნეულია, რომ შეპირების მიმღებს ასარჩევი უფლების განხორციელებისას მესამე პირის თანხმობა არ ესაჭიროება.[847]

ეს პოზიცია უპირობოდ ვერ იქნება გაზიარებული, რადგან აღნიშნულ მსჯელობაში ყურადღება არ არის გამახვილებული მესამე პირის სამართლებრივ პოზიციაზე, კერძოდ, იმ საკითხზე მესამე პირის უფლება გამოხმობადია თუ გამოუხმობადი, რაც შეპირების მიმღების ინტერესის დაცვის ხარჯზე მესამე პირის ინტერესის ხელყოფის საფრთხეს ქმნის. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს შეწონვა - საპასუხო შესრულების განხორციელებაზე შეპირების მიმღების ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, თუ მესამე პირის ინტერესი, რომელიც მან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებას დაუკავშირა. ,,სახელშეკრულებო სამართლიანობა“ და სტაბილურობა განაპირობებს, რომ პასუხი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იქნეს გაცემული. გაუმართლებელია მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობა მესამე პირის ნებისაგან და მისი სამართლებრივი პოზიციისაგან დამოუკიდებლად სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე შეპირების მიმღების მხრიდან მუდმივი ცვალებადობის რისკის წინაშე იდგეს. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირისათვის უფლების მინიჭება შეპირების მიმღების ნების საფუძველზე ხდება.

[842] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 523.
[843] იქვე, 518.
[844] იქვე, 523.
[845] იქვე, 518.
[846] იქვე.
[847] იქვე, 523.

აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მესამე პირის უფლება ყოველთვის უპირატესი დაცვის ობიექტია, მაგრამ იქ, სადაც შესაძლებელია სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე პირთა შორის ინტერესთა ბალანსის შენარჩუნება, მესამე პირის ინტერესები დაუსაბუთებლად არ უნდა შეიზღუდოს.

როდესაც მესამე პირის უფლება გამოუხმობადია ან, მაშინ როდესაც გამოხმობადია, მაგრამ მესამე პირს უკვე მიღებული აქვს შესრულება და არჩეული უფლების განხორციელება მიღებული შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულებას წარმოშობს, სამართლიანი იქნება შეპირების მიმღების მიერ მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელების საკითხიც ისევე მოწესრიგდეს, როგორც ეს ზემოთ იქნა დასაბუთებული ცალკეული მეორეული მოთხოვნის უფლების განხორციელებასთან მიმართებით, მაშასადამე, გათვალისწინებული უნდა იქნეს მესამე პირის ნება, კერძოდ, მისი თანხმობა.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვითაც, შეპირების მიმღების მიერ ასარჩევი უფლებების განხორციელებისათვის მესამე პირის თანხმობის არსებობაა საჭირო.[848]

რაც შეეხება თვით მესამე პირის მიერ მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლებით სარგებლობის საკითხს, მესამე პირს მაშინ უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად განახორციელოს არჩევანი მეორეულ მოთხოვნათა შორის, თუ მას ასეთი უფლება ხელშეკრულებით აქვს მინიჭებული, ან თუ შეპირების მიმღები იქნება თანახმა. არჩეული მეორეული მოთხოვნის უფლების განხორციელება კი მესამე პირს იმ შემთხვევაში უნდა შეეძლოს, თუ მის მიერ ამ კონკრეტული მეორეული მოთხოვნის უფლებით სარგებლობა ზოგადად შესაძლებელია.

შეპირების მიმღების მიერ მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელებისათვის მესამე პირის თანხმობის საჭიროებასთან მიმართებით ასევე გამოთქმულია ის მოსაზრებაც, რომ ეს წარმოშობს პრაქტიკული თვალსაზრისით სირთულეს, მინიმუმ მაშინ, როდესაც ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლება მხოლოდ ერთ მესამე პირს არ წარმოეშობა. ამ დასაბუთების მიხედვით, მოგზაურობის მომწყობს, რომელმაც დადო ჩარტერის ხელშეკრულება, მხოლოდ მაშინ შეეძლებოდა ხელშეკრულებიდან გასვლა, როდესაც მიიღებდა ყველა მგზავრის

[848]იხ. *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 521; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 663.

თანხმობას.[849] დასახელებული მოსაზრების ავტორი ამით ასარჩევი უფლების განხორციელებას პრაქტიკულად შეუძლებლად მიიჩნევს.[850] ამ პოზიციის მიხედვით, მესამე პირის ინტერესები მისი თანხმობის გარეშეც საკმარისად დაცულია, რადგან თუ შეპირების მიმღების მიერ უფლების განხორციელება ეწინააღმდეგება მესამე პირის მიმართ სავალუტო ურთიერთობაში არსებულ ვალდებულებას, მესამე პირს შეუძლია თავისი უფლების დაცვა იმ სამართლებრივ ურთიერთობაში მოითხოვოს, სადაც ამ ვალდებულების საფუძვლებია, კერძოდ, სავალუტო ურთიერთობაში.[851]

საწინააღმდეგო მოსაზრების ავტორი კი მიიჩნევს, რომ შეპირების მიმღების შებოჭვა მესამე პირის თანხმობით არ უნდა იქნეს მიჩნეული არაპრაქტიკულად.[852] რადგან, მაგალითად, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობისას, მესამე პირი რეალურად მხოლოდ მაშინ არ იქნება თანახმა ვალდებულებითი ურთიერთობის გარდაქმნაზე, თუ მას შესრულების მიმართ კვლავ ექნება ინტერესი.[853] ასეთის არსებობის შემთხვევაში კი უპირატესობა მესამე პირის ინტერესს ენიჭება.[854] აღნიშნული გამართლებულიცაა ზემოთ მითითებული დასაბუთების გამო. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ შეპირების მიმღების მიერ მეორეული უფლების განხორციელების შედეგად მესამე პირის ინტერესის ხელყოფის შემთხვევაში, მართალია, მესამე პირი საბოლოოდ არ დარჩება სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე, ვინაიდან თუ მის სასარგებლოდ ხელშეკრულება სავალუტო ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით იყო დადებული, მესამე პირს შეეძლება სავალუტო ურთიერთობაში წარუდგინოს მოთხოვნა შეპირების მიმღებს, მაგრამ ამან, როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია წარმოშვას დავების სიმრავლე, ამასთანავე, გაართულოს მესამე პირის ინტერესის დაცვაც. როდესაც მესამე პირს მინიჭებული აქვს გამოუხმობადი უფლება, შეპირების მიმღების მიერ მეორეული უფლების განხორციელება კი პრაქტიკულად მესამე პირის ამ უფლების გაუქმებას გამოიწვევს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ

---

[849] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 521; იხ. ასევე, *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 11.
[850] Raab Th., Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 521.
[851] იქვე, 522.
[852] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 14, 236.
[853] იქვე.
[854] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 14, 236; *Papanikolaou P.,* Schlechterfüllung beim Vertrag zugunsten Dritter, Berlin, 1997, 75.

შესაძლებელია, თვით შემპირებელმაც მოითხოვოს მესამე პირის თანხმობა, რათა გამოირიცხოს მესამე პირის მიერ მის მიმართ მოთხოვნის წარდგენის რისკი.

ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმაზეც, რომ როგორც კონკრეტული მეორეული მოთხოვნის უფლების, ასევე მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელებისას, მესამე პირის თანხმობის საჭიროება დასაბუთებულია, არა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ნებისმიერი შემთხვევისათვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მესამე პირის უფლება გამოუხმობადია, ან თუ მესამე პირს უკვე მიღებული აქვს შესრულება და არჩეული უფლების განხორციელება მიღებული შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულებას წარმოშობს.

მაშასადამე, მესამე პირი მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლებით შესაძლებელია სარგებლობდეს, თუ მას ეს უფლება ხელშეკრულებით აქვს მინიჭებული, ან თუ შეპირების მიმღები იქნება თანახმა. შეპირების მიმღების მიერ მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელებისას საჭიროა მესამე პირის თანხმობა, თუ მესამე პირის უფლება გამოუხმობადია. მესამე პირის თანხმობა არ იქნება საჭირო, თუ მესამე პირის უფლება გამოხმობადია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირს უკვე მიღებული აქვს შესრულება და მეორეული უფლების განხორციელება გავლენას მოახდენს მიღებული შესრულების შენარჩუნებაზე.

1.2. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უფლება

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში პოზიცია ერთიანია იმასთან დაკავშირებით, რომ მესამე პირი უნდა სარგებლობდეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლებით.[855] ეს, ცხადია, ეხება დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს განმარტების შესაბამისადაც, თუ არსებობს

[855] *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §328, Rn. 11, 567; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §328, Rn. 16, 556; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 5, 565; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 17, 237; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §335, Rn. 14, 775; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 20, 2290; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 343; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 31; *ob. ასევე, Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 42 d, 24.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საფუძვლები, მაშინ მესამე პირს უშუალოდ აქვს ხელშეკრულების მისადაგების („მისადაგებული შესრულების“)[856] მოთხოვნის უფლება.[857] აღნიშნული გამართლებულიცაა, ვინაიდან მესამე პირს, როგორც შესრულების მოთხოვნის უფლების მქონეს, როგორც წესი, აქვს შესრულებისადმი ინტერესი,[858] ამიტომ მას უნდა შეეძლოს განახორციელოს ისეთი უფლება, რომელიც ხელშეკრულების შენარჩუნებას უზრუნველყოფს. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტი კი, თუნდაც შეცვლილი სახით, შესრულების შესაძლებლობას ქმნის,[859] რის გამოც ხელშეკრულების „გადარჩენის“ საშუალებად განიხილება.[860] გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მესამე პირი არის „პირველადი მოთხოვნის კრედიტორი“,[861] სახელშეკრულებო ურთიერთობაში შეცვლილი გარემოებების წარმოშობისას კი სწორედ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაა პირველადი/უპირატესად განსახორციელებელი მოთხოვნა.[862] ვინაიდან სსკ-ის 398-ე მუხლის მესამე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება არის უპირატესად განსახორციელებელი მოთხოვნა, ხოლო მეორეული უფლება ხელშეკრულებიდან გასვლაა,[863] ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზეც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ შეუძლებელია ხელშეკრულების

---

[856]("Ist ein Vertrag zugunsten Dritter (§ 328 Abs. 1 BGB) wegen Fehlens oder Wegfalls der Geschäftsgrundlage nach Treu und Glauben an die wirklichen Verhältnisse anzupassen, so kann der Anspruch auf die angepaßte Leistung dem Dritten unmittelbar zustehen,"), BGH, Urteil vom 19. 11. 1971 - V ZR 103/69 (Karlsruhe/Freiburg), NJW 1972, 152; შეად. "mit abl Stötter NJW 1972 1911", მითითებულია: *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §328, Rn. 16, 556.

[857] BGH, Urteil vom 19. 11. 1971 - V ZR 103/69 (Karlsruhe/Freiburg), NJW 1972, 152; იხ ასევე, BGH, Urteil vom 02-10-1991 - XII ZR 145/90 (Köln), NJW 1992, 427, (428).

[858]გარდა იმ შემთხვევისა თუ მესამე პირი უარს არ ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე.

[859]*ლეგაშვილი დ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, სამართლის ჟურნალი №2, 2013, 113.

[860]*ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014, 186.

[861]"Gläubiger der primären Forderung", *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 41, 22.

[862]*ჩაჩავა ს.,* მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თბილისი, 2010, 70; *ლეგაშვილი დ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, სამართლის ჟურნალი №2, 2013, 90.

[863]*ლეგაშვილი დ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, სამართლის ჟურნალი №2, 2013, 98.

მისადაგება, მესამე პირს უნდა შეეძლოს გავიდეს ხელშეკრულებიდან,[864] მაგრამ აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული. მესამე პირის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი შეცვლილი გარემოებების პირობებშიც ისევე უნდა მოწესრიგდეს, როგორც ეს ზემოთ იქნა დასაბუთებული, რადგან მესამე პირის სამართლებრივი სტატუსი არც ამ შემთხვევაში იცვლება.

1.3. შეცილების უფლების განხორციელების წესი

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეპირების მიმღების მიერ საცილო ნების გამოვლენისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ შეპირების მიმღებს აქვს შეცილების უფლება, თუ მესამე პირსაც; ან შეპირების მიმღების მიერ შეცილების განხორციელებისას საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, შეცდომით, მოტყუებით და იძულებით დადებულ გარიგებებში შეცილების საფუძვლის არსებობისას, მხოლოდ შეპირების მიმღებს (ან შემპირებელს) შეუძლია განახორციელოს შეცილება, ვინაიდან უშუალოდ მის მიერ გამოვლენილი ნების ნაკლს[865] ეხება საქმე.[866]

სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ასეთ პირად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით, მიიჩნევა ,,გარიგების მონაწილე" და მესამე პირი, რომლის ინტერესებიც შეიძლება შეილახოს გარიგებით,[867] მაგრამ გაზიარებული

---

[864] *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §335, Rn. 21, 777; იხ. ასევე, *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 42 d, 24.

[865] ნების ნაკლის შესახებ დაწვრილებით იხ. *კიკოშვილი ს.,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 3-30.

[866] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 662; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §335, Rn. 9, 233; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §335, Rn. 7, 774; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §335, Rn. 34, 18; *Parapatits F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Wien, 2011, Diss., 102; *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §328, Rn. 11, 567; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 14. Aufl., München, 2019, §335, Rn. 4, 637; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 3/III 1, 480; *Mankowski P.,*Verbrauchervertrag und Vertrag zu Gunsten Dritter, VuR, 17. Jahrg., 2002, 272.

[867] *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 196; *ჭანტურია ლ.,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2011, 395; *დარჯანია თ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2017, მუხლი 412, ველი 8, 412.

უნდა იქნეს პოზიცია, რომლის მიხედვით, ,,შეცილების უფლება აქვს ნების გამომვლენს, ანუ უშუალოდ მას, ვინც საცილო ნება გამოავლინა".[868]

შეცილების უფლების განხორციელების შედეგად მესამე პირი, ცხადია, დაკარგავს თავისი მოთხოვნის უფლებას, თუ ხელშეკრულება ბათილად იქნება ცნობილი. ამიტომ გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეპირების მიმღების მიერ შეცილების განხორციელებისას საჭირო უნდა იყოს მესამე პირის თანხმობა,[869] იმისათვის, რომ მესამე პირი საკმარისად იყოს დაცული მოთხოვნის უფლების არასასურველი დაკარგვისაგან.[870] მაგრამ აღნიშნული პოზიცია გაზიარებული არ უნდა იქნეს, რადგან ამ შემთხვევაში შეპირების მიმღების ნების გამოვლენის თავისუფლების დაცვის ღირსი ინტერესი უფრო უპირატესი უნდა იყოს, ვიდრე მესამე პირის მიერ უფლების შენარჩუნების უზრუნველყოფა.[871] იურიდიულ ლიტერატურაშიც უპირატესად აღიარებულია, რომ შეპირების მიმღების მიერ შეცილების განხორციელებისას მესამე პირის თანხმობა საჭირო არ არის.[872] ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებები, სადაც ნების გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებით ხელყოფილია.[873] გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეცილება ემსახურება ნების გამომვლენის ფაქტობრივი ნების რეალიზებას და შეპირების მიმღების გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას.[874] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტების შესაბამისად, გარიგების დადების მიზნით პირის იძულება იმავდროულად მართლსაწინაღმდეგო

---

[868] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 360; იხ. ასევე, *რუსიაშვილი გ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 85, ველი 2, 492 (,,შეცილების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელიც გარიგების დადებაში მონაწილეობას იღებდა.").

[869] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 662.

[870] იხ. *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 9.

[871] იხ. *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §328, Rn. 11, 567.

[872] *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1211, 509. *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §328, Rn. 11, 567; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 6, 565; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 8, 220, §335, Rn. 9, 233; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §328, Rn. 17, 557; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 34, 18, §334, Rn. 5, 117; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §335, Rn. 7, 774; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 3/III 1, 480; *Mankowski P.,*Verbrauchervertrag und Vertrag zu Gunsten Dritter, VuR, 17. Jahrg., 2002, 272; *Schwartz A., Scott R. E.,* Third Party Beneficiaries and Contractual Networks, Journal of Legal Analysis, 2015, 333-334, <https://doi.org/10.1093/jla/lav006>, [26.12.2019]; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 32, 278.

[873] იხ. *რუსიაშვილი გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 85, ველი 3, 461, ველი 1, 491.

[874] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 9.

მოქმედებაცაა, რადგან ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი, სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები.[875] რაც, თავის მხრივ, ხელყოფს არა მხოლოდ კონკრეტული ურთიერთობის მონაწილის უფლებებს, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.[876] აქედან გამომდინარე, მესამე პირის ინტერესი - შეინარჩუნოს მისთვის მინიჭებული უფლება, თუ მიღებული შესრულება, ვერ იქნება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტურ პრინციპებზე უპირატესი. სწორედ აღნიშნული განაპირობებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებისა და შეცილების უფლების განსხავებულად მოწესრიგების საჭიროებას, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევა გავლენას მოახდენს მესამე პირის მიერ მიღებული შესრულებისა და შეძენილი უფლების შენარჩუნების საკითხზე. მაშასადამე, მესამე პირი გავლენას ვერ მოახდენს შეპირების მიმღების მიერ შეცილების უფლების განხორციელებაზე.

იმავე არგუმენტაციით მესამე პირი ვერც შემპირებლის მიერ შეცილების განხორციელებისას იქნება დაცული.

რაც შეეხება შეცილების ადრესატს, ის ჩვეულებრივ იქნება ხელშეკრულების მეორე მხარე.[877] მესამე პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს შეცილების ადრესატი, თუ მაგალითად, მოტყუება მესამე პირის მხრიდან ხორციელდება[878] (სსკ-ის მ.83). ასეთ შემთხვევაში ,,მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შეცილების დასაშვებობა“ სპეციალურ მოწესრიგებას არ საჭიროებს.[879] როდესაც მოტყუება მესამე პირის მხრიდან მომდინარეობს, მესამე პირის განსაზღვრა შეცილების ადრესატად მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურებით კი არ აიხსნება, არამედ გამომდინარეობს შეცილების ზოგადი პრინციპიდან.

---

[875]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 ივლისის №ას-613-572-2017 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ივლისის №ას-688-654-2015 განჩინება.

[876]*ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 54, ველი 27, 319.

[877]იქვე, მუხლი 59, ველი 31, 353; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 3/III 1, 480; *Mankowski P.,*Verbrauchervertrag und Vertrag zu Gunsten Dritter, VuR, 17. Jahrg., 2002, 272; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 35, 19.

[878]*Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 II 3/III 1, 480.

[879] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 363.

1.4. შეპირების მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი და ასევე სხვა სახის შესაგებელი მესამე პირის მიმართ

1.4.1. შემპირებლის (მოვალის) დასაშვები შესაგებელი მესამე პირის მიმართ

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეპირების მიღების მიერ ვალდებულების დარღვევა ნაკლებად პრობლემური საკითხია,[880] შემპირებლის მიერ მეორეულ უფლებათა განხორციელებისა და მასზე მესამე პირის ნების გამოვლენის გავლენის თვალსაზრისით.

შეპირების მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მესამე პირი გავლენას ვერ მოახდენს შემპირებლის მიერ მეორეული უფლების განხორციელების საკითხზე. გერმანულ იურიდიულ დოქტრინაშიც მიჩნეულია, რომ თუ შემპირებელი სათანადო წინაპირობების არსებობისას გავა ხელშეკრულებიდან, ან მოითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, მესამე პირს არ ექნება სახელშეკრულებო ურთიერთობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.[881] თუ შემპირებელი, შეპირების მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მეორეული უფლების განხორციელებისას შეიზღუდება მესამე პირის თანხმობით, ეს გამოიწვევს შემპირებლის ინტერესების ხელყოფას, ასევე შეამცირებს მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების რიცხვს; რადგან, თუ მესამე პირის თანხმობის გარეშე შემპირებელი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები და შეპირების მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევის მიუხედავად ვალდებული იქნება შესრულება მაინც განახორციელოს მესამე პირისათვის, რთული წარმოსადგენია, შემპირებელი დაეთანხმოს შეპირების მიმღებს მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებაზე.

შეპირების მიმღების და შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მეორეული უფლებების განხორციელების განსხვავებულად მოწესრიგებას განაპირობებს ის გარემოება, რომ შეპირების მიმღებია ის პირი, ვინც დათქმას მესამე პირის სასარგებლოდ ახორციელებს; ამიტომ შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მისი შებოჭვა იმ უფლებების

---

[880] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 346.

[881] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 659.

განხორციელებისას, რომლებიც შეპირების მიმღების მხარეზე წარმოიშობა, ცალკეულ შემთხვევაში, მესამე პირის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც შეპირების მიმღების ნებითვე იქნა ჩართული სახელშეკრულებო ურთიერთობაში, გამართლებულია ამ ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების სამართლიანად დაცვის უზრუნველსაყოფად.

გერმანულ და ინგლისურ დოქტრინაშიც მიჩნეულია, რომ მესამე პირის მონაწილეობამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ უნდა შეამციროს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი შემპირებლის უფლების დაცვის ის საშუალებები, რომლებიც მას ხელშეკრულების მხარესთან ურთიერთობაში ექნებოდა.[882] აღნიშნული გამართლებულიცაა, რადგან შემპირებელი არ შეიძლება იმის გამო აღმოჩნდეს რთულ მდგომარეობაში, რომ ის, ხელშეკრულების მხარის ნაცვლად, მესამე პირის მიმართ ახორციელებს ვალდებულების შესრულებას.[883]

სსკ მოწესრიგების გარეშე ტოვებს, აქვს თუ არა შემპირებელს მესამე პირის მიმართ იმ შესაგებლის წარდგენის უფლება, რომელიც შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს. გერმანული სამართალი კი ამ საკითხს საკანონმდებლო დონეზე აწესრიგებს, კერძოდ, გსკ-ს 334-ე პარაგრაფის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის წარდგენის უფლება შემპირებელს გააჩნია, ასევე, მესამე პირის მიმართ.[884] გსკ-ის §334 გამოიყენება მხოლოდ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიმართ.[885] აღნიშნული ლოგიკურიცაა, რადგან დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირს მოთხოვნის უფლება არ აქვს, ის ვერც მოთხოვნას წარუდგენს შემპირებელს და არც შემპირებელი დადგება შესაგებლის გამოყენების წინაშე. ამ ნორმის მიზანი სწორედ შემპირებლის სამართლებრივი პოზიციის

---

[882] *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 158; *Hallebeek J., Dondorp H.,* Contracts for a Third-Party Beneficiary, Leiden, Boston, 2008, 135; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 334.

[883] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - Teil II, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 96; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 312, 134; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §334, Rn. 1, 572.

[884] *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), (რედ. *ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ.*), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2019, §334.

[885] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §334, Rn. 5, 2320.

დაცვაა.[886] გასათვალისწინებელია, რომ გსკ-ის §334-ის შემადგენლობა დისპოზიციურია, შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ აღნიშნულისაგან განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ.[887] მსგავს მოწესიგებას ითვალისწინებს ასევე კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი,[888] რომლის თანახმად, შემპირებელს შეუძლია ბენეფიციარ მესამე პირს დაუპირისპიროს ისეთი შესაგებლები, რომელთა გამოყენებასაც ის შეძლებდა დათქმის გამკეთებლის მიმართ. ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის §882-ის თანახმადაც, ხელშეკრულებიდან შესაგებლები შემპირებელს ეკუთვნის, ასევე, მესამე პირის მიმართაც.[889] ,,ხელშეკრულებების (მესამე პირის უფლებების) შესახებ" ინგლისის 1999 წლის აქტის[890] მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შემპირებელს შეუძლია მესამე პირს წარუდგინოს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დაცვის ის საშუალებები, რომლებიც შეპირების მიმღების საწინააღმდეგოდ შეეძლო გამოეყენებინა.[891] ,,უნიდროას პრინციპების" 5.2.4. მუხლის შესაბამისადაც, შემპირებელს შეუძლია მესამე პირის მიმართ გამოიყენოს ყველა ის შესაგებელი, რომლის გამოყენებაც შემპირებელს შეპირების მიმღების წინააღმდეგ შეეძლო.[892] ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები აღნიშნულ საკითხს არ აწესრიგებს.[893]

საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის მიუხედავად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც მითითებულია, რომ ,,შემპირებელს შეუძლია მესამე

---

[886] *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §334, Rn. 1, 572.

[887] *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003, 158; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 337; *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §334, Rn. 3, 572; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §334, Rn. 2, 572; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 3, 218; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 14. Aufl., München, 2019, §334, Rn. 2, 637; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2., Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1214, 509.

[888] კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი და რედ., *ჭეჭელაშვილი ზ.,* თბილისი, 2017, 298.

[889] <https://www.jusline.at/gesetz/abgb/paragraf/882>, [12.01.2010].

[890] The Contracts (Rights of Third Parties) Act 1999, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1999/31/contents>, [12.01.2020].

[891] *Hallebeek J., Dondorp H.,* Contracts for a Third-Party Beneficiary, Leiden, Boston, 2008, 135; *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003,159.

[892] <https://www.unidroit.org/german/principles/contracts/principles2004/blackletter2004.pdf>, [16.12.2019];

[893] *Müller H.,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003,158.

პირის მოთხოვნას დაუპირისპიროს ყველა ის შესაგებელი, რომლებიც მასა და შეპირების მიმღებს შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს".[894]

ტერმინი ,,შესაგებელი"[895] ფართოდ უნდა განიმარტოს, ის მოიცავს შესაგებელს როგორც მატერიალური, ასევე საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისითაც.[896]

შემპირებელს მესამე პირის მიმართ შეუძლია გამოიყენოს როგორც უფლების განხორციელების გამომრიცხველი (მაგალითად, ბათილობა სსკ-ის 59-ე, 54-ე მუხლები და სხვა, გსკ-ის §§ 125, 138), ისე შემაფერხებელი შესაგებელი (მაგალითად, შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა და სხვა).[897] კერძოდ, შემპირებელს შეუძლია მესამე პირის მიმართ შესრულებას დაუპირისპიროს შესაგებელი, რომ შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია; რომ განხორციელდა გარიგების შეცილება შეცდომის, მოტყუების, იძულების გამო.[898] პროპორციული ურთიერთობის ნაკლის შემთხვევაში შემპირებელმა შესაძლოა, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე, მესამე პირისაგან მოითხოვოს მიღებული შესრულების დაბრუნება.[899] შემპირებელს ასევე შეუძლია მიუთითოს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე; შეპირების მიმღების მხრიდან საპასუხო შესრულების ვალდებულების განუხორციელებლობაზე (სსკ-ის მ. 369);[900] ვალდებულების შეცვლილი სახით შესრულებაზე (სსკ-ის მ. 398)[901] და ა.შ.[902] მთავარი

---

[894]*რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 34, 279; ანალოგიური მსჯელობა იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 88.

[895] შესაგებლის სახეების შესახებ დაწვრილებით იხ. *ალავიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <civilprocedure.ge>, 01.12.2019, მუხლი 201.

[896]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 5, 218; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §334, Rn. 3, 572; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 14. Aufl., München, 2019, §334, Rn. 4, 637.

[897] *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §334, Rn. 2, 572; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 6, 7, 219; *Егорова Н.Д., Сергеева А.П.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Часть первая, Издание третье, Москва, 2006, 818.

[898]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 6, 7, 219.

[899] *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 96; შეად. *Canaris C.-W.,* Der Bereicherungsausgleich im Dreipersonenverhältnis, FS für Karl Larenz, München, 1973, 830; შეად. ასევე, *Schmidt E.,* Der Bereicherungsausgleich beim Vertrag zu Rechten Dritter, Zugleich eine Auseinandersetzung mit dem gleichnamigen Werk von Walter Hadding, JZ, Tübingen, 1971, 601.

[900] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 660; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1213, 509; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 2, 116.

[901]*Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 12, 221.

[902]მესამე პირის მიმართ შემპირებლის შესაგებლების შესახებ დაწვრილებით იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი

პრინციპი ისაა, რომ ასეთი შესაგებლის საფუძველი უნდა გამომდინარეობდეს შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის არსებული (პროპორციული) ურთიერთობიდან.

თავის მხრივ, კონკრეტული ურთიერთობის გათვალისწინებით, მესამე პირსაც შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მაგალითად, თუ მესამე პირი დააზიანებს ქირავნობის საგანს, ის იქნება შემპირებლის მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი, რადგან მას ეკისრებოდა ვალდებულება ფრთხილად მოქცეოდა საგანს. [903]

ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შემპირებელს შეუძლია მოითხოვოს შეპირების მიმღების ან მესამე პირისაგან, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანის მიერ ხდება ვადის გადაცილება.[904]

რაც შეეხება შემპირებლის ნების გამოვლენის ადრესატს, პროპორციული ურთიერთობიდან წარმოშობილი აღმჭურველი უფლებების განხორციელების შესახებ ნების გამოვლენა შემპირებლის მიერ უნდა განხორციელდეს შეპირების მიმღების მიმართ.[905] შეცილებაც, როგორც აღმჭურველი უფლება, ხორციელდება შეპირების მიმღების (და არა მესამე პირის[906])[907] მიმართ ნების გამოვლენით.[908] მაგრამ, რადგან მესამე პირი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირის უფლებამოსილება უქმდება, როდესაც შემპირებელი გავა ხელშეკრულებიდან,[909] გაზიარებული უნდა იქნეს მოსაზრება, რომლის მიხედვით, როდესაც შემპირებლის მიერ ხორციელდება ხელშეკრულებიდან გასვლა, შეცილება თუ სხვა უფლება, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, ასევე საჭიროა აღნიშნულის თაობაზე მესამე პირის ინფორმირება.[910]

349, ველი 34, 279; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 5 ff., 218 ff; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 2 ff., 116 ff.

[903] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 821; იხ. ასევე, *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 660.

[904] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 659, 660.

[905] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 12, 120; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 659.

[906] თუ რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მესამე პირი შეცილების ადრესატი იხ. ზემოთ, „შეცილების უფლების განხორციელების წესი“.

[907] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 12, 120.

[908] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 7, 219, 220.

[909] *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017, §328, Rn. 9, 1502.

[910] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 659; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 12, 120.

მაგალითად, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში, სადაც შემპირებლის მიერ ხელშეკრულების მოშლის შესახებ ნების გამოვლენა, ასევე სხვა სახის ნების გამოვლენა, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას იწვევს, ხორციელდება დამქირავებლის (შეპირების მიმღების), როგორც ხელშეკრულების მხარის მიმართ. მაგრამ შეპირების მიმღებმა უნდა შეატყობინოს მესამე პირს, იმისათვის, რომ მან შეასრულოს ბინის გამოთავისუფლების ვალდებულება.[911]

იმ შემთხვევაში, თუ გარიგების ბათილობის შედეგად ან შემპირებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, მესამე პირის მიერ მიღებული შესრულების უკუქცევა უნდა მოხდეს, უკან დაბრუნების მოთხოვნა განხორციელდება მესამე პირისაგან.[912]

შემპირებლის ინტერესის სამართლიანად დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე შემპირებლის მიერ მესამე პირის სამართლებრივ პოზიციაზე ზემოქმედების ფარგლების განსასაზღვრად, მნიშვნელოვანია სსკ-შიც იქნეს გათვალისწინებული შემპირებლის მიერ მესამე პირის მიმართ შესაგებლის წარდგენის საკითხი. მართალია, შემპირებელი ზოგადი საფუძვლებიდან გამომდინარე არ დარჩება სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე, მაგალითად, თუ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, შემპირებელს შესაგებლის წარდგენის მომწესრიგებელი ნორმის არსებობის გარეშეც ექნება უფლება მიუთითოს გარიგების ბათილობაზე, ვინაიდან ბათილი გარიგებიდან უფლებას, ზოგადად, ვერავინ შეიძენს; მაგრამ სხვა შემთხვევებისათვის, ასევე სახელშეკრულებო ბრუნვის მონაწილეებისათვის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრულობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხი მოწესრიგებული იყოს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **მიზანშეწონილია, სსკ-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 351² მუხლი:**

მუხლი 351².შემპირებლის (მოვალის) შესაგებელი მესამე პირის მიმართ

---

[911] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 819.

[912] *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 659; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 13, 14, 120, 121.

შემპირებელს შეუძლია შეპირების მიმღებთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ისეთი შესაგებელი, რომლის წარდგენასაც ის შეძლებდა შეპირების მიმღების მიმართ, გამოიყენოს მესამე პირის მიმართაც.

1.4.2. შემპირებლის (მოვალის) დაუშვებელი შესაგებელი მესამე პირის მიმართ

შემპირებელი შეზღუდულია მესამე პირის მიმართ მხოლოდ პროპორციული ურთიერთობიდან წარმოშობილი შესაგებლის წარდგენის უფლებით.[913] მაშასადამე, შემპირებელი არ არის უფლებამოსილი სავალუტო ურთიერთობაში არსებული შესაგებელი გამოიყენოს მესამე პირის მიმართ თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლად.[914] გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც სავალუტო ურთიერთობაა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ,,გარიგების საფუძველი"[915],[916] რაც ,,გარიგების საფუძვლის დარღვევას"[917] მოიაზრებს[918] და შესაბამისად წარმოშობს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.[919] მაგალითად, თუ შეპირების მიმღების მიერ შემპირებელთან მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა სავალუტო ურთიერთობაში (შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის) არსებული გარემოება და ეს გარემოება შემდგომში იმგვარად შეიცვლება, რომ შეპირების მიმღები და შემპირებელი არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, ე.ი. თუ სსკ-ის 398-ე მუხლის საფუძველზე წარმოიშობა შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების

---

[913] *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 266; *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT, 14. Aufl., München, 1987, 223; იხ. ასევე, *Абовой Т.Е, Богуславского М.М., Кабалкина А. Ю., Листицина-Светланова А.Г.,* Постатейный комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, Москва, 2018, 369; *Егорова Н.Д., Сергеева А.П.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Часть первая, Издание третье, Москва, 2006, 818.

[914] *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1230; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §334, Rn. 4, 572; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 314, 134.

[915] "Geschäftsgrundlage".

[916] *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §334, Rn. 2, 572; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 14. Aufl., München, 2019, §334, Rn. 4, 637.

[917] ,,გარიგების საფუძვლის დარღვევის" შესახებ იხ. *ჩიტაშვილი ნ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დის., თბილისი, 2014, 64 და მომდევნო; *ლეგაშვილი დ.,* შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, სამართლის ჟურნალი №2, 2013, 77 და მომდევნო.

[918] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 35, 279.

[919] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 23, 125.

უფლება, მაშინ შემპირებელს შეუძლია მესამე პირს დაუპირისპიროს შესაგებელი, რომ ის ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების გარეშე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო მისი შეუძლებლობის შემთხვევაში მოთხოვნილი იქნება ხელშეკრულებიდან გასვლა. გახდა თუ არა გარემოება გარიგების საფუძველი, სახეზეა თუ არა შეცვლილი გარემოებების გამო წარმოშობილი მოთხოვნის უფლებების განხორციელების საფუძვლები, აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს.

შემპირებელს არ შეუძლია მესამე პირის მოთხოვნის უფლებას დაუპირისპიროს, მაგალითად, მესამე პირის უფლების წარმოშობის შემდეგ შეპირების მიმღებთან ვალის გადავადების ან ვალის პატიების შესახებ მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე შესაგებელი.[920] შემპირებელს ასევე არ შეუძლია მესამე პირის მოთხოვნას დაუპირისპიროს შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის არსებული სხვა ურთიერთობიდან, მაგალითად, მას არ შეუძლია მესამე პირის მესამე პირის მოთხოვნას დაუპირისპიროს შეპირების მიმღების მიმართ არსებული გაქვითვის უფლება;[921] მაგრამ შემპირებელს შეუძლია გაქვითოს უშუალოდ მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნა, იმდენად რამდენადაც აღნიშნული ხელშეკრულების მიზანს არ ეწინააღმდეგება.[922] მესამე პირის მიმართ შემპირებლის მიერ წარსადგენი შესაგებლის ფარგლების დადგენა, გარდა შემპირებლის ინტერესისა, ემსახურება ასევე მესამე პირის ინტერესების დაცვას, ვინაიდან აღნიშნული უზრუნველყოფს შემპირებლის მიერ მესამე პირის სამართლებრივ პოზიციაზე ზემოქმედების ფარგლების განსაზღვრას.

---

[920] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 35, 279; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §334, Rn. 4, 5, 564; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 26, 226; *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §334, Rn.2, 572; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 3, 116.

[921] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §334, Rn. 3, 2319; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 35, 279; *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §334, Rn. 2, 572; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §334, Rn. 6, 564; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §334, Rn. 4, 572; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 3, 117; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 25, 225.

[922] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 35, 279; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §334, Rn. 3, 2319; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §334, Rn. 6, 564; *Schulze R.,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019, §334, Rn.2, 572.

3. სავალუტო ურთიერთობიდან წარმოშობილი შესაგებელი

შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის არსებულ სავალუტო ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევა, ასევე მისგან გამომდინარე სხვა სახის შესაგებლის არსებობა ძირითადად გავლენას არ ახდენს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე (პროპორციულ ურთიერთობაზე), ვინაიდან როგორც აღინიშნა, ეს ორი ურთიერთობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. აქედან გამომდინარე, შემპირებელს არ შეუძლია სავალუტო ურთიერთობაში არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება მესამე პირის წინააღმდეგ.

თუ სავალუტო ურთიერთობა რაიმე საფუძვლით არ არის ნამდვილი, ეს შემპირებლისათვის არ წარმოშობს უფლებას მესამე პირის მიმართ შესრულების საწინააღმდეგოდ გამოიყენოს აღნიშნული, თუ მესამე პირმა უფლება ნამდვილი პროპორციული ურთიერთობის საფუძველზე შეიძინა.[923] შემპირებელს ასევე არ შეუძლია ისარგებლოს იმ შესაგებლით, რომელიც სავალუტო ურთიერთობაში შეპირების მიმღებს გააჩნია მესამე პირის მიმართ,[924] რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება ,,სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან დაუშვებელ შესაგებელს"[925].[926] განსხვავებულად უნდა მოწესრიგდეს საკითხი, თუ მხარეებმა პროპორციულ ურთიერთობაში გამონაკლისის სახით გაითვალისწინეს, რომ სავალუტო ურთიერთობის არსებობა ან შეპირების მიმღების შესაგებელი მესამე პირის მიმართ, გარიგების (პროპორციული ურთიერთობის) გაუქმების პირობაა[927] (სსკ-ის მ. 97, გსკ-ის § 158 II) ან თუ სავალუტო ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში განისაზღვრა მესამე პირის მიმართ შესრულების ვალდებულება.[928]

მართალია, შემპირებელს არ შეუძლია მიუთითოს სავალუტო ურთიერთობის ნაკლზე, მაგრამ მესამე პირის მიერ მიღებული შესრულების შენარჩუნებაზე შესაძლებელია გავლენა მოახდინოს შეპირების მიმღებმა, ვინაიდან, თუ სახეზე არ არის ნამდვილი სავალუტო ურთიერთობა, შეპირების მიმღებს შეუძლია მესამე

---

[923] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 23, 125; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 28, 226.

[924]BGH, Urteil vom 9. 4. 1970 - KZR 7/69 (Düsseldorf), NJW 1970, 2157; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 23, 125*; Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 28, 226;

[925] "Exceptions ex iure tertii".

[926] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 23, 125.

[927] იქვე.

[928] იქვე.

პირისაგან უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, სავალუტო ურთიერთობაში მოითხოვოს მიღებულის უკან დაბრუნება,[929] (სსკ-ის 976 I, გსკ-ის § 812 I).

4. შესრულების ურთიერთობიდან წარმოშობილი შესაგებელი

როგორც უკვე აღინიშნა, მოვალესა (შემპირებელს) და მესამე პირს შორის ურთიერთობა არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობა,[930] ამიტომ შემპირებელს და მესამე პირს არ შეუძლიათ ამ ურთიერთობაში იგივე მოთხოვნები წაუყენონ ერთმანეთს, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევისას წარმოიშობა. რადგან შემპირებელსა და მესამე პირს შორის ურთიერთობა ,,სახელშეკრულებო ურთიერთობის მსგავსი", ,,ნდობაზე დაფუძნებული" ურთიერთობაა, მისგან ორმხრივი ,,გულისხმიერების ვალდებულება",[931] ,,დაცვის ვალდებულება"[932] (სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილი, გსკ-ის 241-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი) წარმოიშობა.[933] აღნიშნული მესამე პირს, თავისი სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე, აკისრებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც თითოეულ კრედიტორს თავისი უფლების განხორციელებისას დამატებით ეკისრება სახელშეკრულებო ურთიერთობაში.[934] კერძოდ, ვალდებულება სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე (გსკ-ის § 241 (2)-ის საფუძველზე),[935] მესამე პირსაც შეიძლება აკისრებდეს შემპირებლის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. ამიტომ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისათვის შემპირებელს შეუძლია ზიანის ანაზღაურება

---

[929] *Hadding W.,* Der Bereicherungsausgleich beim Vertrag zu Rechten Dritter, Tübingen, 1970, 157; *Lorenz W.,* Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JUS, 8. Jahrg., München, 1968, Heft 10, 444; *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., 2015, Rn. 1173, 360; *Petersen J.,* Die Drittwirkung von Leistungspflichten, Jura, 2013 (12), 1231; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 4. Aufl., München, 2019, §328, Rn. 8 , 2286.

[930] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 30, 2224.

[931] გულისხმიერების ვალდებულების სამართლებრივი ბუნების შესახებ იხ. *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 68 და მომდევნო.

[932] დაცვის ვალდებულების შესახებ იხ. *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 72, 73.

[933] *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 17. Aufl., München, 2018, §328, Rn. 11, 556.

[934] BGH, Urteil vom 22. 9. 2005 - III ZR 295/04 (OLG Schleswig), NJW 2005, 3778.

[935] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 10.

მოითხოვოს მესამე პირისაგან.[936] ანალოგიური უფლება წარმოეშობა მესამე პირს შემპირებელის მიმართ.

გარდა ამისა, თუ, მაგალითად, მესამე პირი თავის სასარგებლოდ დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში დაარღვევს გულისხმიერების მოვალეობას, არ გაუფრთხილდება სარგებლობაში გადაცემულ ქონებას, შემპირებელი უფლებამოსილი იქნება მოშალოს ხელშეკრულება.[937]

შემპირებელსა და მესამე პირს შორის შესაძლებელია არსებობდეს სხვა სახის გარიგებითი შეთანხმებაც. მაგალითად, შემპირებელს შეუძლია მიუთითოს, რომ მესამე პირმა აპატია ვალი[938] (სსკ მ. 448, გსკ-ის §397). შემპირებელს შეუძლია, მესამე პირის მოთხოვნას დაუპირისპიროს, რომ მესამე პირს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა განსაზღვრულ დრომდე (სსკ-ის მ. 366, გსკ-ის § 271 II), შემპირებელი შესაძლებელია ასევე, მესამე პირს შეუთანხმდეს ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღებაზე (სსკ-ის მ. 428, გსკ-ის § 364 I). როგორც უკვე აღინიშნა შემპირებელს შეუძლია სათანადო წინაპირობების არსებობისას, მიუთითოს მესამე პირის მოთხოვნის უფლების გაქვითვაზე (სსკ-ის მ. 442, გსკ-ის § 397).[939]

მესამე პირს შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას შეიძლება დაეკისროს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯების ანაზღაურება,[940] მასვე დაეკისრება ვადის გადაცილების სხვა შედეგები.[941] მესამე პირის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების საკითხი კი ნაშრომში უკვე განხილული იქნა.

VII. შეპირების მიმღების ან მესამე პირის გარდაცვალების გავლენა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე

უმეტეს შემთხვევაში მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების შესრულება შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტთან არ არის დაკავშირებული და შესაბამისად, მესამე პირს თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების

[936] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 23, 225; იხ. ასევე, *Joussen J.,* Schuldrecht I, AT, 3., überarb. Aufl., 2015, Rn. 1175, 360; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 6, 565.

[937] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010, 819.

[938] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 18, 124.

[939] იქვე; Staudinger *J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 18, 223.

[940] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §334, Rn. 18, 124.

[941] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §334, Rn. 19, 224.

შესრულების მოთხოვნის უფლება შეპირების მიმღების სიცოცხლის განმავლობაშივე აქვს. მაგრამ პრაქტიკაში ასევე ხშირია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ისეთი ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლება სწორედ შეპირების მიმღების გარდაცვალებით წარმოეშობა.

სსკ-ში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას შეპირების მიმღების ან მესამე პირის გარდაცვალების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების განხორციელების წესის შესახებ. აღნიშნული კი მნიშვნელოვანია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულებისათვის, იმ მხრივ, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენა ზოგჯერ შესაძლოა სწორედ შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტთან იყოს დაკავშირებული. ასევე შესაძლოა, რომ შეპირების მიმღები მესამე პირის დაბადებამდე გარდაიცვალოს, რაც მესამე პირის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სპეციალურ მოწესრიგებას საჭიროებს.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეპირების მიმღების ან მესამე პირის გარდაცვალების საკითხზე მსჯელობისათვის მიზანშეწონილია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ორი შემთხვევა: პირველი, როდესაც მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების შესრულება მხარეთა მიერ უშუალოდ შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევისათვის არის გათვალისწინებული, სწორედ აღნიშნულს ეწოდება ,,შესრულება გარდაცვალების შემდგომ“,[942] ასევე ,,გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება“,[943] ხოლო მეორე - როდესაც ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, ჩვეულებრივ, შეპირების მიმღების სიცოცხლის განმავლობაში უნდა შესრულდეს, მაგრამ გარდაიცვლება შეპირების მიმღები ან მესამე პირი. დასახელებულ შემთხვევებში მესამე პირისათვის უფლების შეძენისა და შესრულების მოთხოვნის განხორციელების მომენტი შესაძლოა განსხვავებული იყოს.

---

[942] BGB § 331 Leistung nach Todesfall.

[943]“Vertrag zugunsten Dritter auf den Todesfall“, *Rump C.,* Über das Verhältnis unentgeltlicher Zuwendungen mittels Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall zum Erbrecht, Diss., Bonn, 2012, 8; *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen 2010, 536 ff.

1. შეპირების მიმღების გარდაცვალება, როგორც მესამე პირის უფლების წარმოშობის მომენტი

გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტი ძირითადად შეპირების მიმღების გარდაცვალებასთანაა დაკავშირებული.

გსკ-ში სპეციალური პარაგრაფითაა[944] მოწესრიგებული შეპირების მიმღების გარდაცვალებისას მესამე პირის მიერ უფლების შეძენის საკითხის განმარტების წესი იმ შემთხვევისათვის, როდესაც მესამე პირის სასარგებლოდ შესრულება შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ უნდა განხორციელდეს. ასეთ დროს გსკ-ის 331-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება იმგვარად განიმარტება, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტად საეჭვოობისას შეპირების მიმღების გარდაცვალება მიიჩნევა.[945] მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტი იმ შემთხვევაში მიიჩნევა საეჭვოდ, როდესაც ხელშეკრულება მესამე პირის უფლების შეძენის მომენტის შესახებ არ შეიცავს მითითებას ან არ დგინდება ხელშეკრულების მიზნიდან.

მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტთან მიმართებით არსებული აღნიშნული წესი გამოიყენება ყველა იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლის მიხედვითაც შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ უნდა განხორციელდეს.[946] ზოგადად, აღნიშნული წესი აქტიურად გამოიყენება გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ საბანკო ხელშეკრულებებში.[947] მაგალითად, ფასიანი

---

[944] BGB, §331 Leistung nach Todesfall
(1)Soll die Leistung an den Dritten nach dem Tode desjenigen erfolgen, welchem sie versprochen wird, so erwirbt der Dritte das Recht auf die Leistung im Zweifel mit dem Tode des Versprechensempfängers.
(2) Stirbt der Versprechensempfänger vor der Geburt des Dritten, so kann das Versprechen, an den Dritten zu leisten, nur dann noch aufgehoben oder geändert werden, wenn die Befugnis dazu vorbehalten worden ist.

[945] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 1, 2, 193; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 1, 98; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht unter Berücksichtigung des Contracts (Rights of Third Parties) Act 1999, Diss., Gießen, 2001, 152; იხ. ასევე, *Harder M.,* Zuwendungen unter Lebenden auf den Todesfall, Berlin, 1968, 125.

[946] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §331, Rn.2, 1721; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §331, Rn. 2, 567; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 4, 99; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §331, Rn. 2, 2297; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 350, ველი 17, 290.

[947] *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 16. Aufl., München, 2015, §331, Rn. 2, 522.

ქაღალდების მფლობელს შეუძლია თავისი გარდაცვალების შემთხვევისათვის, ბანკთან მესამე პირის სასარგებლოდ დადოს ხელშეკრულება, რომლითაც მესამე პირს წარმოეშობა ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნა ფასიან ქაღლდებზე საკუთრების უფლების შეძენის შესახებ;[948] ასევე, როდესაც ბანკთან არსებული შეთანხმება მიმდინარე ან შემნახველი ანგარიშიდან გადახდას განსაზღვრული მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების მხარის გარდაცვალების შემდგომ ითვალისწინებს;[949] ან/და ისეთ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით ნასყიდობის ობიექტი მყიდველის გარდაცვალების შემდეგ მესამე პირს უნდა გადაეცეს.[950]

ყველა დასახელებულ შემთხვევაში მესამე პირის მიერ უფლების შეძენის დრო დამოკიდებულია შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტზე.

გსკ-ის 331-ე პარაგრაფით განსაზღვრული ხელშეკრულების განმარტების წესი მოქმედებს ასევე მაშინ, როდესაც შეპირების მიმღები იურიდიული პირია და შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ შეპირების მიმღების ლიკვიდაციის შემდგომ უნდა განხორციელდეს.[951]

აღნიშნულ განმარტების წესს გერმანულ სამართალში იყენებენ, ასევე, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებში,[952] სადაც სადაზღვევო საზღაურის მოთხოვნის უფლება გადაცემულია დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ სხვა

---

[948] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 4, 195; იხ. *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §331, Rn. 2, 567, BGH NJW 1941, 96, მითითებულია იქვე; იხ. ასევე, *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 4, 99; იხ. ასევე, *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §331, Rn. 2, 2297; *Kegel G.,* Zur Schenkung von Todes wegen, Düsseldorf, 1971, 68.

[949] *Rump C.,* Über das Verhältnis unentgeltlicher Zuwendungen mittels Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall zum Erbrecht, Diss., Bonn, 2012, 15; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 4, 194; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 4, 99; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §331, Rn. 2, 567; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §331, Rn.2, 1721, BGH NJW 2005, 980; OLG Koblenz NJW-RR 1995, 1074, მითითებულია იქვე; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 4, 99.

[950] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 4, 195.

[951] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 3, 98; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §331, Rn. 1, 2296; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 1, 193.

[952] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 3, 194; *Jauernig O., Stadler A.,* BGB, 16. Aufl., München, 2015, §331, Rn. 2, 522; იხ. ასევე *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §331, Rn. 2, 2297; შეად. *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §331, Rn. 1, 567.

პირისათვის.[953] მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შემთხვევა არ მიეკუთვნება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას. რომელთა გამიჯვნას სპეციალური ყურადღება დაეთმობა წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავში.

გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დამოუკიდებელი სახე კი არ არის, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი შემთხვევაა. ამიტომ გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაშიც უნდა განიმარტოს შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის არსებული შეთანხმება მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტისა და მისი ვადამოსულობის შესახებ.

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მესამე პირის მიერ უფლების შეძენა ხდება შეპირების მიმღების გარდაცვალებით მესამე პირის მოქმედებისა და ცოდნის გარეშე.[954]

შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მხარეებს ასეთ დროსაც შეუძლიათ შეთანხმდნენ მესამე პირის მიერ უფლების შეძენის კონკრეტულ მომენტზე, ვიდრე ეს შეპირების მიმღების გარდაცვალებაა, ვინაიდან მესამე პირი რომ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას პირველად შეპირების მიმღების გარდაცვალებით იძენს მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ ხელშეკრულებით ეს საკითხი მოწესრიგებული არ არის (საეჭვოობისას).[955] ე.ი. მხარეებს შეუძლიათ მესამე პირის უფლების შეძენისათვის დროის სხვა მონაკვეთზე შეთანხმდნენ, ვიდრე ეს შეპირების მიმღების გარდაცვალებაა, მაგალითად: შეპირების მიმღების გარდაცვალებიდან განსაზღვრული დროის გასვლა; მესამე პირის სრულწლოვანების მიღწევა; მისი ქორწინება; გამოცდის ჩაბარება და ა.შ.,[956] ასევე - ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე.[957] მაგრამ შესრულება ვადამოსული მაინც შეპირების მიმღების

---

[953] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 3, 194.
[954] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 8, 100.
[955] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 13, 198; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 9, 100, 101; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, Schuldrecht AT, 8. Aufl., München, 2019, §331, Rn. 3, 759.
[956] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 9, 100, 101.
[957] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, Schuldrecht AT, 8. Aufl., München, 2019, §331, Rn. 3, 759.

გარდაცვალებით გახდება,[958] რადგან ვალდებულების შესრულების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე (სსკ-ის 366-ე მუხლი). სწორედ შესრულების მოთხოვნის მომენტია დრო, ,,რომლის შემდეგაც კრედიტორს უფლება ეძლევა, მოითხოვოს შესრულება".[959] აღნიშნულიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ მესამე პირი შესრულების მოთხოვნის უფლებასაც პირველად შეპირების მიმღების გარდაცვალებით იძენს, ამიტომ მესამე პირის უფლება საეჭვოობის შემთხვევაში შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის ხელშეკრულების დადებისთანავე კი არ წარმოიშობა, არამედ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას (სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტი, გკს-ის 328-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი), როგორიც ამ შემთხვევაში შეპირების მიმღების გარდაცვალებაა.[960]

ამრიგად, თუ ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევისთვისაა დადებული და ეს ხელშეკრულება არ შეიცავს სპეციალურ მითითებას მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტზე, მაშინ ხელშეკრულება ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ მესამე პირი შესრულების მოთხოვნის უფლებას შეპირების მიმღების გარდაცვალებით იძენს. აღნიშნული არ გამორიცხავს მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობას შეპირების მიმღების გარდაცვალებამდე მესამე პირის მიერ უფლების შეძენის შესახებ, მაგრამ ვალდებულების შესრულება ვადამოსული გახდება მაინც შეპირების მიმღების გარდაცვალებით. ე.ი. გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის მიერ შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენა არ წარმოშობს მოვალის ვალდებულებას, მესამე პირის მიერ უფლების შეძენისთანავე განახორციელოს შესრულება, არამედ შესრულების ვალდებულება მესამე პირის მიმართ მოვალეს წარმოეშობა მხოლოდ შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტის დადგომით.

გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დროსაც მესამე პირი შესრულების მოთხოვნის უფლებას იძენს,

---

[958] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 9, 100, 101; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, Schuldrecht AT, 8. Aufl., München, 2019, §331, Rn. 3, 759.

[959] *ზარანდია თ.,* ვალდებულების შესრულების ვადა, ჟურნ. ,,ადამიანი და კონსტიტუცია", №4, 2001, 49.

[960] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 5, 99.

ჩვეულებრივ, შემპირებლისა და შეპირების მიმღების სიცოცხლის განმავლობაში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობიდან,[961] ე.ი. მესამე პირი უფლებას იძენს არა სამკვიდროდან, არამედ ხელშეკრულების საფუძველზე.[962] ამიტომ ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების მესამე პირის სასარგებლოდ დათქმა საანდერძო განკარგულება არ არის.[963] მესამე პირი არ განიხილება საანდერძო დანაკისრის მიმღებად.[964] შესაბამისად, მესამე პირს შეძენილ უფლებაზე უარის თქმა შეუძლია ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე უარის თქმის შესახებ მომწესრიგებელი ნორმის (სსკ 351-ე მუხლი, გსკ §333) და არა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე.[965]

როგორც სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის, ასევე გსკ-ის 328-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სპეციალურ დათქმას მესამე პირის მიერ თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან უფლების შეძენის საკითხთან დაკავშირებით, საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან დგინდება, მესამე პირს უფლება მაშინვე, ე.ი. ხელშეკრულების დადების მომენტისთანავე წარმოეშობა, თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას. გსკ-ის 331-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი სწორედ ასეთ სპეციალურ განსაზღვრებას შეიცავს იმ შემთხვევისათვის, როდესაც შესრულება შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ უნდა განხორციელდეს.[966] გსკ-ის 331-ე პარაგრაფის პირველი ნაწილით დადგენილი ხელშეკრულების განმარტების წესის ქართულ სამართალში გათვალისწინების მიზანშეწონილობა სწორედ იქიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული პარაგრაფი აკონკრეტებს სსკ-ის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული განმარტების წესს მესამე პირის მიერ შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენის მომენტთან მიმართებით („ეს უფლება მას მაშინათვე წარმოეშობა, თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას“).

ამიტომ მიზანშეწონილია სსკ-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 351^3 მუხლი:

---

[961] იქვე, §331, Rn. 8, 100.
[962] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 10, 196, 197.
[963] იქვე, §331, Rn. 11, 197.
[964] იქვე.
[965] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 8, 100.
[966] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 2, 194.

მუხლი **351³. ვალდებულების შესრულება გარდაცვალების შემდეგ**

თუ ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ უნდა განხორციელდეს შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდეგ, მიიჩნევა, რომ მესამე პირი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას იძენს შეპირების მიმღების გარდაცვალებით, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. შეპირების მიმღების გარდაცვალება, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დასრულების საფუძველი

შეპირების მიმღების გარდაცვალებასთან ყოველთვის არ არის დაკავშირებული მესამე პირის მიერ შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენის მომენტი. შეპირების მიმღების გარდაცვალება, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს განხილული მესამე პირისათვის უფლების წარმოშობის მომენტად, როდესაც ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევისათვის იყო დადებული. თუ ასეთ შემთხვევას არ ეხება საქმე, უნდა დადგინდეს შეპირების მიმღების გარდაცვალება მოახდენს თუ არა გავლენას მესამე პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, ვინაიდან შეპირების მიმღების გარდაცვალებას შესაძლებელია უკავშირდებოდეს ნეგატიური შედეგიც.

იმის გათვალისწინებით, რომ პირის გარდაცვალება ყოველთვის არ ხდება უფლების შეწყვეტის საფუძველი,[967] უნდა გაგრძელდეს თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობა, მხარეთა შორის არსებული შეთანხმებისა და ვალდებულების არსის საფუძველზე უნდა დადგინდეს. შეპირების მიმღები და შემპირებელი შესაძლებელია შეთანხმდნენ, რომ შეპირების მიმღების გარდაცვალება გამოიწვევს მესამე პირის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას. თუ მაგალითად, ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე ითვალისწინებდა მესამე პირის მიმართ შესრულებას და შეთანხმებული იყო შეპირების მიმღების მიერ ნაწილ-ნაწილ გადახდა, შეპირების მიმღებს შესაძლოა არ სურდეს მისი გარდაცვალების შემდეგ კვლავ გაგრძელდეს მესამე პირის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა.

[967] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 104.

საყურადღებოა ისიც, რომ შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება, ხშირ შემთხვევაში, მესამე პირზე ზრუნვას უკავშირდება, რაც უშუალოდ შეპირების მიმღების პიროვნულ სურვილზეა დამოკიდებული. ისიც დასაშვებია, აღნიშნული არც იყოს შეთანხმებული, მაგრამ თავისთავად გამოიწვიოს ასეთი შედეგი, მაგალითად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევის გარდაცვალება შესაძლოა ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების საფუძველი გახდეს, სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო. სსკ-ის 818-ე მუხლის შესაბამისად, სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობის გამო მზღვეველს შეუძლია სათანადო წესის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება. რაც თანმდევ შედეგად თავისთავად გამოიწვევს მესამე პირისათვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების გაუქმებას.

შეპირების მიმღებს შეუძლია ასევე დათქვას, რომ მესამე პირის უფლება გაუქმებადია, რისი განხორციელების უფლებამოსილებაც შეპირების მიმღების მემკვიდრეებს აქვთ. საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობის მტკიცების ტვირთი აკისრია მესამე პირს და ზოგადად მას, ვინც ამისაგან განსხვავებულ შეთანხმებაზე მიუთითებს.[968]

თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ სავალუტო ურთიერთობიდან გამომდინარე, შეპირების მიმღებისა და შემპირებელს შორის არსებობდეს ისეთი შეთანხმება, რომ შეპირების მიმღების გარდაცვალება ამ ურთიერთობის დასრულებას არ უნდა იწვევდეს.

ამდენად, შეპირების მიმღების გარდაცვალება გამოიწვევს თუ არა მესამე პირის უფლების გაუქმებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახელშეკრულებო შეთანხმებისა და ვალდებულების არსის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

3. შეპირების მიმღების გარდაცვალება მესამე პირის დაბადებამდე

დოქტრინაში აღიარებული მოსაზრების შესაბამისად, მესამე პირი ხელშეკრულების დადების მომენტში შესაძლებელია დაბადებული არ იყოს.[969]

---

[968] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 13, 198; BGH 1970, 1181, მითითებულია იქვე.

[969] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 214; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III,

აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია ასევე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.[970] ამასთანავე, აღიარებულია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების განმარტების დონეზეც.[971] რაც ასეთი შეთანხმებების დიდი პრაქტიკული დანიშნულებით აიხსნება.[972]

ვინაიდან დაუბადებელი მესამე პირი ვერ იქნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი,[973] უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ხელშეკრულებაში უფლება არ არის სუბიექტის გარეშე, ეს უფლება ეკუთვნის შეპირების მიმღებს.[974] მესამე პირის მიერ უფლების შეძენა მხოლოდ მისი დაბადების შემთხვევაშია შესაძლებელი (სსკ-ის 11-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მესამე პირი ხელშეკრულების დადების მომენტში დასაშვებია დაბადებული არ იყოს, შესაძლებელია მოხდეს ისეც, რომ შეპირების მიმღები მის დაბადებამდე გარდაიცვალოს. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინეს შეპირების მიმღების მემკვიდრეებს აქვთ თუ არა შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ მესამე პირისათვის გათვალისწინებულ უფლებაზე.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გსკ-ის 331-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი, რომელიც დაუბადებელი მესამე პირების უფლებებს საკანონმდებლო დონეზე იცავს[975] და მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეპირების მიმღები მესამე პირის დაბადებამდე გარდაიცვლება, მესამე პირის სასარგებლოდ შეპირებული შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ გაუქმდეს ან შეიცვალოს, როდესაც საამისო უფლებამოსილება ხელშეკრულებაში დათქმული იქნება.[976]

თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 3, 272; *Krauskopf P.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Freiburg, Schweiz, 2000, Rn. 270, 67; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §328, Rn. 2, 561; *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 267.

[970](მესამე პირი ,,ხელშეკრულების დადების მომენტში შეიძლება არათუ დაბადებული, არამედ ჩასახული არ იყოს"), *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 214; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 3, 272.

[971] იხ. *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), Vogenauer S.,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018, 878.

[972] იქვე.

[973]*კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 100; *გელაშვილი ი.,* ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, დის., თბილისი, 2012, 21.

[974] *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §331, Rn. 1, 759.

[975] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 107.

[976] BGB §331

(2) Stirbt der Versprechensempfänger vor der Geburt des Dritten, so kann das Versprechen, an den Dritten zu leisten, nur dann noch aufgehoben oder geändert werden, wenn die Befugnis dazu vorbehalten worden ist.

იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტისათვის ჯერ არ არის დაბადებული, მას შეპირების მიმღების გარდაცვალებით არ შეუძლია შეიძინოს შესრულების უფლება, ვინაიდან ის, როგორც დაუბადებელი პირი, უფლებაუუნაროა.[977] ამიტომ ის პრინციპი, მესამე პირის უფლება მისი თანხმობის გარეშე შეიძლება თუ არა შეიცვალოს ან გაუქმებული იქნეს, დაუბადებელ პირს ვერ იცავს, ვინაიდან მას უფლების შეძენა საერთოდ არ შეუძლია.[978] სწორედ ამ საფუძვლიდან გამომდინარეა გათვალისწინებული გსკ-ის 331-ე პარაგრაფის მეორე ნაწილში დაუბადებელი მესამე პირის დასაცავად შესაბამისი მოწესრიგება. მტკიცების ტვირთს იმის შესახებ, რომ მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლისათვის სპეციალური უფლებამოსილება ხელშეკრულებაში დათქმული იქნა, აკისრებენ იმ პირს, რომელიც ასეთ დათქმაზე მიუთითებს.[979]

ქართულ სამართალში ასეთი მოწესრიგების არარსებობის გამო, რთულია დასაბუთებული იქნეს ამ შემთხვევაში მესამე პირის დაცვის სტანდარტი. ამიტომ მესამე პირის დაბადებამდე შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში მესამე პირის უფლების დაცვა მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო მოწესრიგების[980] არსებობის პირობებშია შესაძლებელი.

4. მესამე პირის გარდაცვალების შედეგი

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების საკითხზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია ასევე, მესამე პირის გარდაცვალების შედეგების განხილვა. ამ თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან უნდა

<https://www.gesetze-im-internet.de/bgb/__331.html>, [03.01.2020]; *ob. ასევე, Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 24, 204-205.

[977] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 24, 205.

[978] იქვე.

[979] იქვე.

[980] არსებული მოწესრიგების ფარგლებში გამოკვეთილი არ არის ქართველი კანონმდებლის მიზანი რამდენადაა დაუბადებელი მესამე პირის ინტერესების დაცვა მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში. იმ შემთხვევაში, თუ ქართველი კანონმდებლის სურვილი იქნება, მესამე პირის დაბადებამდე შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში, მესამე პირის უფლების დაცვის სტანდარტის შემუშავება მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, შესაძლებელია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 331-ე პარაგრაფის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოწესრიგების გაზიარება და შემდეგი სახის საკანონმდებლო წინადადების შემუშავება: ,,თუ შეპირების მიმღები მესამე პირის დაბადებამდე გარდაიცვლება, მესამე პირის სასარგებლოდ შეპირებული შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ გაუქმდეს ან შეიცვალოს, როდესაც საამისო უფლებამოსილება ხელშეკრულებაში დათქმული იქნება.“

გაიმიჯნოს ორი შემთხვევა. როდესაც მესამე პირის მიერ უფლების შეძენა შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტს არ უკავშირდება და როდესაც მესამე პირს შეპირების მიმღების გარდაცვალებით უნდა შეეძინა უფლება.

გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, თუ მესამე პირი შეპირების მიმღებზე ადრე გარდაიცვლება, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელიც მესამე პირისათვის იყო გათვალისწინებული ძირითადად მის მემკვიდრეებზე არ გადადის.[981] აღნიშნული გამართლებულია, რადგან გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, როგორც უკვე აღინიშნა, მესამე პირის მიერ უფლების შეძენა უმეტესად შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტთანაა დაკავშირებული. ამიტომ, თუ მესამე პირი შეპირების მიმღებზე ადრე გარდაიცვლება, ის უფლებას ვერ შეიძენს და შესაბამისად, ვერც მის მემკვიდრეებს ექნებათ მოთხოვნის საფუძველი.

მესამე პირის მემკვიდრეებმა უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიძინონ, თუ ხელშეკრულებაში საამისოდ არსებობს სპეციალური შეთანხმება.[982] ამიტომ განმარტების გზით უნდა დადგინდეს, თუ რა სამართლებრივი შედეგის დადგომას ითვალისწინებს ხელშეკრულება.[983] სათანადო შეთანხმების არარსებობისას, მესამე პირის მემკვიდრეებს მოვალის მიმართ არ აქვთ შესრულების მოთხოვნის უფლება.[984]

აქედან გამომდინარე, შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მესამე პირის გარდაცვალებისას მესამე პირის მემკვიდრეები, ძირითადად, ვერ იკავებენ მესამე პირის ადგილს[985] და მოთხოვნის უფლება აქვს შეპირების მიმღებს, თუ სხვა სარგებლის მიმღები პირი არ იქნება დასახელებული,[986] ხოლო თუ შეპირების მიმღები მას არ დაასახელებს, შეპირების მიმღების გარდაცვალებისას, მოთხოვნა მოხვდება სამკვიდრო მასაში.[987]

---

[981] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 12, 197.
[982] იქვე, §331, Rn. 5, 195.
[983] იქვე, §331, Rn. 12, 198.
[984] იქვე, §331, Rn. 12, 197-198.
[985] იქვე, §331, Rn. 12, 198.
[986] *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §331, Rn.2, 1721, BGH NJW 1993, 2172, მითითებულია იქვე; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §331, Rn. 1, 567.
[987] *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 12, 198.

იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილება სადავოა და შესრულება მესამე პირების მემკვიდრეების მიმართ განხორციელდა, ხოლო შეპირების მიმღების მემკვიდრეების მიერ თანხის უკან დაბრუნებაა მოთხოვნილი, მტკიცების ტვირთი იმის შესახებ, რომ შეპირების მიმღების მემკვიდრეებს მოთხოვნის უფლება არ გააჩნიათ, აკისრიათ მესამე პირის მემკვიდრეებს.[988]

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც მესამე პირის მიერ უფლების შეძენა შეპირების მიმღების გარდაცვალების მომენტს არ უკავშირდება და ის უფლებას შეპირების მიმღების სიცოცხლეშივე იძენს, მესამე პირის გარდაცვალება მოხდენს თუ არა გავლენას მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს. მაგალითად, დაზღვეულის გარდაცვალება გამოიწვევს დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტას, თუ კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული დაზღვეულის შეცვლა. თუ დაზღვეულის გარდაცვალება წარმოადგენს სწორედ იმ შემთხვევას, რომელიც გათვალისწინებულია დაზღვევის ხელშეკრულებით, ხელშეკრულება წყდება მისი შესრულების შემდეგ. დაზღვევის ხელშეკრულება წყდება ისეთ შემთხვევაშიც, თუ დამზღვევი არ არის თანახმა გარდაცვლილი დაზღვეულის შეცვლაზე, ან თუ მემკვიდრეები არ არიან თანახმა მიიღონ გარდაცვლილი დაზღვეულის უფლებები და მოვალეობები („დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-11, მე-12, მე-14 პუნქტები).[989]

მაშასადამე, ის საკითხი, მესამე პირის გარდაცვალების შემთხვევაში შეპირების მიმღებმა შეიძლება თუ არა საკუთარი თავის სასარგებლოდ მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება ან მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით, უნდა დადგინდეს კონკრეტული სახელშეკრულებო შეთანხმებისა და სამართლებრივი ურთიერთობის არსიდან გამომდინარე. თუ დასაშვებია მესამე პირის შეცვლა, თავდაპირველად დასახელებული მესამე პირის სხვა პირით შეცვლის საკითხი ამ შემთხვევაშიც მოვალესთან შეთანხმების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

---

[988] იქვე.

[989] *ცისკაძე მ.,* ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 52.

VIII. მხარეთა ნების გამოვლენა, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მსგავსი ინსტიტუტებისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი

იმის განსასაზღვრად, მესამე პირის ნებამ შესაძლოა თუ არა გავლენა მოახდინოს ხელშეკრულებაზე, წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზნებისათვის თავდაპირველად უნდა დადგინდეს არის თუ არა ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული. ამიტომ საჭიროა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება გაიმიჯნოს მსგავსი ინსტიტუტებისაგან. ამასთან, შედარება განხორციელდება არა ყველა იმ ხელშეკრულებასთან, სადაც სამი პირი მონაწილეობს, არამედ მხოლოდ იმ სახის ხელშეკრულებებთან, რომელთა მესამე პირის სასარგებლოდ დადებულად მიჩნევასთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და წარმოადგენს დოქტრინალური კვლევის საგანს. საყურადღებოა ისიც, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა ისეთი ინტიტუტებისაგან, როგორიცაა: გარიგებისმიერი წარმომადგენლობა; მოთხოვნის დათმობა; სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; მესამე პირისათვის დამზღვევის მიერ სადაზღვევო საზღაურის მოთხოვნის უფლების გადაცემა; ლიზინგის; გადაზიდვის ხელშეკრულება და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსს და მხარეთა ნების გამოვლენის მიზნის დადგენის საფუძველზე, განსაზღვრავს მესამე პირის ნების გამოვლენის ფარგლებს.

1. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა წარმომადგენლის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებისაგან

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება და წარმომადგენლის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება დღეისათვის[990] ურთიერთდამოუკიდებელ ინსტიტუტებად განიხილება, მაგრამ მათ შორის გარკვეული მსგავსება დოქტრინალური კვლევის საგანს განაპირობებს.[991]

---

[990]ხანგრძლივი დროის განმავლობაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისა და წარმომადგენლობის მსგავს ინსტიტუტებად მიჩნევასთან დაკავშირებით იხ. *Dniestrzanski S.,* Die Aufträge zugunsten Dritter, Leipzig, 1904, 6 ff.

[991] იხ., *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 219 ff., 98 ff.; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 37, 38; *Erman W., Westermann P.* (Hrsg.), Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §328, Rn. 2, 1485; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, Schuldrecht AT, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 12 ff., 676-677; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, §51, Rn. 1151, 408; *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება უნდა გაიმიჯნოს არა ზოგადად წარმომადგენლობის ინსტიტუტისაგან არამედ, წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგებისაგან, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მესამე პირის უფლებები წარმოიშობა არა კანონის, არამედ ხელშეკრულების საფუძველზე.

,,გარიგებისმიერ წარმომადგენლობაში",[992] მესამე პირად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მოიხსენიებენ იმ პირს, რომელთანაც წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის სახელით დებს ხელშეკრულებას.[993] ამიტომ წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის, მიზანშეწონილია განიმარტოს, რომ შედარება ხორციელდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მონაწილე მესამე პირისა და წარმოდგენილი პირის (რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში ,,სხვა პირსაც"[994] უწოდებენ) უფლებამოსილებებს შორის; ვინაიდან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისა და ,,გარიგებითი წარმომადგენლობის"[995] ,,გარეგნულ მსგავსებას"[996] გარდა ორივე მათგანში მონაწილე პირთა რაოდენობის მსგავსებისა, სწორედ ამ ორი პირის ხელშეკრულების დადებაში უშუალოდ არამონაწილეობის[997] საკითხი განაპირობებს.

მათ შორის მსგავსება იმაშიც ვლინდება, რომ პირდაპირ წარმომადგენლობაში გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დგება სხვისთვის,[998]

---

ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 247; *Hirtsiefer W.,* Unterschied zwischen echtem und unechtem Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1935, 2; *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 117; *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 218, 219.

[992] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 400-403.

[993] *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 288; *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 429; იხ. *ერქვანია თ.,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი" №3(34)'12, 28-43; საწინააღმდეგო მოსაზრება (მესამე პირის მეორე მხარედ აღნიშვნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით) იხ. *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 103, ველი 5, 592.

[994] *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 276; *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 421.

[995] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 426.

[996] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 219.

[997] *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 117.

[998] *ერქვანია თ.,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი" №3(34)'12, 29; იხ. ასევე, *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 422.

კერძოდ, უშუალოდ წარმოდგენილი პირის მიმართ.[999] მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაშიც შედეგი დგება მესამე პირისათვის, მაგრამ წარმოდგენილისაგან განსხვავებით, მესამე პირი არ ხდება ხელშეკრულების მხარე.[1000] ვინაიდან გარიგების შედეგების ადრესატი წარმომადგენლობისას არის მხოლოდ წარმოდგენილი პირი,[1001] უფლებები და მოვალეობებიც მხოლოდ წარმოდგენილ პირს[1002] წარმოეშობა.[1003] მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში კი მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების მიუხედავად, აქვს მხოლოდ ცალკეული უფლება-მოვალეობა, დანარჩენი უფლებები და ვალდებულებები შეპირების მიმღებს რჩება.[1004]

მართალია, ორივე შესადარებელ შემთხვევაში, შეპირების მიმღების/წარმომადგენლის მოქმედებით ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა შესაბამისად - მესამე პირს და წარმოდგენილს, მაგრამ მათ შორის განსხვავებას განაპირობებს ის, რომ წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის წარმოშობილ ურთიერთობას საფუძვლად უდევს გარიგება - მინდობილობის გაცემა,[1005] როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეგნულად გამოხატვის ფორმა,[1006] შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობას კი

---

[999] *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 277; *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 427; *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 104, ველი 2 და მომდევნო, 600; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, 1989, Tübingen, §20 I 3-4, 470.

[1000] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, §51, Rn. 1151, 408; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, 1989, Tübingen, §20 I 3-4, 470; *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 117.

[1001] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 აპრილის №ას-329-313-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 05 სექტემბრის №ას-127-124-2011 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 27 იანვრის №ას-479-806-05 განჩინება.

[1002] ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია იმავე კოდექსის 104 (3) ნაწილის შინაარსიც; დაწვრილებით იხ. *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 104, ველი 2, 600.

[1003] *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 219.

[1004] *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 16, 17.

[1005] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 426; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 05 სექტემბრის №ას-127-124-2011 განჩინება; იხ., *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 118; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 220, 99.

[1006] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 434; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 აპრილის №ას-329-313-2013

საფუძვლად არ უდევს მესამე პირის მიერ შეპირების მიმღებისათვის უფლებამოსილების მინიჭება.

შეპირების მიმღები საკუთარი[1007] სახელით და არა მესამე პირის სახელით[1008] ავლენს საკუთარ ნებას,[1009] თუმცა სხვისი ინტერესებისათვის, წარმომადგენელი კი სხვისი სახელით[1010] და სხვისივე ინტერესებისათვის დებს გარიგებას.[1011]

წარმოდგენილი პირისა და მესამე პირის უფლებამოსილებებს შორის ის ურთიერთმიმართებაა, რომ გარიგების დადებისას წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ ნებას და არა წარმოდგენილი პირის ნებას.[1012] მაგრამ წარმომადგენლის მოქმედების ფარგლებს სწორედ წარმოდგენილი პირის ნება უდევს საფუძვლად.[1013] წარმოდგენილი პირი თავადვე განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებს.[1014] მაშასადამე, წარმოდგენილი პირის ნება გავლენას ახდენს წარმომადგენლის ნების ფორმირებაზე[1015] და გარიგების დადებაც სწორედ წარმოდგენილი პირის სურვილით ხდება. ე.ი. ,,გარიგება ხორციელდება

განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 05 სექტემბრის №ას-127-124-2011 განჩინება.

[1007]შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის (ვალდებულებითი სამართლის) 112-ე (1) მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისას პირი მოქმედებს საკუთარი სახელით, (...auf eigenen Namen...), <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/19110009/index.html>, [29.01.2020].

[1008] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 38; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 220, 99.

[1009] *Erman W., Westermann P.* (Hrsg.), Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §328, Rn. 2, 1485; *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 118; *Christandl G.,* Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012, 247.

[1010]*Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 400, 170, (" Handeln unter fremdem Namen"); *Schmidt R.,* GBG AT, Grumndlagen des Zivilrechts Methodik der Fallbearbeitung, 13. Aufl., Hamburg, 2015, 182; *Zweigert K., Kötz H.,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neu bearb. Aufl., Tübingen, 1996, 429, 430, 433; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 220, 99; *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, §51, Rn. 1151, 409; იხ. *Lübe G.,* Vertragsschutz Dritter und allgemeine Haftungsrecht, Diss., Düsseldorf, 1964, 154 ff.

[1011]*ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 276, 278, 279; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 18 ივნისის №3კ-313-03 გადაწყვეტილება.

[1012]*ერქვანია თ.,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი" №3(34)'12, 32; *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 283; *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 430, 431; *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 405.

[1013]*ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 283.

[1014] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 402.

[1015] *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 283.

წარმომადგენლის პიროვნებაში“.[1016] მესამე პირი კი თავის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისას შეპირების მიმღების ნების ფორმირებაზე გავლენას ვერ ახდენს. მართალია, მესამე პირს არ აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ იქნება თავისი უფლებამოსილება ხელშეკრულებაში ფორმულირებული, მაგრამ ის თავის სასარგებლოდ უკვე დადებულ ხელშეკრულებაზე გავლენას ახდენს იმ გზით, რომ როგორც უკვე განხილული იქნა, მესამე პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე,[1017] რისი შედეგებიც ხელშეკრულების შესრულებაზე აისახება. წარმოდგენილი პირის ნებამ კი ყოველთვის შესაძლოა გავლენა მოახდინოს გარიგებაზე, როგორც მის დადებამდე, ასევე მისი დადების შემდგომ.

წარმოდგენილი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ,,დადებული არ არის დავალების ხელშეკრულება შესაბამისი პირობით“, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეწყვეტილად მიიჩნევა.[1018] მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის გარდაცვალება კი, როგორც უკვე განხილული იქნა, ყოველთვის არ გამოიწვევს ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას. აქვე უნდა აღინიშნოს შეპირების მიმღებისა და წარმომადგენლის გარდაცვალების შედეგი - თუ წარმომადგენლის გარდაცვალება ,,წარმომადგენლობის არსიდან გამომდინარე“,[1019] წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების საფუძველია,[1020] მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შესაძლოა, სწორედ შეპირების მიმღების გარდაცვალება გახდეს მესამე პირისათვის უფლების წარმოშობის[1021] ან გაუქმების[1022] საფუძველი.

[1016] *ჯანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 422.

[1017]იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 351, ველი 1, 292.

Байгушева Ю., Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 118.

[1018] *ჯორბენაძე ს.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 109, ველი 8, 622, 623.

[1019] იქვე.

[1020] იქვე.

[1021] როდესაც მესამე პირმა უფლება შეპირების მიმღების გარდაცვალებით უნდა შეიძინოს. იხ *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, 536 ff.

[1022]მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევის გარდაცვალება შესაძლოა ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების საფუძველი გახდეს, სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო.

რაც შეეხება არაპირდაპირ წარმომადგენლობას, მართალია, ასეთ დროს წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი სახელით[1023] და სხვა პირის ინტერესებისათვის,[1024] ისევე როგორც შეპირების მიმღები, მაგრამ არაპირდაპირი წარმომადგენლობისას სამართლებრივი ურთიერთობის შედეგი ჯერ წარმომადგენლის მიმართ დგება, შემდეგ კი - წარმოდგენილი პირისათვის.[1025] წარმოდგენილ პირს მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების მხარის მიმართ წარმოეშობა წარმომადგენლის მიერ უფლებების გადაცემის გზით.[1026] დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში კი, ამ ხელშეკრულების საფუძველზე პირდაპირ, უშუალოდ[1027] ,,მესამე პირს"[1028] წარმოეშობა ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

2. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა მოთხოვნის დათმობისაგან

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას და მოთხოვნის დათმობას შორის არსებული გარკვეული მსგავსებები სამეცნიერო კვლევის საგანია.[1029] ამიტომ მიზანშეწონილია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება გაიმიჯნოს მოთხოვნის დათმობისაგან. ამასთან, შედარება განხორციელდება მოთხოვნის დათმობასა და მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ისეთ ხელშეკრულებას შორის, სადაც მესამე პირს, მსგავსად ცესიონერისა,

---

[1023] *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 428.

[1024] *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §164, ველი 4, 80.

[1025] *ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002, 278; იხ. *კობახიძე ა.,* სამოქალაქო სამართალი, I, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, 310; *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 425.

[1026] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, §51, Rn. 1152, 409; *ერქვანია თ.,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი" №3(34)'12, 37, 38.

[1027] *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 219.

[1028] "in der Person des Dritten", იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 17, 13.

[1029] იხ. *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 225 ff., 99 ff.; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 48-49; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 20-39; *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 16 ff; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 259; *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 119; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, Schuldrecht AT, München, 2012, §328, Rn. 12 ff., 2199; *Erman W., Westermann P.* (Hrsg.), Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §328, Rn. 2, 1485. *ჭანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 218, 219.

ხელშეკრულების საგნის შესრულების მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება წარმოეშობა.

როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით, ასევე მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით მესამე პირი იძენს მოთხოვნის უფლებას. ისინი არიან შესრულებაზე მოთხოვნის უფლების მქონე პირები,[1030] მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ ინსტიტუტს შორის სწორედ მესამე პირის მიერ უფლების შეძენის თავისებურებაში მდგომარეობს.[1031] ვინაიდან მოთხოვნის დათმობისას მესამე პირი არის ცესიონერი - ახალი კრედიტორი,[1032] შედარება სწორედ მისსა და მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მონაწილე მესამე პირის სამართლებრივ პოზიციას შორის ხორციელდება.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასა და მოთხოვნის დათმობას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ მესამე პირის უფლების წარმოშობისათვის პირველ შემთხვევაში შეთანხმება შეპირების მიმღებს (კრედიტორსა[1033]) და მოვალეს შორის ხდება,[1034] ხოლო მოთხოვნის დათმობისას, - თავდაპირველ და ახალ კრედიტორს შორის.[1035] მაშასადამე, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების მხარეები არიან თავდაპირველი და ახალი კრედიტორი (მესამე პირი), სადაც მოვალე არ მონაწილეობს; განსხვავებით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან, სადაც მესამე პირის მოთხოვნის უფლება პირდაპირ შეპირების მიმღებსა (კრედიტორს) და მოვალეს შორის დადებული

[1030] *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 225, 99; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, Schuldrecht AT, München, 2012, §328, Rn. 13, 2199.

[1031] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, §51, Rn. 1150, 408.

[1032] *ძლიერიშვილი ზ.,* ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006, 42; *თოთლაძე ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018, მუხლი 199, ველი 13, 182; *ახვლედიანი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 1999, 140.

[1033] მართალია, წინამდებარე ნაშრომში დასაბუთებულია კრედიტორის შეპირების მიმღებად აღნიშვნის მიზანშეწონილობა, მაგრამ წინამდებარე თავში შეპირების მიმღებთან ერთად მის კრედიტორად აღნიშვნას განაპირობებს ის, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების მონაწილეებსა და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეებს შორის არსებული ურთიერთობის საფუძვლების ურთიერთმიმართების წარმოჩენა.

[1034] *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 119; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 259; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 657.

[1035] *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 16, 17, 18; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 227, 102; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 259.

ხელშეკრულებიდან წარმოიშობა,[1036] ხოლო, თავის მხრივ, მესამე პირსა და შეპირების მიმღებს (კრედიტორს) შორის არსებულ ურთიერთობას მესამე პირის უფლების წარმოშობისათვის საფუძვლად არ უდევს[1037] რაიმე სახის ხელშეკრულება.

ამრიგად, მესამე პირის მიერ უფლების შეძენის საფუძველი მოთხოვნის დათმობის დროს არის მოთხოვნის უფლების მქონე პირსა და მის შემძენს შორის არსებული შეთანხმება, მაშინ როდესაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში უფლების შემძენი მესამე პირი შეთანხმებაში მონაწილეობას არ იღებს.[1038] მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურება ისაა, რომ მესამე პირი უფლების შეძენით არ ხდება ხელშეკრულების მხარე, მაშინ როდესაც მესამე პირი (ცესიონერი) არის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების მხარე.[1039]

მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საგანი არის კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლების გადაცემა[1040] მესამე პირისათვის.[1041] მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადების შედეგად ცესიონერი იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს.[1042] ე.ი. ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში იცვლება კრედიტორი.[1043] განსხვავებით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული

[1036] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, §51, Rn. 1150, 408; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 38; *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965, 657.

[1037] მართალია, შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის წარმოიშობა ე.წ. ,,სავალუტო ურთიერთობა", მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, ეს ურთიერთობა მესამე პირის უფლების წარმოშობის საფუძველი არ არის.

[1038] *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 38; *Erman W., Westermann P.* (Hrsg.), Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §328, Rn.2, 1485.

[1039] *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001, 48, 49.

[1040] ვინაიდან მოთხოვნის უფლების გადასვლა შინაარსობრივად მოთხოვნის დათმობისთვისაა დამახასიათებელი, უნდა ითქვას, რომ ტერმინოლოგიურად არაზუსტია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითება, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირზე გადადის კრედიტორის მოთხოვნის უფლება. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 9 ოქტომბრის № 3გ/ად-185-კ-03 განჩინება.

[1041] იხ. *ახვლედიანი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 1999, 140.

[1042] *ყურუა ნ,* ცესია ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. ,,სამართალი" №11, 2001, 27, 28; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის №ას-570-541-2014 განჩინება.

[1043] *ჭეჭელაშვილი ზ.,* მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, დის., თბილისი, 2008, 34; *ძლიერიშვილი ზ.,* ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006, 41; იხ., *ჩიტოშვილი თ.,* უსაფუძვლო გამდიდრებისას დავალებისა და მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე შესრულების შედეგები, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი" №2(29)'11, 78; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის №ას-349-332-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 ნოემბრის №ას-528-501-2105

ხელშეკრულებისაგან, სადაც, როგორც ზემოთ იქნა დასაბუთებული, მესამე პირი ხელშეკრულებაში კრედიტორის ადგილს არ იკავებს.

მოთხოვნის დათმობისას მესამე პირი (ახალი კრედიტორი) მოთხოვნის მფლობელისაგან იძენს მოთხოვნის ,,არსებულ უფლებას"[1044],[1045] ,,მოთხოვნის წარმოშობის დროს არ ჩანს, რომ ამ მოთხოვნის განხორციელება მესამე პირმა უნდა მოითხოვოს",[1046] მაშინ, როდესაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის უფლება ახლად წარმოშობილია.[1047]

იურიდიულ ლიტერატურაში მოთხოვნის დამობისა და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნასთან მიმართებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე ეხება ,,ორიგინალურ" (პირველად) უფლებას, ხოლო მოთხოვნის დათმობაში - ,,ნაწარმოებ უფლებას".[1048] აღნიშნული პოზიცია გასაზიარებელია, ვინაიდან წინამდებარე ნაშრომში უკვე დასაბუთებული იქნა მესამე პირის მიერ უფლების პირველადი წესით შეძენა; რაც შეეხება მოთხოვნის დათმობას, რადგან მესამე პირს მოთხოვნის უფლება თავდაპირველი კრედიტორის მიერ გადაეცემა, ცხადია, უფლების შეძენის ნაწარმოებ წესს ეხება საქმე.

რაც შეეხება მოთხოვნის გადასვლას კანონის საფუძველზე,[1049] (მაგალითად: სსკ-ის 905-ე; 832-ე; 372-ე; 292-ე მუხლები) ის არ არის შედარების საგანი, რადგან ასეთ დროს, მოთხოვნის დათმობა ხორციელდება კანონის საფუძველზე,[1050] ხოლო

გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივნისის №ას-229-216-2015 განჩინება; *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015, 119.

[1044] *ჭეჭელაშვილი ზ.,* მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, დის., თბილისი, 2008, 9.

[1045] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, §51, Rn. 1150, 408; *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983, 16, 17, 18.

[1046] *ჯანტურია ლ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 219.

[1047] *Gottwald P.,* Münchener Kommentar, Schuldrecht AT, München, 2012, §328, Rn. 13, 2199.

[1048] *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 12. Aufl., München, 2014, §51, Rn. 1150, 408, ("Es handelt sich also um einen originären und nicht um einen derivativen (abgeleiteten) Rechtserwerb wie bei der Abtretung"); *Vogenauer S., Kleinheisterkamp J.,* Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford, 2008, 2; *Raab Th.,* Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999, 38; *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989, §20 I 3-4, 470; *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981, 260; შეად. *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, 262 ff.

[1049] "Cessio legis".

[1050] *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §398, ველი 1, 277; *ჭეჭელაშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 24.02.2016, მუხლი 905, ველი 1, 3; *რუსიაშვილი გ,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018, მუხლი 292, ველი 13, 520.

განსახილველ შემთხვევაში მესამე პირის უფლებები წარმოიშობა არა კანონის, არამედ სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად.

3. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისაგან

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება უნდა გაიმიჯნოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისაგან, ვინაიდან ამ უკანასკნელს იურიდიულ დოქტრინაში და სადაზღვევო პრაქტიკაში, ზოგ შემთხვევაში, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად განიხილავენ.[1051] რაც დასაბუთებულია იმ არგუმენტით, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების დაცვის ობიექტად მესამე პირის ინტერესი განისაზღვრება.[1052] სწორედ ასეთ ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას, სადაც პირდაპირი ზიანი ადგება მესამე პირს.[1053]

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ერთი მხრივ, განიხილება როგორც დამზღვევის ინტერესების დაცვის საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, - დაზარალებული პირის უფლებების დაცვის გარანტია.[1054] მიუხედავად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის აღნიშნული მიზნისა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საგანი სსკ-ის 839-ე მუხლის შესაბამისად, არის

[1051]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის №ას-134-134-2018 განჩინება; *ირემაშვილი ქ.,* ჯანმრთელობის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი, ,,სამართლის ჟურნალი“ №2, თბილისი, 2011, 48; *Егорова Н.Д., Сергеева А.П.,* Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, Часть первая, Издание третье, Москва, 2006, 819; საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. *ცისკაძე მ.,* ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 53; *ცისკაძე მ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 162; *ირემაშვილი ქ.,* მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, დის., თბილისი, 2016, 117; *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 16.03.2016, მუხლი, 839, ველი 7; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 110, 700; *Prütting H., Stürner R.,* BGB, 14. Aufl., München, 2019, §328, Rn. 25, 634.

[1052] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის №ას-134-134-2018 განჩინება; *ირემაშვილი ქ.,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 16.03.2016, მუხლი 836, ველი 2.

[1053]იქვე.

[1054]*ცისკაძე მ.,* ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 53; *გვარამია ლ.,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა, ჟურნ. ,,სამართალი“ №6-7, 1999, 58; *Lentz M.,* Die Dogmatik der Versicherung für fremde Rechnung, Diss., Hamburg, 2015, 34.

დამზღვევის გათავისუფლება იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობისათვის შეიძლება დაეკისროს. ესე იგი, ,,მზღვეველი დამზღვევის ნაცვლად კისრულობს სადაზღვევო რისკს".[1055] ამიტომ დაზარალებული მესამე პირების დაცვა მხოლოდ დამატებითი ეფექტად შეიძლება იქნეს განხილული.[1056]

ყურადღებაა გასამახვილებელი სადაზღვევო ინტერესის ცნებაზეც, კერძოდ, დაზღვევის ინტერესის მატარებელი არის ის პირი, ვისაც ზიანი უნდა აენაზღაურებინა, დაზღვევის ხელშეკრულება რომ არ ყოფილიყო დადებული.[1057] ამ შემთხვევაში სადაზღვევო ინტერესი გამოიხატება სწორედ დამზღვევის პასუხისმგებლობის დაზღვევაში და არა მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში.[1058] ვინაიდან, რომ არა სადაზღვევო კომპანია, თვითონ დაზღვეული იქნებოდა მესამე პირის წინაშე ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი.[1059] აქედან გამომდინარე, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, დამზღვევის (კრედიტორი) მიზანს მესამე პირისათვის სარგებლის მინიჭება კი არა, არამედ საკუთარი ინტერესის,[1060] საკუთარი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს.

ამ ორ ხელშეკრულებას შორის განსხვავებას მესამე პირის ხელშეკრულებაში მონაწილეობის სტატუსიც განაპირობებს. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირი არის სარგებლის მიმღები, ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში მესამე პირი არა სარგებლის მიმღები, არამედ დაზარალებულია,[1061] რომელსაც მზღვეველისგან აქვს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

[1055] *გვარამია ლ.,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა, ჟურნ. ,,სამართალი" №6-7, 1999, 60.

[1056] *Franck G.,* Der Direktanspruch gegen den Haftpflichtversicherer, Diss., Hamburg, 2014, 211.

[1057] *Lentz M.,* Die Dogmatik der Versicherung für fremde Rechnung, Diss., Hamburg, 2015, 80.

[1058] *Prütting H., Stürner R.,* BGB, 14. Aufl., München, 2019, §328, Rn. 25, 634.

[1059] *გვარამია ლ.,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. ,,სამართალი" №10-11-12, 2000, 59; *გვარამია ლ.,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა, ჟურნ. ,,სამართალი" №6-7, 1999, 57.

[1060] *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 110, 700.

[1061] იხ., *ცისკაძე მ.,* ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 53; *ცისკაძე მ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 162; *გვარამია ლ.,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. ,,სამართალი" №10-11-12, 2000, 62; *შენგელია ე.,* ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები, რომან შენგელიას საიუბილეო კრებული,

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებას შორის განსხვავებას ამ უკანასკნელისა და სხვა პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების შედარებაც წარმოაჩენს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების დროს დამზღვევი და დაზღვეული ყოველთვის ერთი და იგივე პირია,[1062] ხოლო მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში დაზღვეული მესამე პირია. ყურადღება გასამახვილებლია იმაზეც, რომ მესამე პირის მოთხოვნა დამზღვევის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მაინც არსებობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობის მიუხედავად.[1063] მნიშვნელოვანია რომ, თუ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არ არის ნამდვილი, მესამე პირს ამ ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთან მსგავსებას შესაძლოა განაპირობებდეს ის გარემოებაც, რომ ორივე შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულებას იწვევს მესამე პირის ნების გამოვლენა, ვინაიდან მესამე პირს პირდაპირი მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს მზღვეველის მიმართ. მაგრამ გასაზიარებელია იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომ დაზარალებული მესამე პირებისათვის მზღვეველის მიმართ პირდაპირი მოთხოვნის უფლების მინიჭება სამართლებრივ-პოლიტიკური მიზნიდან გამომდინარეობს.[1064] ამ თვალსაზრისით, ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ეფექტიანობაზე, მის მიზანსა და ფუნქციაზე.[1065] ამიტომ მესამე პირის პირდაპირი მოთხოვნის უფლება მხოლოდ დაზარალებულის დაცვის მექანიზმად არ განიხილება.[1066]

ისევე როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევაც მესამე პირისათვის (სხვა პირისათვის) სადაზღვევო

თბილისი, 2012, 396; *Gottwald P.,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019, §328, Rn. 110, 700.

[1062] *გვარამია ლ.,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა, ჟურნ. „სამართალი“ №6-7, 1999, 60.

[1063] *Prütting H., Stürner R.,* BGB, 14. Aufl., München, 2019, §328, Rn. 25, 634.

[1064] *Franck G.,* Der Direktanspruch gegen den Haftpflichtversicherer, Diss., Hamburg, 2014, 212.

[1065] იქვე.

[1066] იქვე, 219.

საზღაურის გაცემას ითვალისწინებს, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სადაზღვევო საზღაურის მიმღები (სწორი იქნება ითქვას სადაზღვევო საზღაურის მიმღები და არა ,,სარგებლის მიმღები“) ისეთი მესამე პირია, რომელსაც ზიანი მიაყენა დამზღვევმა. ე.ი. აქ სადაზღვევო საზღაური ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულ[1067] პირს.[1068] იმავე არგუმენტაციით არც სავალდებულო დაზღვევა უნდა იქნეს შეფასებული მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად.[1069] მიუხედავად იმისა, რომ აქ დაზარალებული მესამე პირების დაცვის მიზანი უფრო მეტია.[1070]

მაშასადამე, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებას ერთმანეთისაგან განასხვავებს როგორც ხელშეკრულების საგანი, მიზანი, ასევე სადაზღვევო ინტერესი და რაც მთავარია, მესამე პირის ხელშეკრულებაში ,,მონაწილეობის“ სტატუსი, როგორც დაზარალებულად და არა მოსარგებლედ. მართალია, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება დაზღვეულთან ერთად მესამე პირების ინტერესებსაც იცავს, ვინაიდან უზრუნველყოფს მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ აქ წინა პლანზეა დაზღვეულის და არა მესამე პირის ინტერესები. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მქონე პირი სარგებლის მიმღები კი არა, - დაზარალებულია და შესაბამისად, სადაზღვევო საზღაური მისთვის არის ზიანის მაკომპენსირებელი საშუალება და არა სარგებელი ხელშეკრულებიდან.

4. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა იმ შემთხვევისაგან, როდესაც სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადაცემულია დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ სხვა პირისათვის

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან უნდა გაიმიჯნოს ის შემთხვევა, როდესაც დაგროვებითი დაზღვევისას სადაზღვევო ანაზღაურების

[1067] *შენგელია ე.,* ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები, რომან შენგელიას საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012, 396.

[1068] *ცისკაძე მ.,* ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2000, 53; *ცისკაძე მ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 162.

[1069] შეად. *ირემაშვილი ქ.,* მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, დის., თბილისი, 2016, 49.

[1070] იხ. *Franck G.,* Der Direktanspruch gegen den Haftpflichtversicherer, Diss., Hamburg, 2014, 211; შენგელია *ე.,* ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები, რომან შენგელიას საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012, 390.

მიღების უფლება დამზღვევის მიერ გადაეცემა მესამე პირს. დასახელებული შემთხვევა, ერთი შეხედვით, ემსგავსება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას, მაგრამ რეალურად მისგან განსხვავდება.

როგორც ქართულ,[1071] ასევე გერმანულ[1072] იურიდიულ დოქტრინაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად განიხილება ის შემთხვევა, როდესაც დამზღვევის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გადაეცემა მესამე პირს. აღნიშნული გათვალისწინებულია სსკ-ის 847-ე მუხლის პირველი ნაწილით; ხოლო გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად მიიჩნევენ ,,დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ" კანონის[1073] 159-ე პარაგრაფის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, რომლის მიხედვით, დამზღვევი საეჭვოობის შემთხვევაში უფლებამოსილია, მზღვეველის თანხმობის გარეშე მესამე პირი დაასახელოს სარგებლის მიმღებად, ასევე დასახელებული მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით.[1074] აქედან გამომდინარე, ,,დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ" კანონის 159-ე პარაგრაფის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე, რომლის მიხედვით, გამოხმობადი უფლებით დასახელებული სარგებლის მიმღები მესამე პირი მზღვეველისაგან შესრულების მოთხოვნის უფლებას იძენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას,[1075] (ე.ი. სადაც

[1071]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის №ას-718-673-2010 განჩინება; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 350, ველი 17, 290; *ირემაშვილი ქ.,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 16.03.2016, მუხლი 836, ველი 12-14; *ირემაშვილი ქ.,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 16.03.2016, მუხლი 847, ველი 6.

[1072]იხ. *Lentz M.,* Die Dogmatik der Versicherung für fremde Rechnung, Diss., Hamburg, 2015, 33; *Schwintowski H., Brömmelmeyer Ch.,* VVG, Praxiskommentar, Münster, 2008, §159, Rn. 1, 1373; *Staudinger A., Leithoff H.,* Fachanwaltskommentar, Versicherungsrecht, Köln, 2013, §159, Rn.2, 1873; *Wandt M.,* Versicherungsrecht, 6., neu bearb. Aufl., München, 2016, Rn. 1273, 500; *Looschelders D., Pohlmann P.,* VVG-Kommentar, Köln, 2010, §159, Rn. 2, 1293; *Langheid Th., Rixecker R.,* VVG, Kommentar, 5. Aufl., München, 2016, §159, Rn.2, 952; *Wall F., Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen,* 2010, 13-15; *Rüffer W., Brambach M.,* VVG, HandKommentar; 2. Aufl., Köln, 2011, §159, Rn. 1,2, 811; *Scherer St.,* Die Glaïubigeranfechtung der Bezugsberechtigung und der Praïmienzahlung beim Lebensversicherungsvertrag zu Rechten Dritter , Diss., Karlsruhe, 1991, 12 ff.

[1073]"Gesetz über den Versicherungsvertrag" (Versicherungsvertragsgesetz - VVG), <https://www.gesetze-im-internet.de/vvg_2008/>, [21.01.2020].

[1074] § 159 Bezugsberechtigung

(1) Der Versicherungsnehmer ist im Zweifel berechtigt, ohne Zustimmung des Versicherers einen Dritten als Bezugsberechtigten zu bezeichnen sowie an die Stelle des so bezeichneten Dritten einen anderen zu setzen. <https://www.gesetze-im-internet.de/vvg_2008/>, [21.01.2020].

[1075] VVG § 159 Bezugsberechtigung

მესამე პირის უფლება გამოხმობადია[1076]) იყენებენ ,,გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისათვის" განსაზღვრულ განმარტების წესს, რომელიც მოწესრიგებულია გსკ-ის 331-ე პარაგრაფის პირველი ნაწილით.[1077] მაგრამ აღნიშნული არ უნდა იქნეს გაზიარებული.

იურიდიულ დოქტრინაში არსებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დაკონკრეტებული იქნეს, რომ როდესაც სსკ-ის 836-838-ე მუხლებით მოწესრიგებულ სხვა პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევაზეა საუბარი, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ხელშეკრულებით უშუალოდ მესამე პირია დაზღვეული (მესამე პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ან ქონება) თუ მესამე პირს მხოლოდ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება აქვს გადაცემული დამზღვევისაგან. ამ უკანასკნელ შემთხვევას ფართო გაგებით შესაძლებელია ეწოდოს სხვა პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, რადგან მესამე პირი მოსარგებლედ წარმოჩნდება, მაგრამ, თავის მხრივ, უნდა გაიმიჯნოს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან (რომელიც მოწესრიგებულია სსკ-ის 349-351-ე მუხლებით).

სსკ-ის 844-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით დამზღვევმა შეიძლება დააზღვიოს როგორც საკუთარი სიცოცხლე, ისე სხვა პირის სიცოცხლე (მაგალითად, თავისი მეგობრის).[1078] იმავე კოდექსის 847-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, დამზღვევს შეუძლია დაგროვებითი დაზღვევისას სარგებლის მიღების უფლება გადასცეს მესამე პირს, ასევე შეუძლია მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის

---

(2) Ein widerruflich als bezugsberechtigt bezeichneter Dritter erwirbt das Recht auf die Leistung des Versicherers erst mit dem Eintritt des Versicherungsfalles.
<https://www.gesetze-im-internet.de/vvg_2008/>, [21.01.2020].

[1076] *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 3, 98; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 3, 194; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §331, Rn. 2, 2297; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §331, Rn.2, 1721; შეად. *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014, §331, Rn.1, 1505.

[1077] *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010, 17, 18; *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §331, Rn. 3, 98; *Staudinger J., Jagmann R.,* BGB, Buch 2, Berlin, 2015, §331, Rn. 3, 194; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §331, Rn. 2, 2297; *Bamberger H., Janoschek Ch.,* BGB, 3. Aufl., München, 2012, §331, Rn. 2, 1721; *Scherer St.,* Die Gläubigeranfechtung der Bezugsberechtigung und der Prämienzahlung beim Lebensversicherungsvertrag zu Rechten Dritter , Diss., Karlsruhe, 1991, 14 ff.; შეად. *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 75. Aufl., München, 2016, §331, Rn. 1, 567.

[1078] *ცისკაძე მ.,* ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 53.

გათვალისწინებული. სსკ-ის 847-ე მუხლის პირველი ნაწილი ისეთ შემთხვევას ეხება, როდესაც დამზღვევს, დაზღვევის ხელშეკრულებით, დაზღვეული აქვს საკუთარი სიცოცხლე და მესამე პირს ანიჭებს ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სარგებლის (სადაზღვევო თანხის) მიღების უფლებას.

ისევე როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, სსკ-ის 847-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზედაც, მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, მესამე პირი ორივე შემთხვევაში იღებს გარკვეულ სარგებელს, მაგრამ დაზღვევის ხელშეკრულების დასახელებული შემთხვევის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის მიზნისათვის, ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული დაზღვევის საგანზე, დაზღვევის ობიექტზე, ასევე სადაზღვევო ინტერესსა და მიზანზე, რაც დაზღვევის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, სადაზღვევო ურთიერთობის სწორი შეფასებისათვის არსებითია.

დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. მართალია, სიცოცხლის დაზღვევისას, სადაზღვევო ანაზღაურებას დამზღვევი არ იღებს,[1079] სადაზღვევო შემთხვევის დადგომის - დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში - მაგრამ დამზღვევს საკუთარი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს აქვს საკუთარი ინტერესი,[1080] თავისი სიცოცხლის დაზღვევის მიმართ. როდესაც დაგროვებითი დაზღვევისას სადაზღვევო შემთხვევად განსაზღვრულია დამზღვევის გარდაცვალება და დამზღვევი სარგებლის მიღების უფლებას გადასცემს მესამე პირს, ასეთ შემთხვევაში, დაზღვეულია თვით დამზღვევის სიცოცხლე და არა სარგებლის მიმღები პირის სიცოცხლე. ამიტომ დასახელებული შემთხვევა სსკ-ის 349-351-ე მუხლებით გათვალისწინებულ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება.

მნიშვნელოვანია, რომ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ,,სიცოცხლის დაზღვევა, რომლითაც დაზღვევის ობიექტად დამზღვევის სიცოცხლე განისაზღვრება, პირველი პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას

[1079] *ირემაშვილი ქ.,* მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, დის., თბილისი, 2016, 47.

[1080] *Lentz M.,* Die Dogmatik der Versicherung für fremde Rechnung, Diss., Hamburg, 2015, 33.

მიეკუთვნება,“[1081] რადგან პირდაპირი ზიანი სწორედ დამზღვევს ადგება, ,,მისი სიცოცხლე იკარგება.“[1082] მხოლოდ ის გარემოება, რომ დამზღვევის მიერ ,,ანაზღაურების მიღების უფლება“[1083] გადაეცემა მესამე პირს, ე.ი. მესამე პირს წარმოეშობა შესრულების, კერძოდ, გარკვეული სარგებელის მიღების მოთხოვნის უფლება ამ ურთიერთობას მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად ვერ აქცევს.

ყურადღებაა გასამახვილებელი იმაზე, რომ ,,დაზღვევის დოქტრინაში ერთმანეთისგან იმიჯნება სიცოცხლის დაზღვევის ორი ხელშეკრულება“:[1084] ,,პირველი, რომლითაც დამზღვევი საკუთარ სიცოცხლეს აზღვევს და მეორე, რომლითაც დაზღვეულია მესამე პირის სიცოცხლე“.[1085] მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებად სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იქნეს განხილული.

მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სწორად მიიჩნია მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის დადებული სადაზღვევო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც დაზღვეული იყო მოსამართლეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.[1086]

მართალია, მესამე პირისათვის შესრულების მოთხოვნის უფლების მინიჭება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების ერთ-ერთი ელემენტია, მაგრამ დამზღვევის მიერ დაგროვებითი დაზღვევისას, სარგებლის მიღების უფლების მესამე პირისათვის გადაცემის (ე.ი. შესრულების მოთხოვნის უფლების გადაცემა) შემთხვევის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად მიჩნევაზე უარს განაპირობებს სადაზღვევო ურთიერთობის არსი,

---

[1081] *ირემაშვილი ქ.,* მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, დის., თბილისი, 2016, 47.

[1082] იქვე.

[1083] იხ. *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 16.03.2016, მუხლი 847, ველი 4, (,,ანაზღაურების უფლებაში კანონმდებელი ანაზღაურების მიღების უფლებას მოიაზრებს“).

[1084] *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 16.03.2016, მუხლი 844, ველი 12.

[1085] იქვე.

[1086] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 03 ოქტომბრის № ას-824-876-2011 განჩინება.

დაზღვევის ხელშეკრულების კლასიფიკაცია, ასევე დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შესრულების მიღების უფლება ხელშეკრულების მხარეს (შეპირების მიმღებს) კი არ ეკუთვნის და მას გადასცემს მესამე პირს, არამედ პირდაპირ მესამე პირს[1087] წარმოეშობა ხელშეკრულებიდან მოთხოვნის უფლება. ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადაცემის შემთხვევაში კი სარგებლის მიღების უფლება ეკუთვნის უშუალოდ დამზღვევს, რისი გადაცემაც შეუძლია მესამე პირისათვის,[1088] (სსკ-ის 847-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა).

ის გარემოება, რომ მოსარგებლე შესაძლოა არ იყოს დაზღვეული და მას დაზღვევის ხელშეკრულებიდან მხოლოდ სარგებლის მიღების მოთხოვნის უფლება ჰქონდეს, გამომდინარეობს ,,დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონიდან, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს დაზღვეული პირისა და მოსარგებლის ცნებებს (იმავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, მე-11 მუხლის პირველი და მეხუთე პუნქტი). მაშასადამე, ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც მესამე პირისათვის რაიმე სახის სარგებლის მინიჭებას ითვალისწინებს უპირობოდ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად არ უნდა იქნეს განხილული.

5. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა ლიზინგის სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება ლიზინგის სახელშეკრულებო ურთიერთობის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად მიჩნევასთან დაკავშირებით.[1089] ამიტომ მიზანშეწონილია ამ ხელშეკრულებების გამიჯვნა.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისა და ლიზინგის ხელშეკრულების შედარებისათვის, პირველ რიგში, უნდა დახასიათდეს ლიზინგის

[1087](“in der Person des Dritten“), იხ. *Soergel H., Hadding W.,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgart, 2010, §328, Rn. 17, 13; (“In der Person des Dritten“), *Gottwald P.,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016, §328, Rn. 3, 2217; (...“das Recht unmittelbar in seiner Person entsteht“...), *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961, 9.

[1088]*Lentz M.,* Die Dogmatik der Versicherung für fremde Rechnung, Diss., Hamburg, 2015, 33.

[1089]*ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 42; *ჯორბენაძე თ.,* მოთხოვნის გადასვლა ექსპედიციისა და ლიზინგის ხელშეკრულებაში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2019, 40, 42.

სახელშეკრულებო ურთიერთობის არსი. ლიზინგის დროს სახეზეა ორი სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობა.[1090] ლიზინგის გამცემსა და მიმღებს შორის იდება ლიზინგის ხელშეკრულება,[1091] ამასთანავე, ლიზინგის გამცემი მიმწოდებელთან დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას.[1092] სწორედ ლიზინგის გამცემსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას მიიჩნევენ მესამე პირის (ლიზინგის მიმღების) სასარგებლოდ დადებულად.[1093] მათი გამიჯვნისათვის ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირს უფლება ენიჭება ან შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი ხდება უშუალოდ თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; ასევე იმას, რომ მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე; მაშინ როდესაც ლიზინგის მიმღების უფლებების წარმოშობის საფუძველს ლიზინგის გამცემსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება კი არ წარმოადგენს, არამედ თავად ლიზინგის მიმღები დებს ლიზინგის გამცემთან ლიზინგის ხელშეკრულებას და სწორედ აღნიშნულია ლიზინგის მიმღების უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი. მაშასადამე, ლიზინგის მიმღები თვითონაა იმ ხელშეკრულების მხარე,[1094] საიდანაც მისი უფლება წარმოიშობა. ამასთანავე, ლიზინგის მიმღები ლიზინგის საგნისათვის, რომელსაც ლიზინგის გამცემი მიმწოდებლისაგან იძენს, ლიზინგის გამცემს სსკ-ის 576-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი პერიოდულობით უხდის სათანადო საზღაურს.

გარდა ამისა, მესამე პირისაგან განსხვავებით, ლიზინგის მიმღები აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელშეკრულებო ურთიერთობაში, იმ გზით, რომ ლიზინგის

[1090] *Wenzel H.,* Schuldrecht, Besonderer Teil I, Vertragliche Schuldverhältnisse, 4., 13. Aufl., Bremen, 2006, 429; *Wenzel H., Hütte F., Helbron M.,* Schuldrecht, Besonderer Teil I, Vertragliche Schuldverhältnisse, 2., 13. Aufl., Bremen, 2003, 380.

[1091] *Medicus D., Lorenz S.,* Schuldrecht II, Besonderer Teil , 17., neu bearb. Aufl., München, 2014, Rn. 1089, 388; *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 30; *Wenzel H., Hütte F., Helbron M.,* Schuldrecht, Besonderer Teil I, Vertragliche Schuldverhältnisse, 2., 13. Aufl., Bremen, 2003, 380, 381.

[1092] *თუმანიშვილი გ.,* ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, §6, ლიზინგის ხელშეკრულება, თბილისი, 2012, 93; *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 30; *Wenzel H., Hütte F., Helbron M.,* Schuldrecht, Besonderer Teil I, Vertragliche Schuldverhältnisse, 2., 13. Aufl., Bremen, 2003, 380.

[1093] *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 42; *ჯორბენაძე თ.,* მოთხოვნის გადასვლა ექსპედიციისა და ლიზინგის ხელშეკრულებაში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2019, 40, 42.

[1094] *ძლიერიშვილი ზ.,* ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ჟურნ. ,,ქართული სამართლის მიმოხილვა“ 5/2002-4, 508.

მიმღები თავად ირჩევს ლიზინგის საგანს და მიმწოდებელს.[1095] მაშინ, როდესაც ძირითად შემთხვევაში, მესამე პირი თავის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებაში არათუ არ მონაწილეობს,[1096] არამედ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაძლოა მესამე პირის ვინაობა განსაზღვრული არც იყოს.[1097]

6. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა გადაზიდვის ხელშეკრულებისაგან

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობა გადაზიდვის ხელშეკრულებას მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად განიხილავს.[1098] რაც დასაბუთებულია იმ არგუმენტით, რომ ტვირთის მიმღები ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობის გარეშე იძენს უფლებებსა და მოვალეობებს.[1099] იმავდროულად, ტვირთის მიმღების სამართლებრივი სტატუსის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრთა სხვადასხვაობა.[1100] ამიტომ მიზანშეწონილია, გადაზიდვის ხელშეკრულების მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან გამიჯვნა.

[1095] *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 30.

[1096] შემთხვევა, როდესაც კანონმდებელი მესამე პირი სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისათვის მესამე პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მოითხოვს, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლის/უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებაა.

[1097] *Brox H., Walker W.,* Allgemeines Schuldrecht, 39. Aufl., München, 2015, §32, Rn. 8, 380; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 74. Aufl., München, 2015, §328, Rn. 2, 559; *ჭეჭელაშვილი ზ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 86.

[1098] იხ., *ზამბახიძე ტ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV ტომი I, 2001, 317; *გაბიჩვაძე შ.,* საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, დის., თბილისი, 2012, 101; *Hinz R.,* Frachtvertrag und Frachtführerhaftung, Band 5, Hamburg, 2005; *Gottwald P.,* Münchener Kommentar, Schuldrecht AT, München, 2012, §328, Rn. 61, 2211; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 74. Aufl., München, 2015, §328, Rn. 24, 562; *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995, 173, BGH, NJW, 10.4.1974, 1614, 1616 მითითებულია იქვე; *Степанов С.А*, Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, 5-е издание, Москва, 2018, 519; *Абовой Т.Е., Богуславского М.М., Кабалкина А. Ю., Листицина-Светланова А.Г.,* Постатейный комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, Москва, 2018, *368; Садиков О.Н.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Части первой, Москва, 2006, 969.

[1099] *ზამბახიძე ტ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, თბილისი, 2001, 317.

[1100] იხ. *Hopt J., Kumpan Ch., Merkt H., Roth M., Baumbach A.,* HGB Kommentar, B. 9, 36. Aufl., 2014, § 407, Rn.17, 1503; *გაბიჩვაძე შ.,* საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, დის., თბილისი, 2012, 49-51, 101; *ახვლედიანი ზ.,* ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, 160; *ზამბახიძე ტ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, თბილისი, 2001, 317.

გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამგზავნმა შესაძლოა თვითონ არ მიიღოს ტვირთი და განსაზღვროს მის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც არის ტვირთის მიმღები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შესაძლოა, სწორედ ტვირთის გამგზავნივე იყოს ტვირთის მიმღები.[1101] ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაუშვებელია გადაზიდვის ხელშეკრულება განხილული იქნეს, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული,[1102] ვინაიდან, ცხადია, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში შეპირების მიმღები და მესამე პირი სხვადასხვა პირები არიან.

მართალია, გადაზიდვის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე მიმღებს ხელშეკრულების საგნის მიმართ მოთხოვნის უფლება გააჩნია, მაგრამ აღნიშნული მას უპირობოდ თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად ვერ აქცევს. ვინაიდან, როდესაც გამგზავნი და მიმღები სხვადასხვა პირები არიან, გამგზავნი, ძირითად შემთხვევაში, მიმღების სასარგებლოდ კი არ დებს გადაზიდვის ხელშეკრულებას, არამედ მიმღების წინაშე ნაკისრი საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად. კერძოდ, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების დადებას ძირითადად წინ უსწრებს გამგზავნსა და მიმღებს შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობა, როგორიცაა: ნასყიდობა; გაცვლა; ჩუქება; ქირავნობა; იჯარა; თხოვება; ლიზინგი; მიბარება და ა.შ.[1103] მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება შესაძლოა გამყიდველს აკისრებდეს საქონლის გაგზავნის ვალდებულებას, ასეთ შემთხვევაში გამყიდველმა უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დათქმულ ადგილზე გადაზიდვისათვის (სსკ-ის 480-ე მუხლის მეორე ნაწილი). ესე იგი, ასეთ დროს გამყიდველი იმავდროულად ტვირთის გამგზავნიცაა, ხოლო მყიდველი - ტვირთის მიმღები.[1104] ასეთ შემთხვევაში გადაზიდვის ხელშეკრულებას სხვა ვალდებულების

[1101] *გაბიჩვაძე შ.,* საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, დის., თბილისი, 2012, 48; იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მნიშვნელოვანი განმარტება 2009 წლის 11 ივნისის №ას-792-1007-08 საქმეზე.

[1102] იხ. *გაბიჩვაძე შ.,* საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, დის., თბილისი, 2012, 101.

[1103] შეად. *გაბიჩვაძე შ.,* საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, დის., თბილისი, 2012, 101, 45.

[1104] შეად. *Jesser H.,* Münchener Kommentar zum HGB, CMR Art. 12 [Verfügung über das Gut], 3., 13. Aufl., 2014, Rn. 5.

შესრულებისათვის დამხმარე ხელშეკრულების როლი უფრო აქვს. აღნიშნული გამორიცხავს მიმღებისათვის იგივე სტატუსის მინიჭებას, რომელიც მესამე პირს აქვს თავის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში და გადაზიდვის ხელშეკრულების მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად განხილვას საფუძველს აცლის.

რაც შეეხება ექსპედიტორის მიერ ექსპედიციის ხელშეკრულების ფარგლებში შემკვეთისათვის გადაზიდვის ხელშეკრულების დადებას,[1105] ვინაიდან ამ შემთხვევაში ექსპედიტორი მოქმედებს საკუთარი სახელით და შემკვეთის ხარჯზე,[1106] აქ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არ არის სახეზე.

7. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიმართება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება უნდა გაიმიჯნოს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისაგან. [1107]

როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, ასევე დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას კრედიტორი და შემსრულებელი მიზნად ისახავენ მესამე პირისათვის სარგებლის მინიჭებას. მაგრამ კრედიტორისა და შემსრულებლის სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავებულია.[1108] მართალია, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება შეიძლება გამოიხატოს როგორც ფაქტობრივ მოქმედებაში, ისე იურიდიული აქტების განხორციელებაში, როგორიცაა მაგალითად, სხვა პირის (მეპატრონის) ინტერესებისათვის გარიგების დადება,[1109] მაგრამ აღნიშნული მას მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად არ აქცევს. ორივე შემთხვევაში კრედიტორისა (შეპირების მიმღების) და შემსრულებლის ქმედება სხვა პირისათვის სარგებლის მომტანია. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დროს, მესამე პირი სარგებელს იღებს შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის

[1105]იხ. *გაბიჩვაძე შ.,* სატრანსპორტო ექსპედიციის სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი“, №3(42)’14, 127.

[1106] *ცერცვაძე გ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, 06.04.2016, მუხლი 730, ველი 4.

[1107] *ნინიძე თ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 343.

[1108] იქვე.

[1109] *ნინიძე თ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 342; *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, §677, ველი 4, 535.

არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ხოლო დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობაა.

გარდა აღნიშნულისა, სსკ-ის 973-ე მუხლის საფუძველზე შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში კი შეპირების მიმღები შემდგომში მესამე პირისაგან არ ითხოვს ანაზღაურებას იმ ხარჯებისას, რომლებიც მის სასარგებლოდ გაიღო.

8. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა ,,მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით"[1110] არსებული ხელშეკრულებისაგან

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულება ,,მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით".[1111] მართალია, ეს ინსტიტუტი აღნიშნული დასახელებით ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ცნობილი არ არის, თუმცა ცნობილია უახლეს[1112] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და მნიშვნელობის მქონეა ქართული სასამართლო პრაქტიკის განვითარებისათვის.

ხელშეკრულება ,,მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით" კანონით მოწესრიგებული არ არის, ამ სახის ხელშეკრულებები გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში და სამეცნიერო ლიტერატურაში განვითარდა.[1113] რაც განაპირობა იმ

[1110] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 37 და მომდევნო, 280 და მომდევნო.

[1111] "Vertrag mit Schutzwirkung zugunsten Dritter" ან "Der Vertrag mit Schutzwirkung für Dritte", *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht unter Berücksichtigung des Contracts (Rights of Third Parties) Act 1999, Diss., Gießen, 2001, 175. აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. *Petersen J.,* Die Drittwirkung von Schutzpflichten, Jura, 2013 (9), 893 ff; *Schwab M.,* Grundfälle zu culpa in contrahendo, Sachwalterhaftung und Vertrag mit Schutzwirkung für Dritte nach neuem Schuldrecht, JUS, 42 Jahrg., Heft 9, 2002, 873 ff; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 37 და მომდევნო, 280 და მომდევნო.

[1112] იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 37 და მომდევნო, 280 და მომდევნო.

[1113] *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 391; 175; *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht unter Berücksichtigung des Contracts (Rights of Third Parties) Act 1999, Diss., Gießen, 2001, 157; *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter – zur Drittbegünstigung nach §328 BGB auf Mieterseite, 63. Jahrg., ZMR 2010, 813; *Hirth R.-A.,* Die Entwicklung der Rechtsprechung Zum Vertrag Mit Schutzwirkung Zugunsten

გარემოებამ, რომ დელიქტური ნორმების გამოყენება არახელსაყრელი იყო.[1114] ,,ხელშეკრულება მესამე პირის დამცავი ეფექტით უფრო ეფექტურად იცავს მესამე პირის უფლებებს, ვიდრე ამის მიღწევა დელიქტური მოთხოვნით იქნებოდა შესაძლებელი".[1115]

ორივე სახის ხელშეკრულება მოვალესა და მესამე პირს შორის წარმოშობს გულისხმიერების ვალდებულებას, მაგრამ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ,,მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით" ხელშეკრულებაში მესამე პირს არ წარმოეშობა პირველადი მოთხოვნის უფლება, ხელშეკრულების მხარისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის შესახებ, უშუალოდ მის მიმართ შესრულება არ ხორციელდება;[1116] მესამე პირი არ ხდება ხელშეკრულების მხარე,[1117] მაგრამ მესამე პირი ისეა ჩართული სახელშეკრულებო ზრუნვისა და გულისხმიერების დაცვის სფეროში,[1118] რომ მათი დარღვევისათვის მას შეუძლია სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.[1119]

იმისათვის, რომ ხელშეკრულების მხარის რისკები მესამე პირთან მიმართებით განუზომლად არ გაიზარდოს, სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: მესამე პირზე სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი ისევე უნდა მოქმედებდეს/აისახებოდეს, როგორც ხელშეკრულების მხარეზე (,,შესრულებასთან სიახლოვე"[1120]); ხელშეკრულების მხარეს (კრედიტორს) მესამე

Dritter in Ihrer Bedeutung Für Den Ausgleich Von Drittschäden Im Zahlungsverkehr, Berlin, 1991, 16 ff.; *Sutschet H.,* Der Schutzanspruch zugunsten Dritter, Diss., Berlin, 1999, 21; *Smode O.,* Die Haftung des Geschäftsführers der GmbH & Co. KG, unter besonderer Berücksichtigung des Vertrages mit Schutzwirkung zugunsten Dritter, Diss., Hamburg, 2005, 35 ff.

[1114] *Saar Ch.,* Grenzen des ,,vertraglichen Drittschutzes"-BGH, NJW 1996, 2927, JUS 2000, Heft 3, 221, 223.

[1115] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 38, 280.

[1116] *Saar Ch.,* Grenzen des ,,vertraglichen Drittschutzes"-BGH, NJW 1996, 2927, JUS 2000, Heft 3, 221; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 243, 107; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 37, 280.

[1117] *Petersen J.,* Der Dritte im Allgemeinen Schuldrecht, Jura, 2014(6), 580, 581.

[1118] *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter – zur Drittbegünstigung nach §328 BGB auf Mieterseite, 63. Jahrg., ZMR 2010, 813.

[1119] *Hornberger Th.,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - Teil I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015, 9; *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1206, 507; *Saar Ch.,* Grenzen des ,,vertraglichen Drittschutzes"-BGH, NJW 1996, 2927, JUS 2000, Heft 3, 221; იხ. ასევე, *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 243, 107; *Petersen J.,*Der Dritte im Allgemeinen Schuldrecht, Jura, 2014(6), 580, 581.

[1120] "Leistungsnähe", BGH NJW 2008, 2245; იხ. *Westermann P.,* Vertragliche Dritthaftung im neuen Schuldrecht, FS für Heinrich Honsell, Zürich, 2002, 140.

პირზე ზრუნვის ვალდებულება უნდა გააჩნდეს („კრედიტორთან სიახლოვე“[1121]) და მეორე მხარისთვის დაცულ მესამე პირთა წრე შეცნობადი უნდა იყოს („შეცნობადობა“[1122]); ასევე წინაპირობაა, რომ მესამე პირი უნდა საჭიროებდეს დაცვას,[1123] რაც სახეზე არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს ამ ურთიერთობაში საკუთარი სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს.[1124] უფრო კონკრეტულად, მესამე პირის დაცვის საჭიროება „მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით“ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში იმ შემთხვევაში არ წარმოიშობა, თუ მესამე პირს სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეც აქვს საკუთარი, იგივე მოცულობის მოთხოვნა (ტოლფასი) მოვალის ან შეპირების მიმღების მიმართ, რომლის განხორციელებითაც მესამე პირის ინტერესი სრულად დაიფარება.[1125] იგივე მოცულობის (ტოლფას) მოთხოვნაში იგულისხმება სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. „ამ კრიტერიუმის გამო, მაგ., ქვემოქირავნე არ არის ჩართული მთავარი ქირავნობის ხელშეკრულებით დაცულ სფეროში“.[1126] ქვემოქირავნე იმიტომ არ ხვდება (ძირითადი) ქირავნობის ხელშეკრულების დაცულ სფეროში, რომ მას ქვექირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე აქვს საკუთარი (იმავე სახის) მოთხოვნის უფლებები, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, საკუთარი ხელშეკრულების მხარის (გამქირავებლის) მიმართ, აქედან გამომდინარე მიჩნეულია, რომ ის არ საჭიროებს

[1121] “Gläubigernähe“, BGH NJW 1985, 489.

[1122] “Erkennbarkeit“, BGH NJW 1996, 2929; BGH, Urteil v.7.5.2009 – III ZR 277/08 (OLG Stuttgart), JZ, 2010, 414.

[1123] “Schutzbedürftigkeit des Dritten“, BGH NJW 2004, 3630.

[1124] *Petersen J.,* Der Dritte im Allgemeinen Schuldrecht, Jura, 2014(6), 580, 581; იხ. ასევე, *Petersen J.,* Die Drittwirkung von Schutzpflichten, Jura, 2013 (9), 893 ff; BGH, Urteil v.7.5.2009 – III ZR 277/08 (OLG Stuttgart), JZ, 2010, 414; *Saar Ch.,* Grenzen des „vertraglichen Drittschutzes“-BGH, NJW 1996, 2927, JUS 2000, Heft 3, 221; *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 457 ff., 209 ff; *Hirth R.-A.,* Die Entwicklung der Rechtsprechung Zum Vertrag Mit Schutzwirkung Zugunsten Dritter in Ihrer Bedeutung Für Den Ausgleich Von Drittschäden Im Zahlungsverkehr, Berlin, 1991, 58, 59; *Smode O.,* Die Haftung des Geschäftsführers der GmbH & Co. KG, unter besonderer Berücksichtigung des Vertrages mit Schutzwirkung zugunsten Dritter, Diss., Hamburg, 2005, 53 ff.; დაწვრილებით იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 42 და მომდევნო, 281 და მომდევნო.

[1125] იხ. *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019, Rn. 474, 475, 219.

[1126] *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 45, 282.

დაცვას.[1127] მესამე პირის დაცვის ვალდებულება ასევე შესაძლებელია წარმოიშვას წინასახელშეკრულებო ეტაპზე.[1128]

მაგალითად, დედა ბავშვთან ხელჩაკიდებული შედის მაღაზიაში, სადაც მაღაზიის თანამშრომელი თავისი უყურადღებო საქციელის გამო დააზიანებს ბავშვს. ამ შემთხვევაში ბავშვის მიმართ წარმოიშობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მაღაზიის მიერ (გსკ-ის 280-ე მუხლის საფუძველზე, გსკ-ის 311-ე მუხლის მეორე ნაწილთან ურთიერთკავშირში; სსკ-ის 317-ე მუხლის მეორე ნაწილი, სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი), შემდეგი გარემოებების გამო: ბავშვი, რომელიც არ არის ხელშეკრულების მხარე, მაღაზიაში თანამშრომლის მიერ სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულების დარღვევისას ისეთსავე საფრთხეში იმყოფება, როგორშიც დედა, რის გამოც ითვლება რომ სახეზეა ე.წ. ,,შესრულებასთან სიახლოვე". დედა (როგორც მაღაზიასთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარე) ვალდებულია იზრუნოს ბავშვზე (ზრუნვის ვალდებულება), მაშასადამე, სახეზეა ე.წ. ,,კრედიტორთან სიახლოვე", რაც მაღაზიის თანამშრომლისთვისაც შეცნობადი (,,შეცნობადობა") იყო. ამიტომ ბავშვიც საჭიროებს დაცვას, რადგან არ აქვს საკუთარი სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (თუმცა მას აქვს მოთხოვნის უფლება დელიქტური ვალდებულების საფუძველზე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იგულისხმება ბავშვისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ბავშვის სახელით მოთხოვნის უფლების განხორციელება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.). ამრიგად, სახეზეა ვალდებულებითი ურთიერთობა მესამე პირის დამცავი ეფექტით, სადაც მაღაზიის თანამშრომელმა ბრალეულად დაარღვია თავისი ვალდებულება გსკ-ის §278-ის შესაბამისად (სსკ-ის 396-ე მუხლი). ამიტომ, მაღაზია ვალდებულია აანაზღაუროს ბავშვის მიმართ მიყენებული ზიანი.[1129] მიჩნეულია, რომ ,,სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოცულია ასევე, ე.წ. „სუფთა სახით"[1130] ქონებრივი ზიანი, რომელიც დელიქტური მოთხოვნით,

---

[1127]BGHZ 70, 327, მითითებულია: *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter – zur Drittbegünstigung nach §328 BGB auf Mieterseite, 63. Jahrgang, ZMR 2010, 815.

[1128]*Petersen J.,* Die Drittwirkung von Schutzpflichten, Jura, 2013 (9), 893; *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 40, 280, 281.

[1129]*Petersen J.,* Der Dritte im Allgemeinen Schuldrecht, Jura, 2014(6), 581; იხ. ასევე, *Petersen J.,* Die Drittwirkung von Schutzpflichten, Jura, 2013 (9), 893, 894.

[1130]„სუფთა ქონებრივი ზიანის ქვეშ" მოიაზრება შემთხვევა, როდესაც დამზიანებლის ქმედება, მართალია, იწვევს დაზარალებულის ქონების შემცირებას, თუმცა ისე, რომ არ ხელყოფს მის

ჩვეულებრივ, მოცული არ არის. გარდა ამისა, დელიქტურ მოთხოვნაზე არ ვრცელდება მტკიცების ტვირთის შეტრიალება 394 I 2 მუხლის მიხედვით".[1131]

ასევე მაგალითად, გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს განმარტების შესაბამისად, ქირავნობის ხელშეკრულების დაცულ სფეროში[1132] ჩართულნი არიან პირები, რომლებიც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ქირავნობის საგანთან შემხებლობაში არიან.[1133] დაცულ სფეროში არიან ასევე ჩართულნი დამქირავებლის ოჯახის წევრები.[1134] ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, პირები ქირავნობის საგანთან შემხებლობაში იმ შემთხვევაში იქნებიან, თუ, მაგალითად, ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ დამქირავებლის გარდა დაქირავებული ფართით უნდა ისარგებლონ მესამე პირებმაც.[1135]

ქართულ სამართალში ,,მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით" ხელშეკრულების გამოყენება გერმანული სამართლის ანალოგზე (გსკ-ის §241 II[1136]) შესაძლებელია დაეფუძნოს კეთილსინდისიერების პრინციპსა და გულისხმიერების ვალდებულებას (სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი[1137], სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილი).

აბსოლუტურ სიკეთეებს (საკუთრება, მფლობელობა, სხეული, ჯანმრთელობა და ა. შ.)," იხ. *რუსიაშვილი გ.,* „სუფთა ქონებრივი ზიანი" – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019, 1.
,,სუფთა სახის ქონებრივი ზიანის" ცნების შესახებ დაწვრილებით იხ. იქვე, 1-9; იხ. ასევე, *სვანაძე ი.,* დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის, სამაგისტრო ნაშრომი, 2019, <https://openscience.ge/bitstream/1/1039/1/samagistro%20svanadze.pdf>.

[1131]*რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 38, 280.

[1132] დაცულ პირთა წრის შესახებ ვრცლად იხ. *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 47 და მომდევნო, 282 და მომდევნო.

[1133]BGH, JZ 1970, 375, მითითებულია: *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter - zur Drittbegünstigung nach §328 BGB auf Mieterseite, 63. Jahrgang, ZMR 2010, 815.

[1134] BGH NJW 1975, 867, BGHZ 77, 116 [124], მითითებულია: *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter - zur Drittbegünstigung nach §328 BGB auf Mieterseite, 63. Jahrgang, ZMR 2010, 815.

[1135] BGHZ 71, 175 = ZMR 1978, 337 [339]; vgl. Auch BGH, ZMR 1977, 180, მითითებულია: *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter - zur Drittbegünstigung nach §328 BGB auf Mieterseite, 63. Jahrgang, ZMR 2010, 815.

[1136] *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012, Rn. 1206, 507; *Palandt O., Grüneberg Ch.,* BGB, 78. Aufl., München, 2019, §328, Rn. 15, 566.

[1137]*რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 349, ველი 39, 280.

IX. დასკვნა

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიზნის სწორად რეალიზებისა და ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა შორის ინტერესთა ბალანსის დაცვისათვის დადგენილი უნდა იქნეს მესამე პირის ნების გამოვლენის ფარგლები. მესამე პირის ნების გამოვლენის საჭიროება უნდა დადგინდეს არა მხოლოდ ხელშეკრულების დადების, არამედ მისი შესრულებისა და დასრულების ეტაპზე.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ძირითადი დასკვნითი წინადადებების სახით:

1. ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივ პოზიციას მხარეთა ნება განსაზღვრავს. მესამე პირს შესაძლებელია მიენიჭოს ვალდებულების შესრულების დამოუკიდებლად მოთხოვნის უფლება, ან განისაზღვროს მხოლოდ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილ პირად. აღნიშნული განაპირობებს ამ ხელშეკრულების ორ სახედ კლასიფიკაციას, მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნით და მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.

2. მესამე პირის უფლებაზე (შესრულების მოთხოვნის უფლება) საუბარი შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში. რაც შეეხება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას, რადგან აქ მესამე პირს შესრულების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია და მხოლოდ შესრულების მიმღებ პირადაა განსაზღვრული, მისი ეს სტატუსი ვერ შეფასდება ,,უფლებად" უფლების ცნებიდან გამომდინარე. მესამე პირს ამ შემთხვევაში აქვს მხოლოდ და მხოლოდ შესრულების მიღების (და არა მოთხოვნის) უფლებამოსილება.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების მომწესრიგებელი ნორმა (349-ე მუხლი) ვერ უზრუნველყოფს დასახულ მიზანს, რადგან სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს ასეთი ხელშეკრულების არსს და მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას

წარმოშობს. მისი ამგვარი შინაარსით არსებობა, პრაქტიკაში ამ ხელშეკრულების არაერთგვაროვანი გამოყენების საფუძველს ქმნის.

- ასეთი ხელშეკრულების კლასიფიკაციის, მონაწილე სუბიექტების ძირითადი უფლება-მოვალეობების სრულყოფილად განსაზღვრისთვის **მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:**

მუხლი 349. ცნება

1. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეპირების მიმღები შემპირებელთან (მოვალე) შეთანხმებით, ხელშეკრულების საგნის შესრულების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს მესამე პირს, აღნიშნული ასევე შესაძლებელია გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან, ან ხელშეკრულების მიზნიდან ისე, რომ მესამე პირი უშუალოდ იძენს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას (დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება).

2. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეპირების მიმღები შემპირებელთან (მოვალე) შეთანხმებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს მესამე პირს, ასევე შესაძლებელია აღნიშნული გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან, ან ხელშეკრულების მიზნიდან ისე, რომ მესამე პირს ხელშეკრულების საგნის შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. მესამე პირისათვის შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს შეპირების მიმღებს (დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება).

4. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეპირების მიმღების უფლება - მესამე პირისათვის შესრულების მოთხოვნის უფლების მინიჭების შემთხვევაშიც კი ჰქონდეს შესაძლებლობა შემპირებლისაგან მესამე პირისათვის შესრულება მოითხოვოს. ამიტომ **მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 351[1] მუხლი:**

- **მუხლი 351[1]. შეპირების მიმღების მოთხოვნის უფლება**

თუ ხელშეკრულების მხარეთა ნებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, შეპირების მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელს თავად ეკუთვნის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

5. მესამე პირის ნების გამოვლენა ყველაზე ნაკლებად მის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების ეტაპზეა რეალიზებული, ვინაიდან მესამე პირი, ძირითადად, ნებას არ ავლენს ხელშეკრულების დადებისას. ის შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი ან იმავდროულად შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე პირი. მაგრამ, თუ მესამე პირის სასარგებლოდ იდება დაზღვევის ხელშეკრულება, პრაქტიკული თვალსაზრისით, მესამე პირის ნების გამოვლენა მის სასარგებლოდ ასეთი ხელშეკრულების დადების სტადიაზე ხშირ შემთხვევაში გახდება საჭირო.

6. ზოგადი წესის შესაბამისად, მესამე პირის მონაწილეობა მის სასარგებლოდ არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იწვევს გარიგების ფორმის სავალდებულოობას, მაგრამ მესამე პირის ნების გამოვლენა, კერძოდ, მისი თანხმობა აუცილებელია მის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლის/უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის (სსკ-ის 844-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 854 მუხლის მე-2 ნაწილი).

- ასევე, მიზანშეწონილია მესამე პირის სასარგებლოდ ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის მოთხოვნილი იქნეს მესამე პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა.
- კვლევის შედეგად დასაბუთებული იქნა ასევე, მესამე პირის სასარგებლოდ სანივთოსამართლებრივი გარიგების დადებისათვის მესამე პირის წერილობითი თანხმობის გათვალისწინების მიზანშეწონილობა.

7. გასაზიარებელია იურიდიულ დოქტრინაში არსებული მიდგომა, რომლის მიხედვით, მესამე პირი არ არის სავალდებულო ხელშეკრულების დადების მომენტში არსებობდეს. ამიტომ ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ჯერ კიდევ

დაუბადებელი ბავშვის, ასევე დაურეგისტრირებელი იურიდიული პირის სასარგებლოდ; მაგრამ მესამე პირისთვის გათვალისწინებული უფლება რეალიზდება მხოლოდ ბავშვის დაბადების, იურიდიული პირის რეგისტრაციის შემთხვევაში.

8. მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა თუ არა ამ პირის დასახელება (ე.ი. განსაზღვრა), მისი იდენტიფიკაცია და მისი თანხმობა, დამოკიდებულია კონკრეტული ხელშეკრულების თავისებურებაზე. ამიტომ სწორი იქნება ითქვას, რომ მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისათვის ზოგადი წესის შესაბამისად, საჭირო არ არის მესამე პირის თანხმობა ან მისი განსაზღვრა, საკმარისია, რომ ის განსაზღვრადი იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კანონით ან ხელშეკრულების არსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისებურება სწორედ იმაში ვლინდება, რომ ის, როგორც ახალი კრედიტორი, თავდაპირველი კრედიტორის ადგილს კი არ იკავებს, არამედ პირდაპირ მესამე პირს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთანავე, მესამე პირი არ ხდება ხელშეკრულების მხარე. მაგრამ მესამე პირი ხდება მის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. მესამე პირი ვერ სარგებლობს კრედიტორის ყველა უფლებით. კრედიტორის უფლებამოსილებები განაწილებულია მესამე პირსა და შეპირების მიმღებს შორის.

10. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება მის მონაწილეთა შორის წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს. რომლის აღსანიშნავად იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია შესაბამისი ტერმინები.

- შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის წარმოიშობა ,,სავალუტო ურთიერთობა“. ეს ურთიერთობა არის მიზეზი მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების, ხოლო სამართლებრივი საფუძველი მესამე პირის უფლებების წარმოშობისათვის უშუალოდ ,,პროპორციული ურთიერთობაა“, რომელიც წარმოიშობა შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის. სწორედ პროპორციულ ურთიერთობაზე აისახება მესამე პირის ნების გამოვლენის შედეგები.

- შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის არსებული ურთიერთობა დამოუკიდებელია ,,პროპორციული ურთიერთობისაგან“. შესაბამისად, მესამე პირისა და შეპირების მიმღების ნების გამოვლენა სავალუტო ურთიერთობაში, გავლენას ვერ მოახდენს პროპორციული ურთიერთობის შესრულებასა და ნამდვილობაზე; რადგან მათი ნების გამოვლენის შედეგი პირდაპირ არ აისახება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე. ამიტომ შემპირებელს არ შეუძლია მიუთითოს სავალუტო ურთიერთობის ნაკლზე თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლად. მაგრამ სავალუტო ურთიერთობის ნაკლი შეპირების მიმღებისათვის არის იმის საფუძველი, მოითხოვოს მესამე პირისაგან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულის დაბრუნება.
- შემპირებელსა და მესამე პირს შორის წარმოიშობა ,,შესრულების ურთიერთობა“, რომელსაც ვერ ეწოდება სახელშეკრულებო ურთიერთობა, მაგრამ ის სახელშეკრულებო ურთიერთობის მსგავსია, რაც შემპირებელსა და მესამე პირს აკისრებს გულისხმიერების ვალდებულებას. ამ ურთიერთობაში მესამე პირის ნებაა განმსაზღვრელი იმისათვის, შემპირებელი მის მიმართ განახორციელებს თუ არა შესრულებას.

11. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივ პოზიციას მხარეთა მიერ მესამე პირისათვის მინიჭებული სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრავს. რაც, თავის მხრივ, მესამე პირის უფლებამოსილებისა თუ მისი ნების გამოვლენის ფარგლების განმსაზღვრელია. სირთულეს წარმოშობს ის, რომ მხარეები, ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულებით პირდაპირ არ ითვალისწინებენ მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობის საკითხს. რაც საჭიროს ხდის ხელშეკრულების განმარტებას მისი არსისა და მიზნის განსაზღვრის საფუძველზე.

- ხელშეკრულება შესაძლოა არ ითვალისწინებდეს სპეციალურ დათქმას მესამე პირის სასარგებლოდ, მაგრამ აღნიშნული შესაძლებელია საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან დგინდებოდეს.

12. მესამე პირის მიერ უფლების შეძენასთან მიმართებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა წესით ხორციელდება მესამე პირის მიერ უფლების შეძენა და რა შემთხვევაში იძენს მესამე პირი ხელშეკრულებიდან უფლებას.

- მესამე პირის მიერ უფლების შეძენის წესის განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დადგინდეს მესამე პირის მიერ უფლების შეძენისათვის საჭიროა მისი ნების გამოვლენა, თუ მესამე პირს ხელშეკრულებიდან საკუთარი ნებისა და მოქმედების გარეშე წარმოეშობა უფლება.
- არ უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება მესამე პირის მიერ უფლების ნაწარმოები წესით შეძენის შესახებ.
- როდესაც მესამე პირის უფლება ხელშეკრულებაში თავდაპირველადვე განსაზღვრულია, ამ შემთხვევაში დაუსაბუთებელია მესამე პირის მიერ უფლების ნაწარმოებ შეძენაზე საუბარი. ასეთ დროს მესამე პირის მიერ უფლების შეძენა პირველადია (ორიგინალურია). განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, კვლევის შედეგად დასაბუთებული იქნა, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენა იმ შემთხვევებშიც პირველადი წესით ხორციელდება, როდესაც ხდება ხელშეკრულების მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად გარდაქმნა, შეპირების მიმღების უფლებამოსილების საფუძველზე შემდგომში ცალმხრივად მესამე პირის სარგებლის მიმღებად დასახელება, მესამე პირის მიერ უფლების შეძენა შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდეგ. რადგან არც ასეთ დროს გამომდინარეობს მესამე პირის უფლება შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებიდან. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენა ხდება პირდაპირ შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
- მესამე პირის მიერ უფლების „უშუალოდ“ შეძენა ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, ჯერ შეპირების მიმღები კი არ იძენს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას და შემდგომ ამ უფლებას გადასცემს მესამე პირს, არამედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე პირდაპირ მესამე პირს ენიჭება ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ხელშეკრულების დადებაში მესამე პირის მონაწილეობის გარეშე.

13. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტებისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს: მესამე პირის მიერ უფლების ,,უშუალოდ" შეძენა, უფლების ,,მაშინვე" შეძენა და უფლების საბოლოო ძალის მქონე შეძენა - მესამე პირის უფლების გაუქმების/შეცვლის უფლებამოსილება. ამიტომ, თუ დადგინდება, რომ მესამე პირმა უფლება უშუალოდ უნდა შეიძინოს, ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ მესამე პირს ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების დადებისთანავე (ე.ი. ,,მაშინვე") წარმოეშობა, ვინაიდან მის მიერ უფლების განხორციელება შესაძლებელია გარკვეული წინაპირობების დადგომასთან იყოს დაკავშირებული. თუ დადგინდება, რომ მესამე პირმა უფლება მაშინვე უნდა შეიძინოს, არც აღნიშნულიდან გამომდინარეობს თავისთავად, რომ მესამე პირის მიერ უფლების შეძენა საბოლოო ძალის მქონეა, ვინაიდან მხარეებს შესაძლოა ჰქონდეთ უფლებამოსილება მესამე პირის უფლების გაუქმების ან შეცვლის, მაგრამ ასეთ დროს უნდა დადგინდეს საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა.

- ხელშეკრულების განმარტებისას თითოეული საკითხი ხელშეკრულების მიზანთან ურთიერთკავშირში უნდა იქნეს შეფასებული.

14. მესამე პირი ხელშეკრულებიდან შეიძლება იძენდეს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას, რომელიც გაუქმებადია (გამოხმობადია), ან ისეთი დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას, რომელიც მხარეების ან შეპირების მიმღების მიერ გაუქმებას აღარ ექვემდებარება (გამოუხმობადია, საბოლოო ძალის მქონეა). მესამე პირის უფლება გამოუხმობადი მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც ეს ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. ასევე, შეპირების მიმღებმა ხელშეკრულებაში შეიძლება გააკეთოს დათქმა, რომ მესამე პირის უფლებას არ გამოიხმობს. მესამე პირის უფლება ჩაითვლება რომ გამოუხმობადია, თუ მისი გაუქმება არც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული და არც საქმის გარემოებებიდან/ხელშეკრულების მიზნიდან დადგინდება. ასეთ შემთხვევაში მესამე პირის უფლების გაუქმება/გამოხმობა მხოლოდ მესამე პირის თანხმობითაა შესაძლებელი.

- ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება გამოხმობადია თუ გამოუხმობადი, რათა განისაზღვროს მხარეებს მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა მისი ნების გამოვლენის (მისი თანხმობის) გარეშე შეუძლიათ თუ არა.

15. იმის შეფასებისათვის, ხელშეკრულებაში სპეციალური შეთანხმების არარსებობისას მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა შესაძლებელია თუ არა მესამე პირის თანხმობის გარეშე, გადამწყვეტი არ უნდა იყოს მესამე პირმა განაცხადა თუ არა თანხმობა, მისთვის მინიჭებული უფლებით სარგებლობის შესახებ. მესამე პირის მიერ უფლების მიღების თაობაზე ყოველთვის შეტყობინების განხორციელება ართულებს მესამე პირის სასარგებოდ დადებული ხელშეკრულების სტრუქტურას და, თავის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვას. მესამე პირს თავისუფალი ნების პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლია გამოხატოს თანხმობა უფლების მიღების შესახებ, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მხარეებს სპეციალური შეთანხმების არარსებობისას, საპატიო საფუძვლის გარეშე მესამე პირის თანხმობის გარეშე აღარ უნდა შეეძლოთ მისი უფლების გაუქმება ან შეცვლა, მაგრამ ასეთი თანხმობის არარსებობა არ უნდა იქცეს მესამე პირის უფლების გაუქმების/შეცვლის უპირობო საფუძვლად. თუ მესამე პირს მისთვის მინიჭებული უფლებით სარგებლობის თაობაზე თანხმობა გამოხატული არ აქვს, მისი თანხმობის გარეშე მესამე პირის უფლების გაუქმება შესაძლებელია თუ არა, ეს უნდა დადგინდეს საქმის გარემოებების, ვალდებულების არსის და ხელშეკრულების მიზნის საფუძველზე. მესამე პირის უფლების დაცვის სტანდარტის დადგენის მიზნისათვის კი გასაზიარებელია ხელშეკრულებით შეთანხმებული უფლებისადმი წარმოშობილი ნდობის გათვალისწინებაც.

16. მესამე პირის ინტერესის დაცვის უკეთესად უზრუნველყოფისა და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია მისი სრულყოფა. თუმცა იმ ფორმით, რომ ასეთი ხელშეკრულების ყველა მონაწილის ინტერესებს შორის დაცული იქნეს ბალანსი. ამ მიზნით მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

- **350-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს და იმავე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1[1]“ ნაწილი:**

1[1]. სპეციალური დათქმის არარსებობისას მესამე პირის თანხმობის გარეშე მისი უფლების გაუქმება ან შეცვლა მხარეთა მიერ არ დაიშვება, თუ მესამე პირი შემპირებელს ან შეპირების მიმღებს შეატყობინებს, რომ სურს ამ უფლებით სარგებლობა, ან თუ მესამე პირს უკვე მიღებული აქვს შესრულება, ან მას წარმოეშვა გონივრული ნდობა მისთვის მინიჭებული უფლებისადმი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მესამე პირის უფლების გაუქმება ან შეცვლა ხდება პატივსადები საფუძვლით. დასახელებული პირობების არარსებობისას საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე.

17. ასეთი ხელშეკრულების მხარეთა ინტერესთა ბალანსის დაცვის უზუნველსაყოფად, მიზანშეწონილია შეპირების მიმღების მიერ მესამე პირის შეცვლისათვის გათვალისწინებული იქნეს შემპირებლის პატივსადები ინტერესი, რისი არსებობაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს.

- **ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლის მეორე ნაწილი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

2. მხარეს, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, უფლება აქვს შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, თუ კონტრაჰენტი პატივსადები ინტერესიდან გამომდინარე უარს არ ამბობს თავდაპირველი მესამე პირის ნაცვლად დასახელებული სხვა მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე.

18. მესამე პირის ნების ავტონომიის დაცვის უზრუნველსაყოფად, კანონმდებელი მესამე პირს უფლებას ანიჭებს უარი თქვას ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე. მესამე პირის ნების გამოვლენა ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარის თქმის შესახებ გავლენას ახდენს შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე, იმ მხრივ, რომ მესამე პირის უარი ვალდებულების შესრულების ადრესატის ცვლილების ან შეიძლება საერთოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების საფუძველი გახდეს.

- როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით, ისე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში დგება საკითხი, თუ რა სახით უნდა გაგრძელდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის შემთხვევაში. ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლი ორივე შემთხვევას აწესრიგებდეს.
- ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარი მიზანშეწონილია ფორმათავისუფალი იყოს იმისათვის, რომ მესამე პირის უართან დაკავშირებული შედეგების წარმოშობა რეალურად დამოკიდებული არ გახდეს მესამე პირის ნებაზე, - დაიცავს თუ არა ის უარის თქმისათვის გათვალისწინებულ ფორმას. ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ არც მესამე პირს დაეკისროს უარის თქმისათვის ფორმის დაცვის ვალდებულება იმ ხელშეკრულების გამო, რომლის მიმართაც მას ინტერესი არ აქვს.
- მიზანშეწონილია გაზიარებული იქნეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოწესრიგება და დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირის უარის ადრესატად განხილული იქნეს შემპირებელი, იმის თავიდან ასაცილებლად, რომ მესამე პირის გამოუხმობადი უფლების გაუქმება შეპირების მიმღების მიერ რეალურად მესამე პირის ნების გარეშე არ მოხდეს, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემპირებელი დაცული იქნეს მომავალში მესამე პირის მიერ მოთხოვნის წარდგენის რისკისაგან. ამიტომ მესამე პირის შეზღუდვა უარის ადრესატით მესამე პირის უფლების დამატებით დამცავ მექანიზმადაც შეიძლება იქნეს განხილული. მესამე პირის უარის ადრესატად შემპირებლის განსაზღვრა შეპირების მიმღებსაც უმარტივებს მტკიცების ტვირთს იმის შესახებ, რომ მესამე პირმა ნამდვილად უარი თქვა შეძენილ უფლებაზე.
- დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, შესრულების მიღებაზე უარის შესახებ მესამე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის, განმსაზღვრელი არ უნდა იყოს ხელშეკრულების რომელ მხარესთან თქვა მან უარი, მთავარია, რომ მესამე პირის ნება უარის შესახებ რაიმე ფორმით გამოხატული იყოს შემპირებლის ან შეპირების მიმღების წინაშე. ამიტომ მისი უარის ადრესატად განხილული უნდა იქნეს შემპირებელი ან შეპირების

მიმღები იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანის მიმართ განაცხადებს მესამე პირი უარს.

- ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე მესამე პირის უარის ადრესატის სწორად დადგენის მიზნით, მესამე პირის უარის სამართლებრივი ბუნების, მხარეთა შორის მესამე პირის უარის შესახებ ურთიერთშეტყობინების ვალდებულების განსაზღვრის, მათ შორის შესრულების მიღების ვადის გადაცილების შედეგების რისკის განაწილების და რაც მთავარია, მესამე პირის უარის სამართლებრივი შედეგის სწორად განსაზღვრის უზრუნველსაყოფად, **მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:**

- **მუხლი 351. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე**

1. თუ მესამე პირი უარს ამბობს დამოუკიდებელი მოთხოვნით მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მან ასეთი უარის შესახებ უნდა განაცხადოს შემპირებლის მიმართ.

2. თუ მესამე პირი უარს ამბობს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზე, მან ასეთი უარის შესახებ უნდა განაცხადოს შემპირებლის ან/და შეპირების მიმღების მიმართ.

3. თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაშინ ითვლება, რომ ეს უფლება მესამე პირის მიერ არ ყოფილა შეძენილი.

4. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეპირების მიმღებს შეუძლია თავის სასარგებლოდ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ან ამ კოდექსის 350-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესით მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

5. ის მხარე, რომელთანაც მესამე პირმა უარი თქვა ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე, მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს.

6. თუ მესამე პირი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე უარს განაცხადებს შემპირებლის მიმართ, მაშინ ამ კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შედეგების რისკი დაეკისრება:

ა) შეპირების მიმღებს, თუ ამ უკანასკნელს მესამე პირის უარის შესახებ შემპირებელი დაუყოვნებლივ (ე.ი. ბრალეული დაყოვნების გარეშე) შეატყობინებს, ან თუ შემპირებელი დაამტკიცებს, რომ მისი ძალისხმევის მიუხედავად, ან კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეპირების მიმღების დაუყოვნებლივ ინფორმირება შეუძლებელი იყო.

ბ) შემპირებელს, შეპირების მიმღების მიმართ დაუყოვნებლივ შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეტყობინების დაყოვნება შემპირებლის ბრალით არ არის გამოწვეული.

- იმავდროულად საჭიროა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შემადგენლობა: ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შედეგების რისკი კრედიტორის ნაცვლად დაეკისრება მოვალეს ამ კოდექსის 351-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევაში.

- ამასთანავე, მიზანშეწონილია შეიცვალოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლის სათაურიც და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე/შესრულების მიღებაზე. ვინაიდან ამ მუხლით განმტკიცებული სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგდა მესამე პირის უარის შედეგი მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ორივე სახისათვის. 351-ე მუხლის სახელწოდება - ,,მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე“ - კი მხოლოდ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას ეხება.

- მესამე პირის უარი მის სასარგებლოდ შეპირებულ შესრულებაზე ავტომატურად არ იწვევს შეპირების მიმღებსა და შემპირებელს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის (პროპორციული ურთიერთობა) დასრულებას. თუ დასაშვებია, რომ თავდაპირველად დასახელებული მესამე პირი შეიცვალოს სხვა პირით, ან შესრულება განხორციელდეს თვითონ შეპირების მიმღების მიმართ, ვალდებულებითი ურთიერთობა ჩვეულებრივ განაგრძობს არსებობას, ისე როგორც თავდაპირველად განსაზღვრული მესამე პირი არასოდეს ყოფილიყოს შესრულების მოთხოვნის უფლების/შესრულების მიღების უფლებამოსილების მქონე. ასეთ დროს

მესამე პირის უარი ყველა შემთხვევაში ხდება ვალდებულების შესრულების ადრესატის ცვლილების საფუძველი. მაგრამ მესამე პირის უარი პროპორციული ურთიერთობის დასრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევს, თუ შესრულების განხორციელება სხვა მესამე პირის მიმართ არ არის შესაძლებელი, ან თუ შეპირების მიმღებს არ სურს თავის სასარგებლოდ განხორციელდეს შესრულება, ან თუ მხარეებს ხელშეკრულებით აქვთ განსაზღვრული, რომ მესამე პირის უარის შემთხვევაში უნდა დასრულდეს მათ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა.

- თუ მესამე პირის უარის გამო, საბოლოო ჯამში, პროპორციული ურთიერთობა უნდა დასრულდეს, მესამე პირის უარის გავლენა ამ ურთიერთობაზე მხოლოდ იმ შინაარსით უნდა იქნეს გაგებული, რომ არა მესამე პირის უარი, შესრულება განხორციელდებოდა. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე გავლენას ვერ მოახდენს პროპორციული ურთიერთობის ნამდვილობაზე.

19. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მონაწილეების მიერ **ვალდებულების დარღვევისას** განსხვავებულია მათი უფლება-მოვალეობები იმის მიხედვით, ვალდებულების დარღვევა ხდება პროპორციულ, სავალუტო თუ შესრულების ურთიერთობაში.

- მეორეული უფლებების განხორციელების საკითხი დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მხარეების მიერ მესამე პირის უფლებაზე არაპირდაპირი ზემოქმედების თვალსაზრისით, ასევე, მესამე პირის ნების გამოვლენის მოქმედების ფარგლების დადგენის მიზნით.

- პროპორციულ ურთიერთობაში შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევის დროს, შეპირების მიმღების მიერ მეორეული უფლებების განხორციელებისას, მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლები ხელშეკრულებაში მისი სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს. ის საკითხი, რომ მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება მის მიერ შესრულების მოთხოვნის უფლებას ნიშნავს, განყენებულად არ უნდა იქნეს გაგებული იმ თანმდევი უფლებებისაგან, რომელთაც შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოშობს, მაგრამ არც ისე, რომ მესამე პირს, კრედიტორის სრული უფლებები ენიჭება. რაც

განპირობებულია იმით, რომ მესამე პირის არის მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე და არა მხარე.

- შეპირების მიმღების მიერ მეორეული უფლებების განხორციელებისათვის საჭირო უნდა იყოს თუ არა მესამე პირის თანხმობა, ძირითადად იმის მიხედვით განისაზღვრება, გამოხმობადია თუ გამოუხმობადი მესამე პირის უფლება, მაგრამ ხელშეკრულებაში მესამე პირის სამართლებრივ პოზიციასთან ერთად განმსაზღვრელია იმ კონკრეტული უფლების სამართლებრივი ბუნება, რომელიც უნდა განხორციელდეს.

- როდესაც მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება აქვს და იმავდროულად მისი უფლება გამოუხმობადია, შეპირების მიმღების მიერ ისეთი მეორეული უფლებები, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობის გარდაქმნაზე ან შენარჩუნებაზე ახდენს გავლენას, მიზანშეწონილია განხორციელდეს მხოლოდ მესამე პირის თანხმობით. კერძოდ, მესამე პირის თანხმობას საჭიროებს შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მესამე პირის თანხმობა იქნება ასევე საჭირო, ალტერნატიულ მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელების უფლებისათვის. თუ მესამე პირს მიღებული შესრულების შენარჩუნების ინტერესი აქვს, შეპირების მიმღების მიერ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელებისათვის მესამე პირის თანხმობა არ იქნება საჭირო, მისი უფლება გამოუხმობადი რომც იყოს, რადგან აქ ვერ იკვეთება მესამე პირის ინტერესი. მესამე პირის თანხმობას არ საჭიროებს ასევე, შეპირების მიმღების მიერ დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლების განხორციელება, ვინაიდან დამატებითი შესრულება არის დამატებითი შესაძლებლობა მესამე პირის მიმართ შესრულების განხორციელებისათვის.

- იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება კი აქვს, მაგრამ ეს უფლება გამოხმობადია, შეპირების მიმღების მიერ მეორეული უფლებების განხორციელებისას არ უნდა იქნეს მოთხოვნილი მესამე პირის თანხმობა. ამ პოზიციისთვის არგუმენტი ისაა, რომ, როდესაც მესამე პირის უფლება/უფლებამოსილება გამოხმობადია, მისი გამოხმობა ისედაც შეუძლიათ მხარეებს. ამიტომ გამოხმობის გზით განხორციელდება მისი უფლების/უფლებამოსილების დაკარგვა თუ მეორეული უფლების განხორციელების

გზით, მესამე პირისათვის სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით გადამწყვეტი არ უნდა იყოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ მესამე პირის მიმართ შესრულება ჯერ არ განხორციელებულა ვერც მიღებული შესრულების შენარჩუნების ინტერესზე იქნება საუბარი. ამ წესიდან გამონაკლისად უნდა იქნეს განხილული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ასევე მეორეულ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება იმ შემთხვევისათვის, თუ მესამე პირს უკვე მიღებული აქვს შესრულება და არჩეული უფლების განხორციელება მიღებული შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულებას წარმოშობს.

- შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭიროა თუ არა მესამე პირის თანხმობა, განმსაზღვრელი უნდა იყოს არა მხოლოდ ის საკითხი, რომ მესამე პირის უფლება გამოხმობას ექვემდებარება, არამედ ვალდებულებითი ურთიერთობის ეტაპიც, კერძოდ ის, უკვე განახორციელა თუ არა შემპირებელმა შესრულება მესამე პირის მიმართ. თუ მესამე პირს უკვე მიღებული აქვს შესრულება, იმ შემთხვევაშიც კი, მისი უფლება/შესრულების მიღების უფლებამოსილება გაუქმებას რომ ექვემდებარებოდეს, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭირო უნდა იყოს მესამე პირის თანხმობა. აქ მოიაზრება როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით, ასევე ასეთი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება. ასეთ დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს მესამე პირის ნდობას შესრულებისადმი, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვა შეპირების მიმღების რისკის სფეროს მიეკუთვნებოდეს.

- **აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2[1] ნაწილი:**

2[1]. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში, შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას, შეპირების მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭიროა მესამე პირის თანხმობა, თუ მესამე პირის უფლება გამოხმობას არ ექვემდებარება ან თუ მესამე პირმა უკვე მიიღო შესრულება.

- შემპირებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას ისეთი მეორეული უფლებების, როგორიცაა: **ხელშეკრულებიდან გასვლა; ხელშეკრულების მოშლა; შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების; ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება,** განმახორციელებელი სუბიექტი უნდა იყოს შეპირების მიმღები, როგორც

ხელშეკრულების მხარე. როგორც გამოხმობადი, ისე გამოუხმობადი დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირს უნდა შეეძლოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლების განხორციელება და ამისათვის საჭირო არ უნდა იყოს მხარეების ან შეპირების მიმღების თანხმობა. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირს შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების, ასევე ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში ექნება, თუ ზიანი უშუალოდ მიადგება მესამე პირს. **სხვა მეორეული უფლების განხორციელება უშუალოდ მესამე პირს მაშინ უნდა შეეძლოს, თუ მას ასეთი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე აქვს მინიჭებული, ან თუ შეპირების მიმღები იქნება თანახმა. გამონაკლისია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რომლის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მისი განხორციელების უფლებით ისარგებლებს მხოლოდ ხელშეკრულების მხარე. მესამე პირის ინტერესი ვერ იკვეთება ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელებისადმი, ამიტომ ამ უფლებით ისარგებლებს შეპირების მიმღები.**

- რაც შეეხება თვით მესამე პირის მიერ მეორეული მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლებით სარგებლობის საკითხს, მესამე პირს მაშინ უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად განახორციელოს არჩევანი მეორეულ მოთხოვნათა შორის, თუ მას ასეთი უფლება ხელშეკრულებით აქვს მინიჭებული, ან თუ შეპირების მიმღები იქნება თანახმა. არჩეული მეორეული მოთხოვნის უფლების განხორციელება კი მესამე პირს იმ შემთხვევაში უნდა შეეძლოს, თუ მის მიერ ამ კონკრეტული მეორეული მოთხოვნის უფლებით სარგებლობა ზოგადად შესაძლებელია.
- მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ვალდებულების დარღვევით წარმოშობილი უფლებების მესამე პირზე და შეპირების მიმღებზე გადანაწილება ნათლად წარმოაჩენს იმ საკითხსაც, თუ რატომაა მიზანშეწონილი, რომ ამ უკანასკნელს ეწოდებოდეს შეპირების მიმღები და არა კრედიტორი, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებშია მითითებული.
- ამდენად, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირმა, შემპირებლის მიერ პროპორციულ ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მეორეული უფლების განხორციელების გზით სახელშეკრულებო ურთიერთობაზე

გავლენა შეიძლება მოახდინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმებულნი არიან, რომ მესამე პირს შეუძლია ისარგებლოს მეორეული უფლებებით (გარდა ხელშეკრულებიდან გასვლისა), ან თუ შეპირების მიმღები იქნება თანახმა და ამის შესახებ ეცნობება შემპირებელს.

- დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე მეორეული უფლების განხორციელების გზით გავლენას ვერ მოახდენს შეპირების მიმღების თანხმობის გარეშე, მისი უფლება გამოუხმობადი რომც იყოს. ხოლო შეპირების მიმღები, იმავე გზით, მესამე პირის თანხმობის გარეშე ვერ მოახდენს გავლენას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე, როდესაც მესამე პირის უფლება გამოუხმობადია.
- სახელშეკრულებო ურთიერთობაში შეცვლილი გარემოებების წარმოშობისას მესამე პირს უნდა მიენიჭოს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების, როგორც პირველადი მოთხოვნის განხორციელების უფლება.
- მესამე პირი ვერ ისარგებლებს შეცილების უფლებით. მესამე პირი ასევე გავლენას ვერ მოახდენს შეპირების მიმღების ან შემპირებლის მიერ შეცილების უფლების განხორციელებაზე სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპების უპირატესობიდან გამომდინარე.
- რაც შეეხება მესამე პირის უფლებამოსილების ფარგლებს, შეპირების მიმღების მიერ პროპორციულ ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემპირებლის მიერ უფლების განხორციელებისას ან სხვა სამართლებრივ საფუძველზე წარმოშობილი შესაგებლის წარდგენისას, მესამე პირი გავლენას ვერ მოახდენს შემპირებლის მიერ უფლების განხორციელებაზე.
- შემპირებლის ინტერესის სამართლიანად დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე შემპირებლის მიერ მესამე პირის სამართლებრივ პოზიციაზე ზემოქმედების ფარგლების განსასაზღვრად, მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც იქნეს გათვალისწინებული შემპირებლის მიერ მესამე პირის მიმართ შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობა ისე, როგორც ეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსითა და ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსითაა მოწესრიგებული.
- **ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 351²-მუხლი:**

მუხლი 351². შემპირებლის (მოვალის) შესაგებელი მესამე პირის მიმართ

შემპირებელს შეუძლია შეპირების მიმღებთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ისეთი შესაგებელი, რომლის წარდგენასაც ის შეძლებდა შეპირების მიმღების მიმართ, გამოიყენოს მესამე პირის მიმართაც.

- შემპირებელს არ შეუძლია სავალუტო ურთიერთობაში არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება მესამე პირის წინააღმდეგ. გამონაკლისია შემთხვევა, თუ სავალუტო ურთიერთობაა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ,,გარიგების საფუძველი", რამაც შესაძლოა წარმოშვას შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. გამონაკლისია ასევე, თუ შემპირებლის მიერ მესამე პირის მიმართ შესრულების ვალდებულება იმ შემთხვევისათვის განისაზღვრა, თუ სახეზე იქნებოდა სავალუტო ურთიერთობა, ან თუ სავალუტო ურთიერთობის არსებობა ან ამ ურთიერთობაში შეპირების მიმღების შესაგებელი მესამე პირის მიმართ (რაც მესამე პირის მოთხოვნის უფლების გაუქმებას გამოიწვევს) მხარეებმა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების გაუქმების პირობად დათქვეს.
- შემპირებელსა და მესამე პირს შორის არსებულ ურთიერთობაში გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა შესაძლოა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებდეს შემპირებელს ან მესამე პირს იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანის მიერ ხდება ამ ვალდებულების დარღვევა.

20. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას ის თავისებურება ახასიათებს, რომ **შეპირების მიმღების გარდაცვალება** შესაძლებელია გახდეს მესამე პირის მიერ უფლების შეძენის მომენტი, თუ შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას ეხება საქმე, ან - მის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების საფუძველი. აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინეს.

- შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დროსაც მესამე პირი შესრულების მოთხოვნის უფლებას იძენს, ჩვეულებრივ, შემპირებლისა და შეპირების მიმღების სიცოცხლის განმავლობაში დადებული ხელშეკრულებიდან და არა სამკვიდროდან.

- გარდაცვალების შემთხვევისათვის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მესამე პირს ხელშეკრულებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა წარმოეშობა უფლების შეძენის მომენტიდან.

იმისათვის, რომ დაკონკრეტებული იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტში მითითებული განმარტების წესი მესამე პირის მიერ შესრულების მოთხოვნის უფლების შეძენის მომენტთან მიმართებით, **მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 351³-ე მუხლი:**

- **მუხლი 351³. ვალდებულების შესრულება გარდაცვალების შემდეგ**

თუ ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ უნდა განხორციელდეს შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდეგ, მიიჩნევა, რომ მესამე პირი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას იძენს შეპირების მიმღების გარდაცვალებით, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

- ქართულ სამართალში, განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, მესამე პირის დაბადებამდე შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში, არ არსებობს მესამე პირის დაცვის სტანდარტი. მესამე პირის დაბადებამდე შეპირების მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში მესამე პირის უფლების დაცვა მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო მოწესრიგების არსებობის პირობებშია შესაძლებელი.
- მესამე პირის გარდაცვალება უპირობოდ გავლენას არ მოახდენს მის სასარგებლოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნებაზე. ის საკითხი, მესამე პირის გარდაცვალების შემთხვევაში შეპირების მიმღებმა შეიძლება თუ არა საკუთარი თავის სასარგებლოდ მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება ან მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით, უნდა დადგინდეს კონკრეტული სახელშეკრულებო შეთანხმებისა და სამართლებრივი ურთიერთობის არსიდან გამომდინარე.

21. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება განსხვავდება ისეთი ინსტიტუტებისაგან როგორიცაა: გარიგებისმიერი წარმომადგენლობა; მოთხოვნის დათმობა; სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; მესამე პირისათვის დამზღვევის მიერ სადაზღვევო საზღაურის მოთხოვნის უფლების გადაცემა; ლიზინგის

ხელშეკრულება; გადაზიდვის ხელშეკრულება; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება; ხელშეკრულება „მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით“.

- თითოეულ შემთხვევაში არსებობს კვეთა მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მონაწილე მესამე პირისა და იმ მესამე პირის უფლებამოსილებებს შორის, რომლის მონაწილეობის გამოც ყოველი ზემოაღნიშნული ურთიერთობა ემსგავსება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას; მაგრამ ძირითად განსხვავებას კონკრეტული ხელშეკრულებისაგან განაპირობებს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნების ცალკეული ელემენტი, მიზანი, მესამე პირის უფლებამოსილებები, მხარეთა ნების გამოვლენის მიზანი, ასევე მონაწილე სუბიექტების ურთიერთობის საფუძვლებს შორის განსხვავება. ამდენად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული ყველა ის ხელშეკრულება, სადაც სამი პირი მონაწილეობს.

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

ნორმატიული მასალა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, პარლამენტის უწყებანი, 24/07/1977, სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“);

საქართველოს კანონი ,,დაზღვევის შესახებ“ (2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, პარლამენტის უწყებანი, 02/05/1997, სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“);

საქართველოს კანონი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2021 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, პარლამენტის უწყებანი, 28/12/2011, სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“);

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს 2017 წლის 28 ივნისის კანონი №1115 - ვებგვერდი, 10.07.2017, (განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე)
(<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/150592?>).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1965,
(<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/132811/1/Saqartvelos_Ssr_Samoqalaqo_Samartlis_Kodeqsi.pdf>);

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჭეჭელაშვილი ზურაბ (მთარგმნელი), ჩაჩანიძე ეთერ (რედაქტორი), დარჯანია თორნიკე (რედაქტორი), თბილისი, 2019.
ციტირებულია: გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), თბილისი, 2019;

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, (2016 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით), თარგმანი ინგლისური ენიდან, მთარგმნელი და რედ., ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბილისი, 2017.
ციტირებულია: კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, *ჭეჭელაშვილი ზ.,* (მთარგმნელი), თბილისი, 2017.

ქართულენოვანი ლიტერატურა:

ამირანაშვილი გიორგი, გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2018;

ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა ,,სამართალი", თბილისი, 1999;

ბაჩიაშვილი ვახტანგ, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2008;

გაბიჩვაძე შორენა, საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2012;

გაბიჩვაძე შორენა, სატრანსპორტო ექსპედიციის სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი", №3(42)'14;

გაბისონია ზვიად, საბანკო სამართალი, მე-2 გადამუშავებული და განვრცობილი გამოცემა, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო", თბილისი, 2017.
ციტირებულია: *გაბისონია ზ.,* საბანკო სამართალი, თბილისი, 2017;

გელაშვილი ირმა, ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2012;

გვარამია ლევან, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. ,,სამართალი" №10-11-12, 2000;

გვარამია ლევან, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა (შედარებით-სამართლებრივი დახასიათება), ჟურნ. ,,სამართალი" №6-7, 1999.
ციტირებულია: *გვარამია ლ.,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა, ჟურნ. ,,სამართალი" №6-7, 1999;

ერქვანია თათა, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით) ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი“ №3(34)’12.
ციტირებულია: *ერქვანია თ.,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი“ №3(34)’12;

ვაშაკიძე გიორგი, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, სიესტა, თბილისი, 2010;

ვოლფი მანფრედ, ველენჰოფერი მარინა, მთარგმნელი და რედაქტორი ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, 29-ე გადამუშავებული გამოცემა, 2014, გამომცემელი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, თბილისი, 2016.
ციტირებულია: *ვოლფი მ, ველენჰოფერი მ., ჭეჭელაშვილი ზ.* (მთარგმნელი და რედ.), 29-ე გამოცემა, სანივთო სამართალი, თბილისი, 2016;

ზარანდია თამარ, ვალდებულების შესრულების ვადა, ჟურნ. ,,ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2001;

ზარანდია თამარ, ჯუღელი თეა, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი“, №4(11)’06;

ზოიძე ბესარიონ, ბურდული ირაკლი, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია, პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები, თბილისი, 2018.
ციტირებულია: *ზოიძე ბ., ბურდული ი.,* თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2018;

ზოიძე ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.
ციტირებულია: *ზოიძე ბ.,* ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005;

ზოიძე ბესარიონ, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბილისი, 2003.
ციტირებულია: ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003;

ზოიძე თამარ, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა, №2, 2019;

თუმანიშვილი გიორგი, ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, თბილისი, 2012;

იოსელიანი ნინო, ხელშეკრულების განმარტება, თბილისი 2008;

ირემაშვილი ქეთევან, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2016;

ირემაშვილი ქეთევან, ჯანმრთელობის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი, ,,სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისი, 2011;

კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
ციტირებულია: *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009;

კიკოშვილი სოფიო, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008;

კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, I, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001;

კროფჰოლერი იან, ფლორიან იაკობ, ჰინდენ მიხაელ ფონ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თარგმანი (მთარგმნელები: დარჯანია თორნიკე, ჭეჭელაშვილი ზურაბ) სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014.
ციტირებულია: *კროპჰოლერი ი.,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014;

ლეგაშვილი დარია, დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი №2, 2016;

ლეგაშვილი დარია, შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, სამართლის ჟურნალი №2, 2013;

მაჭარაძე მირანდა, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა - განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოშვება, 2008.

ციტირებულია: *მაჭარაძე მ.,* ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა - განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2008;

მოწონელიძე ნატალია, სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2015;

რუსიაშვილი გიორგი, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019, 1-9;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <gccc.ge>, კომენტარის დამუშავების თარიღი, მუხლი, ველის ნომერი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <civilprocedure.ge>
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ონლაინ კომენტარი, <civilprocedure.ge>, კომენტარის დამუშავების თარიღი, მუხლი, ველის ნომერი.

ქერაშვილი სალომე, ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე: ევროპული გამოცდილების მნიშვნელობა ქართული სამართლისათვის, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2018.
ციტირებულია: *ქერაშვილი ს.,* ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე, დის. თბილისი 2018;

ქოჩაშვილი ქეთევან, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), ,,სამართლის ჟურნალი“ №2, 2016;

შოთაძე თამარ, სანივთო სამართლი სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბილისი, 2014.
ციტირებულია: *შოთაძე თ.,* სანივთო სამართლი, თბილისი, 2014;

ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2010;

ჩიტაშვილი ნათია, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2014;

ხეცურიანი ჯონი, ჯორბენაძე სერგო (რედ.), სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995.
ციტირებულია: ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბილისი, 1995;

ყურუა ნანა, ცესია ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. ,,სამართალი“ №11, 2001;

შენგელია ეკატერინე, ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები, რომან შენგელიას საიუბილეო კრებული, გამომცემლობა ,,სამართალი“, თბილისი, 2012;

ჩიტოშვილი თამარ, უსაფუძვლო გამდიდრებისას დავალებისა და მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე შესრულების შედეგები, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება და კანონი“ №2(29)’11;

ჩიტოშვილი თამარ, ვალდებულებით-სამართლებრივი და სანივთო-სამართლებრივი უფლებების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. ,,მართლმსაჯულება“ №1, 2007;

ცვაიგერტი კორნარდ, კოტცი ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, 146;

ცისკაძე მარიამ, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001;

ძლიერიშვილი ზურაბ, ვალდებულების შესრულება, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბილისი, 2006;

ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, ჯუღელი გიორგი (რედ.) სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბილისი, 2014.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014;

ძლიერიშვილი ზურაბ, ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ჟურნ. ,,ქართული სამართლის მიმოხილვა“ 5/2002-4;

ჭანტურია ლადო (რედ.), ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019;

ჭანტურია ლადო (რედ.), ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბილისი, 2018.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018;

ჭანტურია ლადო (რედ.), ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017;

ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა ,,სამართალი", თბილისი, 2011;

ჭანტურია ლადო (რედ.), ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, ახვლედიანი ზურაბ, ჯორბენაძე სერგო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2002.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2002;

ჭანტურია ლადო (რედ.), ზოიძე ბესარიონ, ახვლედიანი ზურაბ, ჯორბენაძე სერგო, ხეცურიანი ჯონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გამომცემლობა ,,სამართალი", თბილისი, 1999.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 1999;

ჭანტურია ლადო (რედ.), ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, თბილისი 2001.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001;

ჭანტურია ლადო (რედ.), ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი 2001.

ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001;

ჭეჭელაშვილი ზურაბ, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის მაგალითზე), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010;

ჭეჭელაშვილი ზურაბ, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2008;

ჯორბენაძე სერგი, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2016;

ჯორბენაძე თათია, მოთხოვნის გადასვლა ექსპედიციისა და ლიზინგის ხელშეკრულებაში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2019;

ჯორბენაძე თათია, გეგენავა დიმიტრი (რედ.), მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება - სირთულე სასამართლო პრაქტიკაში, საიუბილეო გამოცემა, ლადო ჭანტურია 55, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018.
ციტირებულია: *ჯორბენაძე თ.,* მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება - სირთულე სასამართლო პრაქტიკაში, ლადო ჭანტურია 55, 2018.

დამხმარე სახელმძღვანელოები:

გაბრიჩიძე გაგა, კალანდაძე ლაშა, მანჯგალაძე მანანა, მიგრიაული როინ, ხუჭუა ნინა, პაპუაშვილი შალვა (რედ.), ფხაკაძე ქეთევან (რედ.), ჩაჩანიძე ეთერ (რედ.), იურიდიული ლექსიკონი, გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული, თბილისი, 2012;

კაპანაძე ნუნუ., კვაჭაძე მარინა., ჭანტურია ლადო (რედ), ტაბიძე მანანა (რედ.), ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, თბილისი, 2008;

თოფურია ვარლამ, გიგინეიშვილი ივანე, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შევსებული გამოცემა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამომცემლობა ,,განათლება“ თბილისი, 1998;

თვალთვაძე დარეჯან, გაფრინდაშვილი ნანა, გოგოლაშვილი გ. (რედ.), იმნაიშვილი ვ., ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, მესამე შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2016.

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, განჩინებები, მნიშვნელოვანი განმარტებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, განჩინებები, მნიშვნელოვანი განმარტებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის №ას-134-134-2018 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 ივლისის №ას-613-572-2017 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის №ას-570-541-2014 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის №ას-322-307-2016 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის №ას-963-921-2013 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის №ას-3გ/ად-185-კ-03 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის №ას-349-332-2015 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივნისის №ას-229-216-2015 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ივლისის №ას-688-654-2015 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 ნოემბრის №ას-528-501-2015 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-670-636-2015, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი _ 2015 წელი), საქართველოს უზენაესი სასამართლო ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება, თბილისი, 2017.

ციტირებულია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-670-636-2015, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი _ 2015 წელი), თბილისი, 2017 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-samoqalaqo.pdf>, [23.01.2020];

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მნიშვნელოვანი განმარტება №ას-1144-1090-2014 საქმეზე;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 აპრილის №ას-329-313-2013 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის №ას-623-586-2012 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის №ას-195-184-2011 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივლისის №ას-796-850-2011 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 05 სექტემბრის №ას-127-124-2011 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 03 ოქტომბრის № ას-824-876-2011 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის №ას-995-1028-2011 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის №ას-718-673-2010 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მნიშვნელოვანი განმარტება 2009 წლის 11 ივნისის №ას-792-1007-08 საქმეზე;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის №ას-584-891-09 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის №ბს-1115-1066(კ-07) განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის №ბს-1072-1022(კ-06) განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 27 იანვრის №ას-479-806-05 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის №ბს-1259-1064-კ-04 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 19 მარტის №3კ-1492-02 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 16 აპრილის №3გ-ად-537-კ-02 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 18 ივნისის №3კ-313-03 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 19 ივნისის №3გ-ად-44-კ-03 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 9 ოქტომბრის № 3გ/ად-185-კ-03 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 9 ოქტომბრის №3გ-ად-40-კ-03 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბერის №3კ/804-01 განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მარტის №3ბ/1784-17 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის №3ბ/987-17 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის №2ბ/5180-14 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის №2ბ/1339-07 გადაწყვეტილება.

უცხოენოვანი ნორმატიული მასალა:

Allgemeines bürgerliches Gesetzbuch (ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსი), 2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, <https://www.jusline.at/gesetz/abgb>, [12.01.2010];

Bürgerliches Gesetzbuch (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი), 2019 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, <https://www.gesetze-im-internet.de/bgb/>, [16.12.2019];

Gesetz über den Versicherungsvertrag (Versicherungsvertragsgesetz - VVG), (,,დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ“ კანონი), 2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, <https://www.gesetze-im-internet.de/vvg_2008/>, [21.01.2020];

Schweizerisches Zivilgesetzbuch (შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი), 2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, (Bundesgesetz betreffend die Ergänzung des Schweizerischen Zivilgesetzbuches (Fünfter Teil: Obligationenrecht), <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/19110009/index.html>, [29.01.2020];

Allgemeines Landrecht für die Preußischen Staaten (01.06.1794), პრუსიის საერთო სამართლის კოდიფიკაცია <https://opinioiuris.de/quelle/1622>, [16.12.2019];

The Contracts (Rights of Third Parties) Act 1999 (,,ხელშეკრულებების (მესამე პირის უფლებების) შესახებ“ ინგლისის 1999 წლის აქტი),

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1999/31/contents>, [16.12.2019];

Гражданский кодекс Российской Федерации (ГК РФ), (რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი), 2019 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით) <http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_5142/629356cc68c0bf9ac272d206afbb0a14efcf0810/>, [18.12.2019].

უნიფიცირებული სამართლებრივი აქტები:

The Principles of European Contract Law (PECL) <http://www.christiantakoff.com/wp-content/uploads/soft_law/pecl_komplett_EN_DE.pdf>, [14.12.2019], („ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“);

The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (UPICC) <https://www.unidroit.org/german/principles/contracts/principles2004/blackletter2004.pdf>, [16.12.2019], („საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების შესახებ უნიდროას პრინციპები)“ .

უცხოენოვანი ლიტერატურა:

გერმანულ ენაზე:

Ahlefeldt Friedrich von, Der Vertrag zugunsten Dritter unter besonderer Berücksichtigung der Rechtsprechung, Dissertation, Hamburg, 1938;

Bamberger Heinz Georg (Hrsg.), Roth Herbert (Hrsg.), Hau Wolfgang (Hrsg.), Poseck Roman (Hrsg.), Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 4. Auflage, München 2019.
ციტირებულია: *Bamberger H., კომენტარის ავტორი,* BGB, 4. Aufl., München, 2019;

Bamberger Heinz Georg, Roth Herbert, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 3. Auflage, München 2012.
ციტირებულია: *Bamberger H., კომენტარის ავტორი,* BGB, 3. Aufl., München, 2012;

Baur Fritz, Baur Jürgen, Stürner Rolf, Sachenrecht, 18., neu bearbeitete Auflage, München, 2009;

Bayer Walter, Der Vertrag zugunsten Dritter, Neuere Dogmengeschichte – Anwendungsbereich – Dogmnatische Strukturen, Tübingen: Mohr, 1995
ციტირებულია: *Bayer W.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Tübingen, 1995;

Below Karl-Heinz, Bürgerliches Recht, Schuldrecht, Besonderer Teil, Wiesbaden 1978;

Bettermann Karl August, Verpflichtungsermächtigung und Vertrag zu Lasten Dritter, JZ, 1951;

Bischof Felix, Luise Reichert, Rücktritt zu dritt Die Rückabwicklung eines echten Vertrages zugunsten Dritter, Zeitschrift für das Juristische Studium, 5/2018, <www.zjs-online.com>, [16.01.2020];

Brehm Wolfgang, Berger Christian, Sachenrecht, 3., überbearbeitete Auflage, Tübingen, 2014;

Brieskorn Konstanze, Vertragshaftung und responsabilité contractuelle, Ein Vergleich zwischen deutschem und französischem Recht mit Blick auf das Vertragsrecht in Europa, Dissertation, Tübingen, 2010.
ციტირებულია: *Brieskorn K.,* Vertragshaftung und responsabilité contractuelle, Diss., Tübingen, 2010;

Brömmelmeyer Christoph, Schuldrecht, Allgemeiner Teil, München, 2014;

Brox Hans, Walker Wolf-Dietrich, Allgemeines Schuldrecht, 39., aktualisierte Auflage, München, 2015;

Canaris Claus-Wilhelm, Der Bereicherungsausgleich im Dreipersonenverhältnis, Festschrift für Karl Larenz zum 70. Geburtstag, München, 1973.
ციტირებულია: *Canaris C.-W.,* Der Bereicherungsausgleich im Dreipersonenverhältnis, FS für Karl Larenz, München, 1973;

Christandl Gregor, Der Vertrag zugunsten Dritter im Entwurf für ein neues spanisches Schuldrecht im Spiegel des europäischen Vertragsrechts, ZEuP 2012;

Dauner-Lieb Barbara (Hrsg.), Heidel Thomas (Hrsg.), Ring Gerhard (Hrsg.), Nomoskommentar, BGB, Schuldrecht, Band 2/1, 3. Auflage, Baden-Baden 2016.
ციტირებულია: *Dauner L.,* კომენტარის ავტორი, NK-BGB, 3. Aufl., Baden-Baden, 2016;

Dauner-Lieb Barbara (Hrsg.), Langen Werner (Hrsg.), Heidel Thomas, Ring Gerhard, Anwaltkommentar, BGB, Band 2, Schuldrecht, Bonn, 2005.
ციტირებულია: *Dauner L.,* კომენტარის ავტორი, AnwK-BGB, Bonn, 2005;

Dniestrzanski Stanislaus, Die Aufträge zugunsten Dritter, eine civilistische Untersuchung mit besonderer Berücksichtigung des österreichischen und deutschen bürgerlichen Gesetzbuchs. Erster Band. Grundlegung, Leipzig, 1904.
ციტირებულია: *Dniestrzanski S.,* Die Aufträge zugunsten Dritter, Leipzig, 1904;

Elfring Claus Michael, Drittwirkungen der Lebensversicherung, Eine systematische Darstellung der Zuwendungsproblematik beim Lebensversicherungsvertrag mit Bezugsberechtigung eines Dritten, Dissertation, Karlsruhe, 2003.
ციტირებულია: *Elfring C. M.,* Drittwirkungen der Lebensversicherung, Diss., Karlsruhe, 2003;

Erman Walter, Westermann Harm Peter (Hrsg.), Grunewald Barbara (Hrsg.), Maier-Reimer Georg, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, Band I, 15., neubearbeitete Auflage, 2017.
ციტირებულია: *Erman W., Westermann H.,* BGB, Handkommentar, 15. Aufl., Köln, 2017;

Erman Walter, Westermann Harm Peter (Hrsg.), Grunewald Barbara (Hrsg.), Maier-Reimer Georg, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 14., neubearbeitete Auflage, Köln, 2014.
ციტირებულია: *Erman W., Westermann H.,* Handkommentar, 14. Aufl., Köln, 2014;
Eckert Jörn, Schuldrecht, Besonderer Teil, Kiel 2000;

Ernst Astrid, Schuldrecht Besonderer Teil I, München1998;

Gernhuber Joachim, Das Schuldverhältnis, Begründung und Änderung Pflichten und Strukturen Drittwirkungen, Handbuch des Schuldrechts, Tübingen, 1989.
ციტირებულია: *Gernhuber J.,* Das Schuldverhältnis, Tübingen, 1989;

Gronemeyer Achim, Der Vertrag zugunsten Dritter im englischen Common Law, Das mit der Privity of Contract einhergehende Verbot des Vertrages zugunsten Dritter unter Berücksichtigung des Contracts (Rights of Third Parties) Act 1999 und seiner Auswirkungen auf die bestehende Rechtslage, Dissertation, Frankfurt am Main, 2009.
ციტირებულია: Gro*nemeyer A.,* Der Vertrag zugunsten Dritter im englischen Common Law, Diss., Frankfurt am Main, 2009;

Franck Gunnar, Der Direktanspruch gegen den Haftpflichtversicherer, Eine rechtsvergleichende Untersuchung zum deutschen und skandinavischen Recht, Dissertation, Hamburg, 2014.
ციტირებულია: *Franck G.,* Der Direktanspruch gegen den Haftpflichtversicherer, Diss., Hamburg, 2014;

Graffenried Caroline von, Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen: ein Beitrag insbesondere zum Vertrag zugunsten Dritter (Art. 112 OR), zum Vertrag mit Schutzwirkung zugunsten Dritter und zur Drittschadensliquidation im schweizerischen Recht, Dissertation, Stämpfli Verlag AG, Bern, 2019.
ციტირებულია: *Graffenried C.,* Schadloshaltung des Dritten in zweivertraglichen Dreiparteienverhältnissen, Diss., Bern, 2019;

Hadding Walther, Schuldverhältnis und Synallagma beim Vertrag zu Rechten Dritter, Festschrift für Joachim Gernhuber, zum 70. Geburtstag, Hrsg.: Lange Hermann; Nörr Wolfgang Knut; Westermann Peter Harm, Tübingen, 1993.
ციტირებულია: *Hadding W.,* Schuldverhältnis und Synallagma beim Vertrag zu Rechten Dritter, FS für Joachim Gernhuber, Tübingen, 1993;

Hadding Walter, Der Bereicherungsausgleich beim Vertrag zu Rechten Dritter, Habilitationsschrift, Tübingen, 1970;

Hammen Horst, Zur Begründung von (organschaftlichen) Rechten Dritter im Gesellschaftsvertrag einer GmbH, - Zugleich ein Beitrag zur Anwendung von § 328 Abs. 1 BGB im Kapitalgesellschaftsrecht, WM 1994.
ციტირებულია: *Hammen H.,* Zur Begründung von (organschaftlichen) Rechten Dritter im Gesellschaftsvertrag einer GmbH, WM 1994;

Harder Manfred, Zuwendungen unter Lebenden auf den Todesfall, Berlin, 1968;

Hassold Gerhard, Zur Leistung im Dreipersonenverhältnis - Anweisung und Vertrag zugunsten Dritter als Modell, Habbilitationsschrift, München, 1981.
ციტირებულია: *Hassold G.,* Zur Leistung im Dreipersonenverhältnis, München, 1981;

Hirth René-Alexander, Die Entwicklung der Rechtsprechung Zum Vertrag Mit Schutzwirkung Zugunsten Dritter in Ihrer Bedeutung Für Den Ausgleich Von Drittschäden Im Zahlungsverkehr, Berlin, 1991;

Hirtsiefer Wilhelm, Unterschied zwischen echtem und unechtem Vertrag zugunsten Dritter: unter besonderer Berucksichtigung der Rechtsprechung des Reichsgerichts, Inaugural-Dissertation, Köln, 1935.
ციტირებულია: *Hirtsiefer W.,* Unterschied zwischen echtem und unechtem Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1935;

Hopt J. Klaus, Kumpan Christoph, Merkt Hanno, Roth Markus, Baumbach Adolf, Handelsgesetzbuch, Kommentare, Band 9, 36., neubearbeitete Auflage, 2014.
ციტირებულია: *Hopt J., Kumpan Ch., Merkt H., Roth M., Baumbach A.,* HGB Kommentare, B. 9, 36. Aufl., 2014;

Hornberger Thomas, Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - Teil I, 47. Jahrgang, Regensburg, JA, 2015.
ციტირებულია: *Hornberger,* Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - T. I, 47. Jahrg., Regensburg, JA, 2015;

Hornberger Thomas, Grundfälle zum Vertrag zugunsten Dritter - Teil II, 47. Jahrgang, Regensburg, JA, 2015;

Hinz Robert, Frachtvertrag und Frachtführerhaftung, eine Darstellung von Frachtvertag und frachtvertraglicher Haftung für Güterß und Verspätungsschäden im System des Allgemeinen Schuldrechts, Band 5, Hamburg 2005.
ციტირებულია: *Hinz R.,* Frachtvertrag und Frachtführerhaftung, Band 5, Hamburg 2005;

Hirsch Christoph, Schuldrecht Allgemeiner Teil, 10. Auflage, Saarbrücken, 2017;

Hirsch Christoph, Schuldrecht Allgemeiner Teil, 9. Auflage, Saarbrücken, 2015;

Jauernig Othmar, Stürner Rolf (Hrsg.), Berger Christian, Mansel Heinz-Peter, Stürner Rolf, Christine Budzikiewicz, Stadler Astrid, Teichmann Arndt, Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar, 17. Auflage, München 2018.
ციტირებულია: *Jauernig O., კომენტარის ავტორი,* BGB, 17. Aufl., München, 2018;

Jauernig Othmar, Stürner Rolf (Hrsg.), Berger Christian, Mansel Heinz-Peter, Stürner Rolf, Christine Budzikiewicz, Stadler Astrid, Teichmann Arndt, Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar 16. neubearbeitete Auflage, München 2015.
ციტირებულია: *Jauernig O., კომენტარის ავტორი,* BGB, 16. Aufl., München, 2015;

Jauernig Othmar, Stürner Rolf (Hrsg.), Berger Christian, Mansel Heinz-Peter, Stadler Astrid, Stürner Rolf, Teichmann, Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar 15. neubearbeitete Auflage, München 2014;
ციტირებულია: *Jauernig O., კომენტარის ავტორი, ,* BGB, Kommentar, 15. Aufl., München, 2014;

Jesser-Huß, Münchener Kommentar zum HGB, 3. Auflage 2014;

Joussen Jacob, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 4., überarbeitete Auflage, Stuttgart, 2017;

Joussen Jacob, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 3., überarbeitete Auflage, Stuttgart, 2015;

Jürgen Hörstmann, Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Ein Beitrag zur Dogmatik des echten Vertrages zugunsten Dritter, Inaugural-Dissertation, Münster, 1983.
ციტირებულია: *Jürgen H.,* Der echte Vertrag zugunsten Dritter als Rechtsgeschäft zur Übertragung einer Forderung, Münster, 1983;

Kaduk Hubert, Canaris Claus-Wilhelm (Hrsg.), Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, Festschrift für Karl Larenz Zum 80. Geburtstag, München, 1983.
ციტირებულია: *Kaduk H., Canaris* C., Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS für Karl Larenz, München, 1983;

Katschinski Ralf Joachim, Dingliche Verfügung zugunsten eines Dritten unzulässig, DNotI-Report, 1999;

Kegel Gerhard, Zur Schenkung von Todes wegen, Düsseldorf, 1971;

Köster Gisela, Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, insbesondere das Kausalverhältnis zwischen Versprechensempfänger und Drittem im Falle des §331 Abs. I BGB, Inaugural-Dissertation, Köln, 1961.
ციტირებულია: *Köster G.,* Rechtserwerb und Kausalverhältnisse beim Vertrag zugunsten Dritter, Diss., Köln, 1961;

Kötz Hein, Vertragsrecht, 2., überbearbeitete und aktualisierte Auflage, Tübingen, 2012.
ციტირებულია: *Kötz H.,* Vertragsrecht, 2. Aufl., Tübingen, 2012;

Kraus Michael, Die Versicherung für fremde Rechnung, Dissertation, Wien, 2017;

Krauskopf Partick, Der Vertrag zugunsten Dritter, Dissertation, Universitätverlag Freiburg, Schweiz, 2000;

Lange Heinrich, Die Auswirkung von Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter im Rechtsbereich des Dritten, NJW, 18. Jahrgang - 1. Halbband, 1965, Heft 15.
ციტირებულია: *Lange H.,* Leistungstörungen beim echten Vertrage zugunsten Dritter, NJW, 18. Jahrg., 1965;

Lehmann-Richter Arnold, Mietvertrag zugunsten Dritter - zur Drittbegünstigung nach §328 BGB auf Mieterseite, 63. Jahrgang, ZMR 2010.
ციტირებულია: *Lehmann-Richter A.,* Mietvertrag zugunsten Dritter, 63. Jahrg., ZMR 2010;

Lakenberg Thomas, Schermaier Martin (Hrsg.), Schmoeckel Mathias (Hrsg.), Wesener Gunter (Hrsg.), Kinder, Kranke, Küchenhilfen, Wie das Reichsgericht nach 1900 die Schutzwirkung von Verträgen zugunsten Dritter erweiterte, Band 34, Dissertation, Köln, Weimar, Wien, 2014.
ციტირებულია: *Lakenberg Th.,* Kinder, Kranke, Küchenhilfen, Band 34, Diss., Köln, Weimar, Wien, 2014;

Langheid Theo, Rixecker Roland, Gal Jens, Muschner Jens, Versicherungsvertragsgesetz mit Einführungsgesetz und VVG-Informationspflichtenverordnung, Kommentar, 5. Auflage, München, 2016.
ციტირებულია: *Langheid Th., Rixecker R.,* VVG, Kommentar, 5. Aufl., München, 2016;

Larenz Karl, Lernbuch des Schuldrechts, zweiter Band, Besonderer Teil, München 1994;

Larenz Karl, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München 1987;

Lentz Mareike, Die Dogmatik der Versicherung für fremde Rechnung, Dissertation, Hamburg, 2015;

Lieder Jan, Die Anwendung schuldrechtlicher Regeln im Sachenrecht, Juristische Schulung, 51. Jahrgang, 2011;

Lohman H., Vertragsrecht, Buch 2, Verpflichtungsverträge, Stuttgart, Berlin, Köln, Mainz, 1978;

Lorenz Werner, Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JUS, 8. Jahrgang, München, 1968, Heft 10;

Looschelders Dirk, Schuldrecht, Allgemeiener Teil, 12. Auflage, München 2014;

Looschelders Dirk, Schuldrecht, Allgemeiener Teil, 16., neu bearbeitete Auflage, Düsseldorf 2018.
ციტირებულია: *Looschelders D.,* Schuldrecht, AT, 16., Aufl., Düsseldorf, 2018;

Looschelders Dirk, Schuldrecht, Allgemeiener Teil, 14., neu bearbeitete Auflage, München, 2016;

Looschelders Dirk, Schuldrecht, Allgemeiener Teil, 16., neu bearbeitete Auflage, Düsseldorf 2016;
Looschelders Dirk, Pohlmann Petra, Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, Köln, 2010.
ციტირებულია: *Looschelders D., Pohlmann P.,* VVG-Kommentar, Köln, 2010;

Looschelders Dirk, Makowsky Mark, Inhalt und Wirkungen von Verträgen, Kapitel 7 des Entwurfs der Expertengruppe für einen Gemeinsamen Referenzrahmen auf dem Gebiet des Europäischen Vertragsrechts, GPR, 2011.
ციტირებულია: *Looschelders D., Makowsky M.,* Inhalt und Wirkungen von Verträgen, GPR, 2011;

Lübe Gerd, Vertragsschutz Dritter und allgemeine Haftungsrecht, Inaugural-Dissertation, Düsseldorf, 1964;

Lüttringhaus Jan D., Vertragsfreiheit und ihre Materialisierung im Europäischen Binnenmarkt, Die Verbürgung und Materialisierung unionaler Vertragsfreiheit im Zusammenspiel von EU-Privatrecht, BGB und ZPO, Habilitationsschrift, Tübingen, 2018.
ციტირებულია: *Lüttringhaus J.,* Vertragsfreiheit und ihre Materialisierung im Europäischen Binnenmarkt, Tübingen, 2018;

Mankowski Peter, Verbrauchervertrag und Vertrag zu Gunsten Dritter, Anmerkung zu LG Frankfurt/M 1.11.2000-2/1 S 164/00, VuR, 17. Jahrgang, 2002.
ციტირებულია: *Mankowski P.,* Verbrauchervertrag und Vertrag zu Gunsten Dritter, VuR, 17. Jahrg., 2002;

Martin F. Peter Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht unter Berücksichtigung des Contracts (Rights of Third Parties) Act 1999, Inaugural-Dissertation, Gießen, 2001.
ციტირებულია: *Martin F.,* Verträge zugunsten Dritter im englischen und deutschen Recht, Diss., Gießen, 2001;

Medicus Dieter, Lorenz Stephan, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 21., neubearbeitete Auflage, München, 2015;

Medicus Dieter, Lorenz Stephan, Schuldrecht II, BesondererTeil, 17., neubearbeitete Auflage, München, 2014;

Medicus Dieter, Lorenz Stephan, Schuldrecht I, Besonderer Teil, 20., neubearbeitete Auflage, München, 2012;

Müller Hans-Friedrich, Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung aus deutscher und gemeineuropäischer Perspektive, Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht, 67. Jahrgang, Tübingen, 2003.
ციტირებულია: *Müller,* Die Einführung des Vertrages zugunsten Dritter in das englische Recht, Eine vergleichende Betrachtung, RabelsZ, 67. Jahrg., Tübingen, 2003;

Oechsler Jürgen, Vertragliche Schuldverhältnisse, 2., neubearbeitete Auflage, Tübingen, 2017;

Palandt Otto, Brundermüller Gerd, Götz Isabel, Herrler Sebastian, Thorn Karsten, Weidlich Dietmar, Jürgen Ellenberger, Grüneberg Christian, Sprau Hartwig, Weidenkaff Walter, Wicke Hartmut, Bürgerliches Gesetzbuch, 78., neubearbeitete Auflage, Band 7, München, 2019.
ციტირებულია: *Palandt O., კომენტარის ავტორი,* BGB, 78. Aufl., München, 2019;

Palandt Otto, Bassenge Petrer, Jürgen Ellenberger, Grüneberg Christian, Thorn Karsten, Brundermüller Gerd, Götz Isabel, Sprau Hartwig, Weidenkaff Walter, Weidlich Dietmar, Bürgerliches Gesetzbuch, 75., neubearbeitete Auflage, Band 7, München 2016.
ციტირებულია: *Palandt O., კომენტარის ავტორი,* BGB, 75. Aufl., München, 2016;

Palandt Otto, Bassenge Petrer, Jürgen Ellenberger, Grüneberg Christian, Thorn Karsten, Brundermüller Gerd, Götz Isabel, Sprau Hartwig, Weidenkaff Walter, Weidlich Dietmar, Bürgerliches Gesetzbuch, 74., neubearbeitete Auflage, Band 7, München, 2015.
ციტირებულია: *Palandt O., კომენტარის ავტორი, ,* BGB, 74. Aufl, München, 2015;

Palandt Otto, Bassenge Petrer, Jürgen Ellenberger, Grüneberg Christian, Thorn Karsten, Brundermüller Gerd, Götz Isabel, Sprau Hartwig, Weidenkaff Walter, Weidlich Dietmar, Bürgerliches Gesetzbuch, 73., neubearbeitete Auflage, Band 7, München 2014.
ციტირებულია: *Palandt O., კომენტარის ავტორი,* BGB, 73. Aufl., München, 2014;

Papanikolaou Panajotis, Schlechterfüllung beim Vertrag zugunsten Dritter, Ein Beitrag zu der Dogmatik des Vertrags zugunsten Dritter, Berlin, 1997.
ციტირებულია: *Papanikolaou P.,* Schlechterfüllung beim Vertrag zugunsten Dritter, Berlin, 1997;

Parapatits Felicitas, Der Vertrag zugunsten Dritter, Dissertation, Wien, 2011;

Petersen Jens, Der Dritte im Allgemeinen Schuldrecht, Juristische Ausbildung 2014 (6);

Petersen Jens, Die Drittwirkung von Schutzpflichten, Juristische Ausbildung 2013 (9);

Petersen Jens, Die Drittwirkung von Leistungspflichten, Juristische Ausbildung 2013 (12);

Prütting Hanns, Wegen Gerhard, Weinreich Gerd, Bürgerliches Gesetzbuch Kommentar, 14. Auflage, München, 2019.
ციტირებულია: *Prütting H.,* კომენტარის ავტორი, BGB, 14. Aufl., München, 2019;

Prütting Hanns, Wegen Gerhard, Weinreich Gerd, Bürgerliches Gesetzbuch Kommentar, 12. Auflage, München, 2017.
ციტირებულია: Prütting H., კომენტარის ავტორი, კომენტარის ავტორი, BGB, 11. Aufl., München, 2017;

Prütting Hanns, Wegen Gerhard, Weinreich Gerd, Bürgerliches Gesetzbuch Kommentar, 11. Auflage, München, 2016.
ციტირებულია: *Prütting H.,* კომენტარის ავტორი, BGB, 11. Aufl., München, 2016;

Prütting Hanns, Wegen Gerhard, Weinreich Gerd, Bürgerliches Gesetzbuch Kommentar, 7. Auflage, München, 2012.
ციტირებულია: *Prütting H.,* კომენტარის ავტორი, BGB, 7. Aufl., München, 2012;

Raab Thomas, Austauschverträge mit Drittbeteiligung, Beiträge zum Privatrecht, Band 41, Habbilitation, Tübingen, 1999.
Raab Th., Austauschverträge mit Drittbeteiligung, Tübingen, 1999;

Reinken Anja-Maria, Der heutige Stand der privity of contract im englischen Common Law, Inaugural - Dissertation, Hall in Tirol, 1998;

Rump Cornelia, Über das Verhältnis unentgeltlicher Zuwendungen mittels Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall zum Erbrecht, Dissertation, Bonn, 2012;

Rüffer Wilfried, Halbach Dirk, Schimikowski Peter (Hrsg.), Versicherungsvertragsgesetz, Handkommentar, 2. Auflage, Köln, 2011.
ციტირებულია: *Rüffer W.,* კომენტარის ავტორი, VVG, Handkomm., 2. Aufl., Köln, 2011;

Saar Christoph, Grenzen des ,,vertraglichen Drittschutzes"-BGH, NJW 1996, 2927, JUS 2000, Heft 3;

Soergel Hans Theodor, Pfeiffer Thomas (Red.), Kommentar zum Bürgerlichen Gesetztbuch , Band 5/3, Stand der 13. Auflage,Verlag W. Kohlhammer, Stuttgard, 2010.
ციტირებულია: *Soergel H., კომენტარის ავტორი,* BGB, Band 5/3, 13. Aufl., Stuttgard, 2010;
Säcker Jürgen Franz (Hrsg.), Rixecker Roland (Hrsg.), Oetker Hartmut (Hrsg.), Limperg Bettina (Hrsg.), Krüger Wolfgang (Red.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 3, Schuldrecht – Allgemeiner Teil II, 8. Auflage, München, 2019.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* Münchener Kommentar zum BGB, Band 3, 8. Aufl., München, 2019;

Säcker Jürgen Franz, Rixecker Roland, Oetker Hartmut, Limperg Bettina, Krüger Wolfgang (Red.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht - Allgemeiner Teil, 7. Auflage, München, 2016.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* Münchener Kommentar, 7. Aufl., München, 2016;

Sielemann Fritz, Der Vertrag zugunsten Dritter, seine Geltungsvoraussetzungen, seine rechtliche Anerkennung und Konstruktion im geltenden deutschen, belgischen und niederländischen Recht, Inaugural-Dissertation, Berlin, 1964.
ციტირებულია: *Sielemann F.,* Der Vertrag zugunsten Dritter, Diss., Berlin, 1964;

Smode Oliver, Die Haftung des Geschäftsführers der GmbH & Co. KG, unter besonderer Berücksichtigung des Vertrages mit Schutzwirkung zugunsten Dritter, Dissertation, Hamburg, 2005;

Solomon Dennis, Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in Festschrift für Harm Peter Westermann zum 70. Geburtstag, Köln, 2008.
ციტირებულია: *Solomon,* Die Aufhebbarkeit der Drittberechtigung beim Vertrag zugunsten Dritter in rechtsvergleichender Perspektive, in: FS für H P Westermann, Köln, 2008;

Sutschet Holger, Der Schutzanspruch zugunsten Dritter, Unter Berücksichtigung der Pflichtenlehre des Kommissionsentwurfs, Dissertation, Berlin, 1999.
ციტირებულია: *Sutschet H.,* Der Schutzanspruch zugunsten Dritter, Diss., Berlin, 1999;

Scherer Stephan, Die Gläubigeranfechtung der Bezugsberechtigung und der Prämienzahlung beim Lebensversicherungsvertrag zu Rechten Dritter , Dissertation, Karlsruhe, 1991;

Schmidt Eike, Der Bereicherungsausgleich beim Vertrag zu Rechten Dritter, Zugleich eine Auseinandersetzung mit dem gleichnamigen Werk von Walter Hadding, JZ, Tübingen, 1971;

Schmidt Rolf, Schuldrecht Allgemeiner Teil, 12. Auflage, Bremen, 2018;
Schmidt Rolf, GBG Allgemeiner Teil, Grumndlagen des Zivilrechts Methodik der Fallbearbeitung, 13 Auflage, Hamburg, 2015;

Schulze Reiner, Dörner Heinrich, Ebert Ina, Hoeren Thomas, Kemper Rainer, Saenger Ingo, Scheuch Alexsander, Schreiber Klaus, Schulte-Nölke Hans, Staudinger Ansgar, Wiese Volker, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommntar, 10. Auflage, Baden-Baden, 2019.
ციტირებულია: *კომენტარის ავტორი,* Hk-BGB, 10. Aufl., Baden-Baden, 2019;

Schulze Reiner, Dörner Heinrich, Ebert Ina, Hoeren Thomas, Kemper Rainer, Saenger Ingo, Scheuch Alexsander, Schreiber Klaus, Schulte-Nölke Hans, Staudinger Ansgar, Wiese Volker, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommntar, 9. Auflage, Baden-Baden, 2017.
ციტირებულია: კომენტარის ავტორი, Hk-BGB, 9. Aufl., Baden-Baden, 2017;

Schwab Martin, Grundfälle zu culpa in contrahendo, Sachwalterhaftung und Vertrag mit Schutzwirkung für Dritte nach neuem Schuldrecht, JUS, 42 Jahrgang, Heft 9, 2002;

Stelkens Paul, Vertäge zu Lasten Dritter, Inaugural-Dissertation, Köln, 1935;

Staudinger Julius von, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht der Schuldverhältnisse, §§328-345, (Vertrag zugunsten Dritter, Draufgabe, Vertragsstrafe), Neubearbeitung 2015 von Jagmann Rainer, Klumpp Steffen, Rieble Volker, Löwisch Manfred (Red.), Berlin.
ციტირებულია: *Staudinger J., კომენტარის ავტორი,* BGB, Buch 2, Berlin, 2015;

Staudinger Julius von, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht der Schuldverhältnisse, §§255-304 (Lestungsstörungsrecht 1), Neubearbeitung 2014 von Bittner Claudia; Caspers Georg; Feldmann Cornelia; Schwarze Roland; Löwisch Manfred (Red.), Berlin.
ციტირებულია: *Staudinger J., კომენტარის ავტორი,* BGB, Buch 2, Berlin, 2014;

Staudinger Julius von, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht der Schuldverhältnisse, §§328-345, (Vertrag zugunsten

Dritter, Draufgabe, Vertragsstrafe), Neubearbeitung 2009 von Jagmann Rainer, Rieble Volker, Löwisch Manfred (Red.), Berlin.
ციტირებულია: *Staudinger J., კომენტარის ავტორი,* BGB, Buch 2, Berlin, 2009;

Staudinger Ansgar, Halm Wolfgang, Wendt Domenik Henning, Fachanwaltskommentar, Versicherungsrecht, Köln, 2013.
ციტირებულია: *Staudinger A.,* კომენტარის ავტორი, Fachanwaltskommentar, Versicherungsrecht, Köln, 2013;

Schwintowski Hans-Peter, Brömmelmeyer Christoph (Hrsg.), Praxiskommentar zum Versicherungsvertragsrecht, ZAP Verlag, Münster, 2008.
ციტირებულია: *Schwintowski H., Brömmelmeyer Ch.,* VVG, Praxiskommentar, Münster, 2008;

Vieweg Klaus, Werner Almuth, Sachenrecht, 7., neu bearbeitete Auflage, München, 2015;

Vogt Annette, Verträge zu Rechten Dritter, insbesondere auf den Todesfall, mit einem englischen Versprechensempfänger, Dissertation, Berlin, 1999;

Wall Fabian, Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall - ein Forderungsvermächtnis, Neubetrachtungen im Anschluss an die „Jahrhundert-Entscheidung“ BGHZ 156, 350 ff. und an das „Gesetz zum Pfändungsschutz der Altersvosorge, Tübingen, 2010.
ციტირებულია: *Wall F.,* Das Valutaverhältnis des Vertrags zugunsten Dritter auf den Todesfall, Tübingen, 2010;

Wenzel Henning, Hütte Felix, Helbron Marlena, Schuldrecht, Besonderer Teil I, Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Auflage, Bremen, 2003;

Wenzel Henning, Schuldrecht, Besonderer Teil I, Vertragliche Schuldverhältnisse, 4. Auflage, Bremen, 2006;

Wesenberg Gerhard, Verträge zugunsten Dritter, Rechtsgeschichtliches und Rechtsvergleichendes, Forschungen zum romischen Recht, Hrsg.: Kasel Max; KrellermartinHans und Kuntel Wolfgang, I Band, 2. Abhandlung, Weimar, 1949.
ციტირებულია: *Wesenberg,* Verträge zugunsten Dritter, Weimar, 1949;

Westermann Harm Peter, Vertragliche Dritthaftung im neuen Schuldrecht, Besonderes Vertragsrecht – aktuelle Probleme, Festschrift für Heinrich Honsell zum 60. Geburtstag, Zürich, 2002.

ციტირებულია: *Westermann,* Vertragliche Dritthaftung im neuen Schuldrecht, FS für Heinrich Honsell, Zürich, 2002;

Wolfgang Krüger (Redakteur), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht, Allgemeiener Teil, §§241-432, 6. Auflage, München (Beck), 2012.
ციტირებულია: კომენტარის ავტორი, Münchener Kommentar, Schuldrecht AT, München, 2012;

Wandt Manfred, Versicherungsrecht, 6., neu bearbeitete Auflage, München, 2016;

Westermann Harry, Westermann Peter, Gursky Karl-Heinz, Eickmann Dieter, Sachenrecht, 8., neu bearbeitete Auflage, Hamburg, 2011.
ციტირებულია: *Westermann H., Gursky K., Eickmann D.,* Sachenrecht, 8., neu bearb. Aufl., Hamburg, 2011;

Wolf Manfred, Wellenhofer Marina, Sachenrecht, 31., überbearbeitete Auflage, München, 2016;

Wolf Christina, Drittleistung und Leistungsmittlung, Dissertation, Berlin, 1995;

Zweigert Konrad, Kötz Hein, Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3., neubearbeitete Auflage, Tübingen, 1996.

ინგლისურ ენაზე:

Hallebeek Jan, Dondorp Harry, Contracts for a Third-Party Beneficiary, A Historical and Comparative Account, Leiden, Boston, 2008.
ციტირებულია: *Hallebeek/Dondorp,* Contracts for a Third-Party Beneficiary, Leiden, Boston, 2008;

MacQueen Hector L., Third Party Rights in Contract: English Reform and Scottish Concerns, Vol 1, 1997, <https://heinonline.org/>, [22.02.2017];

Merkin Robert, Privity of Contract: The Impact of the Contracts (Right of Third Parties) Act 1999, London, Hong Kong, 2000.
Merkin, Privity of Contract: The Impact of the Contracts (Right of Third Parties) Act 1999, London, Hong Kong, 2000;

Schwartz Alan, Scott Robert E., Third Party Beneficiaries and Contractual Networks, Journal of Legal Analysis 2015, <https://doi.org/10.1093/jla/lav006>, [26.12.2019];

Tack Niels, Third Party Rights in Contract Law: Confusion in Scotland and Flexibility in Germany, 2016, (2 Anglo-Ger. L.J. 92 2016) <https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/aglj2&div=8&id=&page=>, [22.02.2017].
ციტირებულია: *Tack N.,* Third Party Rights in Contract Law: Confusion in Scotland and Flexibility in Germany, 2016, <https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/aglj2&div=8&id=&page=>, [22.02.2017];

Vogenauer Stefan, Kleinheisterkamp Jan, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford University Press, Oxford, 2008.
ციტირებულია: *Vogenauer S., Kleinheisterkamp J.,* Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Oxford, 2008;

Koffman Laurence, Macdonald Elizabeth, The Law of Contract, Seventh Edition, Oxford, 2010;

Zimmermann Reinhard (Red.), Jansen Nils (Red.), Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018.
ციტირებულია: *Zimmermann R. (Red.), Jansen N.(Red.), კომენტარის ავტორი,* Commentaries on European Contract Laws, Oxford, 2018.

რუსულ ენაზე:

Абовой Т.Е, Богуславского М.М., Кабалкина А. Ю., Листицина-Светланова А.Г., Постатейный комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, Частям первой, второй и третьей, Москва, 2018.
ციტირებულია: *Абовой Т.Е, Богуславского М.М., Кабалкина А. Ю., Листицина-Светланова А.Г.,* Постатейный комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, Москва, 2018;

Байгушева Юлия Валериевна, Представительство по российскому гражданскому Праву (к разработке отечественной Доктрины с учетом опыта западноевропейской цивилистики) Диссертация, Санкт-Петербург, 2015.
ციტირებულია: *Байгушева Ю.,* Представительство по российскому гражданскому Праву, Диссертация, Санкт-Петербург, 2015;

Борисов А.Б., Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Части первой, второй, третьей, четвертой, 8-е издание, Москва, 2008.
ციტირებულია: *Борисов А.Б.,* Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, 8-е издание, Москва, 2008;

Егорова Н.Д., Сергеева А.П., Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Часть первая, Издание третье, Москва, 2006;

Садиков О.Н., Комментарий к Гражданскому кодексу Росийской Федерации, Части первой, Москва, 2006;

Степанов С.А, Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (учебно-практический), 5-е издание, Москва, 2018;
ციტირებულია: *Степанов С.А*, Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, 5-е издание, Москва, 2018;

გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილებები:

BGH, Urteil vom 26. 5. 2010 - Xa ZR 124/09 (LG Frankfurt a.M.), NJW 2010, 2950, (2951);

BGH, Urteil v.7.5.2009 – III ZR 277/08 (OLG Stuttgart), JZ, 2010, 414;

BGH, Urteil vom 16. 11. 2007 - V ZR 208/06 (OLG Hamm), NJW-RR 2008, 683;

BGH, Urteil vom 8. 2. 2006 - IV ZR 205/04 (OLG Celle), NJW 2006, 1434 (1437);

BGH, Urteil vom 22. 9. 2005 - III ZR 295/04 (OLG Schleswig), NJW 2005, 3778;

BGH, Urteil vom 30. 5. 2003 - V ZR 216/02 (OLG München), NJW-RR 2003, 1355 (1357);

BGH, Urteil vom 15. 10. 1998 - I ZR 111–96 (Frankfurt a.M.), NJW 1999, 1110, (1112);

BGH, Beschluß vom 10-02-1993 - XII ZB 80/88 (Kobelnz), NJW-RR 1993, 770 (771);

BGH, Urteil vom 08-07-1993 - IX ZR 222/92 (Düsseldorf), NJW 1993, 2617;

BGH, Urteil vom 02-10-1991 - XII ZR 145/90 (Köln), NJW 1992, 427, (428);

BGH, Urteil vom 17-04-1986 - IX ZR 54/85 (Hamburg), NJW-RR 1986, 848 (849);

BGH, Urteil vom 17.01.1985 - VII ZR 63/84 (Frankfurt), NJW 1985, 1457;

BGH, Urteil vom 12-11-1980 - VIII ZR 293/79 (Köln), NJW 1981, 275, (S. 276);

BGH, Urteil vom 29. 11. 1974 - V ZR 73/73 (Frankfurt), NJW 1975, 344 (345);

BGH, Urteil vom 15. 1. 1974 - X ZR 36/71 (München), NJW 1974, 502;

BGH, Urteil vom 19. 11. 1971 - V ZR 103/69 (Karlsruhe/Freiburg), NJW 1972, 152;

BGH, Urteil vom 9. 4. 1970 - KZR 7/69 (Düsseldorf), NJW 1970, 2157;

BGH, Urteil vom 29. 1. 1964 - V ZR 209/61 (Celle), NJW 1964, 1124 (1125);

BGH, Urteil vom 24. 2. 1954 - VI ZR 315/52 (Düsseldorf), NJW 1954, 874;

BGH, Urteil vom 29. 4. 1953 - VI ZR 63/52 (Frankfurt), NJW 1953, 977;

BayObLG, Beschluß vom 17. 10. 2002 - 2Z BR 57/02, NJW 2003, 1402 (1403);

OLG Brandenburg, Urteil vom 05.05.2011 - 5 U 182/09, BeckRS 2011, 14322;

OLG Frankfurt a.M. (Senat Kassel), Urteil vom 29. 5. 2001 - 14 U 107/00, NZM 2001, 900 (901);

OLG München, Urteil vom 9. 11. 1999 - 25 U 3831/99, NJW 2000, 1423;

LG Freiburg Urt. v. 1.7.1980 – 9 S 76/80, BeckRS 1980, 890.

ელექტრონული ბმულები:

<www.juris.de>

<https://home.heinonline.org/>

<https://doi.org/10.1093/jla/lav006>

<www.zjs-online.com>

<civilprocedure.ge>

<https://www.jusline.at/gesetz/abgb>

<https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/>

<www.beck-online.beck.de>

<www.bundesgerichtshof.de>

<www.gccc.ge>

<www.gesetze-im-internet.de>

<lwww.library.court.ge>

<www.matsne.gov.ge>

<www.supremecourt.ge>

<www.tsu.ge>